

7-27.

306/2
1924



საქართველოს
მთავრობის

8-9



გადასმულია

1-27.

მედიკალი მედიკალი

სრულიად საქართველოს მფარველთა კავშირის
ყოველთვიური ჟურნალი.

წელიწადი მეორე

984.

ბედაქტორი
ნიკოლოზ მიწიბვილი



ავვისტო — სექტემბერი
ტფილისი — 1927

ა/წ. 29 აბვისტოს ბარდანიცვალა
სრულწილად საქართველოს მწერალთა
კავშირის დამაარსებელი და უკანასკ-
ნელ დრომდე მისი უცვლელი თავ-
მჯდომარე — ცნობილი საზოგადო
მოდგაწე და პოეტი კოტე მათა-
უვილი.

მის ხსოვნას და საზოგადოებრივ-
ლიტერატურულ მოღვაწეობას რე-
დაქცია აღნიშნავს „ქართულ მწერ-
ლობის“ სპეციალურ ნომერში.

ზინაარსი.

პ რ ო ზ ა:

არისტო ჭუმბაძე — სასწაული.

ნიკოლო მიწიშვილი — ეპოპეია.

სტენდალი — იტალიური ქრონიკები (თარგ. გერონტი ქიქოძისა).

სვ. ყიფიანი — ახალი სამართალი.

კონრად ბერკოვიჩი — ბოშას სისხლი.

მარსელ პრუსტ — ბერგოტის სიკვდილი.

ლ ე ქ ს ე ბ ი:

ვალერიან გაფრინდაშვილი — საკო და ვანცეტი.

ალ. გაბესკირია მტკვარი — ზაჭესი.

რაჟდენ გვეტაძე — ლირიული განწყობილება.

ვასილ გორგაძე — ოცდაათი წელი.

ეთიმ გურჯი — სიმღერა.

იონა ვაკელი — ლექსი მეგობრებისადმი.

ნოე ზომლეთელი — მოკვდა არწივი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ჭადრაკი.

საფო მგელაძე — სულიერი განწყობილება.

ილა მოსაშვილი — ქალ-ვაჟიანი.

ალექსანდრ პუშკინ — ა. პ. კერნისადმი (თარგმ. გრიგოლ ცეცხლაძისა).

ვარლამ რუხაძე — მტკვარს.

სანდრო შანშიაშვილი — დედის ერთა ვაჟიკა.

წერილები:

კონსტანტინე კაპანელი — ლიტერატურული პრობლემები.
ნ. შებუევი — სუმბათაშვილი, მაქსიმ გორკი და „მოსკოვის წრე“.
ლევან ასათიანი — ვოლტერიაობა საქართველოში.

დოკუმენტები:

ხომელი — ცხოვრების მოედანი.

ბიბლიოგრაფია:

ვ. ილიელი — ლუნაჩარსკი. ყოფა-ცხოვრება.
ნ ვ. — იოსებ დავითაშვილი.

ქართული პრესა „ქართული მწერლობის“ შესახებ.

—:—

3 6 12 9 5

არისტო ჭუმბაძე.

ს ა ს წ ა უ ლ ი

— ღვთისმშობელო კალთამადლიანო, მოჰხედე ჩვენს კნინებას და გვაკმარე ვაება...

ასე ლოცულობს გულში „ფოფოღია“ მატათი და თან გამალეებული სანქმობს. ვნების ხუთშაბათი ღამდება და ჯერ თავი-საქმეებიც არ მოურილებია.

ხუმრობაა განა ამოდენა „საბლალოჩინო“ ოჯახის მოვლა!

თუმცა... ამ ბოლო დროს, რაკი ეს „წითელი ფოლორცობია“ შემოვიდა, საბლალოჩინოც ძალზე დამჭლექდა და ოჯახიც გვარიანად შეიფერთხა, მაგრამ მატათი ულურს მაინც არ იტეხს:

— ეჰ, დაგვაქციეს, მაგრამ რა გაეწყობა! „წყალნი წავლენ და წამოვლენ ქვიშანი დარჩებიანო“.

ამას ისე იტყვის ხოლმე, ავისმდომელის გასაგონად, თორემ ნამდვილად ჯერ კიდევ მყარია ეპიტანე-ბლალოჩინის ძველებური ოჯახი. მართალია, ღმერთმა საძეო არ გაუჩინა დოვლათიან სამკვიდროს, მაგრამ, სამაგიეროდ, ოთხი ქალი ჰყავს, ერთი მეორეზე თვალტანადი და მოყვანილი, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან ნაყოფიერ შვილოვნობას.

სიძეები ხომ... რაღა საკითხავია? ორი მოლარეა და ორიც... მოლარის მოადგილე. ეს იმიტომ მოხდა, რომ ადრე დასიძებულებმა თავისი ყაიდის ხალხი შესძინეს კვალად ოჯახს.

ესაა მხოლოდ, სიბერემ დასძალა და სიცოცხლის სიამე გაუნახევრა, მაგრამ, გარჯილობას ჩვეული, ეხლაც არ იშლის მატათი; ჯეელივით დაკაპიწებული ხან ამ კუთხეს ეცემა, ხან იმას, ჰფოთნის, ჰფოთარებს:

სააღდგომოდ შვილებსა და მათს ბიჭი-ბუჭიას ელის, არ უნდა ნაქებ ოჯახს უქალობა დააჩნევინოს:

— აგრე, აგრე გენაცვალოს ნათლია — აქეზებს იგი პატარა ტასიკოს, რომელიც მირონობის საბაბით ვითომ აღსაზრდელად შემოუყვანია ოჯახში — შენ ეგ კარ-ფანჯარა გამიწმინდე, მე კი ენდრო-ჭიაფერს დავნაყავ და კვერცხებს შეგაღებინებ.

სცდილობს ტასიკო წაქეზებული. სიხარულით გული ებერება, როცა ჭიაფერით შეღებილ თითებს წარმოიდგენს და აღდგომა დილასაც ტოლებში გაერევა საფლავებზე კვერცხის საგორებლად.

— ნათლი-ჯან, წირვაზე წამიყვან?

— ჰო, შვილო, წაგიყვან.

— კვერცხებსაც მაგორებინებ, ხომ?

— გაგორებინებ, შვილო, რატომ არა?

— ბატონსაც ბევრს მიართმევენ, ნათლია. აბა იქ აირჩევა ნამდვილი საკერკეტო აი!

— ეჰ, შვილო, შენ პირს შაქარი, მაგრამ სად არი? საკურთხი კი არა, საფლავებს ანგრევენ, ძვლებს ანიავებენ.

გულის ბუხრით ამოიგმინა ფოფოდიამ და უეცრად გუნება შეეცვალა. ბავშვის მიამიტი ენა მატათის ახალ სატკივარს შეეხო და უნებურად აუქავა. არ იამა ძველას გახსენება და ახლის დაპირისპირება.

აღგა, გოგოს მოერიდა, აივანს გავიდა დოინჯშემოკრილი.

ცულისტარზე დასული მზე ოქროთი ავარაყებს დაკოილებულ ეზოს. აყვავებული ხეხილი ანთებულ კელაპტარივით ჰქათქათებს. სისინებს ჯერ კიდევ ცივი სიო და აფრასავით აფართქალებს ალორთქილ კოინდარს. ყოველს რხევაზე რიალით სცვივა ყვავილთა რაგინდრაფერი ფურცელი და ცეკვით ეფრქვევა ქოჩორა ბალახს. სადღაც, სუყედ ალაინებულს ცაცხვებში, სასძლიპიროს უსტვენს ტრფიალით ამღერებული შაშვი.

მატათის გულისკარი ეხსნება: ნაოჭი შუბლი სამშვილობო სიამით ეშლება, ჩაცვივნულ ბაგეთა და მიმქრალ

თვალთა შორის უნებურად ილამბება ობობას ქსელივით
ნაზი ღიმილი, რომელსაც, ვინ იცის, სად, სულის რომელ
დავიწყებულს კუნჭულში გაუჩნდა დასაბამი.

უტეხი ადამიანია მატათი, მაგრამ არა გულკოიტი.

გარემოს ზეიმით დამშვიდებული, შორს წარეტაცინა
იგი იმ უცნაურებას, ბანგივით მათრობელ ყოფას, რასაც
ყმაწვილნი ოცნებას ეძახიან, მოხუცნი კი—მოგონებას.

წარეტაცინა და... არც კი შეუმჩნევია, როგორ აენტენ
სერებზე სადიდხუთშაბათო. ჭიაკოკონები.

— ღმერთო, მიშველე! ასე რა ცოდვამ გამარინდა?

გაკვირვებით წაიჩიფჩიფეს უკბილო ტუჩებმა.

თითქოს მის ზრახვათა საპასუხოდ, მეზობელ ვენა-
ხიდან ვასაკას ძახილივით გაისმა გამწივანი ხმა:

— ჰარული კუდიანებსა, ჰარული! ჩვენს ვენახში
გოდრა-გოდრა, ხუცისაში კიმპლა-კიმპლა!

ეს გიგოლა იყო, ზოტიკე—კომუნისტის ბიჭი.

თითქოს გულში ცხელი შანთი გაუტარესო, ფინთი-
ხივით შეტრიალდა დედაბერი, აღმოსავლეთისკენ წარს-
დგა და ხელაპყრობით შეჰლაღაღა:

— ოოი, ენისკლიტე დაგიბას დედა-შვილობის გამ-
ჩენმა, შე გველის წიწილო, შენა! განა ხუცესმა რა და-
გიშავა საკრულავი? ისა, რომ უკუღმართი მამა-შენი
კნუტივით უბით უტარებია?!

— რას იქოქები, ადამიანო, ამ უქმიძალზე — შეუტია
მატათის გიგოლას დედამ, რომელიც თურმე იქვე, ლობის
ძირას ყოფილიყო და ჩვეულეებრივად უთვალთვალებდა:
აბა რა კეთდება ან რა თეთრდება ბლალოჩინის ეზოშიო —
ბაღს უნდა აჰყვეს შენოდენა ადამიანი? ცალი ფეხი რო
სამარეში გაქ, ეშმაკზე ჯდომას რატო აღარ იშლი!..

და მოჰყვა და გაჭენდა.

მატათისთვის ასეთი თავდასხმა სრულიად მოულოდნე-
ლი შეიქნა. ერთგზის, ვითომ, სცადა კიდევ გაპასუხება,
მაგრამ გაახსენდა, რომ მხოლოდ გუშინ სთქვა აღსარება
და ამიტომ მოერიდა. ეს კი ჩაილაპარაკა თავისთვის:

მაგრამ გაახსენდა, რომ მხოლოდ გუშინ სთქვა აღსარება
დესო.

ის იყო, პირი კვლავ შინისკენ იბრუნა, რომ ერთბაშადვე შესდგა გოცებელი.

— ღმერთო დამიფარე! რა ამბავია ასე ადრე?

ხელისგულით თვალები დაიჩრდილა და დააშტერდა. უხეიროდ გაფცქვნილ ბატივით მხრებჩამოყრილი, წელში მოხრილი ძლივს მოაბიჯებდა აღმართს ეპიფანე-ხუცესი, თითქოს ჯურღმულიდან ამომძვრალი ავი სულიაო.

გულმა რაჩხი ჰკრა მატათის: ავი იგუმანა.

— რო არც ზარის ბაიბური გამიგონია!

ეკითხება თავის-თავს გაკვირვებული დედაბერი.

მღვდელმა ხმა არ გასცა. ჯერ აივანს არ იყო ასული, რომ ანაფორას ხელი გაიკრა, გაიძრო და, გაჯავრებულმა, რიკულს გადაათურთხა, თითქოს რაც უსიამოვნება მის პატრონს მისდგომია, სულ იმისი ბრალი ყოფილიყოს.

მერე ავდრისა და სიძველისგან ამწვანებული ქუდი მოიგლიჯა, ვერცხლისთავიან კვერთხს ჩამოაგო და ორივე კუთხეში მიაგდო. თან რალაც გაურკვეველი წაიდუღუნა, დაჯდა და თვალი გაიშტერა.

მატათიმ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა უკან. შიშისა და გაკვირვების ნიშნად, ცალი ხელით ტუჩ-ნიკაპი დაიტვარა და აღმაცერა, მორიდებული ცქერით ჩაათვალიერა. არ ეჭაშნიკა ქმრის ასეთი სანახაობა: მის წინ ლაჟღა-ჟა ეპიფანე-ბლალოჩინი კი არა, ვილაც სხვა იყო—მოთელილი, დაჭმუჭვნილი, ნათრევი და გაბიაბრუებული.

„არა, არა — ჰფიქრობს განცვიფრებული მატათი — ეს ჩემი ქმარი არ არის... ეს, ეს... ღმერთო, მიშველე! ვის მივამგვანო? ჰო, ეს ბერიკა-მეწისქვილე უნდა იყოს...“

თვალზე ხელი გადივლო, მაცთუნებელი ბინდი მოიშორა, ბიჯი წარსდგა და საცოდავად შეჰკნავლა:

— რა მოგსვლია, ადამიანო, რამ დაგამუნჯა?

მღვდელმა შორეული, უაზრო თვალი შეავლო, მერე პირი იბრუნა და, თითქოს მატათის კი არა, სხვას ვისმე უპასუხებსო, ცალყბად წამოისროლა:

— ძალით გამაგდეს... ეკლესია დაჰკეტეს... სამკაული ასწერეს...

ველარ დაასრულა. ქვედა ყბა დაუგრძელდა, თავი კვანახერასავით აუცანცარდა. ყელში სოველი რალაც მიებრჯინა, მძიმე და გორგალა. საცრდავად მოიბუზა. დადაბლდა, დაპატარავდა. იდაყვით მუხლებს დაეყრდნო. დამუშტულს ხელში მოიმწყვდია გრძელი ქათქათა წვერი და გაირინდა, ვით დატუქსული ბრიყვი ლეკვი...

მატათი, სადაც იდგა, იქვე ჩაჯდა მოსხლეტ, თითქოს მუხლებში აქლემის ჯოხი სცეს და ჩაჰკეცესო...

აპრილის შემპარავი ბინდი ფარდასავით უეცრად დაეშვა გარემოს და თან მოიტანა გაუტეხელი დუმილი. კალმა-გამოღმა სერებზედაც ნელინელ მიილულენ ლიც-ლიცა ჭიაკოკონები. აქ კი, ბოსტნის ბოლოზე, ნასიზმრალივით ისმოდა გიგოლას ნაგვიანევი „ჰარული“.

რიკულსდაყრდნობილი, უხმო და უსახო, იჯდა კოლ-ქმარი; ვით ავდარში საფარს შეხიზნული წყვილი ყორანი...

ანაზდეულად, აივნის ბოლოს, ბნელ საკუჭნაოში ზარით გაისმა ტასიკოს გულამოსკვნილი ქვითინი.

მყისვე შეირხა ჩაშავებული ორი აჩრდილი და აწრი-აღდა.

— ოოჰმმმ...

ამოიგმინა ბერიკაცმა.

— შენ რალათ, შე საბრალო?

წასჩურჩულა ტასიკოს დედაბერმა.

„სხვისი ჭირი, ლობეს ჩხირიო“. განა ტასიკოს ტირილი ენატრება?

როგორის ელდითა და ფრქვევით შეჰხაროდა იგი ამ სანუკვარ დღეს და, აჰა, ეხლა ყველაფერი გათავდა: არც აღდგომა იქნება, არც ზართა რეკვა, არც წითელი კვერცხი და აღარც მისი გორება...

ბავშვის ტირილმა სინამდვილეს დაუბრუნა მოხუცთა სასომიხდილება.

— რატო არაფერს მეტყვი, ადამიანო?

უსაყვედურა მატათიმ.

— სათემოში დაუდგენიათ, სოფელმაც კვერი დაუკრა...

დუმილი.

და კვლავ:

— მერე ასე... ასე ურჯულოდ?... დაუღვენიათ...
სიჩუმე. პასუხი ისედაც ნათელი იყო.

— ოოიჰ, სულ ამ ვაჟბატონის ოინებია—და მატა-
თიმ თვალი ზოტიკეს ეზოსკენ იქცია—სათავედან რო
დაგვყვა, აი ჩაგვაძვრინა მიწაში... განა არ ვიცი! მამა-
ზეციერმა დაუხშოს ცხოვრების კარი მაგასა და მაგის
ნაშიერს! აბა მაგას წირვა-ლოცვა რათ უნდა, რჯულზე
გადამდგარს, ნათელ-მირონის იუდას?!..

— სუუ, ჩუმად!..

საკუთარს ტუჩზე ხელის დაფარებით ანიშნა
მღვდელმა.

მატათიმ გაკვირვებული თვალი შეაფეთა.

— მაინც იმუქრებიან... გაიგონებენ, უარესია.

— რას გემუქრებიან, შე საცოდავო, ვისთან რა ცუ-
დი მიგიძღვის?

შეუტია ცოლმა, რომელიც ქმრის უმწეობით უფრო
იყო გაჯავრებული, ვიდრე სოფლის საქციელით.

— ჩუმად, მატათი, ჩუმად... ღმერთი მოწყალეა!

— ღმერთი, ღმერთი! აღარც იმ დალოცვილს ესმის
ჩვენი ჩივილი და სათხოვარი. აღარ ესმის... თუ ესმოდეს,
აბა სად არის?! გავჩუმდე კი არა, უნდა ვიყვირო, ვიწივ-
ლო, ქვეყანა ჩანოვრკინო: გაგვაშიშვლეს, გაგვატიტვ-
ლეს, პირში ჩალა გამოგვაღვლეს და კიდევ გავჩუმდე? ეს
სამიწე გული მაინც ვერ მოვიოხო?!.

— ღმერთს ნუ ჰგმობ, ქალო, მოთმინება იქონიე:
იავდრებს, ისევ გამოიდარებს...

— არა, ერთი მითხარი, ეკლესია რო დაგიკეტა, მისი
აშენებულია თუ მისი წინაპრების? ასე როგორ უნდა და-
გვაჯდეს თავს ერთი ავი პუწაწკი?! მარა, მარა... სულ
შენი ბრალია, ჩემო დავითა, რატო მაშინ არ ოუგე წე-
სი, როცა მამასახლისმა გათოკილი და ცხვირსისხლიანი
ჩააბრძანა ვირის აბანოში? აქაო და, ნათელ-მირონია,
თავი მოგვეჭრებაო! რო უთავდებე და გააშვებინე, აბა
რა გრჯიდა? ახლა, აჰა, ეგეც შენი ნათლული და გამო

ზრდილი!.. ან კი შენ რა გენადვლება, ჩემს ნამზითვარზე დაბულრაობს: საყანე ჩამოგართვა, სასარე აგიჩეხა, წისქვილზე ხელი აგაღებია, ხვალ ჩემ თავსაც შეგედავება და... ო, განა არ ვიცი შენი ამბავი? შენ კაცი კი არა, ცხვარი ხარ, ღვთის უენო: თოკს ჩაგაბმენ, წყაროს მიგაყენებენ, არ გასმევენ და ურწყულს დაგაბრუნებენ...

მღვდელმა პირი იბრუნა:

— კმარა, მატათი, გეყოფა! ნაღვლი დაიოკე... ღმერთი მრავალმოწყალეა, არ გაგვწირავს...

სახეაშლილმა დედაბერმა ერთი ისეთი გადახედა, მოძღვარს ერჩივნა, იქვე მიწა გასწყვეტოდა.

— ელოდე!

ფინთიხივით ესროლა და მოშორდა გამგუნებული.

ნამტირალევ ტასიკოს გობ-საცერზე ჩამოსძინებოდა. ცხვირის ნადენი წვინტლი ფქვილს დასდენოდა.

მატათიმ მუჯღლუგუნი ჰკრა, ცივი და ულმობელი, რაც არაოდეს ჩაუდენია.

ნამძინარევმა ტასიკომ გობს ხელი წასდო, დაღმა დაამხო.

— წყალს წაუღიხარ, მეწყერს თავდაღმა!

მიაკრულა ნათლიამ.

დიდ ხანს ისმოდა მატათის უმწეო ბუზღუნნი ქვეყნისა და ადამიანთა სიავის გამო, რომელთაც არც განსჯა აქვთ, არც სამართალი.

, ძველის-ძველი სკივრი აჰხადა, ყვითელის თუნუქით შეჭედილი. გამირზე წმინდა სანთელი აანთო. სკივრში რალაცას ეძებს გამალებული.

სკივრი სავსეა ნაჭრებითა და ნაკრებით, რომლებიც ბებია-მისის ქალწულობიდან გროვდებოდა თურმე გულმოდგინებით. ხან ერთს აიღებს, ხან მეორეს. სინათლეზე მიიტანს, სინჯავს, ხსნის, ისევ ჰკრავს.

თავშიშველი, თმაგაწეწილი, როკაპსა ჰგავს, საჯანაოზო ქვაბს გადაფაფრულს. თანაც განუწყვეტლად ჩიუჩიფებს, ხარბსა და ხარბს შუა, ვით შესატევად ასისინებული კრუხი-ბატი:

— გადავსცემ. გადავსცემ... ჩემის ცოდვილი ფეხით ჩავფორთხდები და... ბარბა-წმინდას გადავსცემ, ვენაცვალე მის მუხლს...

ბოლოს, იპოვნა რასაც ეძებდა: ჭვარტლისფერ ნახაბარდალში ჰქონდა გახვეული ნაღობი სანთლის გორობი.

ეხლა ფირფიტზე ნახვევი ბამბის ნართი აიღო, მერე ქუსლჩათელილი, ქმრის ნაცვამი წულა გაიძრო, ფეხის ცერს ამოსდო დაორმაგებული ცაფი, შეაორწვერა, ცალი ბოლო კბილით დაიჭირა, ხელისგულები დაინერწყვა და შეჰკრიხა.

მერე რკინის პატარა კოჭობი მოსძებნა, სანდლების შესანახავად რომ ხმარობდა ხოლმე; ფიჭის გორობი თხელ ფენებად ჩასთალა შიგ, სანთლის ენაზე მიმოაკლო. როცა ფიჭა შენელთბილდა, ამოიღო, თითებით დაჰქნა, დაზილა. კბილსა და ფეხს შუა გაჭიმულ ძაფს შეაგოზა, ხელისგულებს შორის სრესით დაქნილი სანთელი ზემოდან ქვევით წაიმძღვარა და, როდესაც ფიჭა ძაფს თანაბრად შეაჭმევინა, ნაქნარი ოდნავ განზე გაიტანა, ჭაშნიკის თვალი შეავლო, უსწორმასწორი შეურბილა.

ჩამოქნილი სანთელი სამი წყრთა უნდა ყოფილიყო. გაზომა, დაკმაყოფილდა.

— შევკრავ, შევჯაჭვავ და მერე მისი ცოდვა-ბრალი მისმავე ნაშიერმა ზღოს.

ჩამოქნილი სანთელი, სანამ გაფიჩინდებოდა, რამდენიმე მუხლად დაჰკეცა, ზედ სპილენძის შაურიანი დააკრა და კვლავ დააკრულა:

„წმინდაო ბარბალე, ასე შებოჭე მისი მუხლი და მარჯვენა, ნუ უხსნი ნურც მას, ნურც მის შვილსა და მომავალს, სანამ ჩემის ფეხით არ გეახლო და საკუთარის ცოდვილი ენით არ გეოხო“.

ეს რომ მოისაქმა, ერთბაშად გულს მოეშვა. ბრაზისა და ნაღვლის გორგალი, წელან რომ ყელს ეჩრებოდა, უეცრად გათბა, გასდნა და ისევ თავის საწყისს დაუბრუნდა.

თავი დაჰკიდა, თვალი მირულა:

„რა თქმა უნდა, ბარბა-წმინდა შეიწყნარებს მის სა-
თხოვარს: აშვებულ ნადირს დააბამს, გესლის კბილებს
დააძრობს, უბრალოდ დაკბენილს იარებს მოუშუშებს
და... ზოტიკეებს საკუთარის კბილ-ფრჩხილებით აწიწ-
კნინებს თავისსავე რბილს... მოავლენს, მოავლენს სას-
წაულს ღვთისმშობელი კალთამადლიანი“...

და თითქოს მატათის ზრახვათა სადასტუროდ, აივნის
რიკულსდაყრდნობილი, დუდუნებს ეპიფანე-ბლალოჩინი:



— მაშ ამ ქვეყნად ძე-ხორციელი არავინ დარჩა, რომ
სამართალი გააჩინოს, ავს სიავე მოჰკითხოს და კეთილს
სიკეთით მიაგოს? არავინ დარჩა?... სულ აღარავინ?! მა-
გრამ... ღმერთი ხომ ხედავს ყველაფერს?... ნუ თუ ასე
გააწბილებს, ასე უხასოოდ დააგდებს მის მმოსავს?! ნუ
თუ არ არს ჟამი, რათა უძლეველმა სასწაული თვისი გა-
მოაჩინოს — უგუნურს უხსნას, ხოლო ღრძუსა და ბო-
როტის მთესველს რისხვა შეჰყაროს დამწველი? ნუ თუ?!..

მამალმა კარგა ხანია მესამე იყივლა, მაგრამ მწუხრი-
თა და ქუფრით ჩაშავებულს ოჯახში კვლავ გაისმოდა
განწირულთა ვიში და უში, მოთქმა და წყევა.

მხოლოდ ცისკრისას ჩაეძინათ ფრთხილის, თვალღია
ძილით. სული კი, კივანა და ტკივანა სული, ისევ ფხიზ-
ლობს. და აი ჰხედავს მოძღვარი:

...რალაც დიდი დღესასწაულია... ჰო დიდია იმიტომ,
რომ ხალხის ურდოებს სათემო ველარ იტევს: რიგად ვა-
ჟები, რიგად ქალები... ცხენოსნები, ცხენოსნები—როგორ
აფართხუნებენ ძუა-ფაფარს ეს უთვალავი ბედაურები...
სად იყო ამდენი მიღეთი ხალხი! აქეთ კი, ეკლესიის გა-
ლავანთან... ნეტავ, ეს რა უნდა იყოს: ბამბის ნაპენტია,
თუ გვალვის ღრუბელი?... არა, ეს თეთრადჩაცმული ბავ-
შები გამწკრივებულან, მოცინარენი, მოლიმარენი... კალ-
თუკები აუწყევიათ, შიგ დაფურცლული ვარდ-ყვავილი
უყრიათ... აფრქვევენ, აკმევენ... ვის უგალობენ?..

უეცრად ხალხი აჭრიალდა, შეირხა, შეტორტმანდა,
მერე ნამწვრივით შუა გაიპო და... ცოცხალს კალაპოტში
გამოიწვინა მხედარი ვინმე, შეიბრ ცხენს მჯდომარე... აჰ,



თურმე, ვის უკმევენ, ვის უგალობენ!.. ნეტა, ვინ არის?
ვინ უნდა იყოს? ჰო, ბეჩა, ეს ხომ წმ. გიორგია, შუბალ-
მართული!..

ეპიფანე-თავსკუფიანი გალავნის კარიბჭეზე სდგას
შემოსილი, თმაგაშლილი, გაბადრული...

მხედარი წინ მოიწევს, სწრაფმსრბოლნი ფეხდაჯეხ
მოსდევენ... ხალხი მდუმარე ქედს იხრის მის წინაშე...
მოდის და ვილაცას უხმობს... „ეპიფანე-მოძღვარი, ეპი-
ფანე-მოძღვარი!“ იძახიან შიკრიკები.

ეახლენ ეპიფანეს. მხრებში შეუჯდენ და წააბრძანეს.
მხედარი შესდგა. ცხენი დაასადავა. „მომგვარეო!“
ბრძანა. ღიმით შეეგება, ჯვარი დასახა. მერე მძლე მარ-
ჯვენით გვირგვინი აღმართა, ძვირი და ფასდაუდებელი:

„ღირსა არს!“—წარმოსთქვა და სურს თავს დაადგას
ეპიფანეს.

— კირიელეისონ, კირიელეისონ!“—ჰგუგუნებს აღ-
ფრთოვანებული ხალხი.

ეპიფანემ კრძალვით აღმართა უღირსი თვალი, სურს
ოდნავ მაინც იხილოს კეთილისმყოფელი და...

ღმერთო ძლიერო!!.

ეს რა არის?!

უზარმაზარს თეთრ ჯაგლაგზე, უბელოსა და უუზან-
გოზე, სირაჯივით გადაფაშულა... ზოტიკე-კომუნისტი!.

ცალს ხელში დედაბრის ჩაჩი უჭირავს, მეორეში იფ-
ნის გრძელი სახრე და... უნდა ჩაჩი თავს ჩამოაცოს ორ-
გზის ნაკურთხს, კამილავკიან ეპიფანე-დეკანოზს!..

„ღირსა არს, ჭეშმარიტად!“—ზრიალებს ხალხი...

— არ მინდა, არა!

იძახის გულგახეთქილი მოხუცი და... გაელვიძება.
ქოჩრიდან ცივი ოფლი დაჰყოლია, საფეთქლებს ჩამოს-
წვეთს. ვერხვის ფოთოლივით თრთის, ჟიჟინებს. ჯვარი
უნდა გამოისახოს, ხელი არ ერჩის. სიტყვა სურს შესა-
ჩვენებლად, გამშრალი ენა სასას მიჰკვრია. სისხლიანი
თვალი მაშველს ეძებს, არავინა სჩანს, გარდა... მძინარე
მატათისა, რომლის ჩაცვივნილი ტუჩები თითქოს ცხელ
ფაფას უბერავენ...

გარედ კი, აპრილის თვალბრიალა მზე სასაუზმოს აღ-
მართულა, ცხუნარე და წითელი.

— ნიაუ... ნიაუ...

უეცრად გაისმა საეკლესიო ზარი.

ეპიფანეს ენა დაუბრუნდა:

— ღმერთო, შენ ხარ მოწყალე!

და ჯვარიც გამოისახა.

მატათიმ ცალი თვალი სჭყიტა შიშინი.

— ღვდელო, გესმის?!

— ეკლესიის ზარია!

უპასუხებს ეპიფანე და გულში მკრთალი რაღაც იმე-
დი ესახება, თუმცა... გუშინ ხომ ეკლესია მაგრად ჩაჰ-
კეტეს და სათემოს ბეჭედიც დაალუქეს, მისი გაღება არც
ისე ადვილია.

მაგრამ გული მაინც ეთანაღრება (იგი ყოველთვის
ახირებულა): სურს, ძლიერ სურს ვინმე ისეთი გამოჩინ-
დებოდეს, რომელიც...

— მართლა, იქნებ გამოჩნდა კიდევ და სასწაული
მოახდინა?..

მაგრამ ეს სიზმარი—მყრალი და საშინელი!

გუნება ისევ დაეხშო. ძლივს წამოდგა. ანაფორა აი-
თრია. აივანს გავიდა და ეკლესიას გაჰხუდა, ხევს გაღმა
რომ ცაცხვებში ჭიატობდა თეთრადნაგები.

გალავანში ხალხი შენიშნა. რიგი ფეხზე, რიგი საფ-
ლავის ქვებზე მჯდომარე, ზოგი კიდევ იჭითკენ მიმა-
ვალი.

— ალბად ყრილობას აპირებენ.

კვლავ უნიადაგო იმედი ესტუმრა უიმედო გულს:
იქნებ...

...აი ვილაც სენაკის ძელზე შესდგა და ლაპარაკობს,
ჩაბალახს იქნევს... ჰო, ეს აილარ-მნათეა... ჯავრობს,
იმუქრება... მერე რა გაუა? ერთი კაცი აბა რას გააწ-
ყობს! რასაკვირველია, გაჩუმდა... გააჩუმეს, სიცილიც
დააყარეს. ღმერთო, ღმერთო! ეს ვინ-ლაა? მუმტებს ილე-
რებს. ააა... ზო-ტი-კე და ... ბესია-კომსომოლა!..

მოდღვარს ნიკაპი უცახცახებს. ხელისგულებში ოფლი
ეცვარება. მუხლები, მუხლები—თითქოს საცეკვაოდ იწე-
ვენო.

...ბესია-კომსომოლა. სად მიფოფხავს ი ცოდვის
შვილი? სამრეკლოზე! აი, ავიდა კიდევ... რალაც აღ-
მართა...

„ჯახ-ჯახ!“

გაისმა დილის სიგრილით მიყუჩებულს ხევში.

— ნუ თუ?!..

ელვის სისწრაფით გაუელვა მოხუცს დაუჯერებელმა
აზრმა.

ტასიკო მოვარდა აქოშინებული, თვალფართო:

— ნათლია, ნათლია! ზარებს ხსნიან... ეკლესიას ან-
გრევენ...

მღვდელს არ ესმის. არ უნდა გაიგონოს ეს საშინელი
ამბავი. იგი ცქერადაა გადაქცეული.

...სსუუ, ჩუმად იყავ, შე უსუსურო, აბა შენ რა იცი!
ასეთი მკრეხელობა ვის გაუგონია! ზარები... ზარებს რა
დაუშავებია, რომ ჩამოჰყარონ? მერე, თუნდ აგრე იყოს...
თუნდაც ბესიამ გაბედოს მაგისტანა საქმე... განა წმ. გი-
ორგი შეაძლებინებს? განა იქვე არ შეახმოზს მრუდე მარ-
ჯვენას?!

„ჯახ-ჯახ“—გაისმის ყიფედ ჩაქუჩის ცემა და ზარე-
ბიც რალაცნაირად, დაჟეჟილად სჩხავიან, თითქოს უნიჭო
მოწაფეები მასწავლებლის კარნახს იმეორებენო. და უე-
ცრად ეს ხმაც მისწყდა.

მღვდელი უცქერის, უცქერის; ორი თვალი აღარა
ჰყოფნის ყველაფრის დასანახავად:

... ეს რალაა, კიბე მიიდგეს თუ ხილია, ბეწვის ხილი!
ჰო, ისევ ის წარმართია—ბესია. გუმბათზე აღის... აღ-
ბად... ჯვრის... წმ. გიორგი, აღმართე შუბი შენი და...

„ჯახ-ჯახ!“—კვლავ გაისმა ლითონზე ლითონის ჯა-
ხუნი, ერთი, ორი, სამი... ბევრი, მრავალი.

მოდღვარი ხედავს, თვალს არ უჯერის:

...დილის მზის სხივებით მოვარაყებულს გუმბათზე,
ზედ ჯვრის ძირას მისკუპულა ბესია-კომსომოლა და

ღრღნის, ვით მწვანე ბუზი ძვირფასი მიცვალებულის
ცხვირს...

და იმ წამსვე, როცა მოტეხილი ჯვარი ბზრიალ-ტრი-
ალით ძირს დაეშვა, მოხუციც მოსწყდა აივნის სვეტს:

ხელაღმართული, თმაგაწეწილი, ანაფორაანიავებული
მიჰქრის იგი თავქვე, ხუვისკენ...

მიჰქრის და მიჰკივის ცივის ხმით, როგორც მძიმე
მშობიარე.

აი, ხევიც გაიარა, აღმართს შეუდგა. ვინ მისცა ბებერ
მუხლებს ამდენი ძალა!

მივიდა. ხალხმა იუცხოვა, უტია.

საფლავის ქვაზე შეხტა და იყივლა:

— ხალხო, შეილე... ამხანაგებო! მოხდა... სასწაული
მოხდა! აი, მე... ეპიფანე-დეკანოზი... თქვენი მოძღვა-
რი... ჰა, ჰა, ჰააა, თქვენი სულიერი მამა... ორმოცი წლის
განმავლობაში... გატყუებდით, თვალს გიხვევდით... გეს-
მისთ? ბანგს გასმევდით, ბანგს... მართალს ამბობს ბესია...
კათამდე სწორია ზოტიკე... ღმერთი... ღმერთი არ არის,
ამხანაგებო!.. ეს ჯვარი... ეს ზარები!..

და ჰქაქანებს, ჰქაქანებს ხმაჩახლეჩილი, ხრინწიანი.
ვინ გააჩუმებს? ვის შეუძლიან მისი გაჩუმება?!

—:—

მ კ მ კ მ ი ა.

თავი პირველი.

— „ცხოვრება არის კომლი, ნაცარი და საუბარი“, —
დასწერა ბრძენმა მარკ ავრელიუსმა.

მაგრამ, როგორ დაეწიო სხვის კომლს, როცა თითონა
ხარ აკომლებული; როგორ შეარხიო მყუდროება სხვისი
მტვერის, როცა თითონ განაცრეებული ხარ; ან რა უნდა
სთქვა სხვის მაგიერ, როცა შენ თითონ გინდა საუბრის
ღვარად დაეშვა მწვანე ბალახიან გზაზე.

რა უნდა სთქვას მწერალმა სხვის ცხოვრებაზე, როცა
ცხოვრება ლეგიონთა და ათასთა—გარს გეხვევა. რას ნიშ-
ნავს რომანის გმირთა მოგონილი ამბავი ჩვენს დროში, რო-
ცა ცოცხალი კრიზისები ავიწროვებს ადამიანს.

და მწერალი საცოდავი კაცია დღეს.

ეხლა აღარ კმარა იყვე ის, რაც ბუნებითა ხარ მოცე-
მული.

დღეს საჭიროა მწერალი იყვეს კიდევ რევოლიუციო-
ნერი, მებრძოლი, თანამედროვე. უნდა აღწეროს მან მი-
მდინარე ცხოვრება, ყოფა; ემსახუროს ხალხს და, მიჰყვეს
რევოლიუციას ფეხ და ფეხ.

სჭირს...

და სჭირს წერაც: ადამიანობა, რევოლიუცია, სტილი,
ფორმა... ვერ ავსწიე უბრალო კაცმა ერთად ყველაფერი.
ვერ გაუძელი.

ამიტომ მინდა ხელი ავიღო ყველაფერზე და უბრალოდ
ვისაუბრო ისე, როგორც გეხერხება კაცს.

აი, ზის თქვენს წინაშე ნიკოლო მიწიშვილი და ლაპა-
რაკობს. რაზე? აბა რა ვიცი მე რაზე. აი, თუნდა იმაზე,
რომ ვერ მოვსძებნე თემა ამ წიგნისათვის. ვერც სათაურია
მოვარეხრე მისთვის.

თუნდაც იმაზე, რომ რევოლუციები ყოველთვის უჩემოდ ხდება და ვერც ერთხელ ვერ მოვხვდი რევოლუციონურ საქმეში.

1905 წელს პატარა ვიყავი. იმ დროიდან მახსოვს, რომ ვიპარავდით შეშას სახელმწიფო ტყეში. ეს იყო ქუთაისში—სალორიაზე. (ხეს ვჭრიდით პატარა ხერხით, რომ ტყის მცველს — ესიკას ნაჯახის კაკუნი არ გაეგონა). შემდეგ იყო ვიღაც ტერორისტი დოლიძე. მღეროდენ იმ დროს მარსელიეზას. მერე იყო ალიხანოვი და წითელი-შვილის რაზმი. ყველაფერზე უფრო ის მახსოვს, რომ დადიოდენ დილით ქუჩა-ქუჩა მეთორნეების პატარა ბიჭები კალათით ხელში და ყვიროდენ — „ცხელი პური, ცხელი პური“. პური მართლაც ცხელი იყო და ღირდა ორა კაპიკი, სამი კაპიკი, და ერთი შაური. ჩვენ ვყიდულობდით სამ კაპიკიან პურს, ვჭამდით გზაში და ვსწავლობდით რუსულს. ასე გავიდა ბავშობა.

1917 წელს წახდა მონარქია და შეიქნა რევოლუცია. მე იქაც არაფერ შუაში ვიყავი. და ბევრი ჩემისთანა არაფერ შუაშიც არ იყო, საქართველოში განსაკუთრებით: ერთი გააზმორა რევოლუციამ, გააქნია ფეხი კავკასიაში და სადღაც გადიკარგა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეც—დიდი მთავარი, ხარლამოვიც, სეიმიც, საქართველოს დამფუძნებელი კრებაც და საზოგადოდ, ათიოდე მთავრობამ შესცვალა ერთი მეორე მოკლე ხანში.

რაღა დამრჩა მე სარევოლუციო და საბრძოლველი?

რევოლუცია მოხდა უჩემოდ, განვითარდა უჩემოდ, უჩემოდაც გაიმარჯვა რევოლუციამ და გაიმარჯვა ისე, რომ არ მინახავს არც რევოლუცია, არც ის ბრძოლა, რამაც რევოლუცია გამოსჭედა — ე. ი. ბავში ვიყავი. შემდეგ კი იმდენი ხალხი დაეპატრონა რევოლუციას, რომ დიდი საქმის გაკეთებამ ჩემამდე არ მოუწია. პატარა საქმეს ისედაც კი ვაკეთებდი, ურევოლუციოდ.

ჰო, და ეხლა მრცხვენია — როგორ გამოვდგე და ვიქა-ხო — რევოლუციონერი ვარ, მეთქი. ამას ბევრი შეეხა დღეს. მე ვერ ვშვები, თუმცა გულში კი ვფიქრობ, რომ ამ ხალხს რევოლუციაშიაც არ ჩამოვრჩები. მაგრამ რევოლუცია მოხდა...

ვარ და ვარ ისე, უპარტიო მოქალაქე.

და რაზე ვწერო? რა თემას მოვკიდო ხელი? როგორ გავაშუქო?

სჭირს...

მუშას უგალობო? ეს ჩემთვისაც სასახელოა, რადგან მე თვით მშრომელი კაცი ვარ. და როცა მუშაზე ლაპარაკობენ, მე თავს მაღლა ვსწევ, რადგანაც ვიცი, რომ წინ წადგა სწორედ მშრომელი კლასი, რომელსაც მე ვეკუთვნი. მაგრამ თვითონ მე რა უნდა ვსთქვა? ჩემთვის მოსაწყენია ლაპარაკი იმაზე, რომ მე ასეთი და ასეთი ვარ, რომ რევოლუციამ მომცა ესა და ეს. მე თვითონ მასის კაცი ვარ, მრავალ-ხმიანი კოლექტივის წევრი და შვილი. და ვის შევედავო იმაში, რაც უდავოა. უდავო კი ისაა, რომ გაბატონდა მუშა კლასი. ვინ უნდა გავაკვირო მუშის ქებით მე, გლახმა, როცა გრიგოლ ორბელიანიც კი უგალობდა მუშას და ის, გრიგოლ ორბელიანი, თავადი იყო და კავკასიის მთავარმართებელი.

დღეს საჭიროა ავარჯიშო მუშტი, რომ ცხვირში მიახალო რევოლუციის მტერს, თუ სადმე თავი წამოყო მან. საჭიროა იმუშავო ჩუმად იმისათვის, რომ შეიქმნეს ხალხში დოვლათი და რომ მამა ჩემი მატარებლით დადიოდეს სოფლიდან ქუთაისში. და საზოგადოდ რომ ყველა დადიოდეს მატარებლით.

ძველათ ინგლისში იტყოდენ, რომ „თუმცა ბინძურია ჯოჯოხეთი და მყრალი, მაგრამ ჯოჯოხეთიც წაიბილწება, როცა შიგ მეფე იოანე შევაო“. მეფე იოანეზე უარესი ეკუთვნის მას, ვინც დღეს არ მეგობრობს რევოლუციას და ქვეყნის გამოღვიძების საქმეს. მე ვცდილობ შევიგნო დღევანდელი ეპოქა, მაგრამ ამ ეპოქის დასაწყისი მე არ განმიცდია. მისი პათოსით მე არ ავლელვებულვარ და ეხლა საკითხს ამიტომ მარტო ჭკუითა ვსწყვეტ. ჭკუა ამბობს, რომ დროება გადაბრუნდა მშრომელი ქვეყნისთვის, გაიგე, მოუარე და შეინახეო. მე ვასრულებ ამას, რადგან ვიცი, რომ ეს მართლაც ასეა და თუ ასე არ არის, — ასე უნდა იყოს. მაგრამ, როგორ გადაბრუნდა, რამ გადააბრუნა — ეს ცივადა სდგას განზე. უპასუხოდ...

ეს უნდა იგრძნო. და უნდა იგრძნო თავიდან. შემდეგ კი, როცა ფაქტი ხდება და ამ ფაქტს ყველა აეტორღიალება — აქ იწყება უკვე სიყალბე. გამარჯვებულის ეტლი და ტრიუმფი...

ცხოვრება კი მიჰქრის წინ. ძნელდება და რთულდება. მოსაწყენია შეუწყვეტელი ალტაცება. განსაკუთრებით იმ საქმისადმი, რომელშიაც შენი ფული იხარჯება.

აქ რევოლუციის მიღება და აღიარება აუცილებელია, მაგრამ აქ არის სხვა ამბავიც... შეიძლება უფრო მეტი, ვინემ რევოლუციონერობა; შეიძლება უფრო მეტი, ვინემ თანამგზავრობა, შეიძლება ეს იყოს დაგვიანებული რომანტიკა, ან და სურვილი პოეტის — მიუმატოს მითოლოგია მათემატიკურად დამტკიცებულ ამბავს, რომ შექმნას ახალი რომანტიკა. ეს მე არ ვიცი, ეს სპეცებმა იციან.

ჩემი წიგნი „გარდაცვალება“ მე დავამთავრე შემდეგი სიტყვებით: „მშვიდობით ევროპა და მშვიდობით ახალგაზრდობა... შინ. შინ. სახლისკენ. მიწისკენ. ჩემო მიწა და ჩემო თავსაფრიანო დედა. ზარებმა შესწყვიტეს თურმე რეკვა, ჩვენს სოფელში. მაგრამ ხარები ისევ ბლავიან ჩვენსას, კოცნიან მწვანე მიწას და ელიან დაკარგულ პატრონს“.

მეც დაუბრუნდი ჩემს ამწვანებულ მიწას.

ოსმალეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, ბელგია, რომელიც, ინდუსტრიის გამოკლებით, საქართველოსა ჰგავს, გერმანია, ზღვები, ქვეყნები და ქალაქები, სახელები და ამბები, წლები და დღეები — შინ და გარედ...

რა სახელი ჰქვიათ ამას? რა დაერქვას ამ ეპოპეიას, რომელიც არ ეტევა ლიტერატურულ ცნების არც ერთ ტერმინში. გრძნობა, ხერხი, ფიქრი, ეპოქა — ჩაწოლილია გულში, სდუღს, როგორც სტიქიონი და ეძიე შენ მისთვის კალაპოტი და სტილი!...

ესაა ცოცხალი, აფართხალებული ცხოვრება.

„კომლი, ნაცარი და საუბარი“.

და ყოველივე ეს მიდის.

ქრება.

ადამიანი სიყვარულითაც იღლება. მაგრამ მხოლოდ სიყვარულით სავსე თვალებს შეუძლიან გააჩეროს მიწიდან აორთქლებული კომლი — სპეტაკ ცაზე. და მე, სანამ არ დავიღალე, მინდა შემოვხაზო — ქვიშაზე დაცემული ჩრდილი აკომლებული ცხოვრებისა.

შემდეგ —

კომლი დაილევა.

ჩრდილი გაჰქრება.

და კალამს მოედება ჟანგი.

თავი მორე.

1922 წელი. გერმანული საბარგო გემი „Marmara„ ივნისის სიცხე ბათუმის ნავთსადგურში და საგანგებო კომისიის პუნქტი ზღვის ნაპირზე. სამ გზის გაჩხრიკეს ჩემი ბარგი: პუნქტი კანონიერად გავიარე და ხიშტიანმა წითელ-არმიელმა დაკეტა უკანდასახევი გზა.

ბეჭედ დარტყმული მგზავრები თანდათან გროვდება ეკლიანი მავთულით შემოღობილ ზღვის ნაპირზე. კრავენ და ახვევენ ჩხრეკის დროს აფორიაქებულ ნივთებს. იქვე ყაყანობენ მენავეები ნადავლის მოლოდინში.

შევკარი ჩემი ნაწნავი კალათა. დავაჯექი და მოვსწიე თუთუნი.

მაგრამ თუთუნის ბოლი უეცრად ჩააბრუნა მუცელში გემის ბოხმა საყვირმა. გემი ემზადება წასასვლელად და აჩქარებს მგზავრებს.

— გემისკენ! — მოისმის ვიღაც უფლებიანის ხმა.

მგზავრები ეხვევიან თავიანთ ბარგს და ბაყაყებივით ხტებიან ფირფიტა ნაგებში. მენავესთან შევაჭრებასაც არ ფიქრობს ვინმე. ვაჭრობა იწყება გემთან.

— ან ორი ლირა, ან უკან დაბრუნება.

„ან არ ვარგა ნავში ჯდომა, ან და მენავესთან ბრძოლა“ — ეს ამბავი ასეთ შემთხვევაზეა გამოთქმული. როგორ უნდა შეებრძოლო მენავეს, როცა გემის საფეხურთან სდგახარ და ორი ლირა სწყვეტს საკითხს — ახვიდე გემზე, თუ დაბრუნდე უკან.

მგზავრის ორმაგი დედის გინება თან მიყვება ორ
ობოლ ლირას და, ათასი ვაივაგლახით მოქანცული ადა-
მიანი, ხვნეშით აყვება ხოლმე გემიდან ჩამოკიდებულ
ვერტიკალურ ტრაპს.

ქალაქში, და საერთოდ ხმელეთზე, ადამიანი ნაკლებად
ამჩნევს სოციალურ უთანასწორობას. შეიძლება იმიტომ,
რომ ხმელეთზე თვალის მოსაკიდი არე მეტად დიდია.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ გემი:

პირველი კლასი, მეორე კლასი, მესამე, გემძირედი, ანუ
„ტრიუმი“ და „პალუბა“. ასე დანაწილდება და დალაგდე-
ბა ხოლმე გემზე მგზავრები თავის მდგომარეობისა და
რესურსების მიხედვით. და ამ კატეგორიათა შორის გემ-
ზე ასვლისთანავე მყარდება ჩუმი ანტაგონიზმი.

მაგრამ ეს გრძნობა ჩემთვის ჯერ კიდევ ახალი იყო და
ის შემდეგ უფრო გამწვავდა ჩემში. ეხლა კი გავშალე პა-
ლუბაზე ჩემი შალის საბანი, წამოვწეჭი გულაღმა და მი-
ვებჯინე სპეტაკს ცას.

გულში რაღაც ხრჩოლი იდგა. ძნელია ეხლა ამ გრძნო-
ბის გადმოცემა. ყოველ შემთხვევაში მეტად მძიმე გრძნო-
ბა იყო ჩამდგარი.

ნახული მქონდა მხოლოდ ქუთაისი და ტფილისი.

ეხლა კი ვიჯექი ევროპიულ გემზე, გემი მიდოდა
ჰამბურგში და მე მივყავდი ამ გემს. ეს იყო ჩემი ოცნება
ბავშობიდან — როგორმე გავსულიყავ უცხოეთში. ეს ოც-
ნება ასრულდა, როგორც საზოგადოდ ბევრი რამ, რაც
ვსთხოვე ბედს. მე მივდიოდი. ეს ვიცოდი, რომ მივდიოდი.
მაგრამ სად, ვისთან, რისთვის, რა იმედით?...

სოფლის სკოლაში რომ ვსწავლობდით:

„...სასწავლებელში

წასაყვანადა რომ მომამზადეს.

მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში

და შორსა გზასა მე გამამგზავრეს“.

სად გააგზავნეს, ნეტა, ანბანის სასწავლებლად ეს პა-
ტარა სოფლის ბიჭი? სად? საქართველოზე შორს ხომ ვერ
წავიდოდა ეს „შორი გზა“. და რამდენი მწუხარებაა ამ
ბავშვის გულში, როცა ის ეთხოვება თავის სოფლის მთებ-

სა და მინდვრებს. და ყველას გვეცოდებოდა ის ბავში, ცრემლიანი დედის ნუგეში რომ მისძახოდა უკან —

„ვინც სახლში დარჩა რა გააკეთა, ვინ მოიშორა თავიდან ჭირი“...

და მე ხომ ეხლა პატარა აღარა ვარ, მაგრამ იგივე სოფლის ბიჭი ვარ, რომელსაც ქუთაისში ანბანი უსწავლია და ტფილისში გასჭირვებია. წინ გაშლილა მართლაც „შორი გზა“, უნახავი და მოულოდნელი. გაიარს კიდევ ცოტა ხანი, მოშორდება ყურს ქართული ლაპარაკი და უენო კაცი პურის ყიდვასაც ვერ მოახერხებ უცხოეთში.

მისჩერებიხარ ცას. გადაბრუნდები ხან ერთ გვერდზე, ხან მეორეზე. ატყობ — შიშველ ფიცარზე წევხარ და გაგიჭირდება ასე წოლა ზღვაზე — ოთხი დღის განმავლობაში. მისჩერებიხარ ცას და გეხვევა ფიქრად გუშინდელი და დღევანდელი.

* * *

უკანასკნელი დღე მწერლებთან...

მე ჩავიწურე ჩემი უკანასკნელი სიტყვა მათდამი. და მიმაქვს თან უცხოეთში. ვის როგორ მოვაგონდები? ვინ დაიჯერებს ჩემს დაბრუნებას, ვის მოუვა აზრი, რომ მე აღარ მოვალ და ამიტომ მოინდომებს ჩემი სახელის გაუქმებას საქართველოში? ჩავიწურე მე ჩემი საანდერძო სიტყვები ამხანაგებისადმი. და მე მართალი გამოვდგე:

ბევრმა ბევრი რამ არ დაიმახსოვრა. ბევრისთვის ყველაფერი მოულოდნელათ დატრიალდა. ასეთია ცხოვრება — „კაცი ბჭობდა, ბედი იცინოდა“. მაგრამ, აი რა ვსთქვი მაშინ ამხანაგების წრეში.

— პოეზია არის გზა პიროვნების დამტკიცებისა და გამართლების, ანუ — ერთი გზათაგანი ამისათვის. აქ ბრძოლაა გამართული. ბრძოლა ორმაგი: ერთი საკუთარი თავის დასაძლევად და მეორე დასაძლევად გზაზე დამხლომისა. ვინ დაეცემა ამ გზაზე, ვინ გაიმარჯვებს საბოლოოდ, ვინ შერჩება პოეზიას, ან და ვინ ამოვარდება კალპოტიდან ხმაწამხდარი — ვინ იცის. ბრძოლა კი ამ გზა-

ზე სასტიკია, როგორც ეტყობა. მე ვფიქრობ — გაიმარჯვებს დიდი სურვილი და ნებისყოფა. გაიმარჯვებს ის, ვინც ბოლომდე შერჩება და არ უღალატებს პოეზიას. და ვისაც თვით პოეზია შეიყვარებს. ეს ბედის საქმეა, მაგრამ პოეზიაში ბრძოლა — მაინც ბრძოლაა საკუთარი ხმისათვის, რითაც არ უნდა გათავდეს იგი. და მე სწორედ ამნაირად უყურებ ამ ბრძოლას.

თქვენ ამბობთ — რომ მე მაქვს საკუთარი ხმა, ჩემი გზა და განმართლება, რომ მე „არ მკიდია სხვისი კურტანი“.

მე დღეს გშორდებით თქვენ და გთხოვთ: თუმცა ჩვენ ყველანი ვიბრძვით საკუთარი ნიჭის ამალღებისათვის — ჩვენ ვართ მეგობრები სიკვდილამდე. და ვფიქრობ, ჩემი ალაგი თქვენს გულში არ უნდა იქმნას გაუქმებული. ჩვენს პოეზიაში მე მეკუთვნის ერთი თარო და ეს თარო ჩემი უნდა იქნეს. რასაკვირველია, მე ამ თაროს არ დავთმობ. დავბრუნდები და კვლავ დავიჭურ ჩემს ადგილს, მაგრამ მე ეს მაინც მინდა ვსთქვა ყოველი შემთხვევისათვის.

ბრძოლა კი იყოს. ჩვენ არ დავზოგავთ ერთი მეორეს — ამასაც ვხედავთ. მაგრამ გავა წლები და ეს წლები იტყვიან თავის სიტყვას ჩვენს შესახებ. ჩვენ კი ამის გარეშე უნდა ვაფასებდეთ ერთი მეორეს, როგორც ადამიანები. ვინცნათ ერთი მეორე ამის გარეშე“.

ეს ვსთქვი.

ცოტა მკაცრი იყო ეს სიტყვა გამოთხოვების საზეიმო დღისათვის, მაგრამ ცხოვრება გამოდგა უფრო მკაცრი და უღმობელი.

* * *

... შემდეგ — იენისის საშინელი სიცხე. გზა სადგურისკენ და დუქანი „ფიროსმანის ძროხა“ სადგურთან. უაკნასკნელი საათი ტფილისში. ტიციან ტაბიძე და გიორგი ლეონიძე. ეს წუთები ჩაწვა „შავ ვარსკვლავში“ — სტამბოლიდან:

„კეთილო ძმანო შევიქენი თქვენი მოვალე — უაკნასკნელად თქვენი ხელით მე ვეზიარე, თქვენს ხსენებაში ეს რითმები მე გამოვალე“...

* * *

...ერთი დღე იმერეთში, რომელიც დავსტოვე ხუთი წლის წინედ. ერთი ღამე ოჯახში. ადრე ადგომა დილით. დედის ცრემლი და წალმა შემობრუნება სამ-გზით.

აქ, მამლის ყივილზე, როცა უკანასკნელად გადმოვდგი ფეხი ჭიშკარზე — თითქოს საბოლოოდ მოსწყდა გულს ბავშობის უმანკო ოცნება და მართალი ძახილი სოფლის მიწისა. და ალბად ამიტომ წამძლია გრძნობამ, რომ ეზოს ბოლოში ჩუმად აუსვი ხელი ვენახის ძირში ერთ მუჭა მიწას, ჩუმად შევხვიე ცხვირსახოცში და ჩავიდე ჯიბეს.

ხშირად ვფიქრობდი შემდეგ — ეს მიწა მშვიდობით მიმაბრუნებს მე თავის დედასთან.

* * *

...შემდეგ — ქუთაისი.

ამ დღეებში კათოლიკეთა ქუჩაზე ეთხოვებოდა სიცოცხლეს სანდრო ცირეკიძე. ვგრძნობდი — ველარ ვნახავდი მას. ამას თვითონ სანდროც გრძნობდა, მაგრამ იბრძოდა მაინც. ხელში ეჭირა ცაცხვის ნედლი შტო და იგრილებდა სევდიან შუბლს.

ველარ მოუსწარი მას საქართველოში. ერთი წლის შემდეგ დაგვიანებულმა გაზეთმა პარიზში მომიტანა ამბავი სანდროს გარდაცვალებისა.

ჩემო სანდრო! შენ ბედნიერი იყავი, რომ არ იცნობდი ცხოვრებას. არ ებრძოდი მას და არ აწუხებდი. და ცხოვრებამ დაგზოგა შენ: გაგატანა თან მეგობრების სიყვარული და სიყვარული პოეზიის. — პლატონიურად და ძველი გაგებით. ცოცხალთა შორის დღეს მეგობრობრობისათვის არავის სცალია. დრო აღარაა. მოცლა არაა. ცხოვრება გვეძალევა.

ამ საშინელ წლებში, ჩემო სანდრო, ბედნიერებაა ასეთი სიკვდილი. და... ბევრჯელ, ბევრჯელ მინატრია უცხოეთში მე გარდაცვალება ასეთგვარი. მაგრამ შენ იცოდი — ატირდებოდენ შენს საფლავზე. მე არ ვიცოდი, ვინ დაადგებოდა ჩემს საფლავს და ამიტომ მე... არ მოვკვდი.

* * *

... ბათომი. უკანასკნელი პურმარილი გრიგოლ ლაღი-
ძესთან და ვანო ყიფიანთან. ბალი. სურათის სავალდებუ-
ლო გადაღება და — ეტლი პორტისაკენ.

— ეხლა კი მშვიდობით, მშვიდობით იყავი, ჩვენო
პატივცემულო ძმაო, — ამბობს გრიგოლი. გაგიჭირდება
ვატყობ. ჯიუტი ხარ, მაგრამ ნუ დაირცხვენ. შემომითვა-
ლე, ორიოდ გროშზე ნუ დამზოგავ. იმ „ნაძრახ პუნქ-
ტამდე“ კი ნულარ გამიყვან. აქ ჩამოვხტები — შარიანი
ხალხია და შიში მაქვს.

ეს იყო უკანასკნელი გულწრფელი სიტყვა და საზოგა-
დოდ უკანასკნელი სიტყვა, რომელიც გავიგონე ქართულ
მიწაზე.

„პუნქტამდე“ გრიგოლი მაინც არ მომყვია...

... ზღვაში ჩადიოდა წითელი ივნისის მზე და ზღვაზე
დგებოდა მშვიდობის გზა.

უკანასკნელად დაბერა საყვირმა გემზე. ახრიგინდა.
ატორტმანდა „Marmara“ და აიღვა ფეხი.

— რა მშვენიერი საღამოა, რა ლამაზია აჭარის მთე-
ბი. შეხედეთ, ყმაწვილო, შეხედეთ, — მოისმა მალლიღან
აღტაცებული ხმა მოხუცი ქართველი კაცის, რომელიც
ხოშტარიასთან მიდიოდა სტამბოლში.

მე ვეგდე გულაღმა.

საქართველოსკენ მოვიხედე მხოლოდ მაშინ, როდეს-
აც საქართველოს მოეფარა ღამე.

— მშვიდობით, მშვიდობით ჩემო ქვეყანავ. მე არა-
ფერი მიმაქვს შენი, გარდა ერთი მუჭა მიწის და ერთი
გულის, რომელიც სავსეა შენი სიყვარულით. არ გეთხო-
ვები და არ მინდა შეგხედო უკანასკნელად. მინდა ვიყო
შენი ღირსი, თუ არა და — მოაკლდეს შენს ნიადაგს ერ-
თი მუჭა ქვიშა, ავგაროზად რომ რჩება ჩემს გულზე.

თავი მესამე.

გემი პირდაპირი ხაზით მიდის სტამბოლისაკენ.

შავი ზღვა მართლა შავია შუა გულში, მწვანე აფე-
რადებით, როგორც ბორჯომის ბოთლი.

„მარმარას“ კაპიტანი კაცია სიმაღლით საყენი. წითელი წვერი უფარავს ვეშაპის მკერდს. ყალიონს ღეჭავს ალბად ძილშიაც. გემს უვლის, როგორც საკუთარ ოჯახს. და უარესად — საქონელს, რომლითაც ზომაზეა დატვირთული გემი. მიაქვს ჰამბურგში ტყავი, თუთუნი, ხე-ტყე.

ცოტა შიში კი მაქვს ამ ზღვის, მაგრამ ჩვენს გემზე ყველაფერი ისე იმედინათაა გაკეთებული, თვით გემი ასე მტკიცეა და საიმედო, რომ შიში თანდათან ჰქრება. თანდათან ვეგუები ახალ მდგომარეობას. ვმშვიდდები და ვფიქრობ მომავალზე. ვზივარ გემის ცხვირზე და გავყურებ ლურჯ სივრცეს, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. ზღვა. წყალი და მეტი არაფერი.

მგზავრები ძლიერ ცოტანი ვართ გემზე. სულ ათი-ხუთმეტი კაცი: გემი საბარგოა და მგზავრებს არ ეტანება. სულ ოთხი-ხუთი კაცი თუა „კაიუტებში“. დანარჩენა „პალუბის“ ხალხი ვართ: გემის ზედა პირზე ბრეზენტია გაფენილი. თავზე ბრეზენტისავე კარავი გვფარია. ესა და ეს. საჭმელი თანა გვაქვს ოთხი დღის. ცხელ წყალს გემზე გვაძლევენ. ყველაფერი ეს ხუთმეტი ღირს ღირს სტამბოლამდე.

ჩემი თანამგზავრებიც ხელვიწრონი არიან. ყველანა მეტად პროლეტარული შეხედულებისა ვართ — ქალებიც და მამაკაცებიც.

მგზავრებში ერთი სტამბოლელი სომეხია. ამერიკანულ კომიტეტის თანამშრომელია, დარბეულ სომეხეთს რომ უგზავნიდა კონსერვებს და შედედებულ რძეს. სომეხი ცოტათი რუსულს ამტვრევს და ეს სომეხი ამოვიღე ნაშანში. როგორც უცხოეთში ნამყოფი დღეს იგი მეტად მჭირდება: სტამბოლში მიდის, მეც იქ მივდივარ — გზას ძაინც მიჩვენებს.

ჩამოვთვალე ნაცნობი სახელები — ხატისიანი, ქაჩაზნუნი, თუმანიანი, შირვანზადე, ტფილისი, მეზობლობა... ბოლონი პერტოსიანი იყო გვარად. აუხსენი ჩემი ვინაობა. დავმეგობრდით. აღმითქმა დახმარება.

* * *

... კავაკა. ეს სტამბოლის ახლო პატარა ნავთსადგურია. აქ სანიტარული კორდონია. კარანტინი. გემი აქ ჩერდება. თურქული ჯანსახკომი აქ არკვევს — რაიმე სახადი ხომ არ მოჰყვება გემს... განსაკუთრებით მკაცრად ეპყრობიან საბჭოთა ქვეყნიდან გამოსულ გემებს. და უფრო სასტიკად — საბჭოთა მოქალაქეებს. გემმა ჩააგდო ღუზა და ასწია ყვითელი ბაირადი. შემოვიდა სამიოდე გარუჯული არსება ექიმების უფლებით. გემზე ყველანი ჯანმრთელი აღმოჩნდა. მაგრამ პალუბის მგზავრებს არ დაგვიჯერეს. ჩაგვსვეს ნავებში. გაგვიყვანეს ხმელეთზე და გვაბანავეს მღვრია წყალში. ამას ჰქვიოდა განწმენდა სახადისაგან, ანუ დეზინფექცია. ეს მართლაც რომ ძალათ მაცხოვნეს ამბავი იყო. წყალი ყვითელია და წვირიანი. ამით მართლა გახდება ავათ კაცი. მგონი კიდევ გალაგვახდევინეს მცირედი რამ.

ძნელი ყოფილა საბჭოთა მოქალაქეობა უცხოეთში. ხარ რაღაც კათაკმეველი. შენი ყველას ეშინიან: ან შავი ჭირი გჭირს, ან ყაჩაღი ხარ, ან მკვლელი, ან ნამდვილი ბოლშევიკი.

დაგვაბრუნეს გემზე. მაგრამ ყვითელი ბაირადის მაგივრად გემზე რაღაც სხვა ფერის აფრიალდა. გამოიჩინა, რომ ამალამ აქ დავრჩებით, რადგან ექვსი საათის შემდეგ გემების შესვლა ბოსფორში აკრძალულია და ექვსამდე კი სტამბოლს ვერ მივალწევთ.

ეს წესი მოკავშირეთა საოკუპაციო მმართველობას შემოუღია და განსაკუთრებით გერმანულ გემისათვის იგი, რასაკვირველია, ყველაზე უფროა სავალდებულო.

და ჩვენც გავითენეთ ღამე მცირე აზიის ნაპირის ახლო — კავაკაში. დილით ადრე ავიდგით ფეხი. მაგრამ კიდევ ერთი სერიოზული გაჩერება — ეს მოკავშირეთა სამხედრო კონტროლია გასაგლელი.

მომაძულა თავი ამდენმა ჩხრეკამ. ესენი ბოლშევიკებს უსაყვედურებენ „რეჟიმის“ შესახებ და აქ კი აგურით გვიპირებენ გახეხვას.

სინჯავენ პასპორტებს.

ჩაგვაყენეს რიგში და გვეძახიან თვითუღს.

ინგლისელი, ფრანგი, ბერძენი, იტალიელი ოფიცრები.
რატომლაც ჩემმა პიროვნებამ განსაკუთრებული ყურადღება გამოიწვია მათ შორის. შეიძლება იმიტომ, რომ თმა მქონდა წაზრდილი. შეიძლება მართლაც ბოლშევიკის შეხედულება მქონდა, თუმცა ამას მე არ ვფიქრობდი. ფრანგის ოფიცერი რუსულად ლაპარაკობს.

აილო ჩემი პასპორტი.

— ბოლშევიკი ხარ?

— არა, პოეტი ვარ.

— პოეტი?

— დიახ.

— როგორ გამოგიშვებს ბოლშევიკებმა, ისინი არა-ბოლშევიკებს არ უშვებენ?

— როგორც ხედავთ, გამომიშვებს.

— რა გინდათ სტამბოლში?

— მე საფრანგეთში წასვლა მინდა. სტამბოლში მინდა ვიზა.

ოფიცერმა ნელა გაიღიმა. შემდეგ, სტამბოლში, მაგზვდი, თუ რას ნიშნავდა ეს სიცილი. მაშინ კი ვიფიქრე, ვითომ ფრანგს ესიამოვნა, რომ მე საფრანგეთში მივდივარ და არა სხვა ქვეყანაში.

— ვის იცნობთ სტამბოლში?

— ქართველებს ყველას ვიცნობ. კერძოთ მივდივარ ლენერალ მდივანთან.

— ლენერალ მდივანს მეც კარგად ვიცნობ, — სთქვა ინგლისელმა ოფიცერმა. ისინი ოტელ „Roma“-ში სცხოვრობდნენ. ერთი კვირის წინეთ წავიდნენ პარიზში.

— როგორ თუ წავიდნენ? — გაოცებით ვკითხე მე.

აღბათ დიდი მოულოდნელი წყენა და გაკვირვება გამოიხატა ჩემს სახეზე, ვინაიდან ოფიცრებმა ერთი მეორეს გადახედეს, თითქოს შევეცოდეთ და —

უკანასკნელად გადმომხედა ფრანგმა:

— კედიას იცნობთ, პოლიციის „შეფი“ რომ იყო საქართველოში?

კი, ვიცნობ.

— ჰო და თუ კედიას იცნობ, აღბად ისიც ვიცნობთ და ის გამოარკვევს — ბოლშევიკი ხართ, თუ კარგი კაცი.

აი, სტამბოლში რომ შეხვალთ, თქვენს პასპორტს ის გა-
სინჯავს...

და ფრანგმა ოფიცერმა პასპორტი დამიბრუნა.

მგზავრებმა ერთი მეორეს ჩუმად გადახედეს და ნაძა-
ლადევი ღიმილით დამიწყეს ცქერა.

თავი მეთხუ.

ეს ორი საშინელი ამბავი მეხვიით დამეცა თავზე. ორი
სახელი — მდივანი და კედია ისე უაზროდ გადაება ერ-
თი მეორეს, რომ ვატყობდი რაღაც ხიფათი მელოდა.
სტამბოლში მდივანის იმედით გავემგზავრე, და ის პარიზ-
ში წასულა. მაგრამ უარესი ისაა, რომ შესაძლებელია
სტამბოლში არც კი შემიშვან: მორიგ კონტროლში დამ-
ხვდება პოლიციის ყოფილი „შეფი“ კედია, მიცნობს და
გამომაცხადებს ბოლშევიკად. ეს ხომ უარესია, ვინაიდან
„ჩვენ კაცს“, როგორც ეტყობა აქ ბევრს არ ებოდიშე-
ბიან.

გემი დაიძრა და წამილო ფიქრებმა.

როდის იყო რომ გენერალი მდივანი გავიცანი? 1918
წ., შეიძლება 919-ში. ბევრი საინტერესო საუბარი. ბევრი
საინტერესო ხალხი — უმეტესად უცხოელები. ტფილისი.
ბათომი...

მაგრამ მგონი მექი კედია უფრო ადრე მყავდა „გა-
ცნობილი“.

როგორ უცნაურად აურია ამ კონტროლმა ყველაფე-
რი: კაცი რომლისგანაც შველას ველი და კაცი, რომლი-
საც მეშინია, რადგან...

ეს იყო 1919 წელს.

ტფილისში ამ დროს დიდი ლიტერატურული ცხოვრე-
ბა გაჩაღდა, თუმცა ცხოვრება საზოგადოდ მჭკნარი იყო.
ტფილისს მოაწვა აუარებელი ლტოლვილი ჩრდილო კავ-
კასიიდან, ბაჭოდან, ყირიმიდან. მათ შორის იყო ბევრი
ცნობილი რუსის მოღვაწე — მწერალი, მხატვარი, პოლი-
ტიკოსი, ხელოვნების და ფულის ხალხიც.

ჩვენთვის, ქართველ მწერლებისათვის, განსაკუთრებით
ვისაც რუსეთი არ გვენახა, მაგრამ რუსულ სახელების ხმა

გვესმოდა — მეტად საინტერესო იყო ამ ხალხთან დაახლოება და მართლაც იმ დროს ბევრი საინტერესო შეხვედრა გვქონდა.

ტფილისში ჩამოვიდნენ მხატვრები სერგეი სუდეიკინი და საველი სორინი; ნ. ნ. ევრეინოვი, სერგეი გოროდეცკი, სერ. რაფალოვიჩი, რ. ივნევი, სენატორი ნ. დ. სოკოლოვი, პერევერზევი, პროფესორი მანუილოვი და სხვ.

ამას ემატებოდა რუსის ბურჟუაზია და არისტოკრატია, რომელიც მალე დაუახლოვდა ადგილობრივ წრეებს და რაღაც კომფორტის შექმნას აპირებდა საქართველოში. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ერთის მხრივ, როგორც იტყვიან, „ცხოვრება სდულდა და გადადულდა“; მძვინვარებდა საშინელი სპეკულიაცია, ტრიალებდა ვალიუტა; შემოჰქონდათ, გაჰქონდათ, ყიდდნენ, ყიდულობდნენ; მეორეს მხრივ ადგილობრივი ხელ-ვიწრო მცხოვრები იკვებებოდა ქერის პურიით და, როგორც მაშინ ამბობდნენ, „ხალხი ქერის ჭამისაგან ცხენივით ხვიხვინებდა.

მთავრობის „ნეიტრალური“ პოლიტიკა დღითი დღი იხრებოდა მარჯვნივ და ბრიტანეთის ლენერლების კარნახით დღითი დღე ექცეოდა ანტიბოლშევიკურ ძალთა გავლენის ქვეშ. ეტყობოდა — ბოლშევიკებისაგან გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობას, დღეს თუ არა ხვალ, შეკვრებდა თეთრი ლენერალი ანტონ დენიკინი მთლიანი და განუყოფელი რუსეთის გულისათვის.

მდგომარეობის შესახებ ბაასი იჭრებოდა ლიტერატურულ წრეებშიაც კი და პირდაპირ მე ასეთი ცალგკერდა გზა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკისა არ მაკმაყოფილებდა.

ამ ხანებში მე საშუალება მომეცა ვყოფილიყავა რედაქტორი რუსული ყოველ კვირეული გაზეთისა ტფილისში („Новый День“).

ეს იყო დრო, როცა ინგლისელ ლენერალმა დენსტერვილმა გადასცა ბიჩერახოვს კასპიის ფლოტი; როცა დღევანდელ მუშათა სასახლეში რუსთაველის პროსპექტზე იჯდა ლენერალი ტომსონი და სწერდა ბრძანებებს ამიერკავკასიის სამხედრო ოკუპაციის შესახებ — ბათომიდან ბაქომდე; როცა სოსიკო მდივანი დამფუძნებელ კრებაში

ომით ემუქრებოდა ინგლისს და როცა ინგლისიდან ჩამოვიდა საქართველოს „ელჩი“ — არხიპლუტი დავით ღამბაშიძე, რომელიც მუდამ „ადურაკებდა“ და ფცქენიდა ყოფილ მთავრობას...

იყო მართლა რომ გამწვავებული მდგომარეობა.

მე რატომღაც „ვერ მოვითმინე“ და გაზეთის მორიგი ნომერი ავაფეთქე.

ერთი იყო — ანტანტა. მეორე — მენშევიკები. რაც რომ ბოღმა დამიგროვდა გულში — ერთბაშად გადმოუშვი. გაზეთი გამოვიდა კვირას, მაგრამ...

ორშაბათს ნასადილევის, როცა სასახლეში ვბრუნდებოდი სამუშაოდ (ვრედაქტორობდი დამფუძნებელი კრების სტენოგრამებს) ვხედავ — კიბეზე ჩამომჯდარა ერთი ჩემი საჩინოელი ნაცნობი ახალგაზრდა. (წინეთ მასწავლებელი ვიყავი საჩინოში). გადამეხვია. გადამკოცნა.

— რას აკეთებ, ბიჭო აქ? — ვეკითხები მე.

— მე, შენ გენაცვალე, ავერ „ასობი ატრიადში“ ვმსახურობ. ორდერი მაქვს მოცემული — ვინცხა მიწიშვილი უნდა დევიჭირო. ვეძებ და ვერ ვნახე. მითხრეს საცხა აქანაო. ჩამოვჯექი და უცდი.

არაფერი არ უთხარი. შევიყვანე ჩემს ოთახში და ცოტა ხნის შემდეგ განუცხადე, რომ წავიდეთ — მიწიშვილი მე ვარ, მეთქი.

— რავა გკადრო, შენ კი გენაცვალე. სალა გამოგყო თავი. რავა გავამხილო რომ ჩვენი „უჩიტელი“ დავიჭირე... არ მინახავხარ. წადი სადაც გინდა, გენაცვალე...

მე გადაჭრით უთხარი, რომ წავყვები განსაკუთრებულ რაზმში.

წავედით. ეტყობოდა მეტად შეაწუხა ჩემი ტობანიერელი ნაცნობი ამ ამბავმა. სამხედრო შტაბთან მითხრა:

— ძამია, შენი საქმე მგონია სერიოზნათაა. და თუ ვინმე გყავს დიდი კაცი — მოდი, შეატყობინე. ექვს საათამდე შემძლია არ მიგიყვანო „ატრიადში“.

გამოგბრუნდით და გავსწიე გიგო ნათაძესთან.

გიგომ არ დამამადლა გეგეჭკორთან მიყოლა.

— შენა ხარ, ყმაწვილო, ამ საქმეში? — საყვედურით მითხრა ევგენი პეტროვიჩმა.

— ისეთი არაფერი უნდა იყოს, — დარცხვენით ვუპასუხე მე.

— როგორ არ უნდა იყოს! რა ხელმა დაგაწერია ასეთი რამ, რა ხელმა დაგაწერია! მთავრობას ამტყუნებ, რომ ის ყაჩაღობის გზაზე აყენებს მოსახლეობას, რომ მენშევიკები კომივოიაჟორები არიან, რომ ინგლისის ჯარი ამოსაწყვეტია და სხვა. და იცით თქვენ რა მდგომარეობაში გვაყენებთ უცხოელების წინაშე? ამას დიდი გაუგებრობა შეუძლია გამოიწვიოს ჩვენსა და ინგლისს შორის, განსაკუთრებით ასეთ დროს...

გიგო თავის ტკბილი ხმით შეეცადა დაემშვიდებინა მინისტრი.

— ეხლა განსაკუთრებულ რაზმში მიყავთ: კაცი აგერა სდგას კარებთან. ვინ იცის აქედან სად გააგზავნიან. იქნება კედლას უთხრათ ორიოდე სიტყვა...

გეგეჭკორმა ხელი ჩაიქნია და კედლას დაურეკა. რა უთხრა — ვერ გავიგე: ლაპარაკი მეგრულად იყო. გაათავა და სთქვა, რომ განსაკუთრებულ რაზმში არაფერს არ მიზამენ.

დავემშვიდობე გიგოს და გავყევი ჩემს ჩიჩერონეს. მიმიყვანეს. შეადგინეს ოქმი, მაგრამ... თითქმის ერთი თვე დამტოვეს იქ.

მეორე დღეს ასეთი ამბავი წავიკითხე გაზეთში:

„შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება. 18 აგვისტო 1919 წ. (გადაცემულია პრესბიუროში) მე, შინაგან საქმეთა მინისტრმა, გავეცანი რა იმ ცნობებს, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „НОВЫЙ ДЕНЬ“-ის მე-17 ნომერში სათაურებით: „ანტანტა და საქართველო“, „დენიკინი ახლოვდება“, „საჭიროა სასტიკი წინააღმდეგობა“, „საქართველოს შეთანხმება ინგლისთან“ და მივიღე რა მხედველობაში, რომ ასეთი, განზრახ ყალბი და პროვოკაციული ცნობების გამოქვეყნება იწვევს მლელვარებას მშვიდობიან მცხოვრებთა შორის, დავადგინე: გაზეთი „НОВЫЙ ДЕНЬ“-ის გამოცემა შეჩერდეს, რედაქციის ბინა დაიბეჭდოს, რედაქტორი მიწიშვილი დატუსაღებულ იქმნას და საქმე სასამართლოს პროკურორს გადაეცეს. „შინაგან საქ-

მეთა მინისტრი ნ. რამიშვილი“. (გაზეთი „Борьба“ № 185
18 აგვისტო 1919 წ.).

ამხანაგები და ნაცნობები „დატრიალდენ“, მაგრამ საქმეს არაფერი არ ეშველა.

მესამე დღეს მოიყვანეს დატუსაღებული მალაქია ტოროშელიძე. ის უკვე — წმინდა ბოლშევიკური საქმისათვის. ჯერ მე ცალკე „კაბინკაში“ ვიყავი, შემდეგ მე და მალაქია ერთ ოთახში მოგვათავსეს — გვეძინა ერთად საწერ მაგიდაზე...

აქედან ვიცნობდი მე „პოლიციის შეფს კედიას“...

სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, რომ ის რიგიანად გვეპყრობოდა და განსაკუთრებულ რაზმში ყოფნის დროიდან ცუდი რამ მოგონება არ გამყოლია. მაგრამ ეს კედია ეხლა ანტანტას სამსახურში ყოფილა და ჩემი „ისტორია“, თუ კაცმა მოინდომა, საკმარისია იმისათვის, რომ უცხოელების თვალში მე ბოლშევიკად გამომაცხადოს. და თუ ეს მოხდა — მშვიდობით სტამბოლო, საფრანგეთო და საზოგადოდ ყველაფერო.

მაგრამ აი უკვე მოსჩანს სტამბოლი. გემი ბოსფორში შედის. შესანიშნავი დღეა. სავსე მზე. ამწვანებული, ოდნავ გადარუჯული ნაპირები და თეთრი პანორამა მწვანე წყალში მუხლამდე ჩამდგარი სასახლეების. ზღაპრული სილამაზე, რომელიც მხოლოდ ბოსფორზე შეიძლება ნახოს ადამიანმა.

ბოსფორი — ეს მართლა საზღაპრო ადგილია მსოფლიოში. ზღვის წყალი ბოსფორზე... სად მონახოს მხატვარმა ასეთი ფერი. ასეთი ფერი მხოლოდ ბოსფორზე აქვს წყალს. ყველაფერი რალაც დარბილებული და მკრთალია — ფერი „დაბინდული“ ქლიავის. სადაფის ფერია დაორთქლილი ცისა და ზღვის სივრცეზე. ცა არაა ფირუზის, ზღვა არაა ლურჯი. და ეს მარმარილო სულთანის სასახლეების, ეს ზურმუხტი — სკუტარის მიდამოებისა და ეს ფოლადი და რკინა გახურებული გემებისა. სიცხე, სიცხე და ანთებულ ღვარად დაფრქვეული ვერცხლი, ბოსფორის სახეზე ძნელია, შეუძლებელია ამის აწერა.

კლოდ ფარერ. პიერ ლოტი...

ეს ორი ფრანგი მწერალი, რომელთაც შექმნეს სტამბოლის რომანტიკა.

მაგრამ გრძნობ --- ამ სილამაზის იქით იფარება მკაცრი ცხოვრება, დიდი გაჭირვება და გამძლეობა თურქის.

და მართლაც — პიერ ლოტი. კლოდ ფორერ. რუსის ემიგრანტებმა შეუთხზეს მათ ლექსი:

Не надо верить Клод Фореру,

Не надо верить Пьер Лоти ..

И Клод Форер и Пьер Лоти

Имеют скверную манеру

Сбивать читателя с пути...

კვდება, ყველგან კვდება რომანტიკა უღმობელი ცხოვრების უღელ ქვეშ. მაგრამ სტამბოლის წინაშე ამ სილამაზის რომანტიკამ დამავიწყა ეს სიმკაცრე, რომლითაც უქადის სტამბოლი ყოველ სტუმარს, და რომელსაც მხოლოდ შემდეგ გაიგებს.

იმდენი მღელვარება მოაწვა გულს, რომ თითქმის ვერაფერს ვამჩნევდი. მახსოვს რაღაც უზარმაზარი აღმოსავლური ქალაქი — მინარეთები, კოშკები, მზის სხივებზე ავერცხლებული ბოსფორი და ოქროს რქა — პირამდე ავსებულ გემებით.

„მარმარა“ ნელა იკვლევს გზას გემებში. სწევს და უშვებს ათასნაირ ბაირაღებს და ბოლოს ხრიგინით ეშვება ზღვაში უზარმაზარი ღუზა.

გემზე ხელახლა დაიწყო ჩხრეკა და პასპორტიადა.

— მიწიშვილი!..

მომესმა უცნობი რუსული ხმა და ვიღაც ფრანგი მაგრად გადამეხვია, დამფარა მკლავებში, დამიწყო ცემა. შევკრთი. შევშინდი.

მოვედი გონს. გავიმართე. შევხედე ამ კაცს. ვინაა სადაურია?!

ჩემს წინ სდგას შუა ტანის კაცი, ფრანგულ საზღვაო ფორმაში, ძალზე მიჭერს ხელში ხელს, იცინის და მომჩერებია.

— როგორ, ვერ მიცანი? შეგარცხვინა ღმერთმა. აბა დამაკვირდი! ცოტა ხნის პაუზის შემდეგ დარცხვენოვდა უპასუხებ —

— უკაცრავად ამხ... ვერ გიცანით.

— ეჰე, შენ უკვე ამხანაგებში ყოფილხარ!.. მიეჩვიე. ჯანდაბას შენი თავი... გრინიოვი არ გახსოვს. წამომყევი, კედია აქ არის.

გამახსენდა. გრინიოვი ჟურნალისტი იყო ბათომში. მუშაობდა „Эхо Батума“-ში საიდან, სად. რა უნდა აქ მას. რა მოარბენინებდა? ან ეს ფრანგული ფორმა რა არი. ან სტამბოლში რას აკეთებს. გრინიოვი... ეს კაი ბიჭი იყო თავის დროზე... ვნახოთ, ვნახოთ...

— იცნობ? სულ ბოლშევიკად გადაქცეულა. შეხედე... კედიას თითქო გაეხარდა ჩემი ნახვა. მიმიყვანა ფრანგის ოფიცერთან, პასპორტებს რომ სინჯავდა. მონახა ჩემი პასპორტი, უხმოდ დაარტყმევინა ბეჭედი და გადმოძვრა.

— გაიყვანე ნაპირზე, — უთხრა მან გრინიოვს. ეს ჩვენი პროექტია და არ დაიკარგოს. ჩვენ მერე შევხვდებით.

— სად გაჩერდებით? — მკითხა მან.

— მონასტერში, — უპასუხე მე.

— ჩააბარე ვინმე ქართველს რომ მონასტრამდე მიიყვანოს. შენ უკან გამობრუნდი მალე.

— სიჩას! უპასუხა გრინიოვმა და გამიყვანა.

ჩემი ბარგი თვითონვე ჩაიტანა მოტორის ნავში. გამიყვანა საბაჟოში. გამატარა საბაჟო და ჩამაბარა ორ ქართველს. ერთს ვიცნობდი. გვარი დამავიწყდა.

— მე ფრანგებთან ვმსახურობ. მეუბნებოდა ნავში გრინიოვი. გამოვეჩეცი ბოლშევიკებს. ბევრი მწარე დღეები ვნახეთ აქ. მერე როგორც იქნა სამსახურში შესვლა მოვახერხე ფრანგებთან. რას იზამ კაცი — ცოლი, შვილი... გვარიანად მოვეწყე ამ გაჭირვებულ დროში. თუმცა იქ მერჩია — ამბობენ, ცხოვრება იქაც შეიძლებაო, მაგრამ მე არ მინახავს და ჯერ ჯერობით კი ბოლშევიკებს ვებრძვით...

ნაცნობმა ქართველმა ეტლში ჩამსვა და მონასტრის მისამართი უთხრა მეეტლეს. ეტლი გაექანა.

შემთხვევით უკან მოვიხედე. ვილაც დაკაპიწებული თურქი, ფეხშიშველა, წვირიან ნაჭრით თავ შეხვეული, მოსდევს ჩვენს ეტლს ფეხ და ფეხ.

სტამბოლში შესანიშნავი მეეტლებია.

მიჰქრის ეტლი და უკან ერთი ადლის მანძილზე მოსდევს ფეხშიშველა კაცი. მიკვირს, მაგრამ ვერ გავიგე რაშია საქმე. გავიარეთ კარგა მანძილი — თურქი ისევ მობის და მოგვსდევს. მანძილი ეტლსა და კაცს შორის იგივე რჩება.

— რაშია საქმე? ვეკითხები ჩემს თანამგზავს. რას მოგვსდევს ეს კაცი, ხომ არაფერი გადაგვარდნია ეტლიდან?

— იცი რაა. ეს კაცი ბარგის გადამტანი მუშაა. ისანი თავს იყრიან საბაჟოსთან. მოსდევს ამ ეტლს იმ იმედით, რომ როცა შინ მივალთ, მას გადმოვატანინებთ ეტლიდან შენს ბარგს. გაიგე? რა უნდა მისცე ეხლა მას ჭიშკარიდან ოთახამდე ამ პატარა ჩემოდანის ატანაში—დიდი, დიდი ორი შაური. და ჩვენ მაგის დახმარებაც არ გვინდა—ამას ცალი ხელით აიტანს კაცი... ამას ჰქვია, ჩემო ძმაო, ბრძოლა არსებობისათვის, მაგრამ როგორი ბრძოლა?... ჰო და, მონასტრამდე კი სამიოდე ვერსია...

თავი მეხუთე.

ქართველ კათოლიკეთა მონასტერი აშენებულია სტამბოლის განაპირა უბანში, რომელსაც ეწოდება—ფერიკეი. ეს უბანი იმითაა განთქმული, რომ აქ უზარმაზარი ლუდის ქარხანაა აგებული თურქულ-გერმანულ საზოგადოების მიერ—„ბომონტი“. ქარხნის ახლო დიდი ბაღია, სადაც ყოველ პარასკევს (თათრული კვირა) თავს იყრის უამრავი ხალხი და სვამს ლუდს. ბომონტში მოქალაქე მოდის მთელი ოჯახით, მოაქვს თან ხმელი პური და შემწვარი თევზი. ასეთი თევზი მხოლოდ სტამბოლში იცის—გრძელი და წვრილი. ეს თევზი ჰგავს ჩვენებურ „ცოცხალს“, მხოლოდ უფრო გამხმარსა და მშრალს. თევზი იქვე იყიდება ბაღში. დაატარებენ აგრეთვე ახლო-მახლო ქუჩებში კალათებით.

ბომონტში ლუდის სმა პარასკეობით—ესაა სტამბო-
ლელი მკვიდრის დიდი გასართობი, დასვენება და დღესას-
წაული.

ბომონტის ახლო, ამ შედარებით ახალ უბანში, უამრავი
სახლები შენდება. და ქართული მონასტრის მყუდრო-
ებას თანდათან არღვევს დიდი ქალაქის ხმაურობა და ფუს-
ფუსი.

მონასტერი წარმოადგენს მაღალი ქვის კედლით გარ-
შემორტყმულ სამსართულიან შენობას, რომელსაც უკან
მოდგმული აქვს სამლოცველო, ხოლო შემდეგ—პატარა
ბაღი, სადაც ბერები უვლიან ბოსტანსა და ხეხილს.

ბერებმა ქართულ ემიგრანტებს დიდი დახმარება გაუ-
წიეს, იმით, რომ ბინა მისცეს ლტოლვილებს იმ გაჭირვე-
ბულ დროში. თვითეულ ოთახში სამი-ოთხი კაცი სცხოვ-
რობდა, მაგრამ მონასტერში ყოფნა მაინც კომფორტი
იყო, ვინაიდან ქართველი ლტოლვილები დღითი დღე ლა-
რიბდებოდნენ და ეშვებოდნენ მართლა რომ ლტოლვილთა
დატაკ ცხოვრებაში.

რამდენადაც მახსოვს, პირველად კოლია ჭუმბურიძის
ოთახში მიმიყვანეს. კოლიას დიდი ხანია ვიცნობდი ქუ-
თაისიდან.

ქუთაისში ის თითქმის ყველაზე უფრო გავლენიანი წევ-
რი იყო მენშევიკურ პარტიაში და ითვლებოდა დიდ ორგა-
ნიზატორად. მასთან მაახლოებდა ვიქტორ ნოზაძის ამხანა-
გობა ძველთაგან. ისინი სცემდნენ იმ დროს ს.-დ. გაზეთს
„აზრს“ ქუთაისში; მე ვმუშაობდი ს. რ. „შრომაში“. შემ-
დეგ მე ვრედაქტორობდი 1917 წ. ქუთაისის მუშათა და
ჯარისკაცთა საბჭოს რუსულ გაზეთს „Голос солдата“-ს.
ჩვენი რედაქცია და ს. დ. კომიტეტი ერთ ბინაში იყო მო-
თავსებული პუშკინის ქუჩაზე „გრანდ-ოტელის“ პირდა-
პირ.

ამ დროის მუშაობიდან ვიცნობდი ბევრ ადგილობრივ
სოციალ-დემოკრატს. სხვათა შორის, როდესაც მე ქუთაი-
სის გუბერნიის პირველი აღმასკომის მდივნად ვიყავი—აქ
თავმჯდომარედ არჩეული იყო გრიშა ურატაძე. ჩვენი კო-
მიტეტის საქმიანობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ყოველ

კვირას ვიწვევდი სხდომას, ამ სხდომებზე დაუსრულებლად ირჩეოდა საკითხი ზეკარზე ახალი რკინის გზის გაყვანისა და ექიმი გაბო გოკიელი სისტემატიურად იბრძოდა იმისთვის, რომ ეს გზა რომელიღაც ახალი მიმართულებით გასულიყო. მეტი საქმე ჩვენ არ გაგვიკეთებია, მაგრამ ეს საქმეც გამოდგა მხოლოდ ლაპარაკისა და თავის შექცევის საქმედ, ვინაიდან რკინის გზა დღემდეც არაა გაყვანილი.

აღმასკომი მოთავსებული იყო ძველი საგუბერნიო სამმართველოს შენობაში—ბულვარის პირდაპირ. ბინა მშვენიერი იყო. მე მქონდა იქ ცალკე დიდი სამუშაო ოთახი—უზარმაზარი მაგიდით, რომელიც თითქმის სავსებით მფარავდა. ურატაძის ოთახიც უფრო დიდი იყო და მაგიდაც შესაფერისი ზომის. არც მე და არც გრიშა ახოვან ვაჟკაცებად არ ვითვლებოდით.

ერთ დილას შევდივარ სამსახურში და ვხედავ—სდგას კარებთან ვიღაც ჩოხიანი, ხანში შესული მეგრელი უზარმაზარი ტანის და უზარმაზარი ხანჯლით გვერდზე. ეტყობა — ელოდა ვიღაცას.

ლოტა მოგვიანებით მოვიდა გრიშაც.

მთხოვნელი მაინც და მაინც არ გვაწუხებდა. გრაშა თავის ოთახში კითხულობდა გაზეთს, მე ჩემსაში ვწერდი.

გავიდა საათი. ორი საათი. მეგრელი შემოიხედავს და ისევ გახურავს კარებს. კიდევ და კიდევ. ბოლოს შემოვიდა. გაჩერდა. ვკითხე, თუ ვის ეძებს. მკითხა თვითონაც თუ ვინაა აქ უფროსი. მე შევყევი ურატაძესთან. მიაჩერდა. ახედ-დახედა. შემდეგ გადმომხედა მეც და უეცრად გულმოსულმა სთქვა:

— ესაა, ბოშო, მთავრობა? ახალი მთავრობა ესაა? ფუი!...

გააფურთხა, შემოტრიალდა ცერებზე და გავარდა კარში.

ამ სცენის მოულოდნელი დამსწრე შეიქმნა შალვა დუღლაძე—„მიწის კომიტეტის“ მდივანი. გაიტანა ეს ამბავი და „თავი მოგვჭრა მთელს ქალაქში“ მიუხედავად იმისა, რომ მოყვანილობით არც ისაა მაინც და მაინც გოლიათი.

კოლიასთან ასეთი შემთხვევები და შეხვედრები ბევრი მქონია და გამეხარდა მასთან მისვლა. იქ ბევრი სხვა ნაცნობიც დამხვდა. შემდეგ მოემატა ნოე ხომერიკი, ვალიკო ჯულელი, რაქდენ არსენიძე, ლომთათიძე, და კიდევ სხვანი, რომელთაც ეხლა ვეღარ ვიგონებ.

— რა ამბავია საქართველოში... როგორ სცხოვრობთ... მიდიან, თუ არა ბოლშევიკები. რა განწყობილებაა ხალხში?...

ვილაცამ სთქვა, რომ კაცი დაღალული იქნება, ჯერ ბინა იშოვოს, მოეწყოს და მერე მოესწრებით ამბის გაგებასო.

ბინა მართლაც აღმოჩნდა იქვე, ემელიანე ლომთათიძის ახლო, ვილაც ბერძნის ოჯახში. ერთი პატარა ოთახი — ავეში ათ ლირად. ყოველ შემთხვევაში ეს სასტუმროზე უკეთესი იყო, რადგან სასტუმროში კაცს ყოველთვის მეტი ხარჯი მოსდის.

იმ საღამოსვე გადავედი ახალ ბინაზე. მოვთავსდი და მკვდარივით დავიძინე.

ერთი რომ—რბილ საწოლზე მეძინა: გვერდები მტკიოდა ოთხი დღის „პალუბაზე“ წოლით. მეორე—მართლაც დაღალული ვიყავი უკანასკნელი დღის მღელვარებით.

დილით ვერ გამოვერკვიე, თუ სადა ვარ.

არის ხოლმე ასე რომ დაიძინებ და როცა გაგელვიძება, ფიქრობ თითქოს გეძინა მხოლოდ რამოდენიმე საათი. ნამდვილად, თურმე, კი მეორე დღე გათენებულა. ან და კიდევ—გძინავს, გაგელვიძება და უეცრად, თითქოს მხარი გეცვალო, არ გჯერა: შენა ხარ ეს, თუ სხვა ვინმეა. შენს ბინაზე ხარ, თუ სხვაგან. და გეშინია ადამიანს—ხომ არ მოკვდი და ეს ცხოვრება, რომელსაც ეხლა თვალდია უცქერი, სხვა ცხოვრება ხომ არაა, გარდაცვალების შემდეგ რომ იწყება. გენანება საკუთარი თავი და ამავე დროს უსაყვედურებ შენს თავს, რომ გამოგებარა ყოველივე, რომ ასე ძილში გამოეთხოვე გუშინდელ დღეს და გუშინდელ ცხოვრებას და ისე გადადგი საიქიოს ფეხი, რომ ყველაფერი დასტოვე იქ, გადაღმა მხარეზე. ნამდვილ ცხოვრებაში — მეგობრები, ნაცნობები, სიყვარული, დაუშთავრებელი საქმეები და, რაც მთავარია, იქ დარჩა მშობლები, რომელთაც ვერ მოუარე და ვერ გაახარე...

გენანება ყველაფერი იმგვართ, რომ ცრემლი გადვება თვალებზე და ასეთ დროს, ვფიქრობ, შესაძლებელია ადამიანი მართლა მოკვდეს, ან გადაიბრძოს, თუ დროზე ვერ განოერკვა და დროზე ვერ დაიმორჩილა მიძინებული გონება...

რალაც ამგვარ ბურანში გახვეულმა გავახილე თვალი იმ დილას. გარეთ ანათებდა გახურებული მზე და სწავდა დატლექებულ ხის ფოთლებს, ფანჯარას რომ ეკვროდენ ჩრდილის გულისათვის.

მაგრამ მალე გონს მოვედი. მივხვდი — ეს სტამბოლი იყო.

სტამბოლი...

სტამბოლი...

თავი მეთხუთსე.

...ძველი ბიზანტიის მასკაა ეგ ზღაპარი, სტამბოლი რომ ეწოდება სახელად. ბოსფორისა და ოქროს რქის ტალღებზე სდგას იგი თითქმის ჩვიდმეტი საუკუნე. და ჩვიდმეტი საუკუნეა მიმართულებას აძლევდა ყოველ ქარს, რომელიც ბრუნავდა აღმოსავლეთ ევროპაში და აზიის მხარეზე.

ახალი რომი...

კონსტანტინე დიდი, რომელმაც დაამკვიდრა ქრისტიანული მოძღვრება, აღმართა მდიდარი და ძლევამოსილი ჯვარი ამ ქალაქში, საიდანაც ის ბრძანებლობდა მსოფლიოზე.

აქ უკანასკნელად შეებრძოლა ელინიზმი და კლასიკური წარმართობა ახალ ქრისტიანულ მოძღვრებას და იულიანე განდგომილმა აქ უკანასკნელად სცადა აღედგინა დამსხვრეული კერპების ძლევამოსილება. აქ დაიღუპა იგი ძველ სარწმუნოებასთან ერთად, ბრწყინვალე და ბრძენი, რომლის არსება სავსე იყო წარმართ საუკუნეთა სინათლით.

მეორე რომი...

არა, ის უნდა შეჯიბრებოდა პირველობაში დიდ რომს; კონსტანტინოპოლი უნდა ყოფილიყო ადგილი, რომელიც დაჩრდილავდა დიდი რომის ხსენებასა და ბრწყინვალეებას.

„და აღმოცენდა ქალაქი“...

ქალაქი, რომელიც დამკვიდრდა ძველი ცივილიზაციის ნანგრევებზე ახალგაზრდა ქრისტიანობის მღელვარე და თავგანწირული ენერგიით.

კონსტანტინოპოლი გადაიქცა ცენტრად, სადაც თავი მოიყარა იმ დროის რჩეულთა და გონიერთა კრებულმა;

აქ შეიქმნა არქიტექტურა, რომელმაც დასტოვა კვალი საუკუნოებში და რომელმაც დაჰტარა თავის გავლენით ხუროთმოძღვრება მთელი ქრისტიანული აღმოსავლეთის;

აქ წარმოიშვა მხატვრობა, რომელიც დაკანონდა, როგორც სრულყოფილის მიახლოება და რომელიც ჩაექსოვა ხელოვნების აღორძინების ხანას დასავლეთ ევროპაში;

ამ ქალაქს ახსოვს რელიგიური კამათი და კრებები, სადაც თავმჯდომარეობდნენ მეფეები; დისპუტები და მსოფლიო ყრილობანი, რომლის მსგავსი შესაძლებელია იყოს მხოლოდ კონსტანტინის ყრილობა მოსკოვში: მთელი საქრისტიანო მსოფლიოდან წარმოდგენილი მღვდელთმსახურნი ქმნიდნენ წესებს ქრისტიანულ დოგმატიკისას აქ. და აქ გამოიჭედა ურყევი კანონები, რომელნიც საფუძვლად დაედო რელიგიურ აზროვნებას მთელს მართლმადიდებელ მსოფლიოში;

აქ წარმოთქმულა სიტყვები, რომლის მსგავსი არ ახსოვს ორატორულ ხელოვნებას;

აქ დაწერილა მოწოდებანი, რომელნიც ფრთიანი ცეცხლის ენებათ ელვარებდნენ ქვეყნიდან ქვეყნად და აღშიხვევდნენ წარმართობის უკანასკნელ ნაშთებს — სირიაში, საბერძნეთში, რომში, ხმელთაშუაზღვაზე და არხიპელაგზე...

ბიზანტია იყო სტიმული. ბიზანტია იყო ორგანიზაცია და ჭკუა.

აქედან შემოაღო საქართველოში კარი დასავლეთმა; ამ გზით შემოიჭრა ჩვენში სხივი ფილოსოფიის, მეცნიერების; ეს იყო გზა ყველა მთაწმინდელებისა და აქედან დაა-

მხო ჯვარმა არმაზის კერპი. ბიზანტიიდან ჩაეთესლა ქართულ ბუნებას სკეპსისი და შეიძლება ის ცბიერებაც, რაიცა ეგზომ აკვირვებს ადამიანს ქართველი კაცის ვაჟ-კაცურ და რაინდულ ბუნებაში.

ველურობა და დეკადანსი—ეს მოგვცა ბიზანტიამ.

ბიზანტიამ შუაზე გააპო ქართული ბუნება, მუსლიმანური აღმოსავლეთისგან უკვე დაზიანებული.

ქრისტიანულმა ბიზანტიამ შეაბრუნა საქართველოს გზები და ბედი—დასავლეთისკენ. და როცა სულთან მაჰმად მეორემ აიასოფიას დამძიმებულ შენობიდან ჩამოხსნა ჯვარი, რათა ნამგალა მთვარე აღემართა მის გუმბათზე—იმდენად ძლიერი იყო ენერგია ევროპისა და ქრისტიანული კულტურისაკენ, რომელიც ბიზანტიამ აამოძრავა ჩვენს ქვეყანაში, რომ საბა ორბელიანმა გვერდი აუარა სტამბოლს, განადგურებულ მართლმადიდებელ ბიზანტიას, და მიაღწია პარიზამდე კათოლიკე ლიუდოვიკ ნეფესთან, რომ მისთვის ეთხოვა შველა აღმოსავლეთის ბარბაროსების წინააღმდეგ.

საქართველომ უარყო ჯვარმოხსნილი ბიზანტია.

მაგრამ სულთანის ხელში ამართული ბასრი მთვარე ყოველთვის ბნიდავდა საქართველოს ნათელ მზეს.

ამ ადგილზე ბრაზითა და ვნებით სავსე სულთანები გრეხდენ საქართველოს ბედს—წამების ბაწრად. და ნამგალა მთვარე სჭრიდა პონტოს ზღვას, რომ დაჰკიდებოდა ჩვენ ცაზე, როგორც ლახვარი და როგორც მოდრეკილი ხანჯალი დამასკოსი.

აქ, იმ ადგილას, საცა მე გუშინ პირველად მიწაზე დავადგი ფეხი, მოყავდათ ქართველი მოწიბები საქართველოს ზურმუხტოვან ნაპირებიდან და სულ-ფეხ შეკრულ ქართველები ეყარა იქ მუშტრის მოლოდინში, როგორც პირუტყვები.

ამ ადგილას ულამაზესი ქართველი ქალები იხდიდენ ლეჩაქს, რომ სამუდამოდ დაეფარათ მშვენიერი სახე პადიშახის ჰარამჰანების სამგლოვიარო ჩადრით.

აქ სულთან სელიმი ზრდიდა ქართველ ვაჟებს ოსმალეთის ერთგულ მხედრებად;

აქ ავიწყებდა მათ ისლანი სამშობლოს, ოჯახს, სისხლის ძახილს და „იავნანას“.

და ამის მოგონებით მოგვცა ილიამ „იანიჩარი“.

„აგერ რაზმიდამ ისკუპა ყარაბაღულმა მერანმა...
მასზე ზის ივერიელი ჭაბუკი ვინმე ჩაუქი

...
აგერ უეცრად რაღაცამ ჰაერში გაიკრიალა,
თურმე მან თოფი თავისი შეაგდო, შეატრიალა.
მერე ლამაზად ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ გადმოწვდებოდა,
ხან ცხენიდამა ხტებოდა, ხან ზედვე შეფრინდებოდა.
შვენოდა იგი ჭაბუკი ცხენზედა ვით ალვა რგული,
მაგრამ მე მის მჭვრეტელს ნაღვლით ამერია სული, გული...
ვსთქვი, თუ ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ოსმალეთსა...

...რამდენმა საუკუნემ განვლო და ჩვენ მაინც ვერ
აუხვიეთ გვერდი ამ გზა ჯვარედინზე მდგომს „დამლუპ-
ველ ოსმალეთსა“...

და რა ხდება დღეს აქ?...

მეცამეტე საუკუნეში, როდესაც კონსტანტინოპოლი
დამარცხდა და ბიზანტიის იმპერია სარაციებმა დაი-
პყრო, — რამოდენიმე პატრიოტი გაიქცა ნიკეიაში, არ
დაემორჩილა ლათინელთა ბატონობას და შექმნა მოძრა-
ობა უცხოელთა წინააღმდეგ.

ნიკეის მოძრაობამ გვიან, მაგრამ მაინც — გაიმარჯვა.
ჯვაროსნები განდევნილი იქმნენ ბიზანტიიდან ევროპაში.

1919 წელს მუსტაფა ქემალ ფაშამ აღმართა ამბო-
ხების დროშა წინააღმდეგ ევროპისა, რომელმაც თავის
მონად გაიხადა სულთანი მაჰმად მეექვსე და მისი საშუა-
ლებით მოისურვა ოსმალეთის სულის დაპყრობა სამუ-
დამოდ.

ქემალიც გაიქცა სატახტო ქალაქიდან ანატოლიაში
და პატარა ქალაქ ანგორაში აღმართა დროშა ეროვნული
მოძრაობისა ევროპიელ კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ჭეშმარიტად, დღეს სარაციები ბატონობენ სტამ-
ბოლზე და სადღაც შორს, ანატოლიის ყრუ, მზით გადამ-
ხმარ პროვინციაში, იბრძვის ამბოხებული ოსმალეთი და-

მოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის... იბრძვის ევროპის წინააღმდეგ, რომელიც სწამლავს და ხრწნის ჩამორჩენილ ერებს—ფულით თვალთმაქცობით და ცბიერებით, რომელიც ასე უხვად მოუპოვება დღევანდელ ევროპის სახელოვან კულტურას.

ქემალი იბრძვის. იბრძვის ოსმალეთი და ევროპის სამხედრო ფლოტით სავსე ბოსფორი ახრჩობს ახალგაზრდა ოსმალეთს. ფოლადი ზარბაზნებისა ბრწყინავს სტამბოლის წინ და ადუნებს უკვე დაძაბუნებული ქალაქის ვულისცემას.

მაგრამ გაიმარჯვებს ახალი ოსმალეთის ძალა და გაიმარჯვებს სამართლიანობა. გაიმარჯვებს ერი და მოვადრო, როცა სარაციონები დასცლიან ბოსფორს, როცა ფოლადის დრედნოუტების ჯოგი დაეშვება დარდანელის გზით ხმელთაშუა ზღვისკენ და გენულების კოშკზე, გალატას რომ ზევიდან დაჰყურებს,—ჩამოეხვევა ბრიტანეთის იმპერიის დროშა.

და საკვირველია!..

დღეს აქ, ამ ქალაქში, ქართველები შემოხიზნულან...

შემოხიზნულან ახალი სარაციონების კალთას ქვეშ. და აქედან ელიან შველას.

„დამლუბველი ოსმალეთი“ კვდება. ქართველები მოსულან დღეს აქ, ოსმალეთის დამლუბველთან...

„შენი რაა რომ ამშვენებ“,—ქართველო კაცო,—შენი რაა...

და მეორე პოეტის მეორე სიტყვა:

და დასავლეთის ქრისტეს ერნო, თქვენ რას შვრებოდით, როცა ქრისტესთვის თქვენ თვალ წინა, თქვენს კარს ვწყდებოდით?

თქვენ ირაკლისა ღიმილითა თავსა უკრავდით, რჩევას აძლევდით და ქებისა ტაშსა უკრავდით.

თავიანთ საქმეც ბევრი ჰქონდათ თქვენს მამა-პაპათ: უამბორებდნენ ზოგნი რომში თვისთ წმინდათ პაპათ;

ზოგნი თვისთ მთავართ აღსრულებდნენ მონებით ნებას და მათ სასახლეთ კეკლუც დიაცთ უძღვნიდნენ ქებას.

და შვილებსაც კი ხშირად გაზით შავი ბეჭედი. არ დაიდუმებს ისტორია, ნუ გაქვსთ იმედი.

მართლმადიდებელთ წმინდა სისხლი კისერს გედებათ, მაგრამ მოგკითხვენ, მაგიერი როსმე გეგებათ...

ნუთუ ეს ხანგრძლივია?

თუ ესაა დაცინვა ბედისა, ჩვენს ქვეყანას რომ ყოველ-
თვის ჰკორტნიდა. თუ ერთი ფურცელია ეს ჩვენი ისტო-
რიის, ამ უცნაური წიგნის, რომლის პირველი ფურცელი
იმავე შინაარსისაა, როგორც უკანასკნელი?!

მაგრამ უკანასკნელი ფურცელი ირის ისტორიის?!

არა, უკანასკნელი ფურცელი დღევანდლამდე, ვინაი-
დან დღეს საქართველოში ახალი წიგნი იწერება ისტო-
რიის. შეიძლება აქ მართლა შეშინდეს ადამიანი, რადგან
ამ წიგნს უჩვეულო ხელი სწერს. რას დასწერს შიგ? რო-
გორ დასწერს, ან დასწერს კი? თუ წერისათვის არ მოი-
ცლის და დაეღვრება მას ახალი ისტორია იმგვარივე სის-
ხლით, როგორც ეს ხდებოდა ძველთაგან დღემდე. ვინ
იცის?

ყოველ შემთხვევაში ფიქრი ახალის გამარჯვებაზე
არაა გასაკვირი, როცა სტამბოლში ხარ და ფიქრობ, რო-
ცა ფეხი გიდგია იმ მიწაზე, სადაც ერთ დროს დაიწვა ძვე-
ლი ისტორია, ბრწყინვალეებით დაიწერა ახალი წიგნი ახა-
ლი გამარჯვების და ამალლებისა და შემდეგ ყველაფერი
ეს ჩაეწხო ოსმანთა ბარბაროსულ ცეცხლში, რომ დღეს
ახალი მოძრაობა აღმოცენებულიყო, ახალი ხალხი დამ-
დგარიყო ფეხზე ახალი მისწრაფებით და ნებისყოფით.

და აქ, სტამბოლში ნუ შეგაშინოს კაცი ფიქრმა ისტო-
რიის ცვალებადობაზე.

ან რათ უნდა გვეშინოდეს ჩვენ. იქნება საქართველო-
მაც შესძლოს ახალი ისტორიის დაწერა—დაკოჟრებულის
ხელით. ახალი საქართველო შესძლებს ამას.

ჩვენ შევსძლებთ, და ჩვენ გავიმარჯვებთ.

ამას გვასწავლის მიწა ბიზანტიის...

მაგრამ ეს როდის იყო? ესეც ხომ დახურული წიგნია
შორეული წარსულის.

დღეს?

დღეს... რა ყოფაში არიან აქ ემიგრანტები.

ვნახოთ!

და ნუ ჩავდივარ ფერი-კეიდან პერას ქუჩაზე.

სტამბოლი 1922 წელს—უდიდესი საზღვაო პუნქტია მსოფლიოში. აქაა მოკავშირე სახელმწიფოთა სამხედრო ბაზა. აქ, მათი სამხედრო ძალა სდგას ხმელეთსა და ზღვაზე, იცავს ქალაქში „წესრიგს“ და მისჩერებია ანატოლიას, სადაც წათამამებული და საფრანგეთ-ინგლისის წიერ შეიარაღებული ბერძნის ჯარი, ებრძვის ქემალ-ფაშას.

ბოსფორზე უბრალო ნავსაც კი უჭირს მოძრაობა—სავსეა იგი სამხედრო და სავაჭრო ფლოტით.

განსაკუთრებით ხელს ითბობს ოკუპაციით ბერძნულ-სომხური კაპიტალი: „ნუვო-რიშების“ მრავალ სართულიანი სახლები სოკოებივით იზრდება ფერ-კეიში, ნიშანტაშზე, პერაზე—სტამბოლი ვერ იტევს მოზღვავებულ ხალხს ქვეყნიერების ყოველ კუთხიდან.

ზედ ემატება უამრავი ლტოლვილი—რუსი, ყირიმიდან რომ გამოყვა ვრანგულს.

პროსპექტი პერა...

აქ ნამდვილი ბაბილონია.

ხალხი ირევა, ჩქარობს. სდის. დაჰქრიან სამხედრო ავტომობილები, უზარმაზარი „გრუზოვიკები“; ტრამვაის ვაგონები ველარ იტევს ადამიანთა ნიაღვარს და ეს აორთქლებული ცოცხალი ხორცი—პირამდე ავსებს პერას. ზანტათ მიიზლაზნება მატროსის ლურჯ საწოლში ჩასუქებული ამერიკელი პოლიციელი. იქვე—პირდაპირ, თეთრი ჯოხით ხელში, სადარაჯოზე სდგას ყვითელ ხაკში გამოწყობილი ინგლისელი პოლისმენი, სდგას როგორც რომის იმპერატორი ცერემონიის დროს...

რუსული საუბარი ისმის ხშირად. ხშირია რუსული სამხედრო ფორმაც და რუსული წმინდა გიორგის ჯვრები. თეთრი ჯვრები, ყვითელი ჯვრები, წითელი. მაგრამ... როგორ დაბეჩავებულა ეგ, ოდესლაც მკერდმაღალი სახეები, ოდესლაც მედიდურობით სავსე ჯვაროსნებისა?!

აი — ღენერალი. ხნიერი კაცი, კავალერიის პაგონებით. დაბჯენილა მოკლე ბზის ჯოხზე და იძახის ნელის ხმით:

— „პრეს-დე-სუარ! პრეს-დე-სუარ!“ რუსული გაზეთი
საინტერესო ცნობები. შიმშილობა სოვდეპიაში. პანიკა
მოსკოვში. ბერძნების განარჯვება...

აგერ — ცოტა მოშორებით, ქუჩის პირას ჩამომჯდარა.
პატარა ყუთზე მოხუცი დედაკაცი — შავი აბრეშუმის ტან-
საცმელში. მუხლებზე პატარა დედოფლები დაუწყვია და,
თითქოს ლოცულობსო, მუდარით შესძახის ქუჩას:

— მშვენიერი კუკლები, ლამაზი კუკლები, იათად...
გულ-ქვა მშობლები არ ყიდულობენ ბავშებისათვის
მოხუცი ქალის პატარა, ლამაზ დედოფალებს. ნუთუ არ
უყვართ საკუთარი ბავშვები მშობლებს?! და ქალი, რომელიმაც
ალბად იცის, თუ რა არის შვილის სიყვარული,
რომლის შვილები, ვინ იცის ეხლა სად არიან — შეიძლება
გვარდიის ოფიცრები იყვნენ და მატროსებმა დასწყვი-
ტეს პეტროგრადში; შეიძლება ჟლობას კავალერიამ დას-
ჩეხა ისინი პერეკოპზე — მიმართავს პატარა გოგონას, ჩა-
პუდრულ დედას. რომ გამოუყვანია სასეირნოდ, რომ თა-
ვი შოაწონოს ინგლისულ კაპიტანს —

— იყიდე, გენაცვა, პატარა დედოფალა. შეხედე რა
კარგია, რა ლამაზია...

...პირდაპირ —

„Гнездо перелетных птиц“.

ეს რუსული რესტორანია. მარცხნივ — რესტორანი
„იაკორ“. ქვევით — რუსული სადალაქო. უფრო ქვევით —
რუსული ყავახანა...

„აქ ლაპარაკობენ რუსულად“...

„აქ ლაპარაკობენ რუსულად“...

— მე მივდივარ ოტელ „Roma“-ში — მდივანთან.

— ბიჭო, საიდან, როგორ, როდის!!!

მაჩერებს ნანცობი ქართველის მოულოდნელი ღრია-
ლი. მივესალმებით ერთი მეორეს.

— როდის ჩამოდი?

— ორი დღეა.

— საით?

— „რომაში“.

— მოესწრები... წამოდი ჩემსკენ!

გაიოზმა გადამატარა პერა, კიდევ რამდენიმე ვიწრო ქუჩა, საცა ძნელია ორი კაცის ერთად გავლა და შემიყვანა სახლში.

— აბა, ჯერ პირდაპირ მითხარი—გაბოლშევიკდი თუ არა? მეკითხება გაიოზი.

— არა, უპასუხებ მე, — ჯერ ჯერობით ვერ მოვახერხე... თუმცა რამოდენიმედ უკვე შეუთვისდი. და მერმედ ხომ იცი—იდეოლოგიის საკითხია. ჩვენ ხომ მარქსისტები არა ვართ და გვიჭირს...

ამ თაავითვე საუბარი ვერ მოეწყო. გაიოზს უნდოდა ყველაფერი უცბად მეთქვა საქართველოზე და ერთბაშად დაწელაგებინა ყველაფერი, რაც მოხდა ამ ორი წლის განმავლობაში.

შემდეგ ლაპარაკი უფრო მოერგო.

— შენ ალბად გაგიკვირდება — ამბობს გაიოზი, — რომ ჩვენს ბინაზე მე აღარ დაგხვდი ბათომში იმ დღეს. გახსოვს, დილით ბოლშევიკები შემოვიდნენ. შენ პურის საყიდლად წადი. ამ დროს იტალიის კონსულის ავტომობილით მოადგა ჩვენს ბინას N-ის ოჯახი. იჩქაროდნენ. ნავთსადგურზე მიდიოდნენ. გემზე ეშურებოდნენ. მსტაცეს ხელი და ნახევარი საათის შემდეგ უკვე იტალიის გემზე ვიყავი. რაც ტანზე მეცვა — ის წამყვა და ის. ბოლშევიკებს კი გადურჩი, მაგრამ რა დამემართებოდა არ ვიცოდი. შენიც მერიდებოდა, რომ ასე მოულოდნელად მიგატოვო, მაგრამ ისეთ ბურანში გამხვიეს წასვლისას, რომ მხოლოდ გემზე მოვედი გონს...

იმ დღეს შესანიშნავი ამინდი იყო, თუ გახსოვს. და ვუღლი კვდებოდა, როცა ვსტოვებდი საქართველოს, ამწვანებულ ნაპირებს... ჩვენს მზეს... ეს იყო რომ იტყვიან—„წახვალ ინანებ—არ წახვალ ინანებო“. ეჰ!... დავაპირე ტრაპეზუნში დარჩენა, მაგრამ არ ჩამიშვეს.

შემდეგ სტამბოლი.

ხომ ნახე როგორია?..

ოდესმე რომ მილიონერი შევიქნე და ამ ქალაქზე მომიხდეს გავლა — ამ გზით არასოდეს არ გავიარ. შემოუარ, შორიდან აუხვევ გვერდს, რომ არ ვნახო, ისე შემძულდა

აქ ყოველი ქვა და თვით ეს ჰაერი... იმდენი სიმწარე და გაჭირვება წახსოვს აქ. ეს ქალაქი კი არა — აჩრდილია, რაც საშინელი კოშმარი; აჩრდილი, რომელიც სწოვს შენს სისხლს, შენს გონებას, მთელს არსებას. ფართხალობ ააცი. სულს ღაფავ. კვდები და არც კვდები. თითქოს მიწაზე გიდგია ფეხი და თითქოს სანთელივით ღნები ჰაერში...

ღმერთმა ნუ განახოს, ძმაო, რაც მე აქ გადამაწყდა. მეც და ყველა ჩვენებს...

მე ჩამოსვლისთანავე საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი. ფული მე არ მქონდა. თანამდებობა მე არ მეჭირა. მართალია, ფრანგული ვიცოდი გვარიანად, მაგრამ ამითი რას გაიტან! ქალაქი სავსეა რუსის ემიგრანტებით და ძველი რუსეთის ბრწყინვალე წოდება ფრანგზე უკეთ ლაპარაკობს ფრანგულად...

პირველ ხანებში წთავრობამ ცოტა დახმარება აღმომიჩინა. შემდეგ ეს შესწყდა — დახმარებაზე მხოლოდ პარტიული და თანამდებობის ხალხი დასტოვეს. მე ყოველგვარი ნიადაგი გამომეცალა.

ჯერ ჩავეწერე მუშების არტელში და ტყეს ვჭრიდით, სადღაც დარდანელს იქით. შემდეგ მონადირეობა დავიწყე და ჩავეწერე პატარა ჯგუფში, რომელიც გარეულ ღორებზე ნადირობდა. ღორებს მაშხათ ვამზადებდით უცხოელებისათვის — როგორც იცი, თათრები ღორის ხორცს არ სჭანენ. ორიოდე პარტია კი გავასაღეთ, მაგრამ საქმე მალე ჩაიშალა და ისევ გზაშარაზე დავრჩი.

აქ კიდევ მარცხი შემხვდა. ბუწვზე გადავრჩი სიკვდილს:

როცა სტამბოლში ტყიდან ვბრუნდებოდი — გზაზე ყაზახები შემომეყარა. სტამბოლის ახლო რუსის ლტოლვილ ყაზახებმა მიწა აიღეს იჯარით და ბოსტანი გააშენეს. მწვანელი შემოჰქონდათ სტამბოლში. შემხვდენ გზაში, გამომელაპარაკენ. გაიგეს, რომ მე ქართველი ვარ. ერთმა რაც ღაფავ დამიწყო. შემდეგ უეცრად დაიღრიალა, რომ ესაა, ესაა ეგ მამაძაღლიო და დამიწყო ცემა.

თურმე ეს ყაზახი ღენერალ შკუროს ჯარში ყოფილა. ბოლშევიკებისაგან დაფრენილი მათი რაზმი შემოხიზნუ.

ლა სუხუმის, თუ სოჩის ოლქში. იქ ვილაც ქართველ ოფიცერს ამ ყაზახისტვის წაუროთწეგია საყვარელი თეთრი ცხენი...

დაიჟინა, რომ ეს ოფიცერი მე ვარ.

არათერმა არ გასჭრა. მე ხომ ჯარში არასოდეს არ ვყოფილვარ. მაგრამ არ დაიჯერა. დამესია ეს ხალხი და ისე გამხადეს, რომ მთელი ღამე მკვდარივით ვეგდე ვზის პირას. მეორე დილას, ნაცემი და თავგატეხილი, ძლივს მოვედი გონს. ავდექი და როგორც იქნა სალამოძდე მივალწიე ქალაქს...

არც ფული, არც ექიმი, არც წამალი. ნაცნობები კი ყველა გამგელებულია. ათი პიასტრისტვის კაცი კაცს მოკლავს. ვისთან მიხვალ? ვინ მოგხედავს? როგორც იქნა მოვახერხე და ინგლისურ ლაზარეთს შევეფარე.

მთელი თვე ვიწექი.

— რომ იცოდე რა დღეში ვართ.

და რაც ხანი გადის — უარესი და უარესია...

შეჩერდა გაიოზი. მდუმარება ჩამოეკიდა ოთახში, რომელიც კაი ხხის შემდეგ დავარღვიე მე.

— რას ფიქრობ მერე, რა იმედი გაქვთ?!

— უიმედობა... უიმედობა და არავითარი ნათელი. პარტიისა და მთავრობის ხალხს რომ ჰკითხო, რასაკვირველია, ყველას არწმუნებენ, რომ საქმე კარგად მიდისო. მაგრამ ჩვენ რა? ჩვენ ვერაფერ კარგს ვერ ვხედავთ და რა ვიცი. ისე კი, მართლაც არსებობს სტამბოლში ჩვენი საკონსულო, ჩვენი წარმომადგენლობა; იძლევიან პასპორტებს, სწურენ ნოტებს, ერთი სიტყვით პოლიტიკას აკეთებენ. მაგათ რა უჭირთ? ჯერ კიდევ ეყოფათ, რაც წამოიღეს და სხვისი გაჭირვების გაგება ძნელია...

პირველად რომ ჩამოვიდენ — ყველამ საკმაოდ ჩამოიტანა. საერთო კასაც არ იყო მცირე. მაგრამ ვის წიიკარებენ! დაინიშნეს ორმაგი ჯამაგირები, თითქოს „კომანდიროვკაში“ იყვნენ და...

ეხლა ყველა პარიზისკენ გაიქცა. იყიდეს იქ მამული და სცხოვრობენ თავისთვის. ჩარჩა აქ ეს ხალხი მძიერ ვალე. არც ფული, არც სამუშაო, არც სადმე განგზავრე-

ბის საშუალება. პირდაპირ ხათვანგია ეს ქალაქი, საიდანაც ფეხს ვერ ამოიძრობს ადამიანი.

აღარც თავმოყვარეობა. აღარც სინდისი და პატიოსნება. ყველა გაწუწკდა. ყველა გამსუნაგდა. არავის არაფერი სწამს. ყველაფერს იზამს, ოღონდ ზედმეტი დღე გაატაროს და შიმშილით არ მოკვდეს. რა უნდა ქნას კაცმა. ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი... ეხ.

ამ ბოლო დროს მე თითქო მაინც გამიღიმა ბედმა: შემთხვევით წავაწყდი აქ ერთ ამხანაგს მოსკოვის უნივერსიტეტიდან. ისიც ემიგრანტია და ინეჟნერი. ვილაც ბერძნისაგან აუღია იჯარით ერთი დამტვრეული ავტომობილი, შემიამხანაგა. დღისით ის მუშაობს და ღამით მე. ეხლა სადილი თითქმის ყოველ დღე მაქვს. და ეს პატარა ოთახიც...

მაგრამ მოგაწყინე თავი ამ ჩვენი უბედურობით. წავიდეთ სადმე, პური ვჭამოთ...
გავედით...

თავი მეხუთე.

Novotny.

ეს რესტორანი იყო. პერას მარჯვნივ ჩაყვები პატარა ქუჩას. იქვეა მარცხნივ. რესტორანს პატარა ბალი ჰქონდა. მოგაგონებდა ჩვენებურ ბალ-რესტორანებს, ლერმონტოვის ქუჩაზე რომ ვაჭრობენ ტფილისში.

— გაიოზ, — ვეუბნები მე გზაში ამხანაგს — კი, მარა სახლში აღარ ბრუნდები?

— მცხვენია, — მოწყვეტით მიპასუხა მან. და მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო. — ბოლშევიკების საწინააღმდეგო არაფერი მიქნია, რომ დავრჩენილიყავი დარწმუნებული ვარ — გადავრჩებოდი. მაგრამ ეს უცხოეთი ისეთია, რომ ვინც აქ ჩავარდება — გათავდა. შეუძლებელია აქედან თავის გადარჩენა. და მეც ასე გავუბედურდი. და გარდა ამისა ჩვენ ყველანი იმდენს ვაგინებთ ბოლშევიკებს, რომ ენა არც კი მოგიბრუნდება მათთან შესარიგებელ სიტყვისათვის. აქ კანტი-კუნტათ ისმის, თითქო მენშევიკების

კრებებზე დიდი ჩხუბი იყოს ამ ნიადაგზე: ზოგიერთები ამბობს თურმე, რომ მოურიგდეთ ბოლშევიკებს და შინ დავრუნდეთო. მაგრამ რამდენათაა ეს მართალი არ ვიცი. ერთი ხმა გავარდა ასეთი და ქართველებში ისეთი მღელვარება გამოიწვია, რომ მენშევიკებს ცემა დაუპირეს: ამდენი უბრალო ხალხი გააფუჭეს, ქვეყანა დალუპეს და ეხლა ისევ მოტყუებას გვიპირობენო.

შემდეგ მისწყდა ეს ლაპარაკი...

შევედით ბაღში და სადილი მოვითხოვეთ.

— უყურებ ამ ხალხს, — ამბობს გაიოზი. სავსეა ეს ბაღი ქალითა და კაცით. და ამ ქალებში არც ერთი არაა პატიოსანი. გესმის, არც ერთი. ყოველ მათგანს იყილი პერაზე თითო ლირად. შენ ისე არ იფიქრო, თითქოს მე განგებ მოგიყვანე ასეთ ადგილას: სტამბოლი ეხლა მთლიანადაა ასეთი. ეს გარყვნილების მორევია და თითქმის წარმოუდგენელია, რომ აქ პატიოსანი დედაკაცი ნახო, ისე ავსებული ყველაფერი. აქ ყველაფერი იყიდება, და იყიდება იმ საზოგადოებაშიაც კი, სადაც ჩვენისთანა ხალხი ფეხს ვერ შესდგამს. ამ ევროპელებმა სულ გაათახსირეს, სულ გარყვნეს და გააბაზრეს ყველაფერი. მაგრამ—შეაბრუნა ლაპარაკი გაიოზმა—ერთი შენც მითხარი რა ხდება ჩვენში.

კაი ხანს გასტანა საუბარმა თუ „რა ხდება ჩვენში“...

— ხალხის ფსიქოლოგიის ორგანიზაცია ისეთი რამ რთული ყოფილა—განვაგრძობ მე, — და ისეთი გაურკვეველი, რომ მართლა დიდი გაბედული კაცი უნდა იყო, რომ პოლიტიკაში გაერიო... არსებობს რაღაც უხილავი ძალა, შეიძლება ყოველად ალოგიური და აბსურდული ძალა, რომელიც არ ემორჩილება არავითარ კანონს. და საკვირველია ის, რომ ეს ძალა ერთნაირად იპყრობს ბრძოლსაც და მაღალგანვითარებულ ადამიანს. ხანდიხან ისეთ დასკვნამდე მიდიხარ კაცი, რომ ფიქრობ თითქოს ნორმალური ამბის მოხდენისათვის რაღაც არა ნორმალური მოვლენაა საჭირო...

გახსოვს ბათომის დღეები უკანასკნელად?

გახსოვს, როგორი სიძულვილითა და ზიზღით ისტუმ-

რებდა საქართველო ყოფილ მთავრობასა და მენშევიკებს. ბათომში იმასაც კი მოელოდენ, რომ ჯარი ამოსწყვეტდა მთავრობას. ყველა ფიქრობდა, რომ ოლონდ მენშევიკები წავიდნენ, ოლონდ ისინი მოშორდენ ჩვენს ქვეყანას და სულ ერთია... რაკ იქნება-იქნეს.

შენ უცხოეთში წამოდი, მაგრამ მე ვაკვირდებოდი ამ ფსიხოლოგიას შემდეგშიაც. მენშევიკების წასვლის შემდეგ ხალხი თითქმის შერიგებით დახვდა ბოლშევიკებს.

შეიძლება აქ ადგილი ჰქონდა შიშს, შეიძლება მართლა სძულდა მაშინ ხალხს მენშევიკები. მე ვფიქრობ, რომ იმ დროს მენშევიკებისადმი სიძულვილი ბუნებრივი იყო.

მაგრამ გავიდა ხანი. ბოლშევიკებმა, წარმოიდგინე წესიერად დაიჭირეს თავი. დიდი მუშაობა გააჩაღეს. გაჩნდა პური. გაჩნდა ფართალი. ხალხი ჩალაგდა ზოგი სამსახურში, ზოგი ვაჭრობაში, ზოგიც მიწას დაუბრუნდა. ცხოვრება თანდათან მიუახლოვდა მშვიდობიანობას და...

ეხლა, წარმოიდგინე, ბევრი მათგანი, ვინც ერთ დროს მენშევიკებს დახოცვას უპირებდა — ჟორდანიას იგონებს თანაგრძნობით!..

მე ყოველთვის მაკვირვებდა ეს ამბავი.

ობიექტიურად რომ ვსთქვათ და ეს ჩემი სუბიექტიური რწმენაც არის — დღევანდელ საქართველოს უფრო დიდი მომავალი აქვს, ვინემ გუშინდელს.

გუშინ, როცა ბოლშევიზმი ყველას დალუპვა ეგონა — ხალხი მენშევიკებს აძაგებდა. ეხლა კი, როცა შევხედეთ რომ ბოლშევიზმი ერის დალუპვა არ ყოფილა — ბევრი ქართველი მენშევიკებს ეძახის უკან...

გაიგე ეხლა რაშია საქმე!

ჩემი დაკვირვება საქართველოში ასეთია, რომ რამდენადაც იზრდება საბჭოთა მთავრობის ნებისყოფა და ენერგია საქართველოს წინსვლისაკენ, იმდენადვე პარალელურად იზრდება ამ ობიექტელის წინააღმდეგობა საბჭოთა მთავრობისადმი.

გესმის, როგორი უცნაური ხვეულებია. პარადოქსალური, მაგრამ არსებული.

— ობიექტიურად საბჭოთა აღმშენებლობა, თუ ასეთი მართლა სწარმოებს საქართველოში — ამბობს გაიოზი, — შენი „ობივატელისთვის“ უთუოდ დამლუბველია და ის, ეტყობა, ამას ინსტიქტიურად გრძნობს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთი ხალხი ბევრია და მისი დაძლევა არც ისე ადვილია. ამისათვის საჭიროა ათეული წლები და ბოლშევიზმი კი დაემხობა მანამდე. ვერ გასტანს...

— მე დღითი დღე ვრწმუნდები, რომ გასტანს. მაგრამ მართალია ისიც, რომ დიდხანს გასტანს აგრეთვე ეს ანტი-ბოლშევიკური ფსიქოლოგიაც. ჩემის ფიქრით ის უთუოდ საზარალოა ქვეყნისათვის, მაგრამ ვფიქრობ იმასაც, რომ ამას ბოლოს და ბოლოს უმეტესობა შეიგნებს. თუმცა ამ შეგნებისათვის, როგორც ყოველთვის ხდება, ალბად რაიმე უბედურებაა საჭირო...

— შენ ჭურში ნაყოფი კაცი ხარ. გაიარ-გამოიარე აქ. გაიხედ-გამოიხედე და მერე სთქვი...

— რაც შენ მითხარი, ის არაფერი სანუგეშოა. და რაც მე ვიცი, ხომ ვიცი და ვნახე — ვეუბნები მე.

— მე კი დამაბერა, ჩემო ძმაო, ამაზე ფიქრმა და... ამბობს გაიოზი. ღმერთმა ყველას ხეირი მისცეს და მე კი ისე აძერია ყველაფერი, რომ ვერაფერზე შევჩერებულვარ. თითქო ტვინი ვერცხლის წყალითა მაქვს სავსე და თითონაც თითქოს ვერცხლის წყალისა ვარ — დაბნეული ათას წერტილად, არაფერს რომ არ ეკარება... ავდგეთ, წავიდეთ! ავდექით.

თავი მესხრა.

შესაძლებელია მეცნიერებამ გამოიგონოს ისეთი აპარატი, რომელიც სტენოგრაფიულად ჩაიწერს ადამიანის ფიქრებს. დაგახურავენ თავზე ამ აპარატს, მიორჩეს და ხურავს სტენოგრაფისტი და შეუდგება სხვისი ფიქრების წერას. საშინელება იქნება ეს.

სად წაუხვალ საკუთარ თავს? სად გაექცევი?

რასაკვირველია, აქაც შესაძლებელია წინააღმდეგობა: მაგალითად შეეცდები არ იფიქრო იმაზე, რაზედაც საჭი-

როა ფიქრი. შეეცდები დაფარო ნამდვილი განზრახვანი, მაგრამ როდემდის მოითმენ? ერთი საათი, ორი საათი, შემდეგ ხომ დაიღლები და მაინც ჩაუვარდები ხელში ამ საშინელ მექანიზმს, რომელიც ულმოებლად გააშიშვლებს ადამიანის ყოველგვარ საიდუმლოებას.

მაგრამ რომ ეს მართლა განხორციელდეს, რომ ადამიანის ფიქრი და მისი ყოველგვარი მოძრაობა მართლა ფოტოგრაფიულად ჩაიწეროს, — მაშინ მისი ყოველგვარი მოქმედების იდუმალი მიზეზი ჩვენთვის ნათელი გახდება. და ადამიანი მთლიანად წარსდგება ჩვენს წინაშე: რად ჩაიდინა მან ესა თუ ის საქციელი, რად სთქვა ესა თუ ის ფრაზა, რად გადასდგა ესა თუ ის ნაბიჯი...

დღეს კი ადამიანის ბუნება და მოქმედება გაუგებრობის ბურუსშია გახვეული. და რთული ცხოვრება, რომელიც დღითი დღე ართულებს ადამიანის ბუნებასაც, უარეს გაუგებრად ხდის პიროვნების სექმესა და საქციელს — თანამედროობისა და ისტორიისათვის.

არაა მართალი თითქო არსებობდეს მთლიანი ადამიანი.

ყოველი ჩვენგანი განვიცდით წუთის გავლენას და ეს წუთი ყოველთვის სხვანაირია. და ყოველთვის ჩვენ სხვადასხვა პასუხი გვაქვს ამ წუთის მიერ წამოყენებულ ერთსა და იმავე კითხვაზე.

და რომ ეს წუთები სადმე აღიბეჭდოს — საშინელი სურათი წარმოსდგება ჩვენს წინაშე ადამიანის ბუნებისა. პირველი შეხედვით ეს თითქოს ადამიანის შეურაცყოფა იქნება, იმდენად სასაცილო, ამაღელვებელი და საზიზღარი ეპიზოდები დასურათდება ჩვენი ფიქრების ნეგატივზე. მაგრამ ეს იქნება სინამდვილე.

ამიტომაც, რომ ადამიანი ყოველთვის ერიდება თავის ნამდვილი აზრის გადმოცემას და გახმაურებას. ამან შექმნა ფრაზა რომ „სიტყვით გადმოცემული აზრი არის სიცრუე“, რომ „ენა გაჩენილია ნამდვილი ფიქრების დასაფარავად“.

ამ შემთხვევაში, როცა მე მიმყავს ჩემი მკითხველი ასეთნაირი ახვეული გზით, მგონი მეცა მაქვს სურვილი როგორმე შეცდომაში შევიყვანო მკითხველი და ჩემი ნამ-

დვილი განზრახვანი დაუფარო მას. შეიძლება ეხლა მე მინდა საკუთარი თავი დავაჯერო აი, ამ ფიქრის ჩამწერელ მანქანის შესახებ. ქალაქდზე მე ვსწერ, თითქოს ასეთი მანქანის გამოგონება საინტერესო იქნება და გულში, ფიქრში კი შესაძლებელია ვფიქრობ, რომ — ღმერთმა ნუ ქნას, ასეთი კონტროლი თუ დაწესდა ადამიანზე, ხომ შეუძლებელი გახდება ცხოვრება!

შეიძლება ამ ლაპარაკით მე მინდა მივაფუჩეხო ის აზრი, რომ არაფერი გამეგება ადამიანის ბუნებისა; რომ მეტად ძნელია ამა თუ იმ ეპოქის დახასიათება და გადმოცემა თანამედროვე ადამიანის სულისკვეთებისა: ჟურნალ გაზეთებში იწერება სწორედ ის, რაზედაც ადამიანი იმ დროებაში არ ფიქრობს; ლიტერატურა სტყუის; მეხსიერება კი ღალატობს ადამიანს. და არც სხვა რაიმე დოკუმენტი არსებობს, რომ ისტორიის სიცრუე თუ სიმართლე დაადასტუროს.

არა და მე მჭირდება აღვადგინო განცდანი, ძველად რომ გვალეღვებდა ყველას. აღვადგინო იმავე სურნელებით, იმავე ფერიტა და სიციცხლით, როგორითაც ეს იყო განცდის წუთში ამ წლების წინეთ. მეც და თქვენც, შეიძლება, ეხლა სულ სხვა რამეს განვიცდით, სულ სხვა რამ გვაწუხებს და გვიყვარს. იქნებ საწყენიც დარჩეს ჩვენთვის მოგონება ისეთი წარსულისა, რომელიც ერთ დროს სიამოვნების სითბოთი ავსებდა ჩვენს არსებას. შეიძლება საწყენი დარჩეს ასეთი მოგონება, თუნდაც სიმართლით იყოს გადმოცემული იგი.

რა იყო? როგორ იყო? რისთვის იყო?

უნდა წამოაგო ადამიანი ქინძისტავის წვეროზე და ჩამოაცალო ერთი კანი. მეორე. მესამე. უნდა ჩახვიდე გულამდე და ჩაიხედო ადამიანის მეცამეტე გულში! მაგრამ იქაც ვერ ნახავ...

* * *

აი, ეხლა მე სტამბოლში ვზივარ, ჩემს პატარა ოთახში, ბერძნისაგან რომ ვიქირავე თვეში თუმნათ. გარს მახვევია წაბლისფერი რწყილები. თათრის რწყილი. ვეფხვებია

და არა რწყილები. ვიბრძვი მაგრამ რამდენს შეებრძოლები? რა გაუძლებს ამ ლაშქარს? მაგრამ მეტი რა გზაა, სულ ერთია უნდა გაუძლო. და მეც უძლებ.

ვზივარ მაგიდასთან. მაგიდაზე მაინტერესებს თუთუნის ცალიერი კოლოფი, რომელშიაც პიასტრები მაქვს ჩაყრილი. პიასტრებზე წარწერა თურქულია და მე არ ვიცი ჯერ, რას წარმოადგენს ესა თუ ის ფარა. ხურდა ფულს ამ კოლოფში ვაგროვებ. უკვე ორმოციოდე ცალი ნიშანია ამ თუხუჭის კასაში და მე ვითვლი ამ ფულს. ვითვლი, მაგრამ ვერ ვხვდები, თუ რა კაპიტალს წარმოადგენს ეს თურქული პიასტრები...

იქ კი ტფილისში, მეჩვენება. მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტში ზის ამხანაგი სერგეი ქავთარაძე. წვერი ყოველთვის გაპარსული აქვს და უღვაშები შეკრეჭილი. მან მომცა ნებართვა უცხოეთში წამოსვლისა.

კაბინეტის ერთის მხრივ სასახლის ბაღია გაშლილი. ბაღში ტბაა და ამ ტბაში დასცურავს თეთრი გედი. წინეთ ორი გედი სცურავდა ამ ტბაში, მაგრამ არეულობის დროს ერთი გედი სალდათებმა დაკლეს, შესწვეს და შესჭამეს.

მეორეს მხრივ რუსთაველის პროსპექტია, პატარა მწვანე ხეივანით სასახლის წინ. იქვე მუზეუმის დაჯანგული შენობა. შესცქერის დაჯანგული მუზეუმი ყვითლად შეფეთქილ სასახლეს. სასახლე გადისობს წვერზე ხელს, გადაიგრიხავს მწვანე უღვაშებს და შეხედავს წითელ ბაირალს, რომელიც დაამაგრა მის გუმბათზე მექანიკმა პანასიუკმა.

მუზეუმს არც წვერი აქვს და არც უღვაში. და ბაირალიც არ ფრიალებს მის კოშკზე-არც ერთი ფერის.

პროსპექტზე მრავალი ხალხი დადის. და მე ვიცნობ თითქმის ყველას.

აი, სამხედრო სობოროსთან ხვდება ერთი მეორეს ორი ნაცნობი, გადადიან „ორიანტის“ მხარეზე. იქ მზიანი მხარეა, ცხელა და ხალხი არ ეტანება სიცხეს. ორი მეგობარი სიცხეში საუბრობს პოლიტიკაზე; ამბებზე, რომელიც მოდის უცხოეთიდან. შინაურ ამბებსაც ეხება მათი საუბარი, მაგრამ უმთავრესად უცხოეთის ამბები აინტერესებს მათ. და ეს საუბარი არავის არ ესმის, ვინაიდან სიცხეა „ორიან-

ტის“ მხარეზე და სიცხეში დნება ადამიანის ყურთასმენა. მხოლოდ მე ძესმის მათი საუბარი — სტამბოლში. ისეთი ნელი, თავდაჭერილი და განდობილი.

... ნოე ჟორდანია წასულა ბელგიაში. იქ დიდი ტრიუმფით შეხვედრიან მას. ჩვენი მეგობარი ვანდერველდე, თურმე ფიცსა სდებს-ან საქართველოს განვითავისუფლებ, ან კაცი აღარ ვყოფილვარო. თურმე, ჩვენს მთავრობას პარიზში პირობა დაუდევს ბერძნებთან, რომ ქემალის დამარცხების შემდეგ შეიქმნას ჩვენ საზღვრებთან პონტოს რესპუბლიკა, ძველი ტრაპეზუნის იმპერიის ფარგლებში. ქართველები მოგეხმარებით ამ საქმეშიო. საიმედო მეზობლები გეყოლებით და გარდა ამისა ჩვენ ხომ ქრისტიანები ვართ, და ერთი კულტურის ხალხიო. და რომ ოსმალეთი ადვილად დამარცხდეს წაიყვანეთ ჩვენი შესანიშნავი ლეხერალი — კვინიტაძეო. თურმე კვინიტაძე წინ მოუძღვის ბერძნის ჯარებს, ამარცხებს თათრებს კეისარიასთან და იქ დღეებში აიღებს ანგორას...

ორი მეგობარი ასეთ ლაპარაკში უკვე ოპერას უახლოვდება და იქ შეიერთებენ ალიოშა წუწუნავას. მაგრამ ალიოშა წუწუნავა აუღელვებელი კაცია, ჭკვიანიცაა. არაფერს არ იტყვის მისი სახე ასეთი ამბების გამო. მხოლოდ მის ხუჭუჭა თმას არხევს — რუსთაველზე შემოჭრილი ქარი. გაჩერდება იქვე ხესთან და როცა ტრამვაი № 5 ჩამოიქროლებს — უცბად შეახტება ზედ და წავა ნათვლაში წყნეთის ქუჩაზე...

აი, მზიან მხარეზე ნელის ნაბიჯით მიდის ვასილ ბარნოვი. მოხუცი მწერალი და სათნო მწერალი. ზამთარ-ზაფხულ მუდამ შავ ტანსაცმელშია. ყოველთვის გრძელი თეთრი წვერი ჰფარავს მის შავ ყილეტს. დადის შავი ქუდი, რომელსაც ეძახიან — „კატელოკი“. ნელის ნაბიჯით მიდის ვასილ ბარნოვი რუსთაველის პროსპექტზე. სტკბება მზით. სტკბება იმით, რომ ახალგაზრდა მოწაფეები დიმილით ხვდებიან მას.

ყველას მოკრთალებით მიესალმება იგი და — მიდის მარტო.

ვხედავ სტამბოლიდან, თუ როგორ დადის რუსთაველის პროსპექტზე მოხუცი მწერალი ვასილ ბარნოვი და მახსენდება პირველი მწერალი, რომელიც ვნახე მე ბავშვობაში: ანტონ ფურცელაძე. ის არ ატარებდა წვერს, როგორც ბარნოვი, მაგრამ გრძელი თმა ჰქონდა მას და თმა იყო თეთრი, როგორც თოვლი. ქუთაისის თეატრში ვნახე ის პირველად: ლოჯიაში იყო, რატომღაც ტაშს უკრავდენ მას და ის მადლობას უხდიდა ხალხს. ეს დამრჩა მოგონებათ, და ფურცელაძის თეთრი თმა ქუთაისის თეატრში. შემდეგ ბევრჯერ ვფიქრობდი და ვოცნებობდი რომ შეცვალებოდი მწერალი. მეც მოვხუცდებოდი და მექნებოდა თეთრი, ლამაზი თმა.

ბავშობა... ბავშობა...

ვის ეღიროება, ამხანაგებო, ჩვენს დროში თეთრი თმა!.. იქნებ დაჰგლიჯოს ჩემი თმა ქარმა შორეულ გზისამ. იქნებ ამ უცხო გზებზე დაიკარგოს ჩემი თავი თმიანათ! მაგრამ ტფილისი ისევ...

იმ ოპერასთან, საცა ალიოშა წუწუნავა ჩაჯდა ტრამვაი № 5-ში და სადაც ეხლა ვასილ ბარნოვმა ნელის ნაბიჯით გაიარა ვცხოვრობდი მე ოთხი წლის წინეთ—თეატრალურ შესახვევში. იქ იყო პოეტების მეგობარი მედუქნე: „ბუენოს-აირეს“, ხაშურელი გლეხი, რომელიც ყოფილა ბრაზილიაში და ბუენოს-აირესში უცხოვრია. ლაპარაკობს ესპანიურად-კასტილიის კილოკავზე და ვაჭრობს პურღვინით „ევროპიულ სასტუმროს“ ქვეშ.

ალეხანდროს ღვინო გვათბობდა ჩვენ ცივსა და მშიერ ლამეებში, როცა ვსდარაჯობდით ოპერის ბალში-ოპერასა და საკუთარ ლექსებს.

ოპერას უპირებდა აფეთქებას დენიკინის ხალხი. ლექსების მეტი ჩვენ რა გვებადა!

იმ დროს მომღერალ ბრაგინს ოპერაში შეყავდა ძაღლები და მომღერალი ბრაგინი გადაასახლეს საქართველოდან. „ჩემი ძაღლი ქართულად არ კითხულობსო“ — სთქვამან, როცა მიუთითეს ქალაქზე, სადაც ეწერა რომ ძაღლების შეყვანა ოპერაში აკრძალულიაო. სწორედ ამაზე უპასუხა მომღერალმა ბრაგინმა — „ჩემი ძაღლი ქართულად არ კითხულობსო“...

მე მესმის, როგორ შრილებს ხელოვნების სასახლეში ვაჟკაცი ნადვის ხე და ვხედავ ჩვენი მოხუცი მოსე, როგორ ფორჩხავს ბაღს და როგორ ასუფთავებს ბუჩქებს. იწურება აუზში შადრევანის ფოჩვი და შრება მილებში წყალი. ეტყობა — ფული არაა შეტანილი ქალაქის რევეკომში წყალისათვის და პაოლო იაშვილს მოუხდება მისვლა ლევან ლოლობერიძესთან, რომ მან დაურეკოს კომუნალურ განყოფილებას და გამოაშვებინოს წყალი. საჭიროა აუშვან წყალი, თუ არა გადახმება სასახლის ბაღი. და როგორ შეიძლება გაშენებული ბაღის წახდენა, როცა მთავრობა ამდენ ფულს ხარჯავს ახალი ბაღების მოწყობაში. ერთი არგუმენტიც ემატება პაოლოს: ჩვენს ბაღში ბავშვებიც დაიარებიან და ბავშვებს ხომ ბაღი სჭირდებათ!.. გასჭრის თხოვნა და ლოლობერიძე აუშვებს წყალს ჩვენი ბაღისათვის....

აივანზე პოეტები სხედან.

ლაპარაკობენ პაიკებზე... პროლეტარულ ასოციაციის დაარსებაზე... ოთახების განაწილების შესახებ სასახლეში...

შემოდის ყვავილით ხელში ლასა მგელაძე. ჩამოართმევს ყველას ხელს ისე, რომ თითები დაემსხვრევა პოეტებს. იტყვის გამარჯვებას. დაამატებს რომ კარგად ვარო, დასტოვებს ყვავილს და წავა ბოტანიკურ ბაღში, რომ საღამოთი შედგეს მამადავითზე...

ლასა მგელაძემ იცის ჭამა, როგორც სვავმა. მე არ ვიცი, რითი სცხოვრობდა ის ციმბირში და ემიგრაციაში. შიმშილობდა უთუოდ. მან ბათომის ერთ რესტორანში „ფეხზე“ შესჭამა ჩემ თვალწინ მთელი ინდაური და ჩვენ კერძსაც წაეპოტინა.

ბათომში იყო იმ დროს ინგლისელები. ე. ი. ინგლისელები მიდიოდენ იმ დროს ბათომიდან. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ წავიდენ ისინი — პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, ვალერიან გაფრინდაშვილმა და მე. მაშინ გადავრჩით ზღვაში დახრჩობას და გაფრინდაშვილმა დასწერა ლექსი „ოთხი პოეტი“.

უცნაური განცდები იყო იმ დროს. და რატომღაც ყველაფერი დამტვრეული და ჩაულაგებელი იყო. ჩვენ ხში-

რად ვიტყოდით ხოლმე ... „გაუმარჯოს საქართველოს“. და როცა გავიარდით ეტლით სასახლესთან ტფილისში — დავიძახებდით: „ძირს მთავრობა“. ამისთვის დაგვიჭირა ერთხელ მილიციამ, მაგრამ პაოლო იაშვილს იცნობს ყოველი უეჭველი და საეჭვო კაცი და მილიციამაც გვიშვა ხელი.

ჩვენ ვიყავით ოპოზიცია მთავრობისა და პოზიცია საქართველოთი. რატომღაც საქართველოს ცნება ვერ იყო ძისადაგებული მენშევიზმთან.

ადამიანი უნდა იყვეს გახარებული. უნდა ახარებდეს ხელისუფლებაც, ფულიც, სიყვარულიც, პოეზიაც.

და კიდევაც რომ არ გქონდეს არც ერთი-უბრალოთ უნდა გიხაროდეს მარტო ის რომ ცოცხალი ხარ და ცოცხლობ ასეთი მშვენიერი ცის ქვეშ. არის ასეთი წუთები ხოლმე. ადგები, გამოხვალ ადამიანი გარეთ. მშვენიერი ამინდია. სავსე ქუჩა. ყველაფერი ამწვანებულია, ცაზე კიდია სავსე მზე და რაღაც გამოუცნობი ხალისია გადაღვრილი ყველაფერზე. და როცა ყველაფერს ამას ხედავ — გინდა პირდაპირ გაგორდე ქუჩაზე, იხტუნო, ხბოსავით ატროკინდე: სიხარულით, სიამოვნებით, რა ვიცი კიდევ რითი...

მენშევიკები სავსე იყვენ ბრაზით.

არავინ არ უყვარდათ და არ უყვარდათ არც საქართველო. არავინ არ სწამდათ, საკუთარი თავის გარდა, არავის პატივს არ სცემდენ და არ სჯეროდათ არავისი...

გამოდოდა ისე რომ დიდი ხანობით მოკიდეს ხელი საქართველოს თუ არა საკადრისიც არ იყო მათთვის ჩვენი ქვეყანა. გამოდოდა ისე რომ თითქოს რომელიმე სადგურზე იყო გაჩერებული ხელისუფლება. სადგურზე ნაცნობობაც იძულებითია, შემთხვევით გამოწვეული, დროს მოსაკლავად. იქ კონდუქტორსაც გამოელაპარაკები. სპეკულიანტსაც, გვედში რომ მოგჯდომია და ლენერალსაც შვებულებაში რომ მიემგზავრება თავის ცოლ-შვილთან.

მწერლობა იმ თავითვე ვერ მოურიგდა მენშევიკებს. არც ძველათ იყვნენ ისინი მწერლების დიდი მოყვარულნი და ხელისუფლების შემდეგ მწერლობა დაიკარგა მათთვის.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის კოტე მაყაშვილის აუდიენცია რამიშვილთან—დარჩა ისტორიაში როგორ რეგვენული შემთხვევა...

...არა და ჩვენ გვიხაროდა რომ მიდიოდნენ ინგლისელები ბათონიდან. ვხედავდით-პარადს ბალის ქუჩაზე. კუკ-კოლისი, ლენერალი კვინიტაძე, მდივანი, ინგლისელი და ქართული ჯარი პირის პირ დამდგარი ყარაულზე. და ინგლისური ბაირალის გარდამოხსნა. როგორ დავმალე ის, რომ გამეხარდა, როცა ინგლისური ბაირალი თოფნაკრავი ხოხობივით დაეცა ძირს და ზევით აფრიალდა ქართული დროშა...

გაგვეხარდა. და როცა ეს ლენარალ მდივანს უთხარით, მან სთქვა:

— ეს კარგია, მაგრამ აწი მალე მოვლენ ბოლშევიკები.
— ?

მან მეტი არაფერი სთქვა და შემდეგ გაგვაცნო ფრანგი ჟურნალისტი. მას ჰქვიოდა — ჟან მარტენ. იყო რედაქტორი შვეიცარიელ გაზეთის: „ჟურნალ დე ჟენევი“.

შემდეგ ჟან მარტენმა წიგნი დასწერა საქართველოზე და ქართველ პოეტებზედაც თბილი სიტყვა სთქვა.

ევროპიელმა იცის რომ მწერლებს ვერ გამოსტოვებს ქვეყნის ცხოვრებიდან. ბოლშევიკებმაც კარგად იციან ეს. მენშევიკებმა ეს არ იცოდენ. თუ იცოდენ და არ უნდოდათ გაეგოთ — ეს წარსული საქმეა.

ამიტომ—არც მწერლებს უყვარდათ მენშევიკები. არც მენშევიკებს მწერლები.

(გაგრძელება იქნება).

იტალიური ქრონიკები

ჩ ე ნ ჩ ი.

თარგმ. ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა.

ნამდვილი ამბავი ჯიაკომო და ბეატრიჩე ჩენჩის და მათი დედინაცვლის ლუკრეცია პეტრონი-ჩენჩის სიკვდილისა: ეს ადამიანები მამისა და ქმრის მკვლელობისთვის დასჯილ იქმნენ უკანასკნელ შაბათს, 1599 წლის 11 სექტემბერს, ჩვენი წმინდა მამის პაპი კლემენტი მერვის — ალდობრანდინის — მეფობაში.

უგვანო ცხოვრება, რომელსაც ყოველთვის ატარებდა ფრანჩესკო ჩენჩი, დაბადებული რომში და ერთი ჩვენი უმდიდრესი თანამოქალაქეთაგანი, მისი დაღუპვით დამთავრდა. მან გამოიწვია აგრეთვე ნაადრევი სიკვდილი თავისი ვაჟიშვილებისა, ლონიერი და მამაცი ყმაწვილებისა და თავისი ასულის ბეატრიჩესი, რომელიც, თუმცა თექვსმეტი წლისაც კი არ იყო, როცა სიკვდილით დასაჯეს (ამ ოთხი დღის წინათ), მაინც უმშვენიერეს ქალათ ითვლებოდა პაპის სამეფოსა და მთელს იტალიაში. ხმა გავრცელდა, რომ ბატონმა გვიდო რენიმ, ბოლონიის სახელოვანი მხატვრული სკოლის მოწაფემ, მოისურვა საბრალო ბეატრიჩეს სურათის დახატვა წარსულ პარასკევს, მისი სიკვდილით დასჯის წინა დღეს. თუ ამ დიდმა მხატვარმა ისევე კარგათ დაამთავრა ეს საქმე, როგორც სხვა მხატვრობანი შეასრულა ჩვენს სატახტო ქალაქში, შთამომავლობას შეეძლება წარმოდგენა იქონიოს თუ როგორი იყო ამ საუცხოვო ქალის მშვენიერება. რათა მომავალმა თაობამ აგრეთვე მახსოვრობა შეინარჩუნოს იმის უბადლო უბედურებასა და იმ გასაოცარ სულიერ ძალაზე, რომელიც ნამდვილმა რომაელმა ქალმა გამოიჩინა, მე გადავსწყვიტე ამეწერა ყოველივე, რაც მისი დამღუ-

პველი მოქმედების შესახებ გავიგე ან რაც ჩემი თვალით ვნახე მისი დიდებული ტრაგედიის დღეს.

ის პირები, რომელთაც შესაფერი ცნობები მომცეს, თვით ყოველმხრივ გაცნობილნი იყვნენ ამ საქმის იდუმალ მხარეებს, რაიცა რომში დღემდე არვინ იცოდა, თუმცა თვე ნახევარი აქ მხოლოდ ჩენჩის პროცესზე ლაპარაკობდნენ. ყოველივეს თავისუფლათ ავსწერ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ შემძლია ჩემი ნუსხა რომელიმე საპატიო არქივში შევიწინახო, საიდანაც მას მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ გამოიტანენ. ჩემთვის დიდათ სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ვალდებული ვარ იმ საბრალო ბეატრიჩე ჩენჩის დანაშაულობა ვაღიარო, რომელიც ყველას, ვინც კი მას იცნობდა, ისევე გასაღმერთებლათ და პატივსაცემლათ მიაჩნდა, როგორც მისი საშინელი მამა სიძულვილისა და შეჩვენების ღირსათ.

შეუძლებელია უარყოფა, რომ ამ კაცმა ზეცისგან გასაოცრათ შორსმჭვრეტელი ჭკუა და ახირებული ხასიათი მიიღო: იგი იყო შვილი უფალი ჩენჩისა, რომელიც პაპი პიუს მეხუთე (გისლიერის) დროს მოლარეთ უხუცესის (ფინანსთა მინისტრის) ადგილზე იქმნა დანიშნული. როგორც ცნობილია, ეს წმინდა პაპი გამსჭვალული იყო სამართლიანი სიძულვილით მწვალებლობის წინააღმდეგ და მთელი ძალდონე თავისი დიდებული ინკვიზიციის აღდგენას მოანდომა: იგი ზიზლით ეპყრობოდა თავისი სახელმწიფოს საერო მმართველობას, ისე რომ უფალმა ჩენჩიმ, რომელიც მოლარეთუხუცესათ იყო კარგა ხნის განმავლობაში 1572 წლამდე, მოახერხა ას სამოცი ათასი პიასტრი წმინდა შემოსავალი დაეტოვებინა ამ შემადრწუნებელი ადამიანისთვის, რომელიც მისი შვილი და ბეატრიჩეს მამა იყო.

გარდა ამ სიძლიდრისა ფრანჩესკო ჩენჩის გამბედავი და ჭკვიანი კაცის სახელიც ჰქონდა, ამ მხრივ ახალგაზრდობის დროს მას ვერავინ შეედრებოდა რომში. და ეს სახელი მას მით უფრო აძლიერებდა პაპის სასახლეში და მთელს ხალხის თვალში, რომ მის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი ისეთი ხასიათისა იყვნენ, რომელთაც

საზოგადოება ადვილათ აპატიებს ადამიანს. მრავალი რომაელი დღეს გულისტკივილით იგონებს აზრისა და მოქმედების თავისუფლებას, რომლითაც განსვენებული ლეონ მეათის ან პავლე მესამის დროს ვსტკებოდით. უკვე ამ უკანასკნელი პაპის დროს დაიწყეს ლაპარაკი ახალგაზრდა ფრანჩესკო ჩენჩიზე, მისი ახირებული სიყვარულის ამბებზე, რომელიც გამარჯვებით თავდებოდა კიდევ უფრო ახირებული გზების შემწეობით.

პაპი პავლე მესამის დროს, როცა კიდევ შეიძლებოდა საიდუმლოების განდობა, ლაპარაკობდნენ, რომ ფრანჩესკო ჩენჩი დახარბებულია არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებებს, რომელთაც შეუძლიათ ახალი და შემაშფოთებელი გრძნობები გამოიწვიოსო.

შეიძლება იტალიის სხვა ქალაქებში არც კი იცოდნენ, რომ ჩვენი ბედი და ცხოვრების წესი რომში იცვლება ტახტზე მჯდომარე პაპის ხასიათის მიხედვით. მაგალითად, ცამეტი წლის განმავლობაში, კუთილი პაპის გრიგოლ მეცამეტის (ბუონკომპანის) მეფობის დროს ყოველივე ნებადართული იყო რომში; ყველას შეეძლო თავისი მტერი გაეგმირა მახვილით, ამისთვის არ დაისჯებოდა, მხოლოდ ერთგვარი სიფრთხილე იყო საჭირო. ამ გადაჭარბებულ ხალვათობას გადაჭარბებული სიმკაცრე მოჰყვა ხუთი წლის განმავლობაში, როცა ის დიდი პაპი სიქსტე მეხუთე მეფობდა, რომელზედაც, ისევე როგორც იმპერატორ აგვისტოზე, ითქვა, რომ უმჯობესი იყო იგი ან სულ არ მოსულიყო ამ ქვეყნათ, ან მუდამ აქ დარჩენილიყო. ამ დროს სიკვდილით დასაჯეს უბედური ადამიანები მკვლელობისა ან მოწამლვისათვის, რომელიც უკვე ათი წელიწადია დავიწყებული იყო, მაგრამ მის ჩამდენელს აღსარებაში გამხელილი ჰქონდა კარდინალ მონტალტოსა, მერმინდელ სიქსტე მეხუთესთვის.

განსაკუთრებით გრიგოლ მეცამეტის დროს დაიწყეს ლაპარაკი ფრანჩესკო ჩენჩის შესახებ; მან შეირთო დიდი შეძლების პატრონი ქალი, რომელიც სხვაფრივათაც შეეფერებოდა ესოდენ სახელოვანს დარბაისულს; იგი უკვე შვიდი შვილის დედა იყო, როცა გარდაიცვალა. ცოტა

ხნის შემდეგ ფრანჩესკო ჩენჩიმ მეორე ცოლი შეირთო, ლუკრეცია პეტრონი, იშვიათი სილამაზის ქალი. განსაკუთრებით სახელგანთქმული თავისი ბრწყინვალე თეთრი კანის ფერით, მაგრამ ცოტაოდნ სრუოტანიანი, რაიცა საერთო ნაკლია ჩვენი რომაელი ქალებისა. ლუკრეციისაგან მას არ ჰყოლია ბავშვები.

უმცირესი ნაკლი, რომელიც შეიძლებოდა ფრანჩესკო ჩენჩისთვის დაგვეყვედრებია იყო მისი მიდრეკილება სამარცხვინო სიყვარულისადმი; ხოლო მისა უდიდესი ბიწიერება ურწმუნოება იყო. არავის არ უნახავს, რომ იგი ოდესმე ეკკლესიაში შესულიყო. სამჯერ ციხეში იქმნა ჩასმული თავისი ბილწი სიყვარულისთვის, მაგრამ თავი დაიხსნა ორასი ათასი პიასტრის შემწეობით, რომელიც ქრთამათ მისცა პაპების გავლენიან ხელისუფალთ.

როცა მე ფრანჩესკო ჩენჩი პირველათ დავინახე, მას უკვე შევერცხლილი თმა ჰქონდა. ეს იყო პაპი ბუონკომპანის მეფობაში, როცა ყოველივე ნებადართული იყო გამბედავი ადამიანისთვის. იგი დაახლოებით ხუთი წლისა და ოთხი გოჯის სიმაღლისა იყო, ახოვანი შეხედულება ჰქონდა, თუმცა მეტათ გამხდარი იყო. ამბობდნენ, რომ არაჩვეულებრივათ ღონიერიაო, შეიძლება თვითონ ავრცელებდა ამ ხმას; დიდი და მეტყველი თვალები ჰქონდა, მაგრამ ზედა ქუთუთო ცოტათი გამობერილი იყო; დიდი, კეხიანი ცხვირი ჰქონდა, თხელი ტუჩები და მომხიბლავი ღიმილი. ეს ღიმილი შემადრწუნებელი ხდებოდა, როცა ფრანჩესკო ჩენჩი რომელიმე თავის მტერს ჩააცქერდებოდა. ცოტაოდენი აღელვება, ან გაღიზიანება იყო საკმაო, რომ იგი აცახცახებულიყო. ჩემს ახალგაზრდობაში, პაპი ბუონკომპანის დროს, გზათ შევხვდი, როცა ცხენით რომიდან ნეაპოლში მიდიოდა, უეჭველათ რომელიმე თავისი საყვარელი ქალის სანახავათ; იგი მიდიოდა სან ჯერმანოს და ფაჯიოლას ტყის ბილიკით და სრულიათ არ უფრთხობდა ავაზაკებს: ამბობდნენ, რომ ამ გზის გავლას ოც საათსაც კი არ ანდომებსო. მუდმივ მარტო მოგზაურობდა, წინასწარ არავის არ აფრთხილებდა; როცა მისი პირველი ცხენი დაიღლებოდა, მეორეს ყიდულობდა ან იტა-

ცებდა. სულ ცოტაოდენი მიზეზი იყო საკმაო, რომ ადამიანისთვის მახვილი ჩაეცა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩემს ახალგაზრდობაში, ე. ი. როცა იგი ორმოცდარვა თუ ორმოცდაათი წლისა იყო, ვერავინ ვერ გაუბედავდა წინააღმდეგობის გაწევას. მისი უდიდესი სიამოვნება მტრის საბრძოლველათ გამოწვევა იყო.

მას კარგათ იცნობდენ მისი უწმინდესობის სამეფოების ყოველს კუთხეში; ხელგაშლილი იყო, მაგრამ ამასთანავე იმდენათ გულჩათხრობილი, რომ არასოდეს შეურაცყოფას არ ივიწყებდა და კარგა ხნის შემდეგ შეურაცხმყოფელს მკვლელს უგზავნიდა შურისსაძიებლათ.

ერთად ერთი კეთილი საქმე, რომელიც მან გააკეთა თავის ხანგრძლივს სიცოცხლეში, იყო ეკკლესიის აშენება წმინდა თომას სახელზე თავისი სასახლის ფართო ეზოში, მდინარე ტიბრის ნაპირას. მაგრამ ეს სათნო მოქმედებაც გამოწვეული იყო ახირებული სურვილით, რომ თვალწინ ჰქონოდა ყველა თავისი ბავშვის სასაფლაო. მას ისინი სძულდა ძლიერი და არაბუნებრივი სიძულვილით, თვით პატარაობის დროს, როცა მათ არაფრით შეეძლოთ მამის წყენა.

აი აქ მინდა ყველა ისინი დავასაფლავო, ეტყოდა იგი ხშირათ მწარე სიცილით მუშებს, რომელთაც ეკკლესიის ასაგებათ ამუშავებდა. სამი უფროსი ვაჟიშვილი, ჯიაკომო, ქრისტეფორე და როხი, სწავლის მისაღებათ ესპანიაში გაგზავნა, სალამანკის უნივერსიტეტში. მაგრამ როცა ისინი ამ შორეულ ქვეყანაში მივიდნენ, მან ვერაგულათ მოუსპო ფულის გზავნა, თითქო მათ წვალებაში რალაც უჩვეულო სიამოვნებას ჰგრძნობდა. მრავალი წერილის მოწერის შემდეგ, რომელნიც უპასუხოთ დარჩნენ, საბრალო ახალგაზრდები იძულებულნი გახდნენ გზა და გზა გროშები ესესხნათ ან ემათხოვრათ და ამ რიგათ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

როცა რომში მივიდნენ, ნახეს რომ მათი მამა კიდევ უფრო პირქუში, მკაცრი და უგულო გამხდარიყო, ვიდრე ოდესმე იყო და უსაზღვრო სიმდიდრის მიუხედავათ არც ტანსაცმელის მიცემა სურდა მათთვის და არც ფუ-

ლისა, რომელიც საჭირო იყო სრულიათ უბრალო საზრ-
დოს საყიდლათ. ეს უბედურები იძულებულნი გახდნენ
პაპისტვის მიემართათ, რომელმაც აიძულა ფრანჩესკო
ჩენჩი შვილებისთვის პატარა ულუფა დაენიშნა. ამ მცა-
რედი დახმარების მიღებისთანავე ისინი გაშორდნენ მას.

ჩქარა ამის შემდეგ ფრანჩესკო ჩენჩი უხამსი სიყვარუ-
ლის გულისთვის მესამეთ და უკანასკნელათ ჩასვეს ცუ-
ხეში. ამ შემთხვევის გამო სამივე ძმამ აუდიენცია სთხოვა
ჩვენს წმინდა მამას, სვებედნიერათ მსუფვე პაპს და შეე-
ვედრენ სიკვდილით დაესაჯა მათი მამა ფრანჩესკო ჩენ-
ჩი, რომელიც მათი სიტყვით არცხვენდა მათს ოჯახს.
კლემენტი მერვეს მართლაც სურდა მისი მოკვდინება, მა-
გრამ არ განახორციელა თავისი პირვანდელი განზრახვა,
რათა არ დაეკმაყოფილებია ამ გადაგვარებული შვილების
თხოვნა და ისინი სამარცხვინოთ გარეკა დარბაზიდან.

როგორც ზემოთ ვსთქვით, მამა ციხიდან გამოვიდა დი-
დი თანხის შემწეობით, რომელიც ერთ ერთ გავლენიან
პირს მისცა. ადვილი გასაგებია, რომ უფროსი ვაჟების
უცნაურმა ქცევამ კიდევ უფრო გააძლიერა მისი სიძულ-
ვილი შვილებისადმი. იგი მათ სწყევლიდა ყოველ ფეხის
გადადგმაზე, ხოლო ორს საბრალო ქალს, რომელნიც
მასთან ცხოვრობდნენ სასახლეში, ჯოხით სცემდა ყოველ
დღე.

ფხიზელი ზედამხედველობის მიუხედავათ, უფროსმა
ქალმა დიდის გაჭირვებით მოახერხა თხოვნა მიერთმია პა-
პისტვის; იგი ემუდარებოდა მის უწმინდესობას ან გაე-
თხოვებინა ან მონასტერში მოეთავსებინა. კლემენტი მე-
რვეს შეეცოდა უბედური ახალგაზრდა ქალი და კარლო
გაბრიელის მიათხოვა, ერთი უკეთილშობილესი ოჯახის
შვილს გუბიოში; მისმა უწმინდესობამ მამა მისი აიძულა
კარგი მზითვევიც მიეცა.

ამ მოულოდნელმა უსიამოვნებამ დიდათ განარისხა
ფრანჩესკო ჩენჩი და რათა ბეატრიჩესთვის ხელი შეეშალა.
რომ მერმისში უფროსი დის მაგალითისთვის არ წაებაძა,
თავისი უზარმაზარ სასახლის ერთ ერთ დარბაზში ჩაკეტა.
არავის უფლება არ ჰქონდა ბეატრიჩესთან შესულიყო;

ქალი ამ დროს თოთხმეტი წლისა ძლივს იქნებოდა, მაგრამ სავსებით აყვავებული იყო და მთელი თავისი მომხიბლავი მშვენიერებით ბრწყინავდა. ფრანჩესკო ჩენჩის თვით მიჰქონდა მისთვის საჭმელ-სასმელი. საფიქრებელია, რომ ამ ონავარ მხეცს მაშინ შეუყვარდა ბეატრიჩე, ან შეიძლება მოაჩვენა რომ შეყვარებულია, რათა მომაკვდინებელი ტანჯვა-წვალება მიუყენებია თავისი უბედური ქალისთვის. ხშირათ ელაპარაკებოდა უფროსი დის ვერაგ საქციელზე, ბრაზდებოდა თავისივე სიტყვების გაგონებაზე და ბოლოს ჯოხის ცემით ბნუდავდა ბეატრიჩეს.

იმ დროს, როცა ეს ამბები ხდებოდა, მისი შვილი როზ ჩენჩი რომელიღაც მეძებვეს შემოაკვდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ქრისტეფორე ჩენჩიც მოკლულ იქმნა პაოლო კოსრო დემასას მიერ. ამ შემთხვევის გამო მან თავისი ბნელი ურწმუნოება გამოიჩინა და თავისი ორი ვაჟის დასაფლავებაზე ერთი გროშის დახარჯვაც კი არ მოისურვა სანთლისთვის. როცა თავისი ვაჟის ქრისტეფორეს ბედი გაიგო, წამოიძახა, რომ მხოლოდ მაშინ ვიგრძნობ ცოტაოდენ სიხარულს, როდესაც ყველა ჩემი შვილები მიწაში მეყოლებიან და, როგორც კი უკანასკნელი მათგანი მოკვდება, ბედნიერების ნიშნათ ცეცხლს წავუკიდებ ჩემს სასახლესო. მთელი რომი გაკვირვებული იყო ამ სიტყვებით, მაგრამ ყოველივე მოსალოდნელი იყო ამ ადამიანისაგან, რომელიც სასახელოთ სთვლიდა, რომ უდიერათ ეპყრობოდა არა მარტო მთელს ქვეყანას, არამედ თვით პაპსაც.

(აქ სრულიათ შეუძლებელია რომ მივყვეთ რომაელი მემატეიანის ბნელ მოთხრობას, სადაც გადმოცემულია უცნაური ამბები, რომელთა შემწეობით ფრანჩესკო ჩენჩი აოცებდა თავის თანამედროვეებს. როგორც სჩანს, მისი ცოლი და მისი უბედური ქალი მისი შემადრწუნებელი აზრების მსხვერპლნი გახდნენ).

მაგრამ ეს ყოველივე მან როდი იკმარა; იგი შეეცადა მუქარითა და ძალმომრეობით პატივი აეხადა თავისი საკუთარი ქალის ბეატრიჩესთვის, რომელიც უკვე მომწიფებული და მშვენიერი იყო; სრულიად გატიტვლებული ურ-

ცხვად წვებოდა მის ლოგინში; ან ტიტველივე მასთან ერთად დასეირნობდა თავისი სასახლის დარბაზებში; შემდეგ თავისი ცოლის დასაძინებულ ოთახში შეჰყავდა, რათა საბრალო ლუკრეციას სანათურების შუქზე დაენახა, რას უშვებოდა ბეატრიჩეს.

იგი სცდილობდა ამ საცოდავი ქალისთვის ჩაეგონებია ძემადრწუნებელი მწვალებლური აზრი, რომლის გადმოცემას აქ ძლივს ვბედავ, რომ როცა მამა საკუთარ ქალს შეუუღლდება, მათი შვილები აუცილებლათ წმინდანები იქნებიან და ყველა დიდი წმინდანი, რომელსაც ეკლესია იხსენიებს, ამ რიგათ გაჩნდა ე. ი. მისი პაპა დედით მისივე მამა იყო.

როცა ბეატრიჩე წინააღმდეგობას უწევდა მის შეჩვენებულ სურვილებს, იგი მას ჯოხის ცემით აოსებდა, ისე რომ ბედშავმა ქალმა ველარ აიტანა ასეთი უბედური ცხოვრება და გადასწყვიტა თავისი დის მაგალითისთვის წაებადა. მან ჩვენს წმინდა მამას, პაპს თხოვნა წარუდგინა და თავისი ბედი დაწვრილებით აუწერა; მაგრამ ალბათ ფრანჩესკო ჩენჩის წინასწარი ზომები მიეღო, მიტომ რომ ფრანგორც სჩანს, ამ თხოვნას არ მიუღწევია მისი უწმინდესობის ხელამდე: ყოველს შემთხვევაში შეუძლებელი გახდა მისი აღმოჩენა არძების სამდივნოში, როცა ბეატრიჩეს სატუსალოში ყოფნის დროს მის დამცველს დიდათ დასჭირდა ეს ქალადი: მას შეეძლო რამდენიმეთ გაეშუქებინა უმაგალითო ძალმომრეობანი, რომელნიც პეტრელლას კოშკში ჩაიდინეს. განა ყველასათვის ცხადი არ იქნებოდა, რომ ბეატრიჩე ჩენჩი კანონიერი თავდაცვის მდგომარეობაში იმყოფებოდა? ეს არცა აგრეთვე ბეატრიჩეს დედინაცვლის — ლუკრეციის სახელითაც იყო დაწერილი.

ფრანჩესკო ჩენჩიმ გაიგო ამ ცდის შესახებ და ადვილი წარმოსადგენია, როგორი სიმკაცრით გააორკეცებდა ორი უბედური ქალის წვალებას.

სიცოცხლე მათთვის სრულიათ აუტანელი გახდა: ისინი დარწმუნდნენ, რომ მათ ვერაფერს უშველიდა იმ ხელმწიფის მართლმსაჯულება, რომლის კარისკაცები მოსყიდულნი იყვნენ ფრანჩესკოს ძვირფასი საჩუქრებით და გა-

დასწყვიტეს უკიდურესი ზომისთვის მიემართათ, რომელ-
მაც თუმცა ორივე ქალი დალუბა, მაგრამ სამაგიეროდ მათ
ტანჯვასაც ბოლო მოუღო ამ ქვეყნად.

უნდა ითქვას, რომ ცნობილი ეპისკოპოსი გუერრა
ხშირათ დადიოდა ჩენჩის სასახლეში; ეს იყო ახოვანი და
მეტათ ლამაზი მამაკაცი; ამას გარდა ბედისაგან საგანგებო
ნიჭი ჰქონდა მიმადლებული, რომ რა საქმისთვისაც არ
უნდა მოეკიდა ხელი, საუცხოვრით დააბოლოვებდა. ფიქ-
რობდენ, რომ მას უყვარდა ბეატრიჩე და აზრათ ჰქონდა
მანტიის გახდა და მისი შერთვა; მაგრამ თუმცა გუერრა
დიდი სიფრთხილით მალავდა თავის განზრახვას, ფრან-
ჩესკო ჩენჩიმ მაინც შეიძულა იგი, რადგან შეატყო, რომ
მეტათ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის შვილებთან.
როცა მისი უსამღვდელოესობა გაიგებდა, რომ ბატონა
ჩენჩი კოშკში არ იმყოფებოდა, საქალებოში ადიოდა და
რამდენიმე საათს მათთან საუბარში და მათი ჩივილის მო-
სმენაში ატარებდა. როგორც სჩანს, პირველათ ბეატრიჩემ
გაბედა უფალ გუერრასათვის გაემჟღავნებია მათ მიერ
მიღებული განზრახვა; ცოტა ხნის შემდეგ იგიც მათი თა-
ნამზრახველი გახდა. ბოლოს ბეატრიჩეს განმეორებითი
თხოვნის შემდეგ, უფალი გუერრა დასთანხმდა ეს უცნა-
ური განზრახვა გაენდო ჯიაკომო ჩენჩისათვის, რომლის
თანხმობის მიუღებლათ შეუძლებელი იყო რაიმეს გაკე-
თება მიტომ, რომ როგორც უფროსი ძმა, იგი ოჯახის
მეთაურათ ითვლებოდა ფრანჩესკოს შემდეგ.

ეს კაცი სრულიათ ადვილათ ჩააბეს შეთქმულობაში;
ჯიაკომოს მამამისი უკიდურესი სისასტიკით ეპყრობო-
და და არავითარ დახმარებას არ უწყევდა, რაიცა მით უფ-
რო საგრძნობი იყო მისთვის, რომ იგი უკვე ცოლიანი და
დაწვრილშვილებული იყო. შესაკრებათ და მოსალაპარა-
კებლათ მისი უსამღვდელოესობის გუერრას ბინა აირ-
ჩიეს. მთელი ეს საქმე წარმოებულ იქმნა სათანადო წესე-
ბის დაცვით. ყოველი წვრილმანისთვის დედინაცვლისა
და ქალის დასტური იქმნა მიღებული. ბოლოს, როცა შე-
თქმულებმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს, მათ ძი-
მართეს ფრანჩესკო ჩენჩის ორ ყმას, რომელნიც დაუნდო-

ბელი სიძულვილით იყვნენ გამსჭვალულნი მის წინააღმდეგ. ერთს მათგანს მარციო ერქვა; ეს იყო გულკეთილი კაცი, მეტათ მოყვარული ფრანჩესკოს უბედური შვილებისა: იგი დასთანხმა მონაწილეობა მიეღო მკვლელობაში და ამ რიგათ ესიამოვნებია მათთვის. მეორე მათგანი, ოლიმპიო, თავად კოლონნას მიერ პეტრელლას ციხისთავათ იყო დანიშნული ნეაპოლის სამეფოში. მაგრამ ფრანჩესკო ჩენჩიმ თავისი დიდი გავლენა გამოიყენა და თავადას გააძევებია იგი.

ყოველივე დაწვრილებით გამოარკვიეს ამ ორ კაცთან. რადგან ფრანჩესკო ჩენჩის განცხადებული ჰქონდა, რომ რომის ცუდი ჰაერის ასაცილებლათ ზაფხულის გატარებას პეტრელლას კოშკში ვაპირებო, აზრი წარმოიშვა, მის მოსაკლავად თორმეტობდე ნეაპოლელი ყაჩაღისთვის მოეყარათ თავი. ოლიმპიომ იკისრა მათი შოვნა. გადასწყდა, რომ მათ პეტრელლას მახლობელ ტყეში დამალავდნენ, შეატყობინებდნენ თუ როდის გაუდგებოდა გზას ფრანჩესკო ჩენჩი, ისინი მას მოიტაცებდნენ და აცნობებდნენ ოჯახს, რომ მხოლოდ დიდი გამოსაყიდი თანხის მიღების შემდეგ გავანთავისუფლებთო. მაშინ შვილები იძულებულნი გახდებოდნენ რომში დაბრუნებულიყვნენ ავაზაკების მიერ მოთხოვნილი ფულის შესაგროვებლათ; ისინი თითქოს ვერ მოახერხებდნენ ამ თანხის დროზე შოვნას და ავაზაკებიც მუქარის თანახმათ მოკლავდნენ ფრანჩესკო ჩენჩის. ამ რიგათ ვერავინ ვერ აიოებდა ეჭვს ვინ იყო ამ მკვლელობის ნამდვილი წამქეზებელი.

მაგრამ როცა ზაფხული დადგა და ფრანჩესკო ჩენჩი რომიდან პეტრელლასკენ გაემგზავრა, ჯაშუშმა გვან გააგებია ეს ამბავი ტყეში დამალულ ყაჩაღებს და მათ ველარ მოასწრეს შარა გზაზე ჩამოსვლა. ჩენჩიმ დაუბრკოლებლივ მიაღწია პეტრელლას კოშკს; ხოლო ყაჩაღებს მოსწყინდათ საეგებისო მსხვერპლის ლოდინი და სხვა ადგილს წავიდნენ საძარცავათ.

ჩენჩი, როგორც გამოცდილი და იჭვიანი მოხუცებული, არასოდეს არ გამოდიოდა ციხიდან. წლების სიმძიმე,

რომელიც მისთვის აუტანელი იყო, კიდევ უფრო აუარესებდა მის უგუნებობას. და იგი აორკეცებდა სიმკაცრეს ორი საბრალო ქალის მიმართ. მას ეგონა, რომ ისინი დასცინოდნენ მის უძლურებას.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ბეატრიხემ ციხის გალავანთან დააძახებინა მარციოსა და ოლიმპიოს. ღამით, როცა მამა მისს ეძინა, იგი მათ ელაპარაკა ქვედა სარკმელიდან და უფალ გუერრას სახელზე დაწერილი წერილები გადაუგდო. ამ წერილების შემწეობით შეიანხმება მოხდა, რომ უფალ გუერრას ათასი პიასტრი უნდა აღეთქვა მარციოსა და ოლიმპიოსათვის, თუ ისინი თვითვე იკისრებდნენ ფრანჩესკო ჩენჩის მოკვლას. ამ თანხის ერთი მესამედი მის უსაღვდელოესობას უნდა გადაეხადა რომში საქმის შესრულებამდე, ხოლო ორი მესამედი ლუკრეციასა და ბეატრიხეს გაულოთ, როცა საქმის მოგვარების შემდეგ ისინი ფრანჩესკო ჩენჩის სკივრს დაეპატრონებოდნენ.

ამას გარდა შეთანხმდნენ, რომ მკვლელობა ღვთისმშობლობას უნდა მომხდარიყო და ამ მიზნით ორივე მამაკაცი დიდის მოხერხებით შეყვანილ იქმნენ ციხეში. მაგრამ ლუკრეცია შეაჩერა ღვთისმშობლის დღესასწაულის პატივისცემამ და მან აიძულა ბეატრიხე ერთი დღით გადაედოთ ეს საქმე, რათა ორმაგი ცოდვა არ ჩაედინათ.

მეორე დღეს, 1598 წლის 9 სექტემბერს საღამოთი დედამ და შვილმა დიდის სიფრთხილით ხაშხაში მისცეს ფრანჩესკო ჩენჩის და ეს ესოდენ ძნელი მოსატყუებელი ადამიანი ღრმა ძილს მიეცა.

შეალამისას ბეატრიხემ თვით შეიყვანა მარციო და ოლიმპიო კოშკში; შემდეგ ლუკრეცია და ბეატრიხე მათ აძინარე მოხუცის ოთახში შეუძღვნენ. იქ მამაკაცები დარჩნენ, რათა საქმე მოეთავებიათ, ხოლო დედაკაცები მუზობელ ოთახში გავიდნენ დასაცდელათ. უცებ მათ დაინახეს, რომ მამაკაცები მათთან შევარდნენ გაფითრებულნი და გონება დაბნეულნი.

— რა აშბავია? წამოიძახეს ქალებმა.

— განა სიმდაბლე და სირცხვილი არ არის უმწეო მძინარე მოხუცის მოკვლა? უპასუხეს მათ:—სიბრაალულმა ხელი მოგვკვეთა.

ამ თავის მართლების გაგონებაზე ბეატრიჩე აღშფოთდა და მათი ლანძღვა დაიწყო:

— განა თქვენ მამაკაცები გქვიათ, რომ ამდენ ხანს ემზადეთ და ახლა მძინარე კაცის მოკვლა ვერ გაგიბუდავთ? *) კიდევ უფრო შეშინდებოდით ფხიზელისთვის რომ შეგეხედათ პირისპირ! და ამისთვის გინდათ ფული მიიღოთ? კარგი, რაკი თქვენ ესოდენ მხდალნი ყოფილხართ, მე თვითონ მოვკლავ მამაჩემს; მაგრამ იცოდეთ, ვერც თქვენ იცოცხლებთ დიდხანს!

მკვლელები აანთო ამ ორიოდე მჭექარე სიტყვამ, ამას გარდა მათ შეეშინდათ, რომ დაპირებულ საფასურს შეუძცივებდნენ და მუდგრათ შევიდნენ ოთახში, სადაც ქალებიც შეჰყვნენ. ერთს მკვლელთაგანს ხელში დიდი ლურსმანი ეჭირა, თვალზე დაუმიზნა მძინარე მოხუცს; მეორემ ჩაქუჩით თავში ჩაურჭო ეს ლურსმანი. მეორე ლურსმანი ყელში ჩაურჭვეს, და ამ რიგათ ეს უბედური სული, რომელიც ამდენი ცოდვით იყო დამძიმებული, ეშმაკებმა გაიტაცეს; სხეულმა ფართხალი დაიწყო, მაგრამ ამაო.

საქმის გათავების შემდეგ ახალგაზრდა ქალმა ოლიმპიოს დიდი ქისა აჩუქა ვერცხლით სავსე, ხოლო მარციოს ოქრომკედით მოქარგული შალის წამოსასხამი, რომელიც მამა მისს ეკუთვნოდა; შემდეგ ორივენი გაისტუმრა.

როცა ქალები მარტოთ დარჩნენ, ცხედარს თავიდან და ყელიდან ამოაძრეს ლურსმები; შემდეგ გვამი შალის საბანში გაახვიეს და აივანზე გაათრიეს, რომელიც მიტოვებულ ბალისკენ გადიოდა. აქედან ანწლში გადააგდეს, რომელიც მრავლათ იზრდებოდა ამ განმარტოებულ ადგილას. რადგან ამ პატარა აივნის კუთხეში ფეხისალაგი იყო, იმათ იმედი ჰქონდათ, რომ როცა მეორე დღეს ანწლში მოხუცის გვამს ნახავდნენ, იფიქრებდნენ ფეხის-

*) ეს ყოველივე დადასტურებულ იქმნა პროცესში.

ალაგში შესვლის დროს ფეხი დასცოდომია და ძირს ჩავარდნილაო.

მართლაც ასე მოხდა. როცა დილით გვამი ნახეს, ციხეში დიდი ხმაურობა ასტყდა; ქალებმაც ხმა მალლა გამოიტირეს მამისა და ქმრის ესოდენ სამწუხარო სიკვდილი. მაგრამ, თუმცა ბეატრიჩეს შეურაცყოფილი ქალწულის გამბედაობა ჰქონდა, იგი მოკლებული იყო ცხოვრების გამოცდილებას: დილითვე მან ციხის მრეცხავ ქალს სისხლით გასვრილი შალის საბანი მისცა და უთხრა, ნურაფერი გაგიკვირდება, რადგან მთელი ღამე სისხლი მდიოდაო. ამ რიგათ ერთხანათ ყოველივე მოწესრიგდა.

ფრანჩესკო ჩენჩი დიდებულათ დაასაფლავეს, ხოლო ქალები რომში დაბრუნდნენ, რათა ის სიმშვიდე ეგემნათ, რომელიც დიდი ხანია ამათ სწადდათ. მათ ეგონათ, საბოლოო ბედნიერებას მივალწიეთო მიტომ რომ არ იცოდნენ რა ხდებოდა ნეაპოლში.

ღვთის მართლმსაჯულებამ, რომელსაც არ სურდა ესოდენ საშინელი მკვლელობა დაუსჯელი დარჩენილიყო, ინება, რომ როგორც კი ამ სატახტო ქალაქში გაიგეს, რაც პეტრელლას ციხეში მოხდა, მაშინვე მსაჯულთ უხუცესმა სამეფო კომისარი გაგზავნა გვამის სახსავათ და საეჭვო პირების დასაპატიმრებლათ.

სამეფო კომისარმა დააპატიმრა ყველანი, ვინც ციხეში ცხოვრობდნენ. მთელი ეს ხალხი ნეაპოლში წაიყვანეს შებოჭილი; მაგრამ მათს ჩვენებაში არაფერი აღმოჩნდა საეჭვო, მხოლოდ მრეცხავმა ქალმა სთქვა, ბეატრიჩესაგან გასისხლიანებული შალი მივიღეო. მას ჰკითხეს, შეეცადა თუ არა ბეატრიჩე აეხსნა, რათ იყო შალზე ამოდენა სისხლის კვალიო; დედაკაცმა უპასუხა, ბეატრიჩემ ეს ბუნებრივ ავადმყოფობას მიაწერაო. შემდეგ ჰკითხეს, შეიძლება თუ არა ამდენი სისხლი ამგვარი ავადმყოფობათ ყოფილიყო გამოწვეულიო; დედაკაცმა უპასუხა, არა, ეს შეუძლებელია და ამას გარდა საბანზე დაქცეული სისხლი მეტათ ღია ფერისა იყოო.

ეს ცნობები მაშინვე რომის სამსჯავროს გადუგზავნეს, მაგრამ რამდენიმე თვე გავიდა, სანამ აქ ფრანჩესკო ჩენ-

ჩის შვილების დატუსაღებას იფიქრებდნენ. ლუკრეციას, ბეატრიჩეს და ჯიაკომოს შეეძლოთ ათასჯერ დაეღწიათ თავი, ან ფლორენციაში წასულიყვნენ, ვითომდა სალოცავათ, ან ჩივიტა ვეჩიაში ხომალდში ჩამსხდარიყვნენ; მაგრამ ღმერთმა მათ არ შთააგონა ასეთი მხსნელი აზრი.

როცა მისმა უსამღვდელოესობამ გუერრამ გაიგო, რა ხდებოდა ნეაპოლში, მაშინვე შესაფერი ადამიანები მონახა მარციოსა და ოლიმპიოს მოსაკლავათ; მაგრამ მხოლოდ ოლიმპოს მოკვლა მოახერხეს ტერნიში. ნეაპოლის სამსჯავრომ დააპატიმრებია მარციო, რომელიც მაშინვე ყველაფერში გამოტყდა.

ეს გამანადგურებელი ჩვენება საჩქაროდ რომის სამსჯავროს გადაეცა, რომელმაც ბოლოს გადასწყვიტა დაეჭირა და კორტე საველლას სატუსაღოში მოეთავსებია ფრანჩესკო ჩენჩის ვაჟი შვილები, ჯიაკომო და ბერნარდო და მისი ქვრივი ლუკრეცია.

ბეატრიჩე მამა მისის სასახლეში დასტოვეს და მოისართა რაზმი დაუყენეს მცველათ. მარციოც ნეაპოლიდან გადძოიყვანეს და საველას სატუსაღოში მოათავსეს; აქ იგი პირის პირ წაუყენეს ორივე ქალს, რომელნიც ყოველივეს დაჟინებით უარჰყოფდნენ; კერძოთ ბეატრიჩეს არ უნდოდა ეცნო მოვარაყული წამოსასხამი, რომელიც მან მარციოს აჩუქა. მსაჯულის მიერ დაკითხვის დროს ეს ავაზაკი გაიმსჭვალა აღფრთოვანებით ახალგაზრდა ქალის მომხიბლავი სილამაზისა და გასაოცარი მჭერმეტყველებისადმი და უარჰყო ყოველივე, რაშიც ნეაპოლში გამოტყდა. იგი ტანჯვის განსაცდელში მისცეს, მაგრამ მაინც არაფერში გამოტყდა, ამჯობინა წამებით მომკვდარიყო; ეს იყო სამართლიანი პატივისცემა ბეატრიჩეს სილამაზისა!

ამ კაცის სიკვდილის შემდეგ, ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო, მოსამართლეებმა იფიქრეს, რომ მათ საკმაო საბუთი არ ჰქონდათ ეწამებიათ ჩენჩის ორი ვაჟი-შვილი ან მისი ცოლი და ქალი. ოთხივენი წმინდა ანგელოზის ციხეში გადაიყვანეს, სადაც მათ რამდენიმე თვე შეუშფოთებლათ გაატარეს.

თითქო ქარიშხალმა განვლო და რომში არავის ექვა არ ჰქონდა, რომ ამ მშვენიერს და გამბედავს ახალგაზრდა ქალს, რომელმაც ასეთი ცხოველი ყურადღება გამოიწვია, ჩქარა გაანთავისუფლებდნენ, როცა საუბედუროთ მართლ-მსაჯულებას ხელში ჩაუვარდა ის ყაჩაღი, რომელმაც ტერნიში ოლიმპიო მოჰკლა; რომში მოყვანისთანავე მან ყოველივე აღიარა.

მის უსამღვდელოესობას, რომელიც შებლალულ იქმნა ამ ავაზაკის ჩვენებით, წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო სამსჯავროს წინაშე; უეჭველი სატუსალო, შეიძლება სიკვდილიც ელოდა. მაგრამ ამ საოცარმა ადამიანმა, რომელსაც ბედმა ყოვლის შემძლებლობა მიანიჭა, თავი გადაირჩინა ისე, რომ ადამიანს სასწაულმოქმედება ეგონება. იგი ულამაზეს მამაკაცათ ითვლებოდა პაპის კარზე და ისე კარგათ იყო ცნობილი მთელს რომში, რომ დამალვის იმედი ვერ ექნებოდა; ამას გარდა ქალაქის კარებზე მცველები იდგა, შეიძლება მის სახლსაც სდარაჯობდნენ სასამართლოში გაწვევის შემდეგ. საცოდნარია ისიც, რომ უფალს გუერრას მაღალი ტანი, სრულიად თეთრი პირისახე, მოხდენილი ქერა წვერი და იმავე ფერის საუცხოვო თმა ჰქონდა.

იმ წუთშივე ერთი მენახშირე იშოვა, ტანისამოსი გამოართვა, თავი და წვერი გაიპარსა, სახე შეიღება, ორი სახედარი იყიდა და დაიწყო რომის ქუჩებში კოჭლობით სიარული და ნახშირის გაყიდვა. მან საუცხოვოთ შეითვისა ტლანქი და ბრიყვული სახის გამომეტყველება და მთელი ქალაქი შემოიარა შავი პურით და ნივრის ჭამით, იმ დროს, როცა მოისართა რამდენიმე ასეული მას ეძებდა არა მარტო რომში, არამედ ყველა გზებსა და ბილიკებზე. ბოლოს, როცა ქალაქის მცველები მის გარეგნობას შეეჩვივნენ, გაბედა რომიდან გასულიყო, ისე, რომ ნახშირით დატვირთული სახედრები წინ მიუძლოდნენ. გზათ მოისართა რამდენიმე რაზმი შეხვდა, მათ არც კი უფიქრიათ მისი გაჩერება. ამის შემდეგ მან მხოლოდ ერთი წერილი გამოგზავნა; დედამისმა ფული მიაწოდა მარსელში; ამბობდნენ, საფრანგეთში იბრძვის როგორც ჯარისკაცი.

ტერნიელი მკვლელის აღსარებამ და მისი უსამღვდელოესობის გუერრას გაქცევამ დიდი გაოცება გამოიწვია რომში და იმდენათ გააღვივა და დაასაბუთა ეჭვი ჩენჩების წინააღმდეგ, რომ ისინი წმინდა ანგელოზის კოშკიდან საველლას სატუსალოში გადაიყვანეს.

როცა ორავე ძმა წამების განსაცდელში მისცეს, მათ სრულიად ვერ გამოიჩინეს ყაჩაღი მარციოს სულდიდობა; პირიქით ყოველივეში გამოტყდნენ. ქალბატონმა ლუკრეცია პეტრონიმ, როგორც განებივრებულმა, ფუფუნებაა შეჩვეულმა და ამასთანავე სრული ტანის მანდილოსანმა, ვერ გაუძლო „თოკით დაკითხვას“; ყოველივე სთქვა, რაც კი იცოდა.

მაგრამ ასევე როდი მოიქცა ბეატრიჩე ჩენჩი, ეს სიცოცხლით და მხნეობით აღსავსე ახალგაზრდა ქალი. მსაჯულმა მოსკატიმ ვერც კეთილი სიტყვებით გააწყო რამე და ვერც მუქარით. მან თოკის განსაცდელი ვაჟკაცურათ აიტანა, ერთი წუთითაც არ შეცვლილა სახეზე. მსაჯულმა ვერა გზით ისეთი პასუხი ვერ გამოსტყუა, რომელიც მას ოდნავ მაინც შებლაღავდა; კიდევ მეტს ვიტყვით, თავისი გონებამახვილობით ქალმა სრულიად დააბნია მსაჯული, რომელსაც მისი გამოკითხვა ჰქონდა დაკისრებულნი, ცნობილი ულისე მოსკატი. იგი იმდენათ გაოცებული იყო ამ ახალგაზრდა ქალის ყოფაქცევით, რომ საჭიროთ დაინახა ყოველივე მოეხსენებია მისი უწმინდესობის აწ სვებედნიერათ მსუფვევი პაპი კლემენტი მერვისთვის.

მისმა უწმინდესობამ კეთილ ინება სასამართლოს საქმეების მიღება და შესწავლა. მას შეეშინდა, რომ მსაჯული ულისე მოსკატი, რომელიც ესოდენ ცნობილი იყო ღონა ცოდნით და უაღრესი გონებრივი გამჭრიახობით, მოხიბლული არ ყოფილიყო ბეატრიჩეს სილამაზით და ამიტომ ღმობიერება არ გამოეჩინა დაკითხვის დროს. ამით აიხსნება, რომ მისმა უწმინდესობამ მას წაართვა ამ პროცესის ხელმძღვანელობა და უფრო მკაცრ მსაჯულს გადასცა. მართლაც ამ ბარბაროსმა გამბედაობა იქონია შეუბრალებლათ ეწამებია ეს მშვენიერი სხეული ad torturum capi-

llorum (ე. ი. დაკითხვის დროს ბეატრიჩე თმით იყო ჩამოკიდებული). აქ ხელნაწერში ისეთი რამეებია აწერილი, რომ ანამედროვე ადამიანის მგრძობიარობა მის წაკითხვასაც ვერ გაუძლებს, თექვსმეტი წლის რომაელმა ქალმა კი, რომელიც საყვარელი კაცის მიერაც იყო მიტოვებული, ყოველივე მხნეთ აიტანა).

იმ დროს, როცა იგი თოკზე იყო ჩამოკიდებული, ამ ახალმა მსაჯულმა მისი დედინაცვალი და ძმები მოაყვანია. დანახვისთანავე ჯიაკომომ და ქალბატონმა ლუკრეციამ შესძახეს:

— ცოდვა ჩადენილია: უნდა მოვინანიოთ, ხოლო ხორცი არ უნდა ვაგლეჯიოთ ამო ჯიუტობით.

— მაშ თქვენ გინდათ ჩვენი ოჯახი შეარცხვინოთ და უპატიოთ მოკვდეთ? უპასუხა ახალგაზრდა ქალმა.— დიდათ შემცდარი ხართ, მაგრამ დაე ასე იყოს, რადგან ასეთია თქვენი სურვილი.

შემდეგ მოისაროთ მიუბრუნდა:

— ჩამომხსენით; წამიკითხონ დედა ჩემის ჩვენება, მე დავადასტურებ, რაც დასადასტურებელია და უარვყოფ, რაც უარსაყოფელია.

ჩამომხსნეს და მან აღიარა ყოველივე, რაც მართალი იყო. მაშინვე ყველას ბორკილები აჰყარეს; რადგან ხუთი თვე იყო გასული, რაც ბეატრიჩეს ძმები არ ენახა, მან მოისურვა მათთან ერთად კერძის მიღება: ამ რიგათ ოთხივემ საკმაოთ მხიარული დღე გაატარეს.

მაგრამ მეორე დღეს ისინი ხელახლა გასთიშეს; ორივე ძმა ტორდინონას სატუსალოში გადაიყვანეს, ხოლო ქალები საველლას სატუსალოში დარჩნენ. როცა ჩვენმა წმინდა მამამ პაპმა მათი ჩვენების ოქმები წაკითხა, ბრძანა დაუყოვნებლივ ოთხივე გაუხედნელი ცხენების კუდებზე მიეხათ და ისე დაეხრცათ.

მთელი რომი ათრთოლდა, როცა ეს მკაცრი განაჩენი გაიგო. მრავალი კარდინალი და თავადისშვილი წავიდა პაპის წინაშე მუხლის მოსაყრელათ და სათხოვნელათ, რომ ამ უბედურთათვის თავდაცვის ნება მიეცათ.

— განა მათ თავიანთ მოხუც მამას კი მისცეს დრო თავდაცვისთვის? უპასუხა აღშფოთებულმა პაპმა.

ბოლოს, საგანგებო მოწყალების სახით, მან კეთილ-
ინება მათთვის ოცდახუთი დღის ვადა მიეცა. მაშინვე რომის
პირველმა ადვოკატებმა წერა დაიწყეს ამ პროცესის-
თვის, რომელმაც მთელი ქალაქი აავსო ძრწოლითა და სი-
ბრალულით. მეოცდახუთე დღეს ყველანი მისი უწმინდე-
სობის წინაშე წარსდგნენ. პირველათ ნიკოლო დეანგალის-
მა დაიწყო, მაგრამ ორი სტრიქონის წაკითხვაც ვერ მოას-
წრო თავისი დამცველი სიტყვიდან, რომ კლემენტი მე-
რვემ შეაწყვეტია:

— მაშასადამე რომში მოიპოვებიან ადამიანებიც, რომელნიც თავიანთ მამას ჰკლავენ და ადვოკატებიც, რომელნიც ამ ადამიანებს იცავენ!

ყველანი დადუმებულნი იყვნენ, როცა სახელოვანმა ფარინაჩიმ გაბედა ხმის ამალღება:

— ყოვლათ წმინდა მამაო, სთქვა მან: ჩვენ აქ მოვედით არა დანაშაულის დასაფარავათ, არამედ შეძლებისამებრ იმის დასამტკიცებლათ, რომ ყველანი დამნაშავენი არ არიან ამ საქმეში.

პაპმა ანიშნა ილაპარაკეო და ფარინაჩიმ სამ საათზე მეტი ილაპარაკა; შემდეგ მისმა უწმინდესობამ ადვოკატებს მათი ნაწერები ჩამოართვა, ხოლო ისინი შინ გაისტუმრა.

ალტიერი სხვებს ჩამორჩა; მას უწინოდა პაპის გულისწყრომისა, მუხლი მოიდრიკა და უთხრა: — რადგან უბედურთა და ტვირთმძიმეთა დამცველი ვარ, არ შემიძლო უარო შეთქვა ამ საქმეში მონაწილეობის მიღებაზე.

პაპმაუ თხრა: — ჩვენ გვაკვირვებს არა თქვენი, არამედ დანარჩენთა მოქმედება.

პაპმა არ ისურვა დასაძინებლათ დაწოლა და მთელი ღამე ადვოკატების ნაწერების კითხვაში გაატარა. მუშაობაში წმინდა მარხელოს კარდინალი მოიშველა; მისი უწმინდესობა იმდენათ გულაჩუყებული იყო, რომ ბევრს იმედი მიეცა. ვაჟების გადასარჩენათ ადვოკატებმა მთელი დანაშაული ბეატრიჩეს დააკისრეს. რადგან პროცესში დამტკიცდა, რომ მრავალჯერ მამამისმა ძალმომრეობა იმ-მარა ბოროტის განზრახვით, დამცველებს იმედი ჰქონდათ,

ქალს აპატიებდნენ მკვლელობას, როგორც კანონიერი თავდაცვის მდგომარეობაში მყოფს ადამიანსო. ხოლო თუ დანაშაულის მთავარ ჩამდენელს სიცოცხლეს აჩუქებდნენ, როგორ დასჯიდნენ სიკვდილით ძმებს, რომელნიც მის მიერ იყო შეცდენილი?

ამ ღამის შემდეგ, რომელიც კლემენტი მერვემ მსაჯულის მოვალეობის მოსახდელათ მოიხმარა, მან ბრძანა, ბრალდებულნი სატუსაღოში დაებრუნებიათ და ფარულ საკანში მოეთავსებიათ. ამ გარემოებამ დიდი იმედი გამოიწვია ქალაქში, რომელიც მთელს ამ საქმეში მხოლოდ ბეატრიჩეს ხედავდა. გამორკვეული იყო, რომ მას თუმცა უყვარდა მისი უსამღვდელოესობა გუერრა, მაგრამ არასოდეს არ შეულახავს უმკაცრესი სათნოების კანონები: მაშასადამე შეუძლებელი იყო მისთვის მართლმსაჯულებას მხეცური ბოროტმოქმედება დაებრალეხა, მისი დასჯა შეიძლებოდა მხოლოდ იმისთვის, რომ თავდაცვის უფლება გამოიყენა. რას უზამდნენ, რომ ქალი მამის ზრახვებს დამორჩილებოდა? განა ადამიანის მართლმსაჯულებას კიდევ უფრო უნდა გაედიდებია ამ არსების უბედურება, რომელიც ესოდენ საყვარელი, სიბრალულის ღირსი და დაჩაგრული იყო? სევდიანი ცხოვრების შემდეგ, რომელმაც მას თავს ყოველგვარი უბედურება დაატეხა სანამ თექვსმეტი წელი შეუსრულდებოდა, ნუ თუ ბოლოს უფლება არ ჰქონდა ნაკლებ საშინელი დღეები ეგემნა? თითქო ყოველი ადამიანი რომში მის დამცველათ იყო მოწოდებული. განა ეს ქალი გამართლებული არ იქნებოდა, რომ პირველათვე, როცა ფრანჩესკო ჩენჩიმ დანაშაულის ჩადენა განიზრახა, მას იგი მახვილით გაეგმირა?

პაპი კლემენტი მერვე გულკეთილი და მოწყალე იყო. იმედი მოგვეცა მას ცოტათი არ იყოს შერცხვებოდა იმ სიცხარისა, რომელიც ადვოკატების სიტყვების მოსმენის დროს გამოიჩინა და აპატიებდა იმას, ვინც ძალა ძალით მოიგერია, მართალია არაპირველი ბოროტმოქმედების დროს, მაგრამ როცა ხელახლა მის ჩადენას აპირებდნენ. მთელი რომი აღელვებული იყო განაჩენის მოლოდინში, როცა პაპმა ცნობა მიიღო, ძალდატანებით მოჰ-

კლეს კეთილშობილი მანდილოსანი კონსტანცია სანტა კროჩეო. მისმა შვილმა პაოლო სანტა კროჩემ მახვილით განგმირა ეს სამოცი წლის მოხუცი ქალი, მიტომ, რომ მას არ უნდოდა იგი მთელი თავისი ქონების მემკვიდრეთ დაენიშნა. მოხსენებაში ნათქვამი იყო, სანტა კროჩე გაიქცა და იმედი არ არის მისი დაჭერისაო. პაპს აგრეთვე გაახსენდა მასსინის მიერ ჩადენილი ძმის მკვლელობა, რომელიც ცოტა ხნის წინათ მოხდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ახლო ნათესავების ასეთი ხშირი მკვლელობის შემთხვევით, მისმა უწმინდესობამ გადასწყვიტა, რომ ნება არ ჰქონდა შეწყალებისა. იმ საბედისწერო მოხსენების მიღების დროს, რომელიც სანტა კროჩეს შეეხებოდა, პაპი მონტე კავალლოს სასახლეში იმყოფებოდა; აქ იგი ექვს სექტემბერს მივიდა, რათა მეორე დღის ცისკარისთვის ახლო ყოფილიყო ანგელოზთა წმინდა მარიაშის ეკლესიასთან, სადაც მას ერთი გერმანელი კარდინალი უნდა ეკურთხებია.

პარასკევს 22 საათზე (სალამოს 4 საათზე) მან დაახებია რომის მმართველის, ფერანტე ტავერნასთვის და საკუთარი პირით ეს სიტყვები გადასცა:

— განდობთ ჩუნი საქმეს, რათა სამართლის აღსრულებისთვის იზრუნოთ დაუყოვნებლივ.

მმართველი თავის სასახლეში დაბრუნდა დიდათ აღელვებული ახლათ მიღებული ბრძანების გამო; მაშინვე სიკვდილის განაჩენი გამოიტანა და კონგრეგაცია შეჰკრიბა სასჯელის სახის დასაწყესებლათ.

შაბათ დილით, 1599 წლის 11 სექტემბერს, რომის უპირველესი დიდებულნი, „ნუგეშის მცემელთა ძმობის“ წევრნი, მივიდნენ კორტა საველლას სატუსალოში, სადაც ბეატრიჩე და მისი დედინაცვალი იყვნენ მოთავსებულნი და ტორდინონას სატუსალოში, სადაც ჯიაკომო და ბერნარდო ჩენჩი იმყოფებოდნენ. მთელი ღამის განმავლობაში პარასკევიდან შაბათამდე რომაელი დიდებულნი, რომელთაც იცოდნენ რაც ხდებოდა, სხვას არაფერს შვრებოდნენ გარდა იმისა, რომ დარბოდნენ მონტე კავალლოს სასახლიდან უმთავრესი კარდინალების სასახლეებში, რათა

გამოეთხოვათ, რომ ქალები მაინც სატუსაღოში დაესა-
ჯათ და არა სამარცხვინო ემაფოტზე და აგრეთვე შეე-
წყალებიან ახალგაზრდა ბერნარდო ჩენჩი, რომელიც
თხუთმეტი წლისაც კი არ იყო და შეთქმულებაში ვერ იქ-
ნებოდა განდობილი. ამ საბედისწერო ღამეს განსაკუთრე-
ბული გულმოდგინეობა გამოიჩინა კეთილშობილმა კარ-
დინალმა სფორცამ, მაგრამ თუმცა იგი დიდათ გავლენი-
ანი თავადი იყო, მაინც ვერაფერს გახდა.

იმ დროს, როცა უძლიერესი კარდინალები ასეთ უნა-
ყოფო ნაბიჯებს სდგამდნენ, ჩვენმა დიდმა იურისტკონ-
სულტმა, ფარინაჩჩიმ იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ
პაპთან შეიჭრა; მისი უწმინდესობის წინაშე წარსდგომის-
თანვე ამ გასაოცარმა ადამიანმა მოახერხა მის სინდისზე
ზეგავლენის მოხდენა და ბოლოს თავი იმდენათ მოაწყინა,
რომ ძალით გამოგლიჯა ბერნარდო ჩენჩის სიცოცხლე.

როცა პაპმა ეს დიდი შეწყალების სიტყვა წარმოსთქვა
დილის ოთხი საათი იქნებოდა (შაბათი, თერთმეტი სექტემ-
ბერი). მთელი ღამის განმავლობაში წმინდა ანგელოზის ხი-
დის მოედანზე ამ სასტიკი ტრაგედიის მზადება სწარმოებ-
და. მაგრამ სიკვიდილის განაჩენის ყველა აუცილებელი
ნუსხები მხოლოდ დილის ხუთი საათისთვის იყო გადაწე-
რილი, ასე რომ უკვე ექვსი საათი იყო, როცა საბედი-
წერო ცნობის საუწყებლათ წავიდნენ იმ უბედურ ადამი-
ანებთან; მათ შეუშფოთებლათ ეძინათ.

ახალგაზრდა ქალმა პირველ წუთში ძალაც კი ვერ
მოიკრიფა ტანთ ჩასაცმელათ. იგი შეუჩერებლივ გულის
გამგმირავათ ჰკიოდა და საშინელ სასოწარკვეთილებაში
იყო.

— ღმერთო ჩემო, განა შესაძლებელია, რომ ასე მოუ-
ლოდნელათ უნდა მოვკვდე?

ლუკრეცია პეტრონის არაფერი წარმოუთქვამს შეუფე-
რებელი: მან ჯერ დაიხოქა და ილოცა, შემდეგ წყნარათ
დაარია თავისი ქალი და სატუსაღოს სამლოცველოში შე-
იყვანა, სადაც ისინი უნდა მომზადებულიყვნენ ამ დიდი
გზისთვის ცხოვრებიდან სიკვდილისკენ.

ამ სიტყვამ სულიერი მშვიდობიანობა დაუბრუნა ბეატრიჩეს; რამდენადაც თავდაპირველათ თავშეუკავებლობა და სიფიცხე გამოიჩინა, იმდენათ კეთილ გონიერი და გამონე გახდა შემდეგ, როცა დედინაცვალმა მისი დიდი სული გამოიწვია. ამ წუთიდან იგი სიმტკიცის სარკე იყო და თაყვანისცემას იწვევდა მთელს რომში.

მან ნოტარიუსი მოითხოვა ანდერძის დასაწერათ, რაცა დაკმაყოფილებული იქმნა. განაწესა, მისი გვამი პეტრე მოციქულის ეკლესიაში მიეტანათ მონტორიოში; სამასი ათასი თეთრი უანდერძა სტიგმატიკოსთა ორდენის მონაზნებს; ეს თანხა ორმოცდაათი ლარიბი ქალის მზითევს უნდა მოხმარდეს. ამ მაგალითმა ააღელვა ქალბატონი ლუკრეცია, რომელმაც აგრეთვე ანდერძი დასწერა და განაწესა, მისი გვამი წმინდა გიორგის ეკლესიაში დამარხათ; მან ამავე ეკლესიას ხუთასი ათასი თეთრი უანდერძა ლარიბთათვის მოწყალების დასარიგებლათ და მრავალი სხვა სათნო ანდერძიც დასტოვა.

რვა საათზე მათ აღსარება სთქვეს, წირვა მოისმინეს და წმინდა ზიარება მიიღეს. მაგრამ წირვაზე წასვლამდე ქალბატონმა ბეატრიჩემ განსაჯა, რომ შეუფერებელი იყო მთელი ხალხის დასანახათ ეშაფოტზე იმ მდიდრული ტანისამოსით ასვლა, რომელიც მათ ეცვათ. მან ორი კაბა მოატანინა, ერთი თავისთვის, მეორე დედინაცვლისთვის. ეს კაბები შეკერილი იყო მონაზნების ტანსაცმელის მსგავსათ, არავითარი მორთულობა არ ჰქონდა მკერდსა და მხრებზე, მხოლოდ დანაოჭებული იყო და ფართო სახელოები ჰქონდა. დედინაცვლის კაბა, შავი ჩითისაგან იყო შეკერილი, ქალისა კი ლურჯი აბრეშუმისაგან და წელზე მსხვილი გრეხილი ჰქონდა შემორტყმული.

როცა კაბები მოიტანეს, ქალბატონი ბეატრიჩე, რომელიც მუხლმოდრეკილი იყო, წამოდგა და ქალბატონ ლუკრეციას მიმართა:

— ქალბატონო დედაჩემო, ჩვენი ვნების საათი ახლოვდება; კარგი იქნება თუ მოვემზადებით, ამ ტანსაცმელს ავიღებთ და ერთმანეთს უკანასკნელ სამსახურს გავუწევთ შემოსის დროს.

წმინდა ანგელოზის ხიდის მოედანზე დიდი ეშაფოტი იყო ამართული დასაჯდომი ფიცრითა და მანათურით (მანაია — ერთგვარი გილიოტინაა). ცამეტ საათზე (დილის რვა საათზე) მოწყალეების ორდენმა თავისი დიდი ჯვარი მოიტანა სატუსალოს ბჭესთან. სატუსალოდან პირველათ ჯიაკომო ჩენჩი გამოვიდა; კარის რიდეზე სასოებით მუხლი მოიდრიკა, ლოცვა წარმოსთქვა და ჯვარცმულის წმინდა წყლულებს ეამბორა. მას მოჰყვა მისი უმცროსი ძმა ბერნარდო ჩენჩი, რომელიც აგრეთვე ხელებ შეკრული იყო, ხოლო თვალებზე პატარა ფიცარი ჰქონდა აფარებული. უზარმაზარი ბრბო იყო თავმოყრილი, და დიდი ჩოჩქოლიც ატყდა იმის გამო, რომ ფანჯრიდან ლაგვინი გადმოვარდა და კინალამ თავზე დაეცა „მომნანიებელთა ორდენის“ ერთს წევრს, რომელსაც ხელში ანთებული ლამპარი ეჭირა მებაირალის გვერდით.

ყველანი ორ ძმას უცქეროდნენ, როცა მოულოდნელათ მათ რომის სარანგი მიუახლოვდა და უთხრა:

— ბატონო ბერნარდო, ჩვენმა პატრონმა სიცოცხლე გიწყალობათ; დამორჩილდით, თქვენ ნათესავებს გაჰყევით და ილოცეთ მათთვის.

მაშინვე ორმა ნუგეშისმცემელმა მას პატარა ფიცარი ჩამოაცილა, თვალებზე რომ ჰქონდა აფარებული. ჯალათმა საბაროზე მოათავსა ჯიაკომო ჩენჩი და ტანისამოსი გახადა, რათა მარწყუხით ეწამებია. შემდეგ ჯალათი ბერნარდოს მიუახლოვდა, დაამოწმა შეწყალეების წარწერა, ხელის ბორკილები გაუხსნა, საბაროში ჩასვა და რადგან გატიტვლებული იყო, მარწყუხით წამების მოლოდინში, შალის ძვირფასი წამოსასხამი წამოსახა ოქრომკედით ნაქსოვი. (ამბობენ, ეს იგივე წამოსასხამი იყო, რომელიც ბეატრიჩემ მარციოს აჩუქა პეტრელლას ციხეში). უზარმაზარი ბრბო, რომელიც ქუჩაში, ფანჯრებში და სახურავებზე იდგა, უცებ შეინძრა; გაისმა ყრუ ხმაურობა, ლაპარაკობდნენ რომ ეს ბავში შეწყალებულთაა.

დაიწყეს ფსალმუნის გალობა და პროცესია ნელის ნაბიჯით ნავონეს მოედანით საველლას სატუსალოსკენ გაემართა. სატუსალოს ბჭესთან მისვლისთანავე მებაირალე გა-

ჩერდა; ორივე ქალი გამოვიდა; მათ მუხლმოდრეკით ილო-
ცეს წმინდა ძელის წინაშე და შემდეგ ქვეითათ გზას გა-
უდგნენ ერთი მეორის უკან. ჩაცმულნი იყვნენ როგორც
ზევითაა ნათქვამი, დიდი აბრეშუმის პირბადეები ჰქონდათ
ჩამოფარებული, რომელიც თითქმის სარტყლამდე აღ-
წევდა.

ქალბატონ ლუკრეციას, როგორც ქვრივს შავი თავსა-
ბურავი ჰქონდა და შავი ხავერდის უქუსლო მაშიები ეცვა,
ჩვეულების მიხედვით.

ხოლო ახალგაზრდა ქალის პირბადე ცისფერი აბრეშუ-
მისა იყო, ისევე როგორც მისი კაბა; ამას გარდა მხრებზე
მოსირმული შალი ეხვია, იისფერი შალის ქვედატანის
კალთები უჩნდა და თეთრი ხავერდის მაშიები ეცვა, რომ-
ელიც ლაზათიანათ იყო შეკრული ჟოლოსფერი თასმე-
ბით. ამ ტანსაცმელში იგი არაჩვეულებრივად მოხდენი-
ლათ მიდიოდა და ყველას თვალები ცრემლებით ევსებო-
და, როცა მას წყნარათ მიმავალს ხედავდნენ პროცესიის
უკანასკნელ რიგებში.

ქალებს ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდათ, მხოლოდ
მკლავები ჰქონდათ შეკრული, ისე რომ ჯვრის დაჭერა
შეეძლოთ; მათ ის ეჭირათ ახლო თვალწინ. მათი ტანისა-
მოსის სახელოები მეტათ ფართო იყო, ისე რომ ვიწრო სა-
მაჯურიანი პერანგი ჩნდა, როგორც ჩვენი ქვეყნის ჩვეუ-
ლებას შეეფერება.

ქალბატონი ლუკრეცია ნაკლებ გულადი იყო და განუ-
წყვეტლივ სტიროდა; ახალგაზრდა ბეატრიჩე, პირიქით,
დიდს შეუდრეკლობას იჩენდა; იგი თვალს აპყრობდა ყო-
ველ ეკლესიას, რომლის წინაც პროცესია გაივლიდა,
მუხლს იდრეკდა ერთი წუთით და მტკიცე ხმით ამბობდა:
— შენ გევედრები, მაცხოვარო!

ამ დროს საბრალო ჯიაკომო ჩენჩის მარწუხით აწა-
მებდნენ საბაროში, მაგრამ იგი დიდს მოთმინებას იჩენდა.

პროცესიამ ძლივს გაატანა წმინდა ანგელოზის ხიდის
მოედანზე იმდენათ გაჭედილი იყო იგი ეტლებითა და
ხალხით. მაშინვე ორივე ქალი განათებულ ეკვდერში შეი-
ყვანეს, შემდეგ ჯიაკომო ჩენჩიც მათ შეუერთეს.

ახალგაზრდა ბერნარდო, ვარაყიანი წამოსასხამით დაფარული, პირდაპირ ეშაფოტზე აიყვანეს; მაშინ ყველამ იფიქრა, შეწყალებული არ არის და მასაც სიკვდილი ელისო. საბრალო ბავშს შიშით გული წაუვიდა როგორც კი ორი ნაბიჯი გადასდგა ეშაფოტზე. ცივი წყლით მოასულიერეს და იქვე დასვეს, მანაიას პირდაპირ.

ჯალათი წავიდა ქალბატონი ლუკრეცია პეტრონის მოსაყვანათ; ხელები უკვე ზურგზე ჰქონდა შეკრული, მხრებზე რიდე აღარ ეფარა. იგი მოედანზე გამოჩნდა მებაირაღეს თანხლებით, თავი შავი აბრეშუმის პირბადით ჰქონდა შეკრული; მუხლი მოიდრიკა და ჯვარცმულის წმინდა წყლულებს ეამბორა. წინადადება მისცეს, რომ მაშიები ქვაფენილზე დაეტოვებია; რადგან სრული ტანისა იყო, გაუჭირდა ზევით ასვლა. როცა ეშაფოტზე ავიდა და შავი აბრეშუმის პირბადე მოხადეს, დიდათ შესწუხდა, რომ საშვეყნოთ შიშველი მკერდი და მხრები გამოუჩნდა; ჯერ მკერდზე დაიხედა, შემდეგ მანაიას შეხედა, მორჩილების ნიშნათ წყნარათ მხრები აიწია; თვალები ცრემლით აევსო. მან სთქვა: „ღმერთო ჩემო!... და თქვენ ჩემო ძმებო, დლოცეთ ჩემი სულის სახსნელათ“.

რადგან არ იცოდა რა უნდა ექმნა, უფროსს ჯალათს--ალექსანდრეს ჰკითხა, როგორ მოვიქცეო. მან უთხრა, ფიცარზე მოთავსდი ისე, თითქო ცხენზე იჯდეო. მაგრამ მისი ქალური მორცხვობა შეურაცყო ამ მოძრაობამ და კარგა ხანი მოანდომა სანამ დაჯდებოდა (შემდეგი აღწერილობა ძნელი ასატანია თანამედროვე მკითხველისთვის: საკმაოა ვიცოდეთ, რომ ამ უბედური ქალის მორცხვობამ გამოიწვია ის, რომ მან მკერდი დაიჭრა სანამ მოკვდებოდა; ჯალათმა მისი თავი ბრბოს უჩვენა და შემდეგ შავი აბრეშუმის პირბადეში გაახვია).

როცა მანაიას ხელახლა აწყობდენ ბეატრიჩესთვის, ერთ-ერთი ფიცრული, რომელიც ცნობისმოყვარე ხალხით იყო დატვირთული, ჩაინგრა და მრავალი ადამიანი დაიღუპა. ამ რიგათ ისინი ბეატრიჩეზე ადრე წარსდგნენ ღმერთის წინაშე.

როცა ბეატრიჩემ დაინახა, რომ ბაირალი ეკკლესიისკენ მოდიოდა მის წასაყვანათ, იკითხა:

— ქალბატონი დედაჩემი უკვე გარდაიცვალა?
უთხრეს რომ დიახ, გარდაიცვალაო; მაშინვე მუხლებზე
დაეცა ჯვრის წინაშე და გულმოდგინეთ ილოცა მისი სუ-
ლისთვის. შემდეგ ხმა მალლა დიდხანს ელაპარაკა ჯვარ-
ცმულს.

— მეუფეო, შენ ჩემთვის მობრუნდი და მე ნებსით გა-
მოგყვები, სასოებას არ აღვიკვეთ რომ შემიწყალე დიდათ
ცოდვილს და სხვა...

შემდეგ წარმოსთქვა მრავალი ფსალმუნი და სიტყვა
ღვთის სადიდებლათ. როცა ბოლოს თოკით აღჭურვილი
ჯალათი გამოჩნდა, მან სთქვა:

— შებოჭე ჩემი სხეული, რომელიც უნდა დაისაჯოს
და გახსენი ეს სული, რომელმაც უკვდავებასა და საუკუნო
დიდებას უნდა მიაღწიოს.

მაშინვე წამოდგა, ილოცა, მაშეები კიბის ქვეშ დას-
ტოვა, ეშაფოტზე ავიდა, მკვირცხლათ გადააბიჯა ფიცარს,
კისერი მანაიას მიუშვირა და თვითვე გასწორდა მშვენიე-
რათ, რათა ჯალათის ხელის შეხება აეცილებია. ამ მარ-
დი მოძრაობით მან მოახერხა, რომ იმ წუთში, როცა პირ-
ბადე ახადეს, მაყურებელ საზოგადოებას არ დაუნახავს
მისი მკერდი და მხრები. რალაც ჩოჩქოლო ატყდა და თავის
მოჭრა დაგვიანდა. ამ ხნის განმავლობაში ქალი იესო ქრი-
სტესა და ყოვლად წმინდა ქალწულს მოუწოდებდა (ერთი
იმდროინდელი ავტორი მოგვითხრობს, რომ კლემენტი მე-
რვეს დიდათ ეშინოდა რომ ბეატრიჩე საუკუნოთ არ წამ-
წყდარიყო; პაპმა იცოდა, რომ ის თავის თავს უსამართ-
ლოთ დასჯილათ სთვლიდა სიკვდილის წინ. ამიტომ იმ
წუთში, როცა ქალმა თავი მანაიას მიუშვირა, წმინდა ანგე-
ლოზის კოშკიდან, საიდანაც ეშაფოტი ძლიერ კარგათ
სჩნდა, ზარბაზანი გაისროლეს. პაპი, რომელიც მონტე კა-
ვალოში ლოცულობდა, ამ ნიშანს უცდიდა, რათა იმ წუთ-
შივე ცოდვათა განტევება მიენიჭებია ბეატრიჩესთვის.
ამით აიხსნება დაყოვნება ამ მრისხანე მომენტის დროს,
რასაც მემატთანე აღნიშნავს). ქალის სხეული ათრთოლდა
საბედისწერო წუთში.

საბრალო ბერნარდო ჩენჩის, რომელიც ისევ ეშაფოტზე იჯდა, ხელახლა გული წაუვიდა და ნუგეშისმცემელთა ნახევარ საათზე მეტი დასჭირდათ მის მოსასულიერებლათ. მაშინ ეშაფოტზე გამოჩნდა ჯიაკომო ჩენჩი; მაგრამ აქაც უნდა გამოვსტოვოთ მეტათ სასტიკი სურათის აღწერა. ჯიაკომო ჩენჩი მოკვდინებულ იქმნა კეტით.

ბერნარდო მაშინვე სატუსალოში წაიყვანეს და, რადგან საშინლად შეხურვებული იყო, სისხლი გაუღეს.

რაც შეეხება საწყალ ქალებს, ისინი თავ-თავიანთ კუბოში ჩასდვენ და ეშაფოტის მახლობლათ დაასვენეს პავლე მოციქულის ქანდაკების გვერდით, რომელიც წმინდა ანგელოზის ხიდის თავშია ამართული. ისინი იქ დასტოვეს ნაშუადღევის ხუთი საათის მეოთხედამდე. თვითეულ კუბოსთან ოთხი სანთელი ენთო.

შემდეგ მათი ცხედრები ჯიაკომო ჩენჩის ნეშტთან ერთად ფლორენციის კონსულის სასახლეში გადაიტანეს. საღამოს 9 საათსა და მეოთხედზე (ამ დროს მხოლოდ თავადიშვილებს ასაფლავებდნენ რომში) ახალგაზრდა ქალის ცხედარი მის საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილი და დიდძალი ყვავილებით შემკობილი გადატანილ იქმნა მონტორიოს წმინდა პეტრეს ტაძარში. იგი მომხიბლავათ მშვენიერი იყო: ადამიანი იფიქრებდა სძინავსო. ბეატრიჩე დასაფლავებულ იქმნა რაფაელ ურბინელის ფერისცვალების დიდი საკურთხევის წინ. მას თან გაჰყვენ რომის ფრანჩისკანელთა ორდენის ყველა წევრები, ორმოცდაათი დიდი ანთებული სანთლით ხელში. ხოლო ლუკრეცია პეტრონი საღამოს ათ საათზე წმინდა გიორგის ეკლესიაში მიიტანეს.

ამ ტრაგედიას ურიცხვი ბრბო დაესწრო. ყველგან, სადაც თვალი მიუწვდებოდა, ეტლებით და ხალხით გატენილი ქუჩები ჩნდა, კიბეები, ფანჯრები და სახურავები ცნობისმოყვარეებით იყო სავსე. ისეთი ცხოველი მზე ანათებდა, რომ მრავალ მაყურებელს გული წაუვიდა. ბევრს ხურვება დააწყებინა; და როცა 19 საათზე (ორის სამ მეოთხედზე) ყოველივე გათავდა და ბრბო დაიშალა, მრავალი მაყურებელი გაისრისა, მრავალი კიდევ ცხენებმა გადათელეს. დახოცილთა რიცხვი ძალიან დიდი იყო.

სხვათა შორის სიცხისგან გარდაიცვალა უბალდინი უბალდინი.—იშვიათი სილამაზის ახალგაზრდა კაცი, რომელიც მანამდე სავსებით ჯანმრთელი იყო. იგი იყო ძმა ბატონი რენცისა, რომელიც ესოდენ ცნობილია რომში. ამრიგათ ჩენჩთა აჩრდილებს კარგი თანამგზავრები გაჰყვნენ საიქიოს.

გუშინ, ე. ი. ოთხშაბათს 1599 წლის 11 სექტემბერს სანტა მარჩელლოს მონნანიებლებმა, წმინდა ძელის დღესასწაულის გამო თავიანთი უპირატესობა გამოიყენეს, რათა სატუსალოდან გაენთავისუფლებიათ ბატონი ბერნარდო ჩენჩი, რომელიც ვალდებულია ერთ წელიწადში ოთხასათასი თეთრი გადაუხადოს სიქსტეს ხიდის ყოვლათ წმინდა სამებას.

(მიწერილია სხვა ხელით).

ამისგან წარმოსდგებიან ფრანჩესკო და ბერნარდო ჩენჩი, რომელნიც დღესაც ცოცხალნი არიან.

ცნობილმა ფარინაჩიმ, რომელმაც თავისი დაჟინებით ახალგაზრდა ჩენჩი სიკვდილს გადაარჩინა, შემდეგ გამოაქვეყნა თავისი სიტყვები. ამ კრებულში მხოლოდ შემოკლებით შეიტანა სიტყვა — ნომერი 66, რომელიც კლემენტი მერვეს წინაშე წარმოსთქვა ჩენჩის ოჯახის დასაცავათ. ეს ლათინური სიტყვა ექვს დიდ გვერდს დაიჭერდა და სამწუხაროთ არ შემოიძლია აქ მოვითავსო; იგი კარგათ გამოჰხატავს იმ დროის აზროვნებას. დასასრული მეტათ მგრძნობიარეთ არის დაწერილი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მკითხველი უკვე დაღალა ამ გრძელმა ისტორიამ.



ახალი სამართალი

სახალხო სასამართლოს დარბაზში ტევა აღარაა.

შედარებით პატარა ოთახი ხალხს ვერ იტევს და ამიტომ ნაწილი შუშაბანდსა და დერეფანს მოსდებია და რიგის მოლოდინში თუთუნის წვევითა და ერთმანეთში წალაპარაკებით თავს იქცევს.

დარბაზი სულ უბრალოდაა მოწყობილი.

ოთახის თითქმის ნახევარი უჭირავს წითელ მაუდ გადაფარებულ გრძელსა და განიერ მაგიდას, რომელსაც მისჯდომია სამი მოსამართლე და საქმეებს არჩევს.

მეორე ნახევარზე ოთხ-რიგად გამწყრივებულია მაღალ ზურგიანი, გრძელი, ხალხით გაჭედილი, საჯდომები.

ფანჯრები შუშაბანდში გადის. იატაკი, ჭერი, კედლები ჩაშავეებულია, გაჭუჭყიანებული. საჯდომები დასერილია ჯიბის დანებით და ქიმიური ფანქრებით. წითელი მაუდი სხვადასხვა ფერის მეღვინითაა დალაქავებული.

ერთად ერთი სამკაული, რომელიც დარბაზს საზეიმო სახეს აძლევს, არის ლენინის სურათი, რომელიც კედლის შუაგულიდან თავისი განიერი შუბლით, ცოცხალი, ჭკვიანი თვალებით და მაგრად მოკუმული პირით მედიდურად დასცქერის დარბაზს.

სასამართლოს სხდომა სწარმოებს. მიუხედავად ამისა დარბაზში ხალხი თავს თავისუფლად, შინაურულადა გრძნობს.

ატმოსფერა მსუბუქია.

პრივილეგიებს, უფლებათა შეზღუდვას, ფორმალობას, პიროვნების გარჩევას, უნცროს-უმფროსობას აქ ადგილი არა აქვს.

თავმჯდომარემ ერთ-ერთი საქმე დააბოლოვა, ხელში მეორე საქმე აიღო, გადაფურცლა და ხმა-მაღლა დაიძახა:

— მარიამ ჩიტაძისა!

პირველი წყების საჯდომიდან მსწრაფლ წამოდგა სრულიად ახალგაზრდა ქალი ძუძუ-მწოვარა ბავშვით ხელში და ტანის რხევით მაგიდას მიუახლოვდა.

დაბალი, გამხდარი ტანისა იყო. პატარა, ლამაზი, ბავშური სახე ჰქონდა. თვალებში შიში და მოკრძალება უკრთოდა.

ორი საათის განმავლობაში ეს ახალგაზრდა, 17-18 წლის, ჯერ კიდევ ბავში იქ დამსწრე საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა.

მისი ქცევა მოწმობდა, რომ ჩვეული არ იყო საზოგადო კრებებში და დაწესებულებებში სიარულს. არ იცოდა, სად დამჯდარიყო, როგორ მოქცეულიყო, რა გაეკეთებინა.

მთელი მისი ყურადღება ბავშვისკენ იყო მიქცეული.

ბავში იქნებოდა 7-8 თვისა, თავით ფეხებამდე თეთრი პიკის საბანში იყო გახვეული და ისე ესვენა დედას მკლავებზე.

ერთ წუთს რომ უძრავად იყო, მეორეზე შეინძრეოდა და მორთავდა ტირილს.

დედა ხან ძუძუს სჩრიდა პირში, ხან მკლავებით არწევდა, ხან ეალერსებოდა, ხან უჯავრდებოდა, რომ ბავშვს არავინ შეეწუხებინა.

— მარიამ ჩიტაძისა თქვენა ხართ? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— მე გახლავართ! — თავის დახრით უპასუხა ქალმა.

თავმჯდომარემ კვლავ ჩაიხედა საქმეში და დაიძახა:

— მოპასუხე დიმიტრი ვეფხვაძე!

ჯგუფიდან გამოვიდა და მაგიდის მეორე მხარეს მიუახლოვდა შუა-ტანისა, პირტიტველა, ქერა თმიანი ახალგაზრდა კაცი.

თავმჯდომარე განაგრძობდა:

— მოწმენი... ვანო დიასაშვილი!

— მე ვარ! — მაგიდის შუაგულთან გაჩნდა დაბალი, დარგვალეხული ტანის, ისეთივე პირტიტველა და ისეთივე ახალგაზრდა, როგორიც იყო პირველი.

— პეტრე მირატაძე!

— აქა ვარ! — მხიარული სახით ამოუდგა გვერდში მეორეს მესამე ახალგაზრდა.

ამის შემდეგ ჭალარა-შერთულმა ვეჩილმა თავისი ადგილი დაიჭირა და პორტფელი გადაშალა.

— მოწმეებს ვსთხოვ, კარში გავიდენ, — სთქვა თავმჯდომარემ და შემდეგ მიუბრუნდა ახალგაზრდა ქალს:

— მოახსენეთ სასამართლოს თქვენი საჩივარი.

ქალი შეკრთა, დაიბნა, შეეცადა ხმის ამოღებას, მაგრამ ხმა ჩაუწყდა და ალაპარაკდა მხოლოდ მაშინ, როდესაც თავმჯდომარემ გამაშხნევებელი სიტყვებით მიმართა და კითხვები ცალ-ცალკე დაუყენა.

სასამართლოს თვალწინ გადაიშალა ჩვეულებრივი სურათი ვაჟის მიერ ქალწულის შეცდენისა და მოტყუებისა.

ვეფხვაძემ გაიცნო 17 წლის, უმანკო, გამოუცდელი, გასათხოვარი ქალი და აედევნა, არშიყობა დაუწყო. პატარა ხანს უკან სიყვარული გაუმჟღავნა და ხელი სთხოვა. ქალი დასთანხმდა და ამგვარად გახდენ საქრმო და საცოლო. დრო გადიოდა და ვეფხვაძე მათი კავშირის დაკანონებაზე არა ჰფიქრობდა. ბოლოს საცოლოს განუცხადა, რომ მმაჩში რეგისტრაციას ხელს უშლის ერთი დაბრკოლება (აქ ვეფხვაძემ რალაცა მოჭორა) მაგრამ ეს არაფერია. ამ დაბრკოლებას დღეს თუ არა ხვალ გადალახავს, ჯერ-ჯერობით კი რა უშლით მათ, ცოლ-ქმრული კავშირი დაიჭირონ, რა? არ ენდობა? განა მას თავისი გაბოგაგიჟებით არ უყვარს? განა მის პატიოსნებაში ეჭვი შეაქვს?

გულუბრყვილო ქალს პატრონი არა ჰყავდა. ავადმყოფობით და გაჭირვებით დაუძლურებულმა დედამ ვერ შესძლო შვილის პატრონობა. ძმა მისი პატარაა, 10 წლისა — ამასთან ოჯახი განიცდის დიდს მატერიალურ გაჭირვებას, საქრმო კი უზრუნველყოფილსა და ტკბილს ცხოვრებას ჰპირდებოდა. ერთი სიტყვით საქრმოს ბოროტ განზრახვას ყველაფერმა ხელი შეუწყო და ქალი დანებდა.

გავიდა 2-3 თვე და, დახე უბედურობას, ქალი დაორსულდა. ამ გარემოებამ ვაჟი ძალიან შეაშინა. ამას ის არ

მოელოდა. საქმე გართულდა. ამასთან ჟინი მოკლულია, სხეული დამცხრალი, ქალი მის თვალში ახლა უკვე წაკითხული წიგნია. თვალი სხვა ქალზე უჭირავს. რა ჰქნას? როგორ მოიქცეს? გაქცევაა საჭირო და გაიქცა.

— მოვალეობა?! სინდისი?! — იკითხავთ თქვენ.

აი ამ მოვალეობას, ამ სინდისს მოსთხოვს მას დღეს სახალხო სასამართლო.

— ახლა რა გსურთ? რას სჩივით? გინდათ, რომ ვეფხვაძემ კანონიერად შეგირთოთ? — შეეკითხა ქალს თავმჯდომარე.

— არა, არა! — ბავშვით დატვირთული მკლავები გააქნია ქალმა — ეგ ისეთი უსინდისო რამ ყოფილა, რომ მაგის ქმრობა არ მინდა... მხოლოდ ბავშს უპატრონოს, საზრდო მისცეს... მე არა გამაჩნია რა, თორემ ამასაც არ ვითხოვდი... დედა მყავს ავადმყოფი, ძმა პატარა... მე კი რა შემიძლიან... უძლური... უსავანო ვარ...

ქალმა თავი დაღუნა და ისტერიული ქვითინი აუტყდა. ბავშმაც ტირილი გააბა.

ქალი შუშაბანდში გაიყვანეს, სკამზე დასვეს და წყალი მიუტანეს.

თავმჯდომარემ სხდომა განაგრძო.

— რას იტყვით ამ საქმის შესახებ? — მიუბრუნდა მოპასუხე ვეფხვაძეს.

მოპასუხემ ჩაახველა, კისერი წაიგრძელა და წაილულულა:

— მე დამნაშავე არა ვარ!

— ჩიტაძის ქალთან სცხოვრობდით, თუ არა?

— არა, არ ვცხოვრობდი...

— მაშ სქესობრივი დამოკიდებულება არა გქონიათ მასთან?

— მქონდა, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ცოლათ შერთვას არ დავპირებივარ და არც ბავშვია ჩემი...

— როგორ მოხდა ეს? აგვიხსენით.

— მაგ ქალთან მარტო მე არ მქონდა დამოკიდებულება. აი, ორი ჩემი ამხანაგი, რომლებიც მოწმეებათ არიან,

იმათაც ჰქონდათ... ბევრს სხვასაც ჰქონდა... მსუბუქი ქცევის ქალია... დაგვყავდა რესტორანებში, სასტუმროებში... ვაქეიფებდით და ფულებს ვაძლევდით... შვილი, ვინ იცის, ვისი გაკეთებულია...

მოპასუხე ლაპარაკობდა აჩქარებით, თავ-დაღუნული, სიტყვები პირში უწყდებოდა, თვალები ამღვრეული ჰქონდა და მთელი ტანით ცახცახებდა.

კიდევ რამდენიმე კითხვის შემდეგ, მოსამართლემ ის გაანთავისუფლა და სასამართლოს წინაშე წარსდგა პირველი მოწმე.

ჩვენებს ისიც ურევდა, კითხვებზე გადაჭრილ პასუხებს არ იძლეოდა, მაგრამ გაბედულად ლაპარაკობდა და მტკიცედ განაცხადა, რომ მომჩივან ქალთან სქესობრივი დამოკიდებულება იმასაც ჰქონდა.

— თქვენ იცოდით, რომ თქვენი ამხანაგი ვეფხვაძე ქალთან სცხოვრობდა? — შეეკითხა სხვათა შორის თავმჯდომარე.

— ვიცოდი!...

— მერე? როგორ ჰფიქრობთ, ამხანაგებში ამგვარი საქციელი დასაშვებია?

— რატომ? — გაიცინა მოწმემ.

თავმჯდომარეს სახე მთლად აენტო, თვალებმა გაუელვეს, მაგრამ თავი შეიმაგრა და არა სთქვა რა.

მეორე მოწმემ სიტყვა-სიტყვით გაიმეორა პირველის ჩვენება და დაუმატა:

— ბავში ვინ გაუკეთა, ვინ იცის? თვეები და დღეები არავის ჩვენგანს არ დაუთვლია!

მოწმეების დაკითხვის შემდეგ ილაპარაკა მოპასუხის ვეჭილმა.

გასამართლებელი სიტყვა თავისი მთლად მოწმეების ჩვენებაზე ააშენა და ითხოვა თავისი მარწმუნებელის სრული გამართლება.

თავმჯდომარე ვეჭილის სიტყვებს ყურს აღარ უგდებდა. ეტყობოდა, სხვა ფიქრი რამ აწუხებდა, ბოლოს თითქოს თავში რაღაცა აზრმა გაუელვაო, მოწმეები და მოპასუხე კვლავ მაგიდასთან მოიხმო.

— მოქალაქე ვეფხვადე, თქვენ მსახურობთ?

— ვმსახურობ...

— თვეში რა ჯამაგირი გაქვთ?

— ცხრა თუმანი.

— თქვენ? — ჰკითხა დიასაშვილს.

— რვა თუმანი ნახევარი.

— თქვენ? — მიუბრუნდა მირატადეს.

— მეც რვა თუმანი ნახევარი!

— თავისუფლები ხართ! — განაცხადა თავმჯდომარემ, წამოდგა და უკანა კარებისკენ გაბრუნდა. მას მიჰყვნენ სახალხო მოსამართლენიც.

ხალხი წამოიშალა და შუშაბანდისკენ გაეშურა.

მომჩივანი ქალი რა ადგილსაც დასვეს, იმ ადგილს იჯდა და დატანჯული სახით ბავშვს ჩასცქეროდა.

რა ილაპარაკეს მის შემდეგ სასამართლოში, ქალმა არაფერი არ იცოდა. მაგრამ თავის შემცდენელის და მისი ამხანაგების თავხედური და კმაყოფილი სახეები რომ დაინახა და მათთან ერთად დარბაზში მყოფ საზოგადოების ზოგიერთა წევრის გულგრილი და დამცინავი თვალები, საბრალო ქალი შიშმა მოიცვა. საჩქაროდ წამოდგა, დარბაზში შევიდა. და თვალებით თავმჯდომარეს ძებნა დაუწყო.

მოპასუხე თავისი ამხანაგებით გამარჯვებას ზეიმობდენ, მორიდებით იცინოდენ და ერთმანეთს მუჯლუგუნებსა სცემდენ.

ვეჭილი დამშვიდდა, რომ დანარჩენ ჰონორარსაც მიიღებდა, თავის მარწმუნებელს მხიარული სახით მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაჰკრა:

— მომილოცავს! გაგამართლებენ! ოო, უსათუოდ, უსათუოდ!

ნახევარ საათის შემდეგ ხალხი ისევ დარბაზში მიიწვიეს და თავმჯდომარემ მალალი ხმით შემდეგი განაჩენი წაიკითხა:

„.....სახალხო სასამართლომ, მიიღო რა მხედველობაში მოპასუხე ვეფხვადის და მოწმეების დიასაშვილის და მირატადის განცხადებანი, რომ მათ სამივეს სქესობრივი და-

მოკიდებულება ჰქონდათ მარიამ ჩიტაძესთან, რასაც შედეგად მოჰყვა ბავშის გაჩენა, დაადგინა: ვეფხვაძეს, დიასაშვილს და მირატაძეს გადახდეს მარიამ ჩიტაძის შვილის სასარგებლოდ თითო ოც-ოც და ხუთი მანეთი თვეში, სანამ ხსენებული ბავში სრულწლოვანი არ გახდება.....“

განაჩენმა დამსწრე საზოგადოებაზე გამსკდარ ყუმბარის შთაბეჭდილება მოახდინა.

პირველ წუთებში ვერავინ ვერ გაიგო ეს უცნაური განაჩენი.

ერთი-ერთმანეთს შეჰყურებდნენ და ელოდნენ, ვინ ახსნიდა და განმარტავდა მის შინაარსს.

ბოლოს, როდესაც ხალხი შუშაბანდში გავიდა, ცალ-ცალკე ჯგუფები შესდგა.

ერთ ჯგუფს შეადგენდა ვეჩილი, მოპასუხე და მოწმეები. სახეზე განცვიფრება და დაბნევა ეტყობოდათ. დასჯილები შესცქეროდნენ ვეჩილს და ელოდნენ რას იტყოდა ეს ძველი იურისტი, რომელმაც მთელი ევროპის სახელმწიფოების კანონები ზეპირად იცოდა და როგორც უნდოდა, ხელში ისე ატრიალებდა, მაგრამ ვეჩილი მხოლოდ მხრებს იწევდა და ტუჩებს აცმაცუნებდა.

დანარჩენ ჯგუფებსაც დაბნევა ეტყობოდათ, მაგრამ ინსტინქტიურად გრძნობდნენ, რომ ყურში რალაცა კარგი რამ ესმათ, რომელიც გულს ტკბილად ჩაწვდათ და ამიტომ სახეებზე სიამოვნების ღიმილი უკრთოდათ.

ბოლოს დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ყველაზე მეტად, რასაკვირველია, ვეჩილი ღელავდა; მისი აზრით სასამართლომ მრავალი შეცდომა დაუშვა. ჯერ ერთი მოწმეების ჩვენების თანახმად მოპასუხე სრულიად უნდა გაემართლებინა. მერეა და როგორ შეიძლება მოწმეების გასამართლება აქ, ამ სხდომაზე? თუ მოწმეები ცრუ ჩვენებას იძლევიან, სასამართლომ უნდა დაადგინოს, მათი სამართალში მიცემა, საქმე უნდა გამომძიებელს გადაეცეს, შემდეგ სისხლის სასამართლოში გაიჩინოს, ერთი სიტყვით ახალი საქმე უნდა შესდგეს... დიდი შეცდომაა, დიდი... კასაციისთვის მრავალი საბაბია, მრავალი...

დიდხანს ლაპარაკობდა ვეჭილი და ამშვიდებდა დას-
ჯილ ამხანაგებს, მეტადრე კი მოწმეებს, რომლებიც მტრუ-
ლი და გაბოროტებული თვალებით უყურებდნენ მოპასუ-
ხეს და თითქოს ეუბნებოდნენ: „ეს რა გვიყავი? შენი ბავში
ჩვენ უნდა ვასაზრდოვოთო?“

დანარჩენ ჯგუფებში სჯა სხვაგვარი იყო.

— რა მშვენიერობაა! რა კარგია! — აღტაცებით ცქმუ-
ტავდა ერთი ინტელიგენტი ქალი — მზადა ვარ, მოსა-
მართლენი გადავკოცნო!

— კარგი საქმე დაემართათ მოწმეებს! ამხანაგი ვითომ
გაჭირვებიდან დაიხსნეს, ახია მაგათზე, რაც მოუვიდათ! —
ნიშნის მოგებით გაიძახოდა ერთი შუახნის რკინის გზის
მუშა-მოსამსახურე.

— მოწმენი სტყუიან, თუ მართალს ამბობენ, ორივე
შემთხვევაში უნდა დაისაჯონ! — დაღვრემილი სახით ამ-
ბობდა ერთი.

— რასაკვირველია, სტყუიან!...

— მით უმეტეს, თუ სტყუიან!...

— არა, კარგია, კარგია!...

— სამართალი აი ასეთი უნდა!

— სოლომონ ბრძენის განაჩენია სწორედ! — დააბო-
ლოვა ვილაცამ.

სასამართლო მორიგ საქმეებს არჩევდა.

დარბაზი კვლავ ხალხით გაიჭედა.

ხალხი ახლა უფრო მეტის პატივისცემით შეჰყურებდა
მსაჯულებს.

ლენინის სურათზე კმაყოფილებისა და სიამაყის მო-
ციმციმე შუქი თრთოდა.....

—:—

გ მ უ ა ს ს ი ს ს ლ ი

გ ი ტ ც ა.

თარგმანი ნინა მესხისა.

იმ წელს ზამთარი რუმინეთში ძლიერ სასტიკი იყო. შობის წინა კვირას დუნაი სრულიად გაიყინა და ხუთი თვის განმავლობაში შეკრული იყო ყინულით. გეჩვენებოდათ, თითქოს ლურჯი წყალი უცებ ფოლადად გარდაქმნილა.

წყლის მეორე ნაპირიდან, — დობრუჯიდან, — გრძელრქიან ხარებ შებმულ მარხილებით გადმოჰქონდათ თათრებს კასრებით გაყინული თაფლი, დახოცილი ბატკნები, გარეული და შინაური ფრინველები, და ბრუნდებოდნენ უკან მძიმეთ დატვირთულნი ფქვილის ტომრებით და ტყავეულობით. მთელი დღე ამ სუსხიან ჰაერში გაისმოდა შოლტების ტყლაშუნი და მემარხილეების ლანძღვა-გინება. საითაც არ უნდა ყოფილიყო მათი გზა მიმართული, ყველა მათგანი ეშურებოდა მიელწია ადამიანის ბინას და ლამებამდე — იმ საშინელ ლამემდე, როდესაც აუარებელი მგლების ხროვა გამოდიოდა კვების საშოვრად.

იმ ცივ, კაშკაშა ლამეებში, როცა ქარიც კი იყინებოდა, მგლების საზარელი ღმუილი ძილს უფრთხობდა ადამიანს და ტანში ჟრუანტელს ჰგვრიდა. მოსახლეობა დილამდე შიშში იყო. საშიში იყო მათი ყოფა, ვინც ამ დროს გზას ადგა.

მთელი ზამთრის განმავლობაში არ გათენდებოდა დილა, რომ ახლო-მახლო არ ენახათ დაგლეჯილი ადამიანი, ან რაიმე ცხოველი, ან და მათი ნაფლეთები. თავდაპირველად სოფლის მოსახლეობა წყლის ნაპირას ცეცხლს აჩაღებდა, რათა მგლები შეეშინებინათ. მაგრამ ჩქარა იძულებული გახდნენ ამაზე ხელი აეღოთ, ვინაიდან ქარს ნაპერწკლები გადმოჰქონდა მათ სახლებზე, მათ ჩალის სახურავებზე და ეს გადაწვას უქადდა მათ. სიცივემ ძალღე-

ბიც კი შეაკრთო, შეაშინა. და დამშვივებული მგლები დლითი-დღე უშიშარი ხდებოდნენ. იყო შემთხვევა, როდესაც მგლები დღისითაც შემოესეოდნენ სოფელს.

ერთ დილას, მოხუცებული ბოშა-ქალი, მკითხავი ბა-ბა-ხანა, ყვირილით შევარდა სკოლაში: „მგელი, მგელია ეზოში“-ო. მასწავლებელმა არ დაუჯერა და ახსნა მისი ყვირილი წინა ღამის ლოთობით. მაგრამ იმ ღამესვე მგლებმა შესჭამეს მჭედელი, სახელად სტანა, რომელიც ნაქეიფარი გვიან დაბრუნებულიყო და როგორც სჩანს, სამჭედლოში შესვლისას, კარები არ დაეკეტა. სამჭედლო იმყოფებოდა შუა სოფელში. იქიდან ქვას ადვილათ ესროდით სამი-კიტნოს დუქანს, სკოლას, რომელსაც ჰქონდა ჩალის ბანი და ეკლესიას, წითელი ფერით შეღებილს. სტანა ალბად სასტიკად იბრძოდა. ნახეს სამი თავგამტვრეული წაბლის-ფერი მგელი, დიდრონი—წლიან დეკეულის მზგავსი. ახოვანი სტანას სხეული გამქრალიყო. დარჩა ამ ადამიანისაგან მხოლოდ ჩეჩმები და ცალი ხელი, რომელიც მაგრა ჩასჭადებოდა ჩაქუჩს. სისხლის წვეთიც კი არსად სჩანდა, სულ აელოკათ მხეცებს. საშინელი აღელვება გამოიწვია ამ შემთხვევამ ნთელ სოფელში. ადამიანისაგან თითქმის აღარაფერი დარჩა აღარაფერი. დასამარხიც კი არ იყო რა! მაგრამ ღვდელის ბრძანებით უნდა დამარხულიყო ის ხაწილი მაინც, რაც დარჩა მჭედლისაგან. წაიღეს საყდარში თითქმის კარიელი კუბო, თითქოს სტანას სხეული იგი იყო, და არა მგლების კუჭში.

სტანას სიკვდილის შემდეგ ამინდს ცვალებადობა დაეცო — გამოკეთდა. თითქოს ბუნება ელოდა ამ უკანასკნელ მსხვერპლის შეწირვას. დლითი-დღე სიცივე იკლებდა, და მალე ნაპირის ყველა მხრიდან მოვიდა ცნობა, რომ ყინული დაიძრაო. აღდგომის ორი კვირის წინ ისე დათბა, რომ ძროხების ჰაერზე გამორეკა შეიძლებოდა. სიარული გაყინულ წყალზე შესწყდა.

მოულოდნელად ერთ დილას მოგვესმა შოლტების ტულაშუნი და დუნაის მეორე ნაპირზე გამოჩნდა ექვსიოდე საბარგო ურემი, ქოჩად მავალი ბოშები რომ ხმარობენ. თითო მათგანს მიათრევდა ოთხ-ოთხი ცხენი.

ჩვენ ნაპირზე შეგროვდა ხალხი და ყვირილით დაუწყო მგზავრებს გაფრთხილება, რომ ყინულზე გამოსვლა შეუძლებელია, რომ მათ ყინული ვერ გაუძლებს. რამდენიმე წუთის შემდეგ მთელი სოფელი ყვირილით და ლანძვით გამოდგა ნაპირზე. მაგრამ მის შემდეგ, რაც ნათლად გამოჩნდა, რომ მგზავრები დუნაის გადმოლახვას აპირობენ, რათაც უნდა დაუჯდეთ ეს, მთელი სოფელი დაჯდა ნაპირზე და დაუწყო თვალ-ყურის დევნა.

პირველ ურემს წინ მოჰყვებოდა მაღალი თეთრ-წვერა მოხუცი, რომელიც მძიმე ჯოხით ხელში შინჯავდა ყინულის სიმაგრეს და გამძლეობას. უკანასკნელ ურემს მოსდევდა რიგ-რიგად მამა-კაცები, შემდეგ ქალები და ბავშვები. ხმას არავინ იღებდა.

მთელი სოფელი ცქერად გადაიქცა. ყველა გრძნობდა თუ რა საშიშროება მოელოდდა მათ, მაგრამ ყველამ ისიც იცოდა, რომ მათი უფროსი, მეთაური, სახელად მურდო არ ჩაჰყრიდა თავის ხალხს ისეთ განსაცდელში, რომ მას საკმაო საფუძველი არ ქონოდა.

როდესაც მათ მიაღწიეს წყლის შუა-გულს მურდომ უცებ ერთი დასძახა და ყველა ერთბაშად შეჩერდა. ეტყობოდა, კარგად ჰქონდათ მოფიქრებული წყალზე გასვლა. ნაპირზე მყოფი ხალხი აღელდა; ქალებმა დაიწყეს ტირილი, ბავშვები აყვირდა. მამაკაცებმა ისინი სახლებში გაგზავნეს, თითონ კი საცქერლად დარჩენ, მხოლოდ საცქერლად, რადგან შველა შეუძლებელი იყო.

ქოჩად მავალთა ურდოს მეთაური წავიდა მარცხნივ და ამოარჩია სხვა გზა ყინულზე. წინსვლა გრძელდებოდა. წყნარად, დადუმებულნი, უახლოვდებოდნენ ბოშები ჩვენ ნაპირს. კიდევ შეჩერდნენ. მურდომ ხელ-ახლა ჯოხით ყინული გასინჯა. ჩვენ ოდნავ გავარჩიეთ, რომ მათ ცხენებს ფეხებზე ტომრები ჰქონდათ ჩამოცმული და ნალების მაგიერ მიკრული — ერთგვარი ჩალის ბალიშები.

როცა მურდო ყინულს ჰსინჯავდა საიდლანაც მოისმარალაც ხმაურობა, შუვილი, თითქოს ქალაქი იხევავ, და რაც დრო გადიოდა ეს ხმაურობა უფრო მკაფიოდ ხდებოდა.

— ეი, ეი, მურდო, ყინული სქდება, — ერთხმად შეკვივლეს ნაპირიდან შეშინებულებმა. ხრიალი უფრო და უფრო იზრდებოდა, ახლოვდებოდა და უეცრად — გასქდა ყინული, ურიცხვ ნაჭრებად დაიფშვნა ის, ასე წვრილად დაფხვნილი ნამცეცები ჩაიძირა წყალში, მერმე ისევ ამოტივტივდა და შეაცოცდა ერთი-მეორეს.

— ეი, ეი, მურდო... — მაგრამ გაფრთხილება გვიან იყო. მურდომ გასცა ბრძანება. ერთბაშად ურმები დაიძრნენ, მამაკაცებმა დაავლეს ხელი ბავშებს, დედაკაცები კვალ-და-კვალ გაჰყვენ მათ და ყველა ერთად გაექანა სირბილით. ჩვენ ნაპირზე მთელი ხალხი ლოცვით დაემხო მიწაზე. ვერავის თავი მალლა ვერ აეწია, რომ არ დაენახა საშინელი უბედურების სურათი. ყინულის მტკრევის ხმაურობა იზრდებოდა. უცებ, თითქოს თორმეტი ზარბაზანი ერთად გაისროლესო, გაისმა საშინელი ხმა და დუნაი ისევ წყლად იქცა:

ბოშათა ურდო გადარჩა.

ეს იყო სიხარულის დღე და სიხარულის ღამე მთელი სოფლისათვის. დუქანში რაც დასალევი იყო — დაიღია. ბოშათა ურდოს აღტაცებით შეჰხვდნენ. მურდოს შემოესიენ სხვადასხვა კითხვებით.

უკვირდით, როგორ გადასწყვიტა მან ამ დროს წყალს გასვლა. ამაზე მურდომ უპასუხა: „იქ ვერ გვეშოვნა საკვები ვერც ჩვენთვის, ვერც ცხენებისათვის; თათრებს არაფერი გააჩნიათ გასაყიდი“.

მურდო მთელი თავისი ურდოთი სოფლის სტუმრები გაჰხდნენ. ყველა მათგანი მოქანცული იყო. მამაკაცები ფეხზე ძლივს იდგნენ. სოფელი მათ უმასპინძლდებოდა, რითაც შეეძლო. ეჭიმმა დააჭრა გაყინულებს დამძვრალი თითები ფეხებზე და ხელებზე. ბევრ ქალს სრსვილის წამლობა დასჭირდა. მხოლოდ ბავშვები გადარჩენილიყო. ასეთი იყო მურდოს წესი: „უპირველესად ბავშვები, და მერმე ცხენები“-ო. საქონელი მოათავსეს ბოსლებში, და ბოშები კი გლეხების ქოხებში, რათა გამთბარიყვნენ და ღონე მოეკრიბად. მამაჩემს უყვარდა მურდო და წამოიყვანა თავისთან. ღამეები გრძელი იყო, და ვახშმის შემდეგ შე-

მოუსხდებოდი ხოლმე ბუხარს, რომელშიაც მუდამ ენთო-
დიდი მუხის ჯირკვი.

მე მიღებული მქონდა რამდენიმე წიგნი ჩვენი ოჯახის
მეგობრისაგან, ქალაქ ბუხარესტში რომ ცხოვრობდა. მათ
შორის იყო კარლეილის თხზულება: „გმირი და გმირუ-
ლი ისტორიაში“, ცრანგულ ენაზე თარგმნილი. მე ამ
წიგნს ვკითხულობდი, როცა მურდო მომიახლოვდა და
მკითხა:

— შვილო ჩემო, დაბადებას კითხულობ?

— არა, ეს ბიბლია არ არის, მოთხრობების წიგნია,
მურდო.

— მოთხრობები? ჰო, ეს სხვა საქმეა.

ის ჩააცქერდა წიგნს. როცა მე გადავფურცლე,
მკითხა:

— ყველაფერი სწერია წიგნში? ე. ი. სწერია მანდ,
თუ რას ამბობდა გმირი, რას ამბობდა გმირი-ქალი, და
როგორ სთქვეს ეს მათ? ყველაფერი განა სწერია მასზე,
ან მის მოწინააღმდეგეზე? ე. ი. განა არსებობს ისეთი ნი-
შანი, ისეთი ასო, რომ გამოსთქვას სიცილი, ტირილი, სი-
ყვარული? მიაჩნებოდა.

მე აუხსენი რაც შემიძლო და მურდო გაკვირვებული
დარჩა. მაგალითისთვის წავუკითხე მთელი გვერდი წიგ-
ნიდან.

— და ყველაფერი ეს სწერია წიგნში, შვილო ჩემო?
კარგია. მაგრამ უკეთესია, როცა ყურს უგდებ ვისიმე ნაამ-
ბობს... ეს მაგონებს ნაქსოვს, მანქანაზე მოქსოვილს, მა-
გარს, ლამაზს, მაგრამ არა იმას, რომელსაც ჩვენი ქალები
ქსოვენ ხელით დაზგაზე, — თუმცა ესეც კარგია, სჯო-
ბია იმას, რასაც ვფიქრობდი. რაზეა ეს მოთხრობები, რო-
მელსაც შენ ვკითხულობ წიგნში? სიყვარულზე თუ
ტანჯვაზე?

— არც ერთზე, არც მეორეზე, მურდო. მხოლოდ იმ
დიად გმირებზე, რომლებიც ცხოვრობდნენ ლაჩრების ქვე-
ყანაში.

— ყველა მათგანზე? — კიდევ შემეკითხა მურდო. —
ეს კარგია. ამბები გმირებზე — კარგია.

ის მიუბრუნდა ცეცხლს და ჩიბუხს მოუკიდა: მერმე ისევ მომიახლოვდა.

— თუ მაგ წიგნში სწერია ყველა ქვეყნის გმირებზე, მანდ უნდა იყოს სახელოვან გმირის, დიდებულ გიტცას თავგადასავალიც. ნახე, შვილო, რა არის მასზე ნათქვამი? გადავფურცლე მთელი წიგნი.

— არაფერი, მურდო. სახელიც კი არ არის ნახსენები.

— მაშ ეს წიგნი — ცუდი წიგნი ყოფილა. მას ვინც ეს წიგნი დასწერა, არ სცოდნია ყველა გმირები.... ვინაიდან არც ალექსანრდე მაკედონელი, არც თვით ნაპოლეონი არ ყოფილან ისე დიდებულნი, როგორც იყო გიტცა.

მე ჩამოვჯექი მურდოს გვერდით ცეცხლთან და თვალს ვადევნებდი მის დანაოჭებულ სახეს, სანამ გვიამბობდა იგი გიტცას ისტორიას, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ჩაწერილი გმირების წიგნში, სადაც უპირველესი ადგილი მას უნდა დაეკავა, როგორც უდიდესს.

— თუ ვილაპარაკებთ ამა თუ იმ კაცის შთამავლობაზე, მე, მურდო, მეთაური ბოშათა ურდოსი, ვიტყვი შემდეგს: „მუხის თესლიდან გაიზრდება მუხა, ფიჭვის თესლიდან — ფიჭვი. საქმე იმაში კი არ არის, ქარი საით წაიღებს თესლს. თუ თესლი მუხისაა, მივიღებთ მუხას, თუ თესლი ფიჭვისაა — ფიჭვს“. ასე. თუმცა ჩვენთვის დაფარული იყო გიტცას მამის ვინაობა, ჩვენ ის ვიცოდით შვილისაგან. გიტცას დედა მშობიარობას გადაყვა. ისიც ვიცოდით, რომ შვილის მამა თეთრკანიანი იყო, დედა კი ურდოს მეთაურის ქალიშვილი. ჩვენი კანონი სასტიკად სჯიდა ყველას, ვისაც კი ეყოლებოდა შვილი სხვა ტომის კაცთან შეუღლებით, მაგრამ ეს ბავში იყო ისეთი მომხიბლავი, მშვენიერი, რომ მიუყვანეს ერთს ჩვენთაგანს კარავში. როდესაც გიტცა ათი წლის შესრულდა, მამაკაცებთან ერთად მუშაობა დაიწყო. და არავის შეეძლო უკეთესად, ვიდრე გიტცას ცხენების ჩვენება მყიდველისათვის. რაც უნდა სუსტი და ბებერი ყოფილიყო ცხენი, ის მთელ თავის ღონეს მოიკრებდა და მირბოდა, როცა გრძნობდა თავის ზურგზე პატარა ტიტველა ბავშვს. და-

ბერებული ჭაკი ცხენებიც კი სიხარულით ხტოდენ, როდესაც ბავში მიუახლოვდებოდა მათ შესახტომათ.

თხუთმეტი წლისა, ის უკვე მაღალი იყო, ტანადი, მხარბეჭიანი, მარჯვე, მოქნილი, როგორც აფთარი. პირისაზე მოთეთრო, სუფთა, და შავი, გიშერა თვალები. როცა ის იცინოდა ან მღეროდა — ის კი მუდამ მღეროდა და იცინოდა, — მისი ბაგე გაგონებდა ახლად გაფურჩხილ ვარდს რიჟრაზე, ცვარნამი რომ ჰორთის მის ფერცლებზე. და იყო იგი ღონიერი და კეთილი. ხშირად ხდებოდა, რომ მძიმე ურემი ჩაეფლებოდა ტალახში და ხარებს ველარ შეეძლოთ მისი ამოთრევა-ამოტანა; გიტცა უცებ, დანახვისთანავე, ურემს ქვეშ ამოუდგებოდა, ამოსწევდა და ტალახიდან ამოათრევდა. ვერც კი მოასწრებდა. მეურმე მადლობის გადახდას — გიტცა უკვე შორს იყო. მას მადლობა არ სჭიროდა. და ყველას უყვარდა გიტცა. ქალები კი ერთი მისი გამოხედვისთვის მზად იყვნენ წუთისოფელს გამოსთხოვებოდენ. მთელი ურდო გაახალგაზრდავდა და გაბედნიერდა გიტცას წყალობით.

იმ დროს ჩვენ ბევრს ვმთაბარობდით, ხშირად ვიცვლიდით საბინადროს. დობრუჯა მაშინ თურქების ხელში იყო, და სავსე იყო თათრებით. სოფლები პატარები იყო და დაშორებული ერთი მეორეს, ასე რომ ჩვენ არ შეგვეძლო დიდხანს ერთ ადგილზე გაჩერება.

როდესაც გიტცას ოცი წელი შეუსრულდა, ჩვენი ურდო, რომელსაც მაშინ მეთაურობდა პაპაჩემი ლუბუ, საზამთროდ გაჩერდა დუნაის გაღმა ნაპირზე, სოფელ სერნა-ვოდის მახლობლად. იმ ზამთარს ბევრი ცხენები გავყიდეთ. ის წელი ჩვენთვის მეტად სარგებლიანი წელი იყო. უმეტეს შემთხვევაში ჩვენებს უხდებოდათ კაპილიონებთან ყოფნა. გიტცა კი, როგორც საუკეთესო გამყიდველი, მთელ დღეებს კაპილიონში ატარებდა. ის ყველას იცნობდა. იცნობდა მამასახლისს, მის ცოლს, მის ორ ქალს და ვაჟს, რომლის ოთახშიაც იგი ცხოვრობდა. ყველას უყვარდა გიტცა, ლამაზი, ღონიერი და ჭკვიანი რომ იყო. არავინ არ უწოდებდა გიტცას პოშას, მის სიმშვენიერეს რომ ჰგონებდენ. ირჩეოდა გიტცა ბოშებში, და მასაც ყვე-

ლა არჩევდა. და იქ დაუმეგობრდა გიტცა მარიამს, მჭედ-
ლის ქალს. მარიამს უხაროდა მასთან ბაასი, როცა ის სამ-
ჭედლოში შემოვიდოდა. მარიამი შველოდა მამას მუ-
შაობაში. ჰბერავდა საბერველს და უმზადებდა ნალებს
კვერში გამოსაყვანად. მას თმა ჰქონდა ცეცხლივით წი-
თელი, ხელები მსუქანი და ღონიერი. ქალი იყო ისეთი
სასიამოვნო და გულკეთილი, რომ მოხუცი მღვდელიც კი
მიელაქუცებოდა ხოლმე, როცა ქალი ხელზე სამთხვევად
მიდიოდა მასთან.

შემდეგ დადგა გაზაფხული და ერთ კვირა დღეს კა-
პილიონის წინ გაიმართა ცეკვა. მედუქნემ ამ შემთხვევი-
სათვის მოიწვია დამკვრელები, რომლებიც დასხა დიდ მა-
გიდაზე ორ ხის შუა. მათ ირგვლივ ხელი-ხელ ჩაკიდე-
ბულ სოფლის გოგო-ბიჭებმა გააკეთეს წრე; ახალგაზრდე-
ბი დაულალავად ცეკვავდნენ და ტრიალებდნენ.

ამ დროს გიტცა ქალაქში იყო წასული სავაჭრო საქ-
მეებზე. როცა ის დაბრუნდა, და კაპილიონს მიუახლოვდა,
ცეკვა გახურებული იყო. გიტცას ეცვა საუკეთესო ტანთ-
საცმელი: განიერი წითელი აბრეშუმის სარტყელი, თეთრი
შარვალი და ახალი ჩექმები, რომელზედაც ვერცხლის ზა-
რები ეკიდა; თეთრი მოქარგული პერანგი გამსჭვირვალე,
ვით ჰაერი. თავზე ეხურა მაღალი შავი ქუდი და ყურ-
ში ჰქონდა გაყრილი ძვირფასი ოქროს საყურე.

რამდენიმე ხანი გიტცა უმზერდა ცეკვას. მარიამის ერთი
ხელი მჭედლის თანაშემწეს ეკავა და მეორე კი მამასახ-
ლისის შვილის მძლავრ ხელში იყო. კიდევ ორი წრე მო-
ხაზეს მოცეკვავებმა, კიდევ ორჯერ დაინახა გიტცამ მა-
რიამის ტიტველი მკლავები, ტიტველი ყელი, და სისხლი
აუჩქეფდა მას. როდესაც გაიარა მესამედ მის გვერდით,
გიტცამ მოულოდნელად გაარღვია წრე მარიამის და
მჭედლის თანაშემწის შუა, და მაგრად ჩასჭიდა ქალს ხე-
ლები.

თვით სიკვდილიც რომ გამოჩენილიყო, ისე უცებ ცეკვა
არ შეწყდებოდა.

დამკვრელებმა შეაჩერეს დაკვრა. ცეკვაც შეწყდა. ხე-
ლები თავის თავად დაეშვა ძირს.

მჭედლის თანაშემწემ გაიწია გიტცასკენ:

— წყეულო ბოშავ! უმსგავსო ბოშავ! როგორ გაჰბედე შემოვადრნა? ცეკვის შეჩერება? მჭედლის თანაშემწეს სხვებიც აყვა.

ყველა ელოდა ჩხუბის დაწყებას, დანების პრიალს, სისხლის დაღვრას. მაგრამ გიტცამ მხოლოდ გადიხარხარა, და ყველა დამშვიდდა. შემდეგ მოჰკიდა მჭედელს ხელი და ისევ გაიცინა. მიუბრუნდა იქ მდგომთ და სთქვა:

— მე სახეზე მატყობთ ალბად, რომ თქვენ ყველას გჯობივართ. მე მიყვარს მარიაში, მაგრამ არ მინდა უარჰყუო ის ხალხიც, რომელიც მე მიყვარს და რომელსაც მე ვეკუთვნი. მჭედლის თანაშემწემ იცის, რომ მე შემოდლიან ერთის დაკვრით გავაქრო ის, მაგრამ მე ამას არ ვიზამ. თქვენ იცით, რომ თქვენ ყველას ერთად, თუ მოვინდომე, დაგძლევთ. მაგრამ მე ამას არ ვიზამ. ამის ნაცვლად მე ვიცეკვებ ყველაზე მეტს. ვიცეკვებ თითოეულ თქვენგანთან, როგორც მამაკაცთან, ისე დედაკაცთან იმ დრომდე, სანამ მიწაზე არ დაეცემით უძლურნი. ვიცეკვებ ამ რიგად მთელ სოფელთან და ამას თუ შევძლებ, მაშ მე ისეთივე ვყოფილვარ, როგორც თქვენ, და მაშინ მარიაში-ცოლად წამომყვება, ისე რომ თქვენგან საყვედურს ის არ გაიგონებს.

რა სთქვა ეს, ჩასჭიდა ხელი მჭედლის თანაშემწეს და შეჰყვირა დამკვრელებს:

— დაუკარით, დაუკარით!

მთელი საათი ცეკვავდა გიტცა მჭედელთან, და მთელი სოფელი მათ მისჩერებოდა. ყვირილით ამხნევებდნენ თეთრკაცს, რომ როგორმე გაედლო ბოლომდე. მაგრამ ამაოდ. მჭედელი დასუსტდა, დაბარბაცდა და წაიქცა. გიტცა ისევ ღონით სავსე, მივარდა მეორე იქ მდგომ მამაკაცს, მოხვია ხელი და დაუყვირა დამკვრელებს, რომ დაეკრათ უფრო გიჟური ცეკვა, უფრო ჩქარი, უფრო აწყვეტილი. როდესაც ეს მეორეც დაეცა მიწაზე, გიტცამ მოჰკიდა ხელი მესამეს, მეოთხეს... და შემდეგ დაიწყო ცეკვა ქალებთან. გაწყდა პირველი სიმი ჭიანურის, დაუბუჟდა თითები მეფანდურეს. მზე გადიხარა მთებს იქით და ამოცურდა მთვარე ცაზე.

გიტცა კი სულ ცეკვავდა. დაღლილობა არ ეტყობოდა მის სახეს და მის ფეხებს — მოქანცვა. რაც უფრო მეტს ცეკვავდა, მით უფრო მხნედ გამოიყურებოდა. როდესაც გიტცამ ნახევარი სოფელი ცეკვით მოჰლაღა და ძირს დასცა, გაწყდა უკანასკნელი ჭიანურის სიმი და დამკვრელები, გაბრუებულნი, ადგნენ თავ-თავიანთ ალაგიდგან და წავიდნენ. დარჩა მხოლოდ სალამური და ფანდური.

— დაუკარით, განაგრძეთ, ხვალ დილით მიიღებთ თვითელი ბატკანს, ჰპირდებოდა გიტცა. მაგრამ ჩქარა მესალამურეს სუნთქვა შეუჩერდა, ტუჩები დაუსივდა და ცხვირიდან წამოსკდა სისხლი. მეფანდურეს ისე გაუქვავდა თითები, რომ აღარ შეეძლო მათი განძრევა. ისმოდა მხოლოდ ტაში. გიტცა კი ცეკვავდა, სულ ცეკვავდა. კაპილიონში სულ დაიღეწა ჭიქები, ბოთლები...

ლამე დაიღია. მამალმა იყივლა. ადრიანად გაიღვიძეს ძაღლებმა. მზემ ამოანათა მთებიდან. გიტცამ გადიხარხარა, როცა დაინახა მიწაზე გაშხლართული მოცეკვავენი. მარიამსაც კი ეძინა დედის გვერდით. გიტცა შევიდა კაპილიონში, გააღვიძა მედუქნე და შესძახა:

— ეი, შენ, ბებერო პლუტო! ადექი! გათენდა და მესმა მინდა.

საკმაოდ გადაკრა და კარავში წავიდა და დაუწყო ძაღლებს თამაში ისე, როგორც ყოველ დილას ჰშვრებოდა.

მოგვიანებით, ის გაეშურა სამჭედლოსკენ, მაგრად ჩამოართვა მჭედელს ხელი, და მის თანაშემწის თვალწინ დაეკონა ქალის ბაგეს.

— მარიამი შენი ცოლი გახდება, შვილო ჩემო, — უთხრა მჭედელმა. იგი მოგიცდის, სანამ თქვენი ურდო არ დაბრუნდება აქ საზამთროდ. და არაოდეს არავინ არ იტყვის, რომ ჩემი ქალი გაჰყვა ცოლად უღირსს ადამიანს.

ჩვენმა ურდომ სახელი დიდათ გაითქვა. ახლო-მახლო მდებარე სოფლები სულ გიტცას გამარჯვებაზე ლაპარაკობდა. ხალხი შეურაცყოფას აღარ გვაყენებდა, პირიქით დიდ პატივს გვცემდნენ. და ბევრი ჩვენგანი კვირა დღით კაპილიონთან ცეკვავდა კიდეც. დიახ, — ჩვენი ქალები და

ვაჟები ცეკვავდნენ სოფლელ ქალ-ვაჟებთან. ჩვენი ვაჭრობა ერთი-ორად გაიზარდა. ერთ თვეში გავცვალეთ უფრო მეტი ცხენები, ვიდრე სხვა დროს ერთ წელიწადში. გიტცას სიტყვა ყველგან და ყველასათვის კანონი იყო. ის იყო ისეთი მხნე, ღონით სავსე, რომ მის პატიოსნებაში ეჭვიც არ ებადებოდათ. და დიახაც, რომ ის იყო პატიოსანი. პატიოსანი ცხენების გამყიდველი.

გიტცა სულ აქეთ-იქით დაიარებოდა. და რადგანაც სერნა-ვოდა არ იყო დაშორებული ახლო-მახლო სოფლებს, გიტცა დარწმუნებული იყო, რომ კვირა დღეს ის მოასწრობდა იქ ყოფნას, მარიამის ნახვას.

ამ დღისთვის იმართებოდა ჭიდაობა სანაძლეოზე, თუ რომელი გლეხი გაუმკლავდებოდა გიტცას. და მუდამ გიტცა სძლევდა, იმარჯვებდა. რომ ჩაჰკიდებდა თავის მძლავრ ხელებს მოწინააღმდეგეს, — ის უკვე ძირს ეგდო.

და ასე გრძელდებოდა მთელი ზაფხული. საცა კი არ უნდა ყოფილიყო ჩვენი ურდო, გიტცას ქალებისგან მოსვენება არ ჰქონდა. ურდოს მეთაური ლუპუ აფრთხილებდა, რომ სიცოცხლე ჰგავს ანთებულ სანთელს, და მისი წვა ორივე მხრიდან ერთ დროს არ არის კარგი, ჩქარა დაიწვისო. მაგრამ გიტცა მხოლოდ იცინოდა და ერთობოდა ამით.

— ლუპუ, ჩვენო მეთაურო, განა შენ არ მითხარი ოდესღაც, რომ მე მუხა ვარ? რაღად მელაპარაკები ეხლა სანთელზე?

და ეწაფებოდა ისევ მღელვარებით სავსე ცხოვრებას. და იყო ისევე კარგი, ისევე მხიარული, ისევე გულმოდგინე თავის საქმის.

იმ შემოდგომას ჩვენი ურდო ადრიანად დაბრუნდა სერნა-ვოდაში. ბევრი ცხენები გვყავდა. მათ შორის უმეტესი ნაწილი პატარა თათრული ცხენები იყო. ვფიქრობდით, ზამთარი დუნაის ღელეში გაგვიტარებინა, ვინაიდან სერნას ვთვლიდით მათთვის საუკეთესო ადგილათ.

მუდამ კვირა დღეს კაპილიონთან ჭიდაობა იყო გამართული. აქ იკრიბებოდნენ შორეულ სოფლებიდან ყველა, ვისაც კი ღონე და მაგარი მკლავი ჰქონდა. მაგრამ გიტცას მაინც ვერავინ უძლებდა.

ერთ კვირა დღეს, როდესაც ხეებს ფოთლები უკვე გასცვივნოდა და პურის მარცვალის ალებული იყო, სერნავოდაში მოვიდნენ ცხენებით მოვაჭრე თათრები.

მათ შორის იყო ერთი მაღალ-მაღალი ღონიერი კაცი — სახელგანთქმული მოჭიდავე. ჩვენი მეთაური ლუბუ შეხვდა მათ მეთაურს კაპილიონში. ბაჟის და სმის დროს მათ დაიწყეს თავიანთი ცხენების და მამაკაცების ქება. თათრების მეთაურმა ჩამოაგდო ლაპარაკი თავის მოჭიდავეზე. გაიგონეს რა ეს, გლეხები შემოესიენ მათ, და დაუწყეს ქება თავის მხრივ გიტცას, მის ღონეს და სიმამაცეს. თათრების მეთაურმა არ დაუჯერა მათ.

— თუ გიტცა წააქცევს ჩვენს მოჭიდავეს, სამ საუკეთესო ცხენს მოგართმევთ, — წამოიძახა მან.

— მე კი ას ოქროს, თუ გიტცა წაქცეულ იქმნა, — უპასუხა მეკაპილიონემ.

— კარგი, ვნახოთ, — სთქვა თათარმა.

— აღარა გყავთ კიდევ ცხენები სანაძლეოდ? ჰყვიროდენ აქეთ-იქიდან.

თათარი გაფითრდა. მაგრამ იგი იყო ამაყი და, სწრაფად, მთელი თავისი ცხენები, და მთელი თავისი ოქრო სანაძლეოდ დასდო. იმ დღიდან, მთელი კვირის განმავლობაში, დანიშნულ კვირა დღემდე, ამ საგანზე ლაპარაკი არ შეწყვეტილა. ჩვენებმა სანაძლეოდ დასდეს ყველაფერი, რაც კი გააჩნდათ; ქალებმა მოიხსნეს საყურეებიც კი.

თათრები მდიდრები იყვნენ თანაც ამაყნი, და ყველა ჩვენ პირობაზე გვეთანხმებოდნენ. შეჯიბრება ორ მოწინააღმდეგეთა შორის კვირა დღეს უნდა მომხდარიყო, კაპილიონის წინ. იმ დღეებში გიტცა სოფელში არ იყო. ის წასულიყო კონსტანცაში, შავი ზღვის ნაპირს, რათა მოეთავებინა დაწყებული სავაჭრო საქმეები. როდესაც კვირა დილით დაბრუნდა, დაინახა კაპილიონთან შეგროვილი აუარებელი ხალხი, მთელი ჩვენი ურდო, თათრები და ასამდე ურემი, რომლებითაც ახლო-მახლო მდებარე სოფლებიდან ჩამოსულიყვნენ. გიტცა გადმოხტა ცხენიდან და გაკვირვებით მიიხედ-მოიხედა. იგი უმზერდა და ვერ გაეგო, რისთვის და საიდან მოგროვილიყო ამდენი ხალხი.

მამაკაცები და დედაკაცები მორთულიყვნენ საუკეთესო ტანთ-საცმელში, ცხენები კი შემკული, თითქოს ბაზარზე გასაყიდად გამოუყვანიათო. ხალხმა დიდის ზეიმით სალამი მისცა გიტცას. ლუბუმ კი გაიხმო იგი შორი-ახლო და აუხსნა მიზეზი ამ უზომო ხალხის შეკრებისა. გიტცა ოდნავ შეშფოთდა, მაგრამ თავი შეიკავა, გაიცინა, მხარზე ხელი დაადო მოხუცს და სთქვა:

— იცოდეთ, რომ ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათ. და თათრები აქედან წავლენ დამარცხებულნი, შერცხვენილნი, განადგურებულნი. და ჩვენ ჩავიგდებთ ხელში ცხენების ვაჭრობას მთელ დობრუჯში. გავითქვამთ სახელს, და ვიქნებით ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი.

და იყო გიტცა, შეურყეველი ვით მუხა! ასე ამბობდა იგი, თუმცა ჯერ არ ენახა ის ადამიანი, სასიკვდილოდ შებმას რომ უპირებდა. იცოდა მხოლოდ, რომ რათაც უნდა დაჯდომოდა უნდა შეენარჩუნებინა, ურდოს პატივი და დიდება. დანიშნულ დროს იგი გამოჩნდა კაპილიონთან. მთელი ურდო მოგროვილიყო. გიტცა ნახევრად შიშველი იყო. მისი შეხედვა კაცს ეამებოდა. დედამიწა მოფენილი იყო ძვირფასი ტყავეულობით, ძვირფასი ქსოვილებით, სანაძლეოდ რომ იყო დადებული. მაგიდა სავსე იყო ოქროებით, ბეჭდებით, საათებით, საყურეებით. თათრების ცხენები, ჩვენი და გლეხების საქონელი მიბმული იყვნენ ერთ ბაზარზე. რომლის ერთი ბოლო ჩვენ კაცს ეჭირა, მეორე კი თათარს. თუ გიტცა დამარცხდებოდა — მაშინ ჩვენი კაცი გაუშვებდა ბაწრის ბოლოს და ეს სიმდიდრე თათრებს დარჩებოდა. მჭედელმა დააგირავა სულ, რაც კი გააჩნდა; თავის ქალიც კი, — ყველაფერი გამარჯვებულს უნდა დარჩენოდა. და ბევრმა მათგანმაც თავიანთი ქალები დააგირავეს.

გიტცამ რა მოავლო თვალი ყველა ამას იგრძნო რომ აქ წყდება მთელი ურდოს ბედი: სიმდიდრე და სახელი მისი ურდოსი და სიმდიდრე და სახელი სოფლის და ახლო-მახლო მიდამოებისა.

და აი, თათარიც გამოვიდა. ის იყო მაღალი, მხარბეჭიანი. ფეხები ჰქონდა მოკლე, ღონიერი, სახე კი მოშაო,

უშნო, ნაყვავილარი. ყველა დაჩუმდა. მამაკაცებმა განიერ-
რი წრე შეჰკრეს მოჭიდავეთა ირგვლივ. სიჩუმე ჩამოვარდა
ისეთი, რომ ბუზის ფრენაც კი ისმოდა. და მერმე მამა-
სახლისმა მიუთითა თათრებს დუნაიზე — კაპილიონი
იმყოფებოდა წყლის ნაპირს — და შემდეგი სიტყვები
წარმოსთქვა:

— თუ თქვენი მოჭიდავე წაქცეულ იქმნა, დღესვე
უნდა ეს ნაპირი დასტოვოთ და მეორე ნაპირს გადახვიდეთ.
გიტცა ეამბორა მარიამს და აგრეთვე ჩვენ მეთაურ
ლუპუს და შეჯიბრება დაიწყო.

ლონიერი კაცი იყო გიტცა, და მძლავრი ხელ-ფეხი
ჰქონდა მას. მაგრამ პირველ შეხებისთანავე, ნათელი იყო,
რომ ის სწავდა სანთელს ორთავ მხრიდან ერთად. ლოთო-
ბით და სმით მოიღალა ის. ორთავე მოჭიდავე მძლავრად
ეცა ერთი-მეორეს, და ცდილობდნენ ნეკნები ჩემტვარიათ
ერთმანეთისათვის. გიტცა უცებ გაუსხლტა ხელიდან თა-
თარს, ჩააფრინდა მაგრა თავში და მთელი ძალ-ლონით
ცდილობდა კისერი მოეგრიხა მისთვის. მაგრამ თათარის
კისერი ფოლადისებრ მაგარი გამოდგა. თათარი არ ნებდე-
ბოდა მას. მარიამმა დაუწყო თავის სატრფოს ძახილი:

— მოუგრიხე კისერი მაგას, გიტცა, მოუგრიხე; მამა
დაჰპირდა ჩემს თავს, თუ ის დაგძლევს. — ყველა ემუდარე-
ბოდა გიტცას, სხვა ქალებიც, რათა დაეხსნა ისინი შავ
ადამიანების ცოლობიდან.

მეორეს მხრივ კი თათრები რჩევა-დარიგებას აძლევდნენ
თავიანთ მოჭიდავეს. ყველა შეშლილივით ყვიროდა. ადა-
მიანებს ძაღლებიც აჰყვა, მათაც ღმუილი მორთეს. გიტცა
ოფელში იწურებოდა. მაგრამ თათრის კისერი არ ილუნე-
ბოდა, და მისი ფეხები კლდეში ჩარჭობილ ფოლადის
ბოძებს მოგაგონებდათ.

— არ გაუშვა მისი თავი, არ გაუშვა, — ყვიროდნენ
ჩვენები, როცა შეატყვეს, რომ გიტცას ხელებში ღონე
გამოეცალა... თათრის მსხლის მსგავსი თავი გაუსხლტდა
გიტცას ხელიდან, თათარი ეცა გიტცას და ლამობდა მის
წაქცევას. გიტცა გამაგრდა, მოიკრიბა მთელი თავისი უკა-
ნასკნელი ღონე. სახე გაულურჯდა, თითქმის გაუშავდა.
ცხვირიდან სისხლი წასკდა, და პირიდან სისხლს ანთხევ-

და. ჩვენები ყვიროდენ ემუდარებოდენ, რომ როგორმე გაეძლო. თათრებს თვალები აენტო ცეცხლით, მათი თეთრი კბილები ელვარებდენ, და ყვირილით ამხნევებდენ თათარს, რომ გაესრისა როგორმე ის ურჯულო.

ო! ვატყობდით, რომ ყველაფერი დაკარგულია. მთელი ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი სახელი და პატივი, რომელიც გიტცას წყალობით მოხვეჭილი გვქონდა; მთელი სოფლის სიმდიდრე, — ყველაფერი. ჩვენი ქალები მონებად უნდა გაჰხდომოდათ თათრებს... ვილაცამ ხმამალლა დაიძახა, რომ გიტცას გაეგონა:

— აღარ გვეყოლება არც ერთი უღელი ხარი მთელ სოფელში, რომ მიწა მოვხნათ, და არც ერთი ცხენი, რომ მიწა ვჰფარცხოთ. და ჩვენი ქალები შავ ქაჯს ჩაუვარდება ხელში. გიტცა უკვე ჰნებდებოდა. მაგრამ, მაგრამ.... აი რა მოხდა! მან მოიკრიბა მთელი თავისი ძალ-ღონე, გაუსხლტა თათრის მძლავრ ხელებს და საშინელმა კივილმა გააპო ჰაერი. თავ-აბნეული თათარი იწვა და გაკვირვებით იცქირებოდა. ბარბაცით გიტცამ სამი ნახტომი გააკეთა და წამსვე ნაპირის მაღალ ადგილას გაჩნდა. ერთი შხაპუნი და გიტცა გაჰქრა. დუნაიმ შთანთქა იგი. და გამარჯვება თათარს არ ჰხვდა წილად!

ამგვარად ჩვენმა ურდომ დაიბრუნა მთელი თავისი ქონება და სოფელმა კი თავისი. ჩვენ არ დავკარგეთ ჩვენი სახელი, და სოფელმა შეინახა თავისი ქალები!... გარდა მარიამის.

ჩვენ თვალწინ, მან მიჰბაძა თავის გულის სატროფოს. არავინ არ სცადა მისი შეჩერება. ეს იყო მისი ნება. განა სადმე იპოვიდა ისეთს, როგორც გიტცა?... შთამომავლობით ისიც მუხის თესლისა იყო.

— ეხლა კი, შვილო ჩემო, მე გეკითხები შენ — თუ ამ წიგნში, როგორც შენ ამბობ, დიად გმირების ამბავი სწერია, რატომ გიტცა. არ არის მანდ ნახსენები და პირველი ადგილი მას რათ არ უკავია?

ბუხარში ცეცხლი კიდევ ჰღვოდა, მაგრამ მე უსურვე მურდოს ძილი-ნებისა.

მე გავყევი ოცნებას დიად გიტცაზე და მის მარიამზე. და მას შემდეგ მუდამ ვოცნებობ... მასზე.

ბერგოტის სიკვდილი

მარსელ პრუსტის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შესრულების გამო (1922 — 1927) ჩვენ ვბეჭდავთ ნაწყვეტს მისი წიგნიდან: „ტყვე ქალი“.

ამ დიდ ნაწარმოების კარგად (ან თუნდაც, დამაკმაყოფილებლათ) გადათარგმნა შეუძლებელია და, რასაკვირველია, არ შეიძლება მასზე მსჯელობა მხოლოდ ერთი ეპიზოდის მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ნაამბობია ცნობილ მწერალი — ბერგოტის სიკვდილი. ეს სწორედ ის ფურცელია, რომელიც მარსელ პრუსტმა გაასწორა სულ რამდენიმე საათის წინ თავის სიკვდილამდე — „საკუთარ გამოცდილების მიხედვით“.

რ ე დ ა ქ ც ი ა.

გარდაცვალების წინა დღეებში ბერგოტს სტანჯავდა უძილობა. ხოლო, როგორც კი დაიძინებდა, იწყებოდა კოშმარები, რის გამოც ის იღვიძებდა და შემდეგ სცდილობდა აღარ დაეძინა.

წინად მას უყვარდა სიზმრები, ცუდი სიზმრებიც კი, რადგან მათი საშუალებით, მათი სინამდვილესთან შეუხამებლობის გამო, ის, გამოღვიძების, დროს განსაკუთრებულ სიძლიერით გრძნობდა რომ ეძინა.

წინად მას აწვალებდენ სულ სხვა კოშმარები: ის ეძახდა კოშმარებს უსიამოვნო მოვლენებს, რომელნიც მის ტვინში ჩნდებოდენ. ეხლა ყოველივე თითქოს გარედან შემოდის. ხან მას უჩვენებოდა, თითქოს ვიღაც ავი დააკაცი უსვამდა მას სახეზე სველ ჭინჭს გამოსაღვიძებლად. ხან გრძნობდა აუტანელ ხიჩინს ბარძაყებში, ხან ვიღაც გაგიჟებული მეეტლე, გაბრაზებული მისი შენიშვნებით, უტყუდა მას, ჰკბენდა, უხერხავდა თითებს. შემდეგ მის წინ იშლებოდა მისი სიკვდილის სცენა, სცენა დამბლა დაცემისა, რომელიც მას მოელოდა: მისი ეტლი შე-

დიოდა სვანების ახალი სახლის ჭიშკარში; მას სურდა ჩამოსვლა; მოულოდნელ თავისბრუმ დააკრა ის დასაჯდომზე. მეკარეს უნდოდა მოხმარებოდა მას, მაგრამ აღგომა, ფეხების გამართვა უკვე აღარ შეეძლო ბერგოტს. მან სცადა თავის შემაგრება ქვის კუთხეზე ხელის მოკიდებით, მაგრამ ვერ პოულობდა დასაყრდნობს და ვერ იმაგრებდა ფეხებს.

ბერგოტმა მიმართა ექიმებს. მისი მისვლა ესახელებოდათ მათ. ყველაფრის მიზეზად იმათ დაქანცულობა სცნეს—ის კი უკვე ოცი წელიწადია არაფერს არ აკეთებდა. ურჩევდენ არ წაეკითხა საშინელი მოთხრობები—ის უკვე აღარაფერს არ კითხულობდა. ურჩევდენ „სიცოცხლისათვის აუცილებელ“ მზეზე ყოფნას—ნამდვილად კი ერთად-ერთი, რაც უადვილებდა მას ტანჯვას, იყო სახლში ყოფნა. ურჩევდენ გაძლიერებულ კვებას—დაუყოვნებლივ მატულობდენ ღამის კოშმარები და ის კიდევ უფრო მეტად გახდა.

ერთი ექიმი შეპყრობილი იყო წინააღმდეგობის ჟინით. როდესაც ბერგოტი სთხოვდა მას რჩევას და, წყენარომ არ მიეყენებია მისთვის, სხვა ექიმების ნათქვამს ამხელდა თავის საკუთარ მოსაზრებად—ეს ექიმი იმ წამსვე უკრძალავდა მას იმას, რაც მისი აზრით სასიამოვნო იქნებოდა ავადმყოფისათვის. ხშირად ის შვებოდა ამას ამკარად იქვე მოფიქრებულ მიზეზების მიხედვით და, ბერგოტის პირველ შენიშვნისთანავე, ვარდებოდა წინააღმდეგობაში, მაგრამ მაინც პოულობდა ახალ საბუთებს და იცავდა აკრძალვას.

მეორე ექიმს უხაროდა ჭკუამახვილობის გამოჩენა, განსაკუთრებით სახელოვან მწერალის წინაშე. როდესაც ბერგოტი გაკვრით მოაგონებდა მას: „მე კი მგონია, რომ ამადა ამ ექიმმა—მართალია, მას შემდეგ დიდი ხანია—მითხრა, რომ ამას შეუძლია მავნებლობის მოტანა ჭაჭებისათვის, ან ტვინისათვის“ — ექიმი გაიღიმებდა, ასწევდა ცალ თითს ზევით და იტყოდა: „მე ვსთქვი: ისარგებლეთ და არა გადააჭარბეთ. ყოველგვარი საშუალება, თუ ის ზომას გადასცილდა, ხდება მავნებელი“.

სხეულს აქვს ინსტიქტი, რომელიც უკარნახებს მას იმას, რაც ჩვენთვის სასარგებლოა—სწორეთ ის, როგორც გულმა ინსტიქტიურად იცის, თუ რაში მდგომარეობს ზნეობრივი მოვალეობა. ვერც ექიმი, ვერც ტეოლოგი ვერ შეცვლის ინსტიქტს.

თქვენ იცით, რომ ცივ წყალში ტანის დაბანა თქვენთვის მავნებელია, მაგრამ თქვენ ეს გესიამოვნებათ და ყოველთვის მოინახება ისეთი ექიმი, რომელიც გამოგიწერთ თქვენ ბანაობას და არ შეეცდება თავიდან აგაცილოს მისი მავნებლობა.

ყოველ ახალ ექიმისაგან ბერგოტს მიჰქონდა ის, რასაც ინსტიქტის ძალით თავად ერიდებოდა. რამოდენაღე კვირის შემდეგ წინანდელი ტკივილები განახლდა, ხოლო ახალმა ტკივილებმა იმატა.

განუწყვეტლივ ტანჯვით, უძილობით და კოშმარებით გაგიჟებულმა ბერგოტმა დაანება თავი ექიმებთან სიარულს, მან დაიწყო ძილის მომგვრელ წამლების სინჯვა და გულუბრყვილობით კითხულობდა სარეკლამო განცხადებებს. თვითიული საშუალება (გარდა იმისა, რომელსაც თან ახლდა რეკლამა) ცხადდებოდა უფრო საშინელ შხამათ, ვიდრე თვით ავადმყოფობა. არ იყო შხამი მხოლოდ იმ წამალში, რომელიც ამ რეკლამაში იყო გახვეული. ბერგოტმა გადასინჯა ყველაფერი. ახალს, ჯერ კიდევ გაუსინჯავ დასაძინებელ წამალს საზოგადოდ სიამოვნებით სვამ, რათა მოელი სულ სხვა გრძნობების განცდას. გული სცემს, როგორც პირველ პაემანის დროს, როგორ, და რანაირ სიზმრებს გამოიწვევს ეს ახალი წამალი?

წამალი უკვე მიღებულია. ის ახლა ხელმძღვანელობს ჩვენი გონებით. როგორ მოხდება დაძინება? და, როდესაც დავიძინებთ, როგორი ახალი გზებით, ახალი მალლობებით და ჯერ კიდევ უცნობ უფსკრულებით წაგვიყვანს ეს ახალი მბრძანებელი? რანაირ გრძნობებს განვიცდით ჩვენ ამ ახალ გზებზე?

წაგვიყვანს ის ჩვენ წამებისაკენ, სიტკბოებისაკენ, თუ სიკვდილისაკენ?

ბერგოტი მოკვდა, რადგან ის დაენდო ერთ-ერთ ასეთ მეგობარს (მეგობარს?, მტერს?) მოკვდა ის ამნაირად:

მას ურჩიეს სიმშვიდე ურემიის მცირე მოვლის შემდეგ. მაგრამ შემთხვევით მან წაიკითხა ერთი კრიტიკოსის წერილი ვერ-მერის სურათის „დელფტის გარემო“-ს შესახებ, რომელიც გააგის მუზეუმის მიერ გადაცემულ იქნა ჰოლანდიურ გამოფენისათვის.

ბერგოტს ძლიერ უყვარდა ეს სურათი და დარწმუნებული იყო, რომ კარგად იცნობდა მას. კრიტიკოსი მიუხედავად იმისა, აღნიშნავდა, რომ ყვითელი კედლის ნაწილი (რომელიც არ შეინახა ბერგოტის მეხსიერებაში) ისე შესანიშნავად არის შესრულებული, რომ თავის თავად წარმოადგენს განძს, როგორც ჩინურ ხელოვნების შედეგრი.

ბერგოტმა შესჭამა კარტოფილის რამოდენიმე ნაჭერი და წავიდა გამოფენაზე. როდესაც ის აღიოდა კიბის საფეხურებზე, მას თავი დაებრუა. მან ნახა რამოდენიმე სურათი და იგრძნო ხელოვნების უსუსურობა, მისი უსარგებლობა და პირობითი ხასიათი. მისი ღირებულება ვერ შეედრებოდა სუფთა ჰაერს და მზის მუქს ვენეციურ სასახლეზე, ან ჩვეულებრივ სახლის ეზოში ზღვის პირას. დაბოლოს ის გაჩერდა ვან-მერის სურათთან, რომელიც წინად მის წარმოდგენაში უფრო სრულ ფეროვანი იყო და არ ჩამოგავდა არაფერს, რასაც ის იცნობდა.

სამაგიეროთ კრიტიკოსის წერილის შემდეგ, მან პირველად შეამჩნია მოცისფერო ფიგურები, დაინახა, რომ სილა ვარდისფერია, მიაქცია ყურადღება იმას, თუ როგორ არის დახატული კედლის პატარა ნაწილი.

ბერგოტს თავის ბრუმ უმატა. როგორც ბავში, რომელიც თვალს ადევნებს ყვითელ პეპელას, ის არ აშორებდა თვალს კედლის კუთხეს.

— „ასე უნდა მეწერა მეც“ — ამბობდა ის თავისთვის — „ჩემი უკანასკნელი წიგნები ერთობ მშრალია. საჭირო იყო სხვადასხვა ფერადების ხმარება. ჩემი ფრაზა უნდა ყოფილიყო თავის თავად უფრო სრულფასოვანი, როგორც ამ კედლის მოყვითალო ნაწილი“.

მან იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს თავის ბრუ. თითქოს სასწორის ერთ მხარეზე იყო მისი საკუთარი სიცოცხლე, ხოლო მეორეზე—ეს გასაოცარი ნაწილი ყვითელი კედლის.

მან იგრძნო, რომ ყვითელ ლაქას მან შესწირა თავის სიცოცხლე.

— „მე მაინც არ მინდა გადავიქცე გამოფენაზე მომხდარ სენსაციურ ამბად საღამოს გაზეთებისათვის“—გაიფიქრა მან.

გაიმეორა თავისთვის: „ყვითელი კედლის ნაწილი, ყვითელი კედლის ნაწილი“... და უეცრად დაეცა რგვალ სავარძელზე.

ფიქრი, რომ საქმე ეხებოდა მის სიცოცხლეს, გაქრა და მას ისევ სიმხნე დაუბრუნდა.

— „ეს არაფერია, კუჭის უმნიშვნელო აშლაა მოუხარშავ კარტოფილით გამოწვეული, ეს არაფერს არ ნიშნავს“—ამბობდა ის გულში.

ახალმა დამბლამ დასცა ის და გადმოაგდო სავარძლიდან იატაკზე.

მას მიეშველენ იქ დამსრწენი, დარაჯები. ბერგოტი იყო მკვდარი. მაგრამ სამუდამოთ? ვის შეუძლია ამაზე პასუხის გაცემა?

არც სპირიტული სეანსები, არც სარწმუნოებრივი დოგმატები არ ამტკიცებენ, რა თქმა უნდა, იმას, რომ სული სიცოცხლობს ჩვენს შემდეგ. ერთად-ერთი, რაც შეაძლება ითქვას, ეს არის ის, რომ ჩვენს ცხოვრებაში ყოველივე ხდება ისე. თითქოს ჩვენ მოვდიოდეთ აქ დავალებებით, რომელნიც ჩვენ დავიკისრეთ სულ სხვა ქვეყანაში.

ჩვენს მიწიერ ცხოვრებაში ჩვენ არა გვაქვს არავითარი საბაბი ვიყოთ კეთილი, თავაზიანი, თუნდაც ზრდილობიანი. აგრეთვე არ არის არავითარი მიზეზი იმისათვის, რომ ხელოვანმა ორჯერ ხელახლა დაიწყოს შექმნედიებითი მუშაობა. რადგან აღტაცება. რომელსაც ის გამოიწვევს, არაფერს არ მოუტანს მის სხეულს, ჭიკებით დახრულს, როგორც ის ყვითელი კედელი, რომელიც ასე

შესანიშნავად დახატა ყველასათვის უცნობმა ადამიანმა
ვან-მერის სახელით.

ამ ვალდებულებებს არა აქვს აზრი ამ ცხოვრებაში.
შესაძლებელია ისინი მიღებულია ადამიანთა მიერ სულ
სხვა ქვეყანაში, რომელიც აგებულია სიყვარულზე, სინ-
დისზე; თავგანწირვაზე—ქვეყანაში, რომელიც არ გავს ამ
სამყაროს,—ქვეყანაში, საიდანაც ჩვენ მოვდივართ, რომ
დავიბადოთ აქ—დედა-მიწაზე.


შესაძლებელია ჩვენ ისევ დავბრუნდეთ იქ და ვიც-
ხოვროთ ჩვენთვის გაუგებარ კანონებით, რომელთაც
ჩვენ ვემორჩილებით, რადგან ისინი იყვენ ჩვენში ჩანერ-
გილი, მაგრამ ვის მიერ—ჩვენ ეს არ ვიცით. გონების
ძლიერი დაჭიმვა გვაახლოვებს ჩვენ ამ კანონებს. ვერ ხე-
დავენ მათ მხოლოდ ბრიყვები—ისიც არა ყოველთვის და,
ამიტომ, ფიქრი, რომ ბერგოტი მოკვდა არა სამუდამოთ,
არ არის მაინც და მაინც მთლად სიმართლეს მოკლებუ-
ლი. ის დამარხეს, მაგრამ მთელ ღამეს ბერგოტის კუბოს
ზევით, სინათლით გაშუქებული და სამ წყებათ დალაგე-
ბული მისი წიგნები იცავდენ მის სიმშვიდეს, როგორც
ფრთებ გაშლილი ანგულოზები, და მოსჩანდენ იმისათვის,
ვინც უკვე აღარ იყო, მომავალ აღდგომის სიმბოლოთ.

—:—

U 8 0 0 1 3 4

-საკო და ვანცეტი.

გაწამეს ჯვარზე თქვენ ქრისტესავით.
ელექტროს სკამი იყო ეს ჯვარი.
დაბმულ ამირანს ენათესავით,
იყავით, ძმებო, შეუპოვარი.
დაუვიწყარი თქვენი დიდება
ჩვენ დაგვრჩა. როგორც უკვდავი განძი
ქვეყანას ცეცხლი მოეკიდება
და გადალახავს შტატების მანძილს.
ო, როგორ უნდა მოვინანიოთ,
რომ სიკვდილის წინ ვერ მოგეშველეთ.
მზადა ვართ ყველა სამეტანიოთ
და სიმწარისგან ჩვენ ვიმტვრევთ ხელებს!
ახ, კმარა ცრემლი და კაეშანი,
განვაგრძოთ ბრძოლა მეტი სიავით,
რომ სისხლისმელი გარდაქეშანი
შეუბრალებლად გავანიავოთ.
დავარქმევთ ბავშებს, დავარქმევთ ქუჩებს
ძვირფას სახელებს: ვანცეტი, საკო.
ბრძოლის ხმა გულში არ დაიყუჩებს.
მუდამ იქნებით თქვენ საარაკო.
თქვენი გმირობის შემდეგ ცხადია,
რომ სისხლისმელი გარდაქეშანი
თქვენი სახელი ჩვენი ხატია
და ბაირალი დაუდგრომელი.
კიდევ და კიდევ მტერს შევებრძოლოთ —
შურისძიების მოგვიხმობს ვალი —
რომ ამერიკა გადიქცეს ბოლოს
თქვენი ძეგლების პიედესტალი.



მტკვარი — ზაჭესი.

გულზე გეფინა ბალახი ჩვილი
დაჭრილ ლომივით ეგდე მტკვრის პირზე,
თითქოს ცრემლს ღვრიდა ბარათაშვილი —
მწოლარე სევდით ხრიოკ კლდის ძირზე...

შენ მოწამე ხარ უამარ მტერის
ცეცხლს რომ აფრქვევდა გარშემო მთებზე,
გესმოდა ლოცვა ჯვრის მონასტერის —
დაკიდებული არწივის ფრთებზე.

ჩქარი ჩქერებით ჰკლავდი სიჩუმეს,
ნაპირებს კვნესით ეხეთქებოდი
და უკოცნიდი ავჭალას უბეს,
რომ დაემსხვრიათ შენს მკერდზე ლოდი.

მტკვარო, ძვირფასო, დაღვრილო სისხლო,
პირგამეხილო ბრინჯაოს შუბით, —
დღეს ყუმბარების არ გაღრჩობს ნისლი
და მთვარესავით სწორი გაქვს შუბლი.

მაგრამ გამურულ, შავი ხელებით
სულში ჩაგიდგეს ელვარე რკინა
და გაჩაფხულის ამოხველებით
სხვა სიხარული გადაგეფინა.

ასი ათასი თვალი აგენტო,
თვალი ძლიერი და უცნაური!
ზაჭეს დიდებავ, უნდა დაგენდო —
ჩემ გულს ახარებს შენი ხმაური...

მაწვალებს ფიქრი: მტკვარი — ზაპესი —
დინჯი მდინარის ბრწყინვალე გული —
თბილი გრძნობებით და უნაზესი
ოცნება სულში გადაკარგული.

დაიღრიალე საყვირის ხმაზე
შეინძრეს მიწა, მალლა ღმერთები
რომ ახმაურდეს ფოლადის ხმალზე
უფრო ამაყი სპილენძის მთები...

ბნელი სოფელი სინათლეს ელის...
მეც ხომ პოემებს დავაწყობ მაშინ,
მტკვარი პირდაპირ უყურებს ლენინს
და განათებას შეტყორცნილს მთაში.

ტფილისი.

1927 წ.

—:—

ლირიული განწყობილება.


რა რიგ ბრწყინავენ ეს ვარსკვლავები,
მთვარემაც ბროლის კოშკი ამართა.
მინდა მოვხვიო ყველას მკლავები
და დავიჯერო სიცოცხლე მართლა.

მაგრამ ამ მთვარეს დაფერილ ბინდით
მაყაშვილიც ხომ უცქერდა გუშინ!
მან დაანელა ბევრი რაინდი,
რომლებსაც ეწყო კაჟები გულში.

ერთხელ მეც მათი ბედი მომელის
(შემინდონ, ცუდი თუ ვინმეს ვკადრე)
მოკვდება გული, გული, რომელიც
ამდენ სიყვარულს იტევდა ადრე.

და ხუთი ვაჟის მამა მედგარი,
გადავიქცევი მატლების კერძად
ჩემს ნატამალსაც გაჰფანტავს ქარი,
ან ამ გულს ვინმე გამოსჭრის ღერძათ.

ო, საქართველოს მთებო, მაღალო,
(ეს სიყვარულიც ბურანი არი)
მინდა თქვენს კლდეებს ტვინი ვახალო,
ადრე თუ გვიან დასამიწარი.



ოცდაათი წელი.

(კერძო წერილის პასუხი).

როგორც დაცვენილ
ფოთლების წყება —
ეს ოცდაათი
წელიც გაფრინდა.
გაჰქრა: ბავშური
თავდავიწყება
და სიყმაწვილის
ალერსი წმინდა.
მე მქონდა რკინის
მკლავი მაგარი
და გული მზეზე
უფრორე მწველი...
ხშირად შევბმივარ
ბედს ვით აფთარი
და ხშირად სისხლი
მიღვრია ცხელი.
ბევრჯერ გრიგალის
ზვიადი ქროლა
თავზე მეხივით
დამატყდა ციდან,
მაგრამ შორეულ
ვარსკვლავის თრთოლას
ვსჭვრეტდი ბრძოლების
შავი ნისლიდან.

და თუ მოაწყდა
მტერი ჩვენს კარებს
თუ ისევ ცეცხლით
აინთო მიწა
— მე მზად ვარ მუდამ:
შრომის სამყარო —
ჩემი საკუთარ
მკერდით დავიცვა!

ქ. გორი.
1927.



მაშ, ვსთქვათ აქავე, ყველაფერიც იყოს ნათელი,
გამბედაობა და სიწრფელე დაგვყვა თავიდან,
თორემ იტყვიან, ამ ხალხს ჰქონდა რაღაც სათქმელი
და ვერაფერიც კი ვერ გვითხრეს, ისე წავიდნენ.

4.

ხომ ყველანი ვართ? ვინ აკლია ჩვენს მხნე, თაობას?
მარტოდ მე ვაკლდი? და ჰა, ძმებო მეც ხომ მოვედი.
ერთი უბრალო, უნუგეშო, მწირი პოეტი.
გაჩენის დღიდან, რომ შეზიდილა ავ-ბედშაობას.
შენ აქ ხარ სანდრო, შენც დავითჯან თავაზიანო.
ვასო და კიტა, იაკინთე, შენც ჩემო პეტრე
თუ ჩვენი სუფრა, დღეს უხვად ვერ ბარაქიანობს,
ამ დანაკლისსაც, მეგობრებო ნუ დავიყვედრებთ.

5.

პირველად ძმებო, ამ სავსე თასს, პირამდე სავსეს,
მე ვსცლი სრულებით, სადღეგრძელოდ ჩვენი ძმობისა
ნაცვლად ტირილის, კაეშნის და მარტოობისა
ჩვენც რომ გვეღირსოს წარმატება ცხოვრების გზაზე...
შენ კი შავ-თვალა ბოშა ქალო, დაუკარ ისე,
ამ ჭიანურს და ამ საკრავებს მიზრაფებიანს,
რომ დამწვარ სულში ჩაგვწვდეს ხმები სამარადისო
ჩვენს გულებიდან ასე შორს, რომ ისწრაფებიან.

6.

დავითშენად შაქრად, სანამდე ვართ სასიყვარულოთ
ჩვენც შევითვისოთ ერთმანეთი ჩემო ძამია;
ჩვენი სიცოცხლეს უამური ერთი წამია
დროთა ბრუნვისგან უცაბედათ გამოპარული.
და რაც არ შეგხვდეს წვალება და წუთები შრომის
ეგ ცხოვრებაა: არის ღზინი, არის გოდებაც,
მაგრამ ვერიდოთ მეგობრებო, ისევ ჩვენს შორის,
არვინ აიღოს შურის ნთხევის გაბოროტებამ.

7.

ხომ ყველას გახსოვთ, ჩვენს სათუთ და ლამაზ ერთობას, როგორ ჰფურჩქენიდა სიგულწრფელე ლაჟვარდის ფერი? გვიყვარდა ყველა, არ ვიცოდით რა იყო მტერი და ვედლოდით სიხარულის ხალისით თრობას. ეხლაც ასეა... მაგრამ ხვედრი არ არის ერთი, ბედი ავყია, ზოგს მრისხანე გზისკენ აქეზებს, მაგრამ ვისურვოთ მეგობრებო, ჩვენი სიწმინდე, რომ ყოფილიყოს მზის სხივებზეც უსპეტაკესი.

8.

მაშ, ასწით ზევით ეს ჭიქები, ყველამ მწყობრისად დასცალეთ იგი, ვით სევდები მცქირალი შავად, რომ შემდეგ სხვებმაც სთქვან, ეს იყო აღსანიშნავად ჩვენი კავშირის, ჩვენი რწმენის, ჩვენი ძმობისა, — რომელიც მუდამ იყვავილებს თვისებით სავსე, ვით გაზაფხულზე გადაშლილი პატარა ია, თუ რომ არ შეხვდა ამ ცხოვრების დახლართულ გზაზე ავი მდინარე, შურით სავსე, მლაშე და ღვრია.

9.

ხომ ყველამ შესვით? არ დასტოვოთ არც ერთი წვეთი, ღვინოში, უფრო გადიშლება გრძნობის ფესვები — და ისევ წრფელი მეგობრული მიაღწერსებით დავსწვათ დარდი და გადავკოცნოთ ჩვენც ერთმანეთი. თორემ დრო მიდის, ჩვენ სიცივეს ვუახლოვდებით, ეს სიჭაბუკეც დნება ნელა, გულიც ტრიალებს — და შორს არ არის ის დრო, როცა ცივი ლოდები, ჩვენს სამარეზეც გლოვის ხმებად დაიგრიანებს.

10.

ეგ ხომ ასეა, მეგობრებო, მაგრამ ხალისი, რად არის მაინც იშვიათი ჩვენი სტუმარი? არ ყოფნის დარდით მოქანცული სევდით მდუმარე, ნუ თუ ბავშობის არ დადგება წუთები ისევ?..

როცა ჩვენ ყველას შვეების ღიმი გვეფერებოდა,
როცა ხალისი მაშინ თითქო იყო ნალველშიც,
რამდენი ნანა საალერსო გვესმოდა ოდნავ,
რამდენი თვალი, მზრუნველობით გვიჭერდა ხელში!

11.

მაგრამ იღბალი ჰგავს, ავ ნადირს, მოვარდნილს ტყიდან,
ჯერ გათამაშებს და ერთობა, შემდეგ გერევა
და მეც ასეთი უამური ბედნიერება —
თითქოს დამყვანო მეგობრებო, გაჩენის დღიდან.
და ამის შემდეგ აღარ ვიცი წუთი ლხინისა,
სულს მირევს სევდა და გულშიაც ტრიალებს დანა;
ეხ, ძმებო, გული მქონებოდა მაინც რკინისა,
რომ ეს ვარამი უმტკივნელოდ გადამეტანა.

12.

თქვენც კარგად გახსოვთ, რომ დამატყდა რისხვა ღვა-
რებად,
სევდების გარდა, მაშინ ჩემთან არვინ არ იყო;
ვთქვი: ბედმა კაცი, ნუ თუ ასე უნდა გარიყოს,
რომ აგრე უღვთო იყოს მისი დასამარება.
მაგრამ ვინ იკვლევს ეს რად მოხდა როგორ, ან როდის,
ადუღებული გრძნობებისგან ყველანი ლხინობს.
გული ჯერ კიდევ მგრძნობიარე, რომ ცივდებოდეს,
ჩვენც მეგობრებო, გასათბობად დავლიოთ ღვინო!

13.

ჰო, ჩემო ვასო, ჩვენი ძმობა ჯერ კიდევ ასე
ჰყვავის მარადის, სანუგეშო, კისფერ ვარდებად,
ვნახავთ ერთმანეთს — და ჩვენ მყისვე გაგვიხარდება
ტკბილი შეხვედრა, სასურველი, გრძნობებით სავსე
გულს შევაჯერებთ, ვიბაასებთ, თუ რომ ხალისი
არ შეგვეცვალა გულის რბილი ასათუთებით.
მაგრამ ჰე, ძმაო, წვეთი ცრემლის ხომ არის ღირსი
ჩვენი წარსული, ფოთის სკოლა, ყრმობის წუთები?!

14.

მაშ, ერთი სიტყვა, ამ შავ დღესაც სჯობს მივათვისოთ,
 ვსთქვათ ჩვენი ტანჯვა, ჩვენი სევდა, ჩვენი წვალება,
 გადავსხნად გული, მეგობარი გენაცვალება
 ჭირში და ლხინში შენთან მყოფი სამარადისოთ.
 მაშინ ჩვენ ერთ ჭერს ქვეშ ვიყავით დღეცა და ღამეც.
 ფაზის მადლი არ გვწყალობდა არც ერთ ნაშიერს,
 და კობტა არე, თვალ წარმტაცი კოლხეთის არე,
 ორთავეს ძმაო, გვატარებდა მწყურვალს და მშიერს.

15.

ეს, მაშინ იყო ყრმობის წუთი გამძლე ვით რკინა,
 შემდეგ ათასი სხვა ვარამი გვინახავს მწარე, —
 მაგრამ გრიგალი, როცა ჩადგა პატარა მთვარემ
 ჩვენს გულებშიაც სიხარულის შუქი მოჰფინა.
 ეხლა არც კი ვსცნობთ დამდაღველს და მწველ მგრძნო
 ბიარეს,
 იმ პირვანდელ წუთს, გულს, რომ ედგა ცრემლების ზღვე-
 ვით,
 მაგრამ ჩვენ ძმებო, დავივიწყებთ ყველა იარებს
 და ღვინით სავსე მადლიან თასს, ავღმართავთ ზევით!

16.

ეხლა, ეს თასიც გამოვსცალოდ, ღვინო ქებული,
 დავლიოთ ძმებო შარბათია იგი ნალესი,
 შიგ ჩავატანოთ ჩვენი ძმური ტკბილი ალერსი
 გულის სიღრმიდან გაწვალებით ამოღებული...
 შენ კი შავ-თვალავ, რომ მიზიხარ აგრე ტევებით.
 იმღერე რამე, დამიმშვიდე გულის იარა,
 რომ ერთხელ მაინც დავივიწყო შავი დღეები
 დაბადებიდან, თან რომ მდევს და არ გაიარა!

17.

იმღერე რამე, ეს გიტარა სათუთად იწყებს
შკვნესარე ტირილს, აელვებულ სიმების ხმაზე,
იმღერე რამე, და თუ დავრჩი არ დავივიწყებ
ჩემო ძვირფესო, ამდენ ამაგს სიკეთით სავსეს.
ეხლაც ამ წუთში ავიღებდი ხელს ყველაფერზე
და მოგიგებდი ძვირფას ფარჩას ოცნების გზაზე,
მაგრამ მოგიკვდეს ჩემი თავი, თუ გულის გარდა,
მქონდეს სხვა განძი ბედკრულ პოეტს ამ ქვეყანაზე.

18.

მაშ, ასწით ზევით ეს თასებიც, კახური ღვინით
დავლოცოთ ძმობა, სიყვარული, წრფელი ნდომები.
ჩვენ ამ ცხოვრებას ასჯერ ხომ არ შევეომებით,
ერთხელაც კმარა მეგობრებო, განვაგრძოთ ღვინი.
უმჯობესია სულ დანავლდეს ყველა გრძნობანი,
ბედქარი გულიც მწველ გრძნობათა საჭედი გრდემლი;
ჩვენ არა ღვინო, მხოლოდ ძმობა შეგვაზარხოშებს,
როს სიყვარულით მოგვადგება თვალებზე ცრემლი.

19.

ეხლაც ეს ცრემლი, მეგობრებო გვასველებს ცხარე,
ვსვამ ძმებო ღვინოს, ვსვამთ განწირულ ამაოებით;
ვეძახით ხალისს, ვეძებთ ძმობას გამარტოებით,
რომ სადმე მაინც ერთი კუთხე ვიპოვოთ წყნარი;
მაგრამ არც ძმობა და არც ოდნავ ხალისი ტკბილი
არ ჩანს არსაით ცხოვრებიდან გამომდინარე...
მაშ, ვის ვუსურვო ეს სიცოცხლე ღონე მიხდილი
თქვენ შორის ძმებო, სიკვდილამდე მოუწყინარი?

20.

ხმას არვინ იღებთ, არ იღებთ ხმას, სდუმხართ ყველანი,
რა ღვთის რისხვაა მეგობრებო, მითხარით რამე?
ნუ თუ თქვენს გულშიც შემოიჭრა ასპიტი ღამე
მარად მშფოთვარე, გულცივი და მოუსვენარი?...

მაგრამ შენ მაინც ხომ აქა ხარ წაბლის თმიანი
ჩემო პოეტო, ჩემო ძმაო, ხალისით საესე;
დაბადებიდან შენ თან დაგყვა მზე იღბლიანი
და იმედები გადაშლილი ცხოვრების გზაზე!

21.

ილხინე ძმაო, შენც გაიგებ მწარე ისრები
რა ტკივილებით უბედობას გადაუშლია,
იგრძნობ ყველაფერს და ვაი, რომ დამწვარ გულშიაც
იგივე ბოღმა განახლდება შენათვისები...
მე კი ჰო, ძმაო, როცა გულში სევდის მორევი
და მწველი ცეცხლი ვერა გზით ვერ დამივსია მე.
მოვრბივარ შენთან მოწყურებულ ნიამორივით,
რომ ერთი წუთით იქნებ მაინც ვპოვო სიამე:

22.

მაშ, ასწი თასი „ცეცხლის ხმების“ ნათამადარო,
ტკბილად დათვრები კახურია იგი ქებული,
ძარღვებში სისხლი, მოწოლილი, აქაფებული
დაე, ელავდეს, როგორც მწველი ღველფის ღაღარი.
არაფერია, შემდეგ სხვებიც იგრძნობს სიმწვავეს,
რომ მოადგება კარზე ბედი. ავად მყეფარი...
თუ ბევრს არ ესმის ჩვენი ბრძოლა გულისაკლავი.
ნუ შევაწუხებთ დაე, დარჩეს გაუგებარი!

23.

დაასხით ღვინო, აშუშხუნდეს სევდაც ვნებაში
და გამოვსცალოთ ორთავენი ამხანაგებო!
ასეთი ღვინი, დიდებული და სანაქებო
მხოლოდ ეს ერთი მოგისწარით ჩვენს ცხოვრებაში.
და დღეს რაც უნდა არ გვეწყინოს, გულით ალალით —
დავლოცოთ ძმობა, ვიქეიფოთ, შევსვათ, დარდები,
რომ ერთი მძლავრი ხალისიან განავარდებით
გავათბოთ გული ნასეტყვი და ნაიარალი.

24.

ჩემთვისაც კმარა, აღარ მინდა დღეები ასე,
რომ მიდიოდეს კაეშანით გადაბასრული...
დადგება დრო და ჩვენც ხომ უნდა დავლიოთ სული
სადმე, ვაგლახად, უნუგეშოდ მიტოვებული;
მაგრამ ვინც რჩება იმან მაინც ამოსჭრას ძმებო,
საფლავის ქვაზე, სამახსოვრო სიტყვა კეთილი:
ამ ქვეყნად ძმავ, შენ იყავი გამწარებული,
აქ მაინც ტკბილად განისვენე მთვლემარე ძილით.

25.

მაშ, ასწით ძმებო თასი ყველამ პირ-მოციმციმე,
ყველაზე მეტი გრძნობიარე დასალეველი,
დავსცალოდ იგი და ნალველიც დასაძლეველად
აღარ იქნება ესოდენი მწარე და მძიმე.
შენ კი, შავ-თვალა, დაუკარი გრძნობებით ისევ,
რომ ამოგლიჯოს ამ მუსიკამ გულიდან შხამი...
არაფერს ვიტყვით, რადგან ათრობს გულს სიხალისე,
და მეც, ჩემს სიტყვას მეგობრებო, ვათავებ ამით!

25. სექტემბერი.

ქ. ტფილისი.

—:—

მოკვდა არწივი?!..

— მოკვდაო, მოკვდა მთის არწივი და ბარის გზირი, ველარ არჩევსო შავიდან თეთრს მისი თვალები. არც დედამიწის ხევი უჩანს, არც ცის გამზირი და ანჩხლი ქარი ურევსო ტვინს, ვით ბზრიალები!..

ტყუებში ყველგან აფუსფუსდენ კაპუეტები, ვითომდა ნახეს დრო განცხრომის და აღტაცების, ბევრი ლაბუა თუ ნიბლია, განამეტები, გახდა იმათგან მსხვერპლად დევნის თუ გატაცების...

აბა, ნიბლიებს ქვეყნად რა სვე გააჩანაგებს? ცინგლიან სირთა უამრავი ლაშქარი ფრინავს... შენ ის მითხარი, არწივივით ცას ვინ აარღვევს... სადაც მზე ღრეობს და ლამით კი ვარსკვლავი ბრწყინავს?!..

ოჰ, ერთხელ ლამით მართლაც საჯა მთის მეფემ ასე: „თუ დღისით მე ცა ნაპირამდის გადამიფონავს, მოდი, ამ ბნელშიც გადავაპო მისი სიფლასე, მე შენ გეტყვი და, უღონობა ფრთებს შემეკონავს!“...

გაჰკრა მხარულს და ცა აჰკეცა საფეხურებათ, ლაჟვარდ სივრცეში სულ დაჰკარგა ზომა თუ წონა, აზრად გაუკრთა: „განა, ღირდა აშურდულებათ, თუ გზა ავლილი თავქვე უნდა ჩამომეფონა?!“..

გაჰკრა და გაჰკრა და, ვით „მადა მოდის ჭამაში“, ისე ამ სვლაშიც იშვა ფრთოსნის გიჟი ავეთება!.. ახ, რა კარგია ჟინით ასე ბედთან თამაში და ლალი ფრენით ცაში ყველა მზის შეფეთება!..

მას აქეთია არ უნახავს ქვეშეთს არწივი
და არც ცის თალებს—მოვლებული მისგან სპირალი...
იგი ცის იქეთ მიდამოთა. გახდა არწივი
და გზები მისნი—უნაპირო და საკვირალი!..

რას მიხვდებიან უსუსური კაპუეტები,
რომ ამ უკიდო და უსაზღვრო გატაცებაში
ზოგჯერ აზრია, ყველა აზრთა გადამმეტები
და ჩაუტევიც თვით უძირო ზეცის კეფაში!..

— მოკვდაო, მოკვდა მთის არწივი და ბარის გზირი,
აწ ვერ არჩევსო შავიდან თეთრს მისი თვალები,
როცა მან განვლო თითქმის ყველა მზეთა გამზირი
და მოსჭრა გზა თვით ცის თალების მოტრიალებით!..



ჭადრაკი.

მეფეს შამათი¹⁾! თეთრებმა მძლიეს,
გულზე სიბრაზის ცეცხლი მეღება,
ის მეუბნება: — ცხენს და ლაზიერს,²⁾
ავკრეფ და მოდი ისე შევებათ.

გაათრებულ ვანახლებ თამაშს,
მომიკლა კუ³⁾ და ვხედავ დამცინის;
შემომიტია, ამომათავა
განახევრებულ ჯარის ნაწილით.

მაშინ დავტოვე ოთახი სწრაფად,
ჭადრაკის მომგონს გზადაგზა ვწყევლი —
და ვნატრობ: ნეტავ ეს ჭრელი დაფა
იყოს ნამდვილი ბრძოლისა ველი.

აბასთუმანი
აგვისტო.

—:—

1) Mat королю.

2) დედოფალი.

3) ოფიცერი.

სულიერი განწყობილება.

ხშირად ეცვლება ადამიანს განწყობილება
და სული ჩვენი ცვალებადობს მარტის დღესავით,
წამწამებს ცრემლი მოედება ბროლის ღილებათ
და გულს ამძიმებს მოხეთქილი განცდათა შვავი.

მზე თვალს დახუჭავს... მოვარდება უეცრად ქარი,
აქოხრილ ზღვაში გაიშლება იალქანები.
ტოკავს ხომალდი დაქანცული, ყალყზე დამდგარი,
და შავი ფიქრით შავ ქვეყნისკენ მიექანები.

მაგრამ გაივლის ღამის შფოთი... ცა იწმინდება,
ბავშურ ღიმილით გაიღიმებს მზიანი დილა,
ცისფერი ფრთებით სიხარული კვლავ მოფრინდება.
შემოგეხვევა და თვალებში გაკოცებს ფრთხილად.

მიდის ხომალდი დატვირთული თავის ამალით,
მიდის და მიაქვს მწუხარების შავი ხუნდები,
მაგრამ წარწერებს იალქნებზე მაინც არ მალავს:
„მე ისევ მოვალ, მე შენ ისევ დაგიბრუნდება“.

1926 წ.

პასუხათ დედას.

„ძვირფასო ბავშო, რად არ მნახე მოხუცი დედა“.
მისაყვედურებ ტკბილი ენით, ტკბილი ქართულით,
„ბავშს“ თეთრი თმები შეეპარა, ეწვია სევდა
და დაეკარგა სიხალისე ახალგაზრდური.
შენი ალერსი ისე თბილი, ისე ნაზია.
როცა სოფელში მოფერებით მისვამ კალთაში,
მეც მოვიგონებ წარსულ დღეებს, სინორჩეს მზიანს
და მაშინ მართლაც ჩემი თავი მგონია ბავში.
ეხლა მარტოთ ვარ, ხალხს გაურბი და ვემალები.
ხან მიწას დავსცქერ ნაღვლიანად, ხან ცას ავხედავ.
მაგრამ ამ წამში მხიარულობს ჩემი თვალები
დღეს მეათეჯერ მე შენს წერილს ვკითხულობ დედავ.
მკითხავ: სადა ვარ, რას ვაკეთებ, ხმას რად არ გაწვდი,
მსურს მოკლედ ჩემი მწუხარება შენ განგიმარტო:
ვეძებდი ახალ ადამიანს ახალი განცდით,
არ არის იგი და ჩემს სულში ხან წვიმს და ხან თოვს.
რასაც სოფლიდან გამოვექეც ის აქაც დამდევს,
რაც იქ მტანჯავდა იმას აქაც ვერ დავემალებ,
ვერ უძლებ მუდმივ მარტოობას, წამებას ამდენს,
და დღეს არ ვიცი თუ რომელ გზას დავადგე ხვალე,
თუ ჩემს სოფელში გაშლილ ველზე ვსევდიანობდი
და ყვავილების სურნელობით ვიქრობდი დარდებს,
დიდი ქალაქი როგორც უცხო მტრულად შემომხვდა
და ქვის კედლები კოშმარით დაღლილ გულს ადევს.
ახალგაზრდობის უკეთესი წლები გამიცდა
და წინ მივდივარ ხან ბორძიკით, ხან გაწვალებით.
ველარ ვახერხებ გულწრფელ სიცილს, გადამავიწყდა
და აჩრდილებიც მაშინებენ შავი თვალებით.
ნულარ მიგონებ ნურც მხიარულს, ნურც მოთამაშეს,
დავდივარ კენტათ სანთელივით ჩამონალვენთი.
ბროლის სართულებს ქარი მინგრევს სათუთად ნაშენს,
და დღეს შენს ასულს აქ არ სწყალობს არც ერთი ღმერთი.

1925 წ.

ა. პ. კერნისაღმი.

თარგმ. გრიგოლ ცეცხლაძისა.

მე მახსოვს ელვა უცხო წამისა:
თვალს მოველინა შენი მშვენება,
როგორც გენია სილამაზისა,
შუქი მფრინავი და მოჩვენება.

ამაოება თუ ჭანგს მიჭერდა
უიმედობის სევდით წუხილში,
შენი ნაზი ხმა ხანგრძლივად უღერდა,
სასურველ ნაკვთებს ვხედავდი ძილში.

დიოდნენ წლები. ქარმა ბოროტმა
მე გამიფანტა ოცნება ძველი,
გადამავიწყდა შენი ნაზი ხმა, —
ციური სახე ტრფობით დამწველი.

გადაკარგულის და პატიმარის
იმედს ჰკარგავდა ყოველდღე გული,
ასე მეგონა ღმერთი არ არის,
დაშრა ცრემლები და სიყვარული.

სულს გაღვიძება ისევ ელირსა:
ისევ ვიხილე შენი მშვენება,
როგორც გენია სილამაზისა
შუქი მფრინავი და მოჩვენება.

კვლავ გულისცემა ვიგრძენი ჩქარი,
კვლავ აღსდგა ჩემთვის: ღმერთი ფარული,
ზეშთაგონების ციური ქნარი,
სიცოცხლე, ცრემლი და სიყვარული.

—:—

მტკვარს.

მტკვარო! ხარ მგზავრი საუკუნეთა,
ბევრის მნახველი, ბევრის მომგონი;
გინახავს შეხლა ბედის ჰუნეთა,
როცა გთელავდა სპარსი, მონგოლი...

ჰბანდი „პატარა კახის“ ჭრილობას,
გაგირეცხია თამარის ქოში
და სააკაძის საქმე, გმირობა
ვინ იცის შენზე უკეთ ჩვენ დროში?

გახსოვს კრწანისი, გახსოვს მარაბდა,
ვაზის ჯვარი და არმაზის მსხვერვეა,
ქართული ლხინი კახურ მარანთან,
ყველა ლხინისგან რომ განირჩევა.

დღეს ხომ ზაჰესიცი მოგახტა ზურგზე,
აგინთო გულში ცეცხლი ელვარე,
და აელვებულ ტფილისს რომ უმზერ,
ჩვეულებრივზე უფრო მღელვარე.

დედისერთა ვაჟიკა.

ბაღადა.

გარედ ცივა. ჰქრის ქარი.
მთვარე ვახშმოზს მუხებში;
დახშულია ჭიშკარი,
ადევს ურდო უხეში.
დედაბერი მიმჯდარა
ბუხრის ახლოს კუთხეში.
თვალში ცრემლი დამშრალა,
მოხუცს ვინ სცეს ნუგეში?
ჩასთვლემს, ისევ იღვიძებს,
ლამეს თეთრად ათუნებს;
გულისყური ერთზე აქვს.
მის გულს ერთი ამთელებს.
მუხლი მაინც უჭრიდეს,
ხალხს შესძრავდა ომით ის:
აღარ ძალუძს საბრალოს,
რბიან წლები... დრო მიდის.
ლოდინი და იმედი!
ხვალეც ლამე ლოდინის!

მას ბურანში მოესმის:
— დედი! გახსენ ჭიშკარი!
დედი, ნუთუ არ გესმის,
გარედ ცივა, ჰქრის ქარი!
შენი შვილი დაბრუნდა,
დედისერთა ვაჟიკა.
უვნებელი, მაგარი,
როგორც სალი კაჟი ქვა.
გახსენ! გახსენ ჭიშკარი!
შენს შვილს გარედ რა უნდა?
ადექ! დედი, იჩქარე,
შენი შვილი დაბრუნდა!

ენას დედა ვერ აგებს,
ძსწრაფად დგება მძინარი.
დედა კარებს გაულებს...
იქ ვის ჰხედავს? ვინ არი?
ცრემლით წყვდიადს შესცქერის
— ტკბილი იყო სიზმარი.

როცა დედა ბუხრის წინ
შვილს სიზმარში ჰხედავდა,
იმ დროს მისი ვაჟიკა
მტერს ბრძოლაში ჰკვეთავდა.
ის იბრძოდა წითლებთან,
წითელ დროშას იცავდა.
ჯარისკაცი რუსეთში
ლენინს გაჰყვა მტკიცედა.
და პირველი დაეცა,
ტყვიამ აღარ იცავდა.
მისი კვნესა — „ოხ დედი!“
ზარბაზანმა დაჰფარა;
თავი დასდო ხალხისთვის,
ნორჩმა სისხლი დაღვარა.
ნახა სამშო საფლავი,
ველარ — დედის ჭაღარა.

და იმ დღიდან მოელის...
გარედ ცივა. ჰქრის ქარი;
ზის და უცდის გულმკვდარი
დედისერთას მთის ქალი.
მუდამ ფხიზლობს, მზად არის
შვილს გაულოს ჭიშკარი.
თავზედ დასთენებია,
ამოსულა ცისკარი.
აღარ დალუძს საბრალოს...
რბიან წლები... დრო მიდის.
— „დედა მას ენაცვალოს“.
ხვალეც ღამე ლოდინის.

შ ე ზ ი ჯ ე ბ ი

ლიტერატურული პრობლემები.

I

მეცხველების კულტურა და ლიტერატურა.

კულტურის ევოლიუციაში დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვათა სწორ ხმარებას: ხშირად მთელი რიგი ისტორიულ და სოციალურ მოვლენათა ცუდათ ეჩვენებათ ან გაურკვეველია მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები უკანტროლოდ, მოურიდებლად ხმარობენ სიტყვებს, რომელთა გაგება არ არის სოციალურად განმტკიცებული — მოქალაქეობრივობა მოპოვებული. ფილოსოფოსი არისტოტელი რჩევას იძლეოდა: სანამ მსჯელობას დაიწყებთ, სიტყვათა ბუნება კარგად გაარკვიეთ; გერმანელი მეცნიერი მახი სიტყვათა სწორ ხმარებას უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა კულტურის ევოლიუციაში; სიმართლე უნდა ითქვას, რომ არა მარტო ჩვენში, უფრო კულტურულ ერთა ლიტერატურაშიც იხმარება მთელი რიგი სიტყვათა, რომელთა შინაარსი საყოველთაოდ ნათელი და გარკვეული არ არის: სიტყვები „ცივილიზაცია“, „კულტურა“, „ევოლიუცია“, „ინტელიგენცია“ შეიცავენ ისეთ ცნებებს, რომელთაც გარკვეული ხასიათი აქვთ მხოლოდ დაინტერესებულთათვის და ისიც განსაკუთრებული მიზნით. ევროპაში დიდი მუშაობაა ამ მიმართულებით: არკვევენ სიტყვათა ბუნებას, სწავლობენ მარცვალთა დაჯგუფების ბიოლოგიურ საფუძვლებს, ეძებენ სემანტიურ გაშტოებათა ისტორიულ-მორფოლოგიურ და სოციოლოგიურ მიზეზებს; ყოველ შემთხვევაში დიდი ცდაა მეტყველების არსობის სპეციფიკაციისა, სიტყვათა დაკვირვებითი ხმარებისა და ერთგვარი კულტურისა სწორგამოთქმათა;

თვით, საფრანგეთის აკადემია მაღამ რამბუიეს სალონიდან სიტყვათა კულტურისა და ცნებათა გარკვევის საჭიროებამ წარმოშვა. საქართველოში არამც თუ ფართე საზოგადოება, არამედ მწერლებიც და მეცნიერებაც ერთგვარი თვითონებობით ხმარობენ სიტყვებს; ბევრი ფიქრობს, რომ ყველაფერი, რაც ენაზე მოადგება სიტყვად გამოდგება და თამამად წამოისვრის ისეთ ვულგარულ გაბგერებას, რომელსაც არა აქვს არც ფონეტიური, არც ფსიქოლოგიურ-სოციალური, არც მორფოლოგიური გამართლება; ჩვენს საზოგადოებაში აზრი არის გავრცელებული, თითქოს ენას მცოდნე იყოს ის, ვინც ენის გრამატიკული საკითხები იცის: მართალია მეტყველების კულტურისათვის საჭიროა არა მარტო ცოცხალი ენის გრამატიკა, არამედ მეტყველების ისტორიული მორფოლოგიის ცოდნა, მაგრამ მარტო ეს არ კმარა: პრეფიქსისა და სუფიქსის პრობლემა, ბრუნვასა და კანკლედობის ისტორიულ-მორფოლოგიური ევოლიუცია მხოლოდ ერთი და ისიც მცირე ნაწილია მეტყველების დიდი სოციალ-ფსიქოლოგიური ბუნებისა, რომლის ცოდნა მოითხოვს ერუდიციას ბიოლოგიისა, ფიზიოლოგიისა, ფსიქოლოგიისა, სოციალური და მატერიალური კულტურის ევოლიუციისა; კაცი შეიძლება ფილოლოგი და ლინგვისტი იყო და ამავე დროს ძალიან ცუდი მცოდნე მეტყველების ბუნებისა: გარდა ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური ერუდიციისა, მეტყველების ბუნების გაგებას, ამ გაგების საზოგადოებრივ კულტურას ესაჭიროება უსათუოდ დიდი შინაგანი ხილვა, ინტუიცია, ესთეტიური გემოვნება და სხვა... ამიტომ დროა შევიგნოთ საერთოდ, რომ ყველა книжник და фарисей მეტყველების კულტურას ვერ შეჰქმნის, ქართულ თქმას ვერ დაამუშავებს. მეტყველებისა და აზრის კულტურის საჭიროება საქართველოში დიდია: თუ რომელიმე ერს მეტყველებისა და აზრის კულტურა ესაჭიროება, ყველაზე უფრო საჭიროა ჩვენში; რევოლიუციამ ქართული მეტყველება გაანთავიუსფლა: ქართული თქმა რევოლიუციამდე საშინაო ცხოვრების იარაღი იყო, დღეს ქართული მეტყველების არც ისე გა-

ფართოვდა, რომ ყველა დარგი მეცნიერებისა და ცოდნისა ქართულად ცდილობს გამოისახოს; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის შემდეგ ასეთი ლაღი და გაშლილი ჰაერითი ქართულ თქმასა და ლიტერატურას არ ჰქონებია; ეს ბიოსფერიული გაწევა და გაშლა ქართული მეტყველებისა ხდება მეცნიერებისა და კულტურის დიდი რეორგანიზაციის დროს: ბევრი რამ, რაც უნივერსალურ ღირებულებად და ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული, რევოლუციამ არარაობად აქცია; ამ გადატეხასთან იცვლება შინა-წყობა ადამიანის აზროვნების და მეცნიერების, კულტურისა და საზოგადოებრივობის.

ასეთ პირობებში ქართული მეტყველების ბუნებაში შემოდის ყალბი შენაკადები თქმისა: ქართველ მწიგნობრებს ქართულ ლექსიკონებიდან ამოაქვთ აუარებელი სიტყვები, რომელთაც ჩვენი ეპოქის სოციალური ფსიქოლოგია არ ავარჯიშებს: საზოგადოებაში ტრიალებენ, განცდანი და საჭიროებანი, რომელნიც მოითხოვენ თქმათა ახალ ფორმებს: ძველი სიტყვების ამოღება ისტორიულ ლექსიკონებიდან შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენი ეპოქის სოციალური ფსიქოლოგიისა და ინდუსტრიული საჭიროებისათვის გამოდგებიან. ამავე დროს გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენ იდეოლოგიურად და მეცნიერულად ისე, როგორც ინდუსტრიულად და ეკონომიურად, დარბი ხალხი ვართ: კულტურულ-ცივილიზაციურ წყობაში მსოფლიო თვალთახედვით ჩვენ პირველი ადგილი ვერ გვიკავია. ბევრი რამ, რის გაკეთება ჩვენ ლიტერატურულად და მეცნიერულად გვესაჭიროება მომავალში, უკვე გაკეთებულია ჩვენზე უფრო კულტურულ ქვეყნებში; ქართული ცხოვრების ინდუსტრიალიზაციას, რომელსაც ხელისუფლება ესოდენ ყურადღებას აქცევს და რომლისაგან დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიული პერსპექტივები, შემოაქვს სოციალური საჭიროების არეში ახალი მეცნიერული თქმები, ახალი სიტყვები. რა თქმა უნდა, ვინც შეჩვეულია ჩვენი კულტურის პატრიარქალურ-ფეოდალურ განცდათა მარტივ მეტყველებით გამოსახულებას, იმისათვის სოციალური საჭიროებით შე-

მოტანილი ნეოლოგიზმები მძიმე მოსახლეობელია; მაგრამ სოციალური კულტურის დიდი ატალღება პატრიარქალურ-მეშხანური იდილიებით და ბუკინისტების არქაიული სურვილებით არ შეჩერდება. ქართული თქმისა და მეტყველების მარტო ისტორიული არსენალი ჩვენი სოციალური განცდების მეტყველებით განაღდება ვერ მოახერხებს; ამიტომ ნეოლოგიზმებს ვერ შევაჩერებთ ლიტერატურაში: ეპოქის სოციალურ განცდათა ქარიშხალი ლიტერატურაში ამეტყველდება თავისებური რეფლექსიებით და რეზონანსებით.

ქართული მეტყველების კულტურა და ორგანიზაცია ნეოლოგიზმების დომინანტებით ვითარდება და მუდმივ ამყოლებობაშია სოციალურ საჭიროებასთან: ამიტომ ყოველგვარი დეკადენტური და წმინდა ფორმალისტური წვალება ქართული თქმისა მავნებელია ქართული ლიტერატურისათვის; ყოველი მწერალი, რომელსაც ნათელი და გარკვეული თქმა ვერ მოუძებნია, რომელიც თავის ესთეტიური ემოციების სიღარიბის გამო ცდილობს ლიტერატურული ხელოვნობა ლიტერატურულ შემოქმედებად გაასაღოს, ჰკარგავს თავის სოციალ-ისტორიულ მნიშვნელობასა და ღირებულებას.

არსად არ არის ტრადიციით ისეთი გაუგებრობა და ქაოსი ლიტერატურაში, როგორც ჩვენშია: ლიტერატურული მუშაობა სხვა ქვეყნებში მოითხოვს აზრს, ცოდნას, გონებრივ კულტურას, ნიჭს ინტუიციას, ტემპერამენტს: ლიტერატურა თავის არსობით, ბუნებით საწყობია იდეათა და განცდათა, ცოდნათა და გამოცდილებათა, სახეთა და თქმათა; თუ რამე დიდი, საინტერესო, მშვენიერი და აზრიანია ისტორიაში, ლიტერატურით გამოისახება; ლიტერატურა უდიდესი ატესტატია ისტორიული კულტურის ღირებულებისა; ინდუსტრია, ეკონომიკა, მეურნეობა ცხადია დიდ გავლენას ახდენენ ლიტერატურულ მიმდინარეობაზე. მაგრამ თვით ინდუსტრიულ-ეკონომიური ცხოვრების ორგანიზაციაზე ლიტერატურა თავისებურად მოქმედებს: რა იქნებოდა ქვეყნად, რომ ერთ

მშვენიერ დილას კაცობრიობას დაავიწყდეს ლიტერატურულ თქმათა და მეცნიერულ დებულებათა ფორმები? ხომ შეჩერდებოდა გიგანტური მოძრაობა ცივილიზაციისათვის ტექნიკით, ლაბორატორიებით, ინსტიტუტებით და საექსპლოატაციო ასოციაციებით. ლიტერატურა დიდი ორგანიზატორია სოციალური კულტურის, ისტორიული ტრადიციის, კაცობრიობის მორალის და ცოდნის. შოთა რუსთაველი ქართული კულტურის ისტორიაში, ვფიქრობთ, უფრო დიდი ორგანიზატორია, ვიდრე დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე: ვეფხის ტყაოსანი ქართულ სოციალურ განცდათა ისტორიული მონუმენტია, რომელსაც ისეთივე გამძლეობა აქვს, როგორც ეგვიპტის პირამიდებს, შეიძლება უფრო მეტიც.

მიუხედავად დიდი ლიტერატურული ტრადიციისა საქართველოში ლიტერატურული სპეციფიკაციის საკითხი ისტორიულად გაურკვეველია: ეტყობა თვით შოთა რუსთაველს ლიტერატურის და პოეზიის განხარისხება ესაჭიროებოდა და ამიტომ მან თავის პოემის შესავალში სწორედ გარკვევით დასვა საკითხი თუ რა არის ლიტერატურა (პოეზია) და ვინ არის პოეტი? რუსთაველის შემდეგ რამოდენიმე საუკუნით გვიან ეს საკითხი წამოიჭრა საფრანგეთში და ფრანგი მეცნიერები სწორედ ისე მოიქცნენ, როგორც რუსთაველი: საფრანგეთში ლიტერატურიდან გამოყვეს მთელი დარგი, რომელსაც დაარქვეს *littérature légère* („მსუბუქი ლიტერატურა). *Littérature légère* საფრანგეთის გაგებით არ წარმოადგენს ლიტერატურის ნამდვილ ფორმას: ის არის ერთგვარი დემონსტრაცია საზოგადოებრივი კულტურის, ტრადიციის ისეთი, როგორცაა ჩვენში სათამაოდო-საყარაჩოდო შაირობა: რუსთაველი ლიტერატურას არ ეძახის „მსუბუქ ლიტერატურას“: რუსთაველის გაგებით ლიტერატურა (პოეზია) სიბრძნის დარგია, რომელიც საჭიროების მიხედვით გამოსახავს ადამიანის სულს ხან გრძლად, ხან მოკლედ. სამწუხაროდ რუსთაველის პრობლემა ქართულ სინამდვილეში დღესაც გამოსარკვევია: ლიტერატურის არსობა, მისი

სპეციფიურ თვისებათა აღნიშვნა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობაში წარმოადგენს საჭიროებას.

ინტერესი ქართული ლიტერატურისადმი საზოგადოებაში დიდია, მაგრამ კაცმა არ იცის სად იწყება და სად თავდება ლიტერატურის არე. ქართულ გაგებაში ლიტერატურას არა აქვს შემოხაზული თავისი სპეციფიური წრეწირი და ამით აიხსნება, რომ ლიტერატურის სახელით საღებდა ის, რაც ლიტერატურას არ ეკუთვნის. კულტურის დიფერენციაციის პროცესში თითოეული სფერო ადამიანის შემოქმედებისა ირკვევა თავის საზღვრებში და ცხადია ლიტერატურის საზღვრებიც უნდა გაირკვეს ქართულ გაგებაში. ლიტერატურის მეცნიერება დადგა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ ზღვარი ლიტერატურის ისტორიისა და კულტურის ისტორიის შორის ნაჩვენები უნდა იყოს: სოციალური მეთოდი, რომელიც ჩვენ შემოგვაქვს იდეოლოგიურ და ლიტერატურულ მოვლენათა შესწავლის პროცესში, მოითხოვს ლიტერატურის არსობის გამოყენებას სოციალური კულტურის სფეროდან, მაგრამ სოციოლოგიური მეთოდის გარკვეული, ორგანოტროპიული პრინციპი ამბობს, რომ ლიტერატურას აქვს თავისი სპეციფიური დამახასიათებელი თვისება, რომლითაც იგი განსხვავდება სოციალური კულტურის სხვა მოვლენებისაგან: იყო დრო რუსეთში, როდესაც ლიტერატურის ისტორია ლიტერატურულ მოვლენებად სთვლიდა სოციალურ კულტურის ისეთ ფაქტორებს, როგორცაა Поучение Владимира Мономаха, Житие святых, Сто глав და სხვა. დღეს რუსეთში საუკეთესო მეცნიერები ამბობენ, რომ ზემოხსენებული Поучение და Сто глав და სხვა... ლიტერატურის ისტორიას არ ეკუთვნიან; მიუხედავად ამისა საქართველოში ქართველი ახალგაზრდობა ქართულ უნივერსიტეტში კ. კეკელიძის წიგნიდან (ქართული ლიტერატურის ისტორია) ამოღებულ ფაქტებით სამეცნიერო ხარისხის მიღების დროს და ისედაც საზოგადოებაში ქართველი ბერების თარგმანებს ლიტერატურულ ფაქტებად ახარისხებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დაუშვებელი შეცდომაა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების დროს

მაინც არ უნდა ჰქონდეს ადგილი: საეკლესიო კულტურას
 დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში, მაგრამ რაც სა-
 შუალო საუკუნეებში ბერებს უთარგმნიათ, ის ლიტერა-
 ტურის ფაქტორებს არ წარმოადგენს; რუსული ლიტე-
 რატურის ისტორიაში Слово о полку Игореве ლიტე-
 რატურული ფაქტორია,, მაგრამ Житие, Сто глав,
 ლიტერატურული ფაქტორები არ არის. ავიღოთ თანამე-
 დროვე ცხოვრებიდან მაგალითი: ვფქვათ ვინმემ
 სთარგმნა რომელიმე უცხო ენიდან ბიოლოგიის სახელ-
 მძღვანელო. შევა თუ არა ლიტერატურის ისტორიაში
 ბიოლოგიის სახელმძღვანელოს თარგმანი? ან დაუშვათ
 უფრო პრეტენზიული ფაქტი: ვინმემ დასწერა ორიგინა-
 ლური და კარგი სახელმძღვანელო ქართულად მსოფლიო
 ისტორიისა, წარმოადგენს თუ არა ლიტერატურულ ფაქ-
 ტორს ეს სახელმძღვანელო?—არა: რა თქმა უნდა კულ-
 ტურის ისტორიისათვის კარგი სახელმძღვანელოს შედგე-
 ნას მნიშვნელობა აქვს. კრაევიჩის ფიზიკის სახელმძღვანე-
 ლომ რუსული ინტელექტუალური კულტურის ევოლუცი-
 აში შეიძლება მეტი გააკეთა, ვიდრე პოლეჟაევის ლექს-
 თა კრებულმა, მაგრამ კრაევიჩის სახელმძღვანელო მაინც
 ლიტერატურული მოვლენა არ არის, პოლეჟაევის ლექს-
 თა კრებული ლიტერატურული მოვლენაა. წმინდა მეცნიე-
 რული მიმართებით ლიტერატურის ისტორიაში შემოვა
 მხოლოდ ორიგინალური მეცნიერული თქმა: ორიგინალურ-
 ი გამოკვლევა რომელიმე ქართველი მათემატიკოსისა ან
 ჭიმიკოსის შეადგენს ქართული ლიტერატურის ისტორი-
 ულ ფაქტორს. ყოველ ორიგინალურ გამოკვლევაში არის
 ემოციონალური დომინანტი ერთგვარი ესთეტიური პა-
 თოსით — ერთგვარი შემოქმედება ტემპერამენტისა და
 განცდის მიმართებით, რომელიც შეადგენს ლიტერატურის
 ისტორიის ნამდვილ საგანს; ამ მხრივ ივანე ჯავახიშვილის
 „ქართველი ერის ისტორია“, როგორც ქართული მეცნიე-
 რების ორიგინალური თქმა, შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა და
 ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი მოვლენაა ისე, როგორც მი-
 ხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, ნიკოლოზ მიწი-
 შვილის „თებერვალი“, ნიკო ლორთქიფანიძის „მრისხანე

ბატონი“, ლეო ქიაჩელის „სისხლი“, და სხვა... ლიტერატურის ისტორიაში შემოდის განსაკუთრებით განცდისა და ტემპერამენტის ორიგინალური სახეობა: რადგან ყოველი ადამიანის განცდა სოციალურ არეში მზადდება, ლიტერატურა suis generis სოციალური სულის შემოქმედებაა.

ლიტერატურა ემოციის სოციალური გამოსახულებაა წერით. ემოციონალობა ახასიათებს ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოებს: მთელი რიგი პოლიტიკური სიტყვებისა დემოსფენისა, ციცერონისა, ლასალისა, ლენინისა შეიცავენ სოციალური სულის მდიდარ ემოციებს და ამიტომ უსათუოდ წარმოადგენენ ლიტერატურულ მოვლენებს ისტორიაში. იყო დრო, როდესაც ადამიანი თავის ემოციონალურ განცდებს გამოსახავდა პრიმიტიულად სხვადასხვა ნიშნებით ცხოველთა ტყავებსა და ძვლებზე, ქვებზე, ფირფიტებზე. ამ დროს ლიტერატურას წარმოადგენდა ყოველგვარი წარწერა, მაგრამ ისტორიულ პროცესის ვითარებაში ადამიანმა დაიწყო თავის შემოქმედებითი ხერხები სხვადასხვა მიმართებით: გამოეყო ერთმანეთს კულტურის ისტორია და ლიტერატურის ისტორია; რამდენადაც კულტურის ისტორია შეიცავს სოციალური ფაქტების კორელაციას, იმდენად ლიტერატურის ისტორია შეიცავს ამ ფაქტებით გამოწვეულ ადამიანთა ემოციების განსახეობას წერით ნიშნებში. ემოციონალობა ახასიათებს ლიტერატურასთან ერთად სიტყვიერებასაც: თქმისა და წერის საშუალებით სულიერი განცდა სახიერდება ისტორიაში როგორც ესთეტიური ფორმები იმ შემთხვევაში, თუ თქმისა და წერის ინდივიდუალური განსახეობა ხდება ემოციონალური დომინანტი.

ლიტერატურას, როგორც ერთგვარ სახეს ხელოვნებისას ახასიათებს ემოციონალობა და ეს ემოციონალობა ყოველთვის შეადგენს სოციალური ცხოვრების ფუნქციას; სამყაროში არ არსებობს თვითარსობითი მოვლენა არსად და არც ლიტერატურული ტექნიკა შეადგენს დამოუკიდებელ მოვლენას სოციალურ ცხოვრებაში: ლიტერატურა არის განსაკუთრებული ფორმა შემოქმედებისა, მაგრამ ფორმა, გამომდინარე სოციალურ საჭიროებიდან და შემ-

ცველი თავის კონსტრუქტიულ წყობაში სოციალური სუ-
ლის მოხერხებისა და ინტერესის. ლიტერატურული ნაწარ-
მოების აგებულება და ვერბალური წყობა არ შეადგენს
ცხოვრებაში ისეთ მოვლენას, რომელსაც ჰქონდეს ხასიათი
ზესოციალური, ზეემპირიული: ლიტერატურულ თქმაში
ყოველთვის სახიერდება ბიოსფერიული და ჯგუფობრივი
განცდა სოციალური ინტერესისა: კომპლექსი ფორმალურ
მიღწევებისა ლიტერატურაში გამომდინარეობს სოცია-
ლურ განცდათა თავისებურობიდან. სოციალური მეთოდა
ლიტერატურის მეცნიერებისა არ უარჰყოფს ფორმის
მნიშვნელობას და მხატვრული თქმის ორიგინალობას, მაგ-
რამ ყოველგვარი ფორმა და მხატვრული თქმა სოცია-
ლურ განცდათა და საჭიროებათა ფუნქციაა. ამიტომ ფორ-
მალურ მიღწევათა შესწავლა, სტილისა და კომპოზიციის
ანალიზი თავისთავად შეუძლებელია ბიოსფეროსა და სო-
ციალურ არეს გარეშე: ყოველგვარი ზესოციალური გან-
ხილვა მოვლენისა არის მეტაფიზიკა და სქოლასტიკა, არის
ძიება სუბსტანციისა და არარსებულის. მეტყველების
კულტურა, თქმის ორიგინალობა, სტილი, ფორმა სოცია-
ლური აზრის ნაყოფია: ყოფის რეალურ პი-
რობებიდან ესთეტიურ განსახეობამდე არსებობს მთელი
რიგი საფეხურებისა, რომელთა შორის ესთეტიური გან-
ცდა მიიმართება არა თავისუფლად, არამედ იძულებ-
ებით; სოციალური ესთეტიკის პრინციპი სოციალური დე-
ტერმინიზმის პრინციპია შემდეგი თანდათანობით:

1. ბიოსფერო, მოთავსებული ეკონომიურ წყობაში.
2. გარკვეული საზოგადოებრივი სტრუქტურა კლასთა
ურთიერთობის ნიადაგზე.
3. ფსიქოლოგია, გამომდინარე ამ საზოგადოებრივ
სტრუქტურიდან.
4. სოციალური განცდა საჭიროებისა და ინტერესის მი-
მართებით.
5. თქმის და განსახიერების ესთეტიური ხერხი.

ლიტერატურისა და ხელოვნების სტილების ევოლიუ-
ცია სოციალურ განცდათა ევოლიუციის შედეგია: ყო-
ველგვარი ხერხი ინდივიდუალური შემოქმედებისა, და-

წყობილი ლირიკიდან, დამთავრებული ტექნიკით და ინ-
დუსტრიით, ნაკარნახევია სოციალურ განცდათა ინტე-
რესის დომინანტიით.

ლიტერატურა ისე გამოსახავს ცხოვრების საჭიროე-
ბას, კულტურის მიღწევებს, ადამიანისა და ხალხის სო-
ციალურ გამოცდილებას, როგორც გეოდეზია, ტექნო-
ლოგია, მათემატიკა, აგრონომია და სხვა სპეციალური
მეცნიერებანი; ლიტერატურა სფეროა ადამიანის სული-
ერ და გონებრივ ჩვევათა რეფლექსოლოგიური ობიექტა-
ვაციისა — სფერო ყველაზე უფრო დიადი და მნიშვნე-
ლოვანი: თვითეული სხვა ფორმა ფსიქიურ-ინტელექ-
ტუალური შემოქმედებისა ერთგვარად ემყარება ლიტე-
რატურის პრაქტიკულ გამოყენებას, მეტყველების კულ-
ტურას. ყველა ეპოქაში, სადაც ლიტერატურისა და მე-
ტყველების ფორმა ვერ აღწევს ერთგვარ ესთეტიურ სი-
სრულეს, იდეოლოგიის ყველა სფერო კრიზისს განიცდის:
სპეციალური მეცნიერებანი სწრაფად ვითარდებიან და
გონებრივი განვითარება ნორმალურად მიმდინარეობს
ხალხის ცხოვრებაში, თუ სოციალურად შემოღებულია
პატივისცემა და კულტურა ლიტერატურისა. არსებობს
ორგანოტროპიული შეფარდება სწორი მე-
ტყველებისა და სწორი აზროვნების შორის: თუ მეტყვე-
ლება განვითარებული არ არის, არც სოციალური ცხოვ-
რებაა განვითარებული: ბავშვის მეტყველების ევოლიუცია
ორგანიულად ეფარდება ბავშვის სულიერი და გონებრივი
ცხოვრების ევოლიუციას, ხალხის მეტყველების ევოლიუ-
ციაც წარმოადგენს ანალოგიურ მოვლენას: რაოდენად
გარკვეულია და ესთეტიურად ჩამოყალიბებული სოცია-
ლური სულის მეტყველება, იმდენად გარკვეულია და გა-
შლილი ჰორიზონტი საზოგადოებრივი აზროვნებისა;
მეცნიერების ყოველი დარგის განვითარებისათვის კულ-
ტურის ყოველი ფორმის სრულყოფისათვის უწინარეს
ყოველისა საჭიროა საზოგადოებრივი კულტურა მეტყვე-
ლებისა და ლიტერატურისა, განცდისა და გამოთქმისა:
ხალხს, რომელსაც არა აქვს განვითარებული სოციალური
ფსიქოლოგია და მისი მეტყველებითი სფერო, არასოდეს

არ ექნება დიდი ინდუსტრია და მეცნიერული ტექნიკა: დიდი ინჟინერი ან დიდი ქიმიკოსი საზოგადოებაში წხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების იდეოლოგიური ფორმა აღწევს განვითარების მაღალ წერტილს; რა თქმა უნდა იდეოლოგიის ყოველგვარ განვითარებას საფუძვლად უდევს ეკონომიური ინდუსტრიული წარმატება ხალხისა, მაგრამ იდეოლოგიის გამტოვების პროცესში დომინანტური მნიშვნელობა აქვს მეტყველებისა და ლიტერატურის საზოგადოებრივ კულტურას.

დაწყებული ავანსად გამოცხადებული „ლიტერატურულ“ მანიფესტებით, დამთავრებული კიკლიკურ-რადიკალური დისერტაციებით და ავანსად გაცემული სამეცნიერო ხარისხებით, ჩვენში ხდება დაუსრულებელი სპეკულიაცია ლიტერატურისა და მეცნიერების სახელით: ერთი მხრით გამართულია მარულა დილუტანტებისა და ლიტერატურის ხელოვნების; მეორე მხრით—დოლი ბუკინისტებისა და „კნიჟნიკების“. უდაოა, რომ ეს დეფექტიური მოვლენაა ჩვენი სოციალური კულტურის ევოლიუციაში: რაოდენად ეს მოვლენა, როგორც ერთგვარი გადანაშთი ჩვენი ცუდი წარსულისა, შედის ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში, რაოდენად იგი საზოგადოებრივი მოვლენა არის, იმდენად მასთან ბრძოლა აუცილებელია ნამდვილ ლიტერატურულ-მეცნიერულ ღირებულებათა სოციალური კულტურისათვის, ჭეშმარიტი ლიტერატურისა და მეცნიერების სოციალ-ისტორიული პერსპექტივებისათვის.

II

სოციალური სული და სტილის სოციოლოგია.

კულტურის ევოლიუციაში საყურადღებოა ორი მომენტი: ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან, ადამიანის დამოკიდებულება ადამიანთან. იბრძოდა რა ადამიანი არსებობისათვის, ეცნობოდა ერთი მხრით ბუნების

ძალებს, მეორე მხრით ადამიანს; ადამიანი ყოველთვის იმდენად იმარჯვებდა ბუნებასთან ბრძოლაში, რაოდენად ეწყობოდა საზოგადოებრივ ყოფაში. ადამიანი თავს გრძნობდა ბუნების ძალთა შორის კარგად მხოლოდ იქ, სადაც ერთგვარად ეწყობოდა სოციალური ყოფა, სადაც ასე თუ ისე ყალიბდებოდა მტკიცე ორგანიზაცია საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

კულტურის ევოლიუციას შეადგენს მოქმედებანი ადამიანთა: თითოეული მოქმედება არის თავისთავად შედეგი ყოფილი მოქმედებისა და მიზეზი იმისა, რაც იქნება. ისტორია ფაქტების პრაგმატიული კავშირია. ფაქტები გროვდებიან არსებობისათვის ბრძოლის პროცესში და სხვადასხვა სფეროს ცხოვრებისას აქვს სხვადასხვა სახის ფაქტების წყობა: პოლიტიკა, მეცნიერება, ფილოსოფია, ლიტერატურა, მორალი, ენათმეცნიერება წარმოადგენენ შენაკადებს იმ დიდი მიმდინარეობისა, რომელსაც უძახიან კულტურის ევოლიუციას და რომლის დენაში თითოეული შენაკადი შემოდის ფაქტების ერთგვარ პრაგმატიული წყობით. კულტურულ-ცივილიზაციური შენაკადები ევოლიუციისა განუწყვეტლივ მოქმედებენ ერთმანეთზე იმდენად, რაოდენად მათ ურთიერთობას მოითხოვს სოციალური საჭიროება, არსებობისათვის ბრძოლის ყოველდღიური პრაქტიკა: ეკონომიური ცხოვრების მიმდინარეობა მოქმედებს პოლიტიკისა, უფლებისა, მორალისა, ტექნიკის ვითარებაზე; პოლიტიკური ცვლილებანი მოქმედებენ ეკონომიური ცხოვრებისა, მეცნიერებისა, ლიტერატურისა, ფილოსოფიისა და მეცნიერების ფორმებზე და სხვა...

კულტურის პროცესი შემოქმედებითი ურთიერთობის პროცესია: სტატიური, უძრავი, განაპირებული და აბსოლუტურად ცალკეული ყოფა კულტურის ევოლიუციაში არ არსებობს, ცხოვრება არ აძლევს კულტურის ვითარებას ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულ მიმართებას: ყოველ ეპოქაში ცხოვრებას შემოაქვს თავისებური ფორმები სინამდვილისა და აზრის, არსებობისა და განცდის; არსებობა ცვლილებათა დენაა და თითოეული მო-

მენტი არსებობისა ერთგვარი დემონსტრაციაა ამ შეუ-
ჩერებელი დენის შინაგანი ძალებისა. ის, რასაც ჩვენ
ისტორიას ვეძახით, არის სოციალური ძალების დემონ-
სტრაცია: აზრი და სული ეპოქისა უკავშირდებიან ის-
ტორიულ მომენტს; იცვლება გარემო, იცვლებიან სოცია-
ლური განცდები და ინტერესები; გარემოსთან ერთად
იცვლება საზოგადოების, ეპოქის სული, მისი იდეალები
და გრძნობანი, მისი ტკივილები და აზრები.

ისტორიული ცხოვრების ყველა ფორმა, რომელსაც
ჩვენ ვიცნობთ სახელმწიფოსა, მეურნეობის, მეცნიერების,
ლიტერატურის და ფილოსოფიის სახით, ჩნდება რიგრი-
გობით სოციალური საჭიროების ევოლიუციაში: მოქმე-
დებანი პოლიტიკურ მოღვაწეთა, მოსამართლეთა, მრეწ-
ველთა, მეცნიერთა, მწერალთა, მუსიკოსთა გამომდინა-
რებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებიდან;
ადამიანთა მოქმედებაში, სისტემებსა და ფორმებში ყო-
ველთვის ისახება ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების
რეალური ინტერესი, საჭიროება კლასის, რომელიც გა-
მარჯვებულია ბრძოლაში და რომელსაც აქვს შემოქმე-
დებითი პერსპექტივები.

პირადი ბედნიერებისა და უბედურების საკითხი ის-
ტორიულად საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხია, და
რაოდენად სოციალური არე თავის შინაგან წყობაში სწო-
რად მიმდინარეობს, იმდენად მწყობრად და ნორმალურად
ვითარდება სულიერი და გონებრივი ცხოვრება ცალკეუ-
ლი ადამიანისა: ბრძოლა და გამარჯვება ბრძოლაში ყო-
ველთვის გულისხმობს ვინმეს დამარცხებას; ერთის გა-
მარჯვება მეორეს დამარცხებას ნიშნავს და გამარჯვები-
სათვის საჭიროა დამარცხების არე; ფაქტების მიმდინა-
რეობა სამყაროში კო რ ე ლ ი ა ტ ი უ რ ი ა და რაოდენ-
ნად სცდება ფრიდრიჰ ნიცშე ინდივიდუალიზმის კულ-
ტურის განაპირობებაში, იმდენად მართალია ჩვენი ვაჟა-
ფშაველა, როდესაც მთას ელაპარაკება: „ნუ დაგავიწ-
ყდება მთაო, საფუძვლად ბარი გაქვს ტალახიანი“.

შორეულ წარსულიდან ადამიანმა გარკვევით იგრძნო,
რომ ბრძოლა ბუნებასთან ცალკეულად ძნელია; პრომე-

თეს იდეა ადამიანთა ტანჯვისა და სოციალური მოუწყობლობის ნაყოფია: ჩვენი ამირანი, რუსების ილია მურომელი, ბერძნების ჰერკულესი, ფრანგების როლანდი და მრავალი სხვანი სიმბოლიური სახეებია სოციალური იდეალების იმ ეპოქებში, როდესაც ცალკეული ადამიანი რეალურ ყოფაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში განიცდის მარტოობის შიშს და ეძიებს თავის გარემო სოციალური ცხოვრების ამწყობს. გ მ ი რ ი ს კ უ ლ ტ ი ის ტ ო რ ი ა შ ი ს ო ც ი ა ლ უ რ ი ს უ ლ ის მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ა .

არსებობისათვის ბრძოლაში პირობების მიხედვით ადამიანი არკვევს გზას თანდათანობით, ტანჯვით, მოხერხებით, თმენით; კაცობრიობის ისტორია ფაქტიურად შეწყობისა და მოხერხების ისტორიაა: ცხოვრება უღმობელად ანადგურებს ჯიშს და მოდგმას, რომელნიც ვერ ეწყობიან არსებობის პირობებს, მდგომარეობას, — რომელთაც არა აქვთ ენერჯია და ხერხი ბრძოლისა. ტანი და სული ადამიანისა იქმნება ბრძოლით და ბრძოლისათვის; ადამიანი იბრძვის კუნთებით და იდეებით: ჩაქუჩი მუშტის მიმსგავსებაა, ჩანგალი — თითების; სული განცდის ამყოლია და აზრი — ფაქტის; გ ო ნ ე ბ ა ს ა გ ა ნ თ ა წ ყ ო ბ ი დ ა ნ გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს და არა — ს ა გ ნ ე ბ ი გ ო ნ ე ბ ი დ ა ნ .

ყველა ფორმა გონებისა და სულის არსებობისათვის ჩვევათა კომპლექსებია; რა სახისაა არსებობისათვის ბრძოლის პირობები, ისეთი ფორმის არიან სულისა და გონების მიმართებანი; ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა და ი ნ ტ ე რ ე ს ი მ ა რ თ ა ვ ე ნ ქ ვ ე ყ ა ნ ა ს, ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა და ი ნ ტ ე რ ე ს ი ჰ ქ მ ნ ი ა ნ ს უ ლ ის ა და ა ზ რ ი ს ფ ო რ მ ე ბ ს; დაუსრულებელია საგანთა წყობის ფერისცვალება, მაგრამ ყოველგვარ ცვლილებაში ცხოვრება წინ მიიმართება საჭიროებით და ინტერესით.

სულსა და გონებაში ფაქტები ერთმანეთს იმდენად უკავშირდებიან, რაოდენად რეალურ ცხოვრებაში სოციალური საჭიროება აწესრიგებს ფაქტების წყობას: სუ-

ლი ადამიანის თავის გონებით, გრძნობით, ნებით—განცდა-
თა და ცნობათა მთელი არსენალით, ესთეტიურ-ფილოსო-
ფიურ და მეცნიერულ ხილვათა წყებით ვითარდება სა-
გნობრივად; იდეათა ლოგიკას ჰქმნის ბიოსოციალურ შე-
წყობათა კომპლექსების ჩვევა; სამყაროს ესთეტიურ-
ფილოსოფიური სახეობა ითარგება სოციალურ საჭიროე-
ბათა და ინტერესთა განცდებში: მწყემსი ხალხი ვარ-
სკვლავიან სივრცეში ხედავს განსახიერებას თავის რეა-
ლურ ცხოვრებისას; ასეთი ხალხი ცაში ეძიებს თავის
ჯოგს, ცხვრის ფარას, მწყემსის მეთაურ ღმერთს; აგრა-
რული ფსიქოლოგია სამყაროში ყოველგან ამჩნევს იმას,
რასაც ხედავს ბალ-ბოსტნებსა და ჯეჯილით ამწვანებულ
მინდვრებზე: სოციალ-მხედველობა და სულიერ მოვლენა-
თა მიმდინარეობა ყოველთვის ისეთია, როგორც შეე-
ფერება სოციალურ საჭიროებას და იმ ინტერესს, რომე-
ლიც გამოწვეულია არსებული საზოგადოების წარმოე-
ბით; თუ სოციალური საჭიროებით გამოწვეული ინტერე-
სი ძლიერი არ არის, ფაქტს ისტორიაში არა აქვს მნიშე-
ნელობა; ფაქტი იმდენად სახიერდება ისტორიულად,
რამდენად ცხოვრების წარმოებითი ინ-
ტერესი მოითხოვს ფაქტის არსებო-
ბას; ფაქტის ღირებულება წარმოე-
ბის პრაქტიკით ისაზღვრება: ნორმა-
ნებმა მეთავე საუკუნეში გახსნეს ამერიკა, მაგრამ ამერიკის
აღმოჩენას მხოლოდ კოლუმბის შემდეგ მიაქციეს ყურა-
დღება — მხოლოდ მაშინ, როდესაც ევროპის სავაჭრო
კაპიტალს დასჭირდა ამერიკის ოქრო და მონები; იმპრე-
სიონიზმი შემოიჭრა გერმანულ ხელოვნებაში არა იმი-
ტომ, რომ მაქს ლიბერმანი გაეცნო წანეს და სეზანს,
არამედ გერმანია დაადგა სოციალური ფსიქოლოგიის
იმ ვითარების გზას, რომლის უმეშვეო ადეკვატურ გა-
მოსახულებას წარმოადგენს იმპრესიონიზმი; გენიოსური
და თამამი იდეა ისტორიაში ილუპება, თუ მას არა აქვს
მომზადებული ნიადაგი, სოციალ-ისტორიული არგები;
იდეები და სახეები კულტურის ევოლიუციაში იცვლებიან
სოციალური ყოფის ცვლილებებში: მეხუთმეტე საუკუ-

ნემდე ხელოვნებაში მხოლოდ მეფეები და დიდი ფეოდალები ჩანდნენ, მეთხუთმეტე საუკუნიდან სურათებზე ვხედავთ არა მარტო ფეოდალებსა და მეფეებს, არამედ ვაჭრებსა და ბურგომისტრებს: შეიცვალა სოციალურ ძალთა წყობა — დაიწყო დეკადანსი ფეოდალურ არისტოკრატის და კულტურის ევოლიუციაში მომქმედ პირებად შემოდინან სხვები — ვაჭრები, ბურგომისტრები, მხატვრები, პოეტები: — წოდებრივი და კასტური ტიპიზაცია ცხოვრების იცვლება ინდივიდუალიზმით და პორტრეტიზმით.

რენესანსი იდეალური ფორმაა ისტორიაში ისეთი ეპოქისა, როდესაც სოციალ-ეკონომიური წყობა რეალურ ცხოვრებისა იმეორებს შორეულ წარსულის სოციალური ცხოვრების სტრუქტურას და მასთან ერთად სული ადამიანისა იმეორებს იმ იდეოლოგიას, რომელიც წარსულს ჰქონდა: მეთექვსმეტე საუკუნის სოციალური ცხოვრების სტრუქტურა ისეთია დაახლოებით, როგორიც იყო ძველი საბერძნეთის სოციალური ცხოვრების სტრუქტურა აყვავების პერიოდისა, — და როდესაც ისტორიულად დაეწყო საზოგადოებრივი ცხოვრება თავისებური შინაგანი სტრუქტურით, სოციალური სული, აწყობილი იმ პირობებში, მაშინათვე იგონებს შორეული წარსულის იმ სოციალ-ეკონომიურ თავისებურობას, რომელიც წააგავს მის გამომწვევ მიზეზებს; ერთნაირი პირობები ისტორიაში იძლევიან ერთნაირ იდეოლოგიას და ეპოქა იმეორებს წარსულის ფორმებს მაშინ, როდესაც მის განცდებსა და ემოციებს ეს ფორმები შეეფერებიან.

საბერძნეთის ხელოვნების სტილი მე-5 და მე-4 საუკუნისა იწყებს განახლებას რენესანსის ხელოვნებაში: „ის, რასაც ჩვენ ვიცნობთ ისტორიაში რენესანსის სახელით, არის ბოლოს და ბოლოს ბურჟუაზიული, ქალაქური კულტურა“ — ამბობს ჰაუზენშტაინი თავის წიგნში. რენესანსი განყენებული და სინამდვილეს მოწყვეტილი თაური კი არ არის სულიერი კულტურის ევოლიუციაში, რენესანსი ისტორიულად მომდინარეობს ქალაქის ინდუსტრიისა და ვაჭრობის ესთეტიური განცდე-

ბიდან; რენესანსის სტილი იმეორებს საბერძნეთის სტილს იმ ეპოქებისას, როდესაც საბერძნეთში ვითარდებოდა სავაჭრო კაპიტალი, როდესაც იონიის სანაპირო ქალაქები ხდებიან სამშობლოდ ანაკრეონის პოეზიისა, როდესაც ჰერაკლიტე ეთესელი ამბობს pavta rei — ყველაფერი დენაა. მოძრაობა და ცვლილება: — ეს უარყოფაა ჰომეროსის ეპოქების სულის, — უარყოფაა კონსერვატიულ-ფეოდალური სტილის. ფეოდალური სტილი საბერძნეთის, ეგვიპტის, რომის, ასურეთ-ბაბილონიის ერთნაირად ამბობს: არაფერი არ იცვლება, ყველაფერი მარადიულია; ფეოდალურ-აგრარული კულტურა ყოველთვის იძლევა ულტრანდივიდუალიზმისა და კონსერვატიზმის სულს. ქალაქურ-ვაჭრული კი — რელიატივიზმისა და ეფემერიზმის იდეას. არქიტექტონიული სიმბოლო ფეოდალური ქვეყნებისა არის უძრავობა დორიული სვეტებისა; არქიტექტონიული სიმბოლო ქალაქური კულტურისა იონიის სავაჭრო ქალაქები და კორინთის მსხვილი ბურჟუაზიის ფუფუნება (კონიზმით და ულტრანატურალიზმით ხელოვნებაში).

თვით რენესანსი არ არის მთლიანი და ერთეული მოვლენა ისტორიაში; არა მარტო სხვადასხვა ქვეყნებში იტალიის გარეშე, თვით იტალიაშიაც რენესანსის სტილი სხვადასხვა სოციალ-ეკონომიურ პირობებში სხვადასხვაობს: რენესანსის დასაწყისში აღსანიშნავია ვენეციული და ფლორენციული სტილი; ვენეცია ისტორიულად მსხვილი ვაჭრობის ქალაქია; ის ერთგვარი რესპუბლიკაა მოვაჭრე კოროლებს; ფლორენცია ქალაქია ხელოსნებისა, ამქრებისა და წარმოების დემოკრატიის; ამ სოციალ-ეკონომიურ და წარმოებით განსხვავებიდან გამომდინარეობს საუცხოვოდ განსხვავება სტილებისა: ფლორენციის რენესანს აკლია ემოციონალობა, ვენეციულ რენესანს ახასიათებს დითირამბიული სტილი და სიზვიადე გალადებისა, გამდიდრებისა, ბურჟუაზიულ-ინდივიდუალისტური თავაწყვეტისა. ამ რიგად ეწყობა ორგანიული კონსტელიაცია სოციალური სულისა ინდუსტრიის მიმართებით და სტილი უმეშვეოდ მომდინარეობს მეურნეობისა და სოციალური საბჭოების განცდები-

დან. სტილის ევოლიუცია ისტორიაში სულის ევოლიუციის სტატიკაა: ხელოვნების შინაარსია ყოველთვის საზოგადოება, მისი განცდები და იდეალები, მისი ემოციები; სტილი ბოლოს და ბოლოს სოციალურ განცდათა მატერიული წყობაა: „მატერია“ სიტყვებისა, ფერებისა, ნაკვთებისა, ბგერებისა სახიერდება როგორც ფუნქცია სოციალური ემოციების და ამ სახიერებაში ხელოვნების ორგანიზაცია დასრულებულ ეპოქის მონუმენტად რჩება ისტორიაში. თანდათანობით იცვლება ისტორიის შინაარსი: ომებისა და სისხლიანი ფაქტების მაგიერ ისტორიაში შემოდის სოციალური ემოცია; ოდესღაც ომები და სოციალური ემოცია ერთმანეთს დაშორებული იყვნენ: ისტორია ადგილს არ აძლევდა სოციალურ კათეგორიებს, აპრიორიზმი და უნივერსალიები შეადგენდნენ ისტორიის აზრს; მონასტრები და ეკლესიის გუმბათები ისე ღალატებდნენ აპრიორიზმისა და უნივერსალიების შესახებ, როგორც ავგუსტინის თეოლოგია და კარლოს დიდის ხმალი. სოციალური სული შეკუმშული იყო ინდივიდუალიზმის ნაჭუჭში წოდებრივი და რელიგიური ტირანიით.

ფეოდალური წყობა და ეკლესიის აბსოლიუტიზმი სოციალ-ეკონომიურ ევოლიუციის პროცესში თავდება ისტორიულად ეგრედ წოდებული ბაროკოს სტილით: კონსერვატიული რელიგიოზობა ფსიქოლოგიურად ერთვის ფეოდალური კულტურის ფორმალურ გადანათვებს. ბაროკო გამოსახავს ფსიქოლოგიას დაგვიანებული ფეოდალური არისტოკრატისა, მისი პრეტენზიებისა და ტრაბახისა, მისი ცენტრალიზაციის უკანასკნელი წუთების განცდებს, ბაროკოს სტილის მთავარი თვისება გამოსახავს ძლიერი ფეოდალიზმის სულს, მაგრამ ფეოდალიზმის სიძლიერეს მოსდევს ფეოდალიზმის რღვევა და ქალაქის ბურჟუაზიის მოძრავი სული ერთგვარი დეკადენტიზმით, რომელიც განსახიერდა როკოკოში. რაოდენად ბაროკო იკვებება ფსიქოლოგიურად ფეოდალიზმით, იმდენად როკოკო იძლევა ქალაქური ბურჟუაზიისა და ამქრების ემოციებს: ეგრე იწნევა ორგა-

ნიკ. შებუევი.

სუმბათაშვილი, მაქსიმ გორკი და მოსკოვის წრე.

1

ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილ-იუჟინს სულ სამი პირმშო ჰყავდა. პირველი — ეს იყო მცირე თეატრი, სადაც მან იმუშავა 45 წელს. მეორე — დრამატიულ მწერალთა კავშირი, რომლის თავმჯდომარედაც იგი იყო სიცოცხლის დასასრულამდე და მესამე — მოსკოვის სალიტერატურო-სამხატვრო წრე. რომელიც მან დააარსა, რომლის უცვლელი თავმჯდომარე იყო და რომელშიაც იგი ატარებდა ყოველდღიურად 6-8 საათს.

აი, სწორედ ამ მესამე პირმშოს გახსენებაა საჭირო ახლა, **მაქსიმ გორკის** სალიტერატურო მოღვაწეობის 35 წლის იუბილეს დღეებში. მიტომ, რომ მოსკოვის ეს წრე მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან იუჟინისა და გორკის სახელებს. თუმცა ისიც მართალია, რომ ამაზე უფრო ადრე ისინი **ერთმანეთს დაუკავშირა და თანამემამულეები გახადა ტფილისმა.**

2

იუჟინი ტფილისელი იყო არა მარტო ფიზიკურად. ტფილისმა მის სულიერ ცხოვრებაშიაც უდიდესი როლი ითამაშა: მან უჩვენა მას სწორი გზა, საშუალება მისცა თავისი თავი გამოერკვია. მწერლათა და აქტიორად აქცია. ტფილისში დედისაგან შეითვისა საშამ შილერის, ვიქტორ ჰიუგოსა და ვალტერ-სკოტის სიყვარული, — სიყვარული იმ რომანტიკოსებისა, რომელთა ნაწარმოებნი იუჟინს მთე-

ლი მისი სიცოცხლის განმავლობაში ჰკვებავდენ თავისი წვენი. მართლაც და რომანტიული დრამის ნიღაბებზე უფრო უმაღლესი მიღწევა ამ ხელოვანს არც მოუცია.

ტფილისში საშა სუმბათაშვილის ნიჭი პირველად ალტაცებით აღნიშნა გიმნაზიის მასწავლებელმა **რილეევმა**, როდესაც მოისმინა მისგან ჩაცკის მონოლოგი. რილეევის მიერ შექებამ, რასაც სუმბათაშვილი არა ერთხელ გაიხსენებდა ხოლმე მისთვის გადამწყვეტი როლი ითამაშა. და ჩვენ ვიცით, რა იყო ჩაცკი იუჟინის ცხოვრებაში — (ჩაცკის როლში გამოვიდა იგი დებიუტით მცირე თეატრში, ჩაცკის როლი არ გაუგდია ხელთაგან მას 30 წლის განმავლობაში) — და რა იყო ჩაცკის როლში იუჟინი, ესეც ხომ ვიცით.

ტფილისშივე ჰპოვა მან პირველი მეგობარი და თანამებრძოლი, თეატრით მოძმე — **ვლად. ივ. ნემიროვიჩი-დანჩენკო**. ყველა თავის პირვანდელ გამოსვლებში იუჟინი მუდამ თამაშობდა ნემიროვიჩი-დანჩენკოსთან და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი სამხატვრო თეატრის ბურჯად, ხოლო იუჟინი — მცირე თეატრის ბურჯად გადაიქცა, მათი გზები გაიყარა.

ტფილისში, უფრო სწორად რომ ითქვას, ჩუღურეთში, 1875 წელს შესდგა პირველი დასი, რომელშიაც გარდა საშა სუმბათაშვილისა და ვალოდია ნემიროვიჩის მეგობრებისა, მონაწილეობდენ **ვასო აბაშიძეც, ჩერნიკოვი და შუსევი**. სწორედ ამ თეატრიდან გაიზარდა იუჟინი აქტიორად და სუმბათაშვილი — მწერლად. ჯერ მწერალი გახდა, მერე აქტიორი. ჩუღურეთში გადასწყვიტეს დაედგათ **გრიგორიევის** კომედია „*Девушка себе, на уме*“. მაგრამ იყო პატარა დაბრკოლება ვერ იშოვეს ლიტოგრაფიული წესით დაბეჭდილი ეგზემპლარი პიესისა. ხოლო დადგმა უეჭველად ამ პიესისა უნდოდათ; სუმბათაშვილს იგი სადღაც ენახა და საშინლად აქებდა. — „მოდით, იცით რა! საერთოდ მე მახსოვს ეს პიესა და მე თვითონ გავიხსენებ, დავწერო“. და გრიგორიევის თარგი ახალგაზრდა იუჟინმა საკუთარი სიტყვებით ამოჰქარგა. ეს იყო პირველი დრამატიული ნაშრომი „*Цепи*“-ს, „*Старый закал*“-ისა, „*Закат*“-ის და „*ღალატის*“ მომავალი ავტორისა.

პიტერიდან ვაკაციებზე ტფილისს ჩამოსული სტუ-
დენტი სუმბათაშვილი იმავე ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან
ერთად ჰბედავს და ოსტროვსკისაც კი თამაშობს.

ტფილისშივე მოაშურებს ალექსანდრე ივანეს-ძე, უკვე
როგორც სახელგანთქმული აქტიორი, მოდის გასტროლებ-
ზე სამჯერ. არა! გასტროლებზე კი არა, იმისათვის, რომ
სული მოიოხოს, გაითბოს. იგი ტფილისს მოდის 1902,
1916 და 1923 წელს.

ტფილისისაკენვე მოილტვის იგი თავის სიცოცხლის
უკანასკნელ ხანებშიაც, რათა დაიმარხოს საქართველოს
ცის ქვეშ. მიწათმოქმედების კომისარიატის წინაშე იგი
შუამდგომლობს ერთი ნაჭერი მიწის მიღებას საქართვე-
ლოში. მიწათმოქმედების კომისარიატი ანგარიშს უწევს
მის სურვილს და 1923 წ. მას აძლევენ მიწას მის მშობ-
ლიურ თელეთში, ტფილისის ახლოს. და იუჟინი ტფილისში
მოკვდებოდა, რომ არ მომხდარიყო, როგორც მანვე აღნი-
შნა თავის ნათესავისადმი გამოგზავნილ წერილში, რე-
პერტუარის ხელახალი განაწილება: “1927 წ. გულის
ნევროზი, 1925 წელს საზღვარგარეთ წამლობა,
1926 წელს — ფილტვების ანთება, 1927 წელს —
საზღვარ-გარედ წამლობა” ... ამის შემდეგ წერილში მრავ-
ალი წერტილია. ვაი, რომ ამ მრავალ წერტილის დამთავ-
რება ახლა უკვე შეგვიძლია: „სადაც სექტემბრის 17-ს,
იგი გარდაიცვალა“. მისი ცხოვრების გზა უდრის 70 წელსა
და 3 დღეს. იგი გარდაიცვალა მერვე ათეულ წელში ფეხ-
შედგმული. ნიცკამ ტფილისს წაართვა ალექსანდრე ივან-
ეს ძე. მაგრამ იუჟინი ტფილისელი იყო არა მარტო სხეუ-
ლით, არამედ, სულითაც.

3

რა როლი ითამაშა ტფილისმა გორკის ცხოვრებაში?
ისეთივე, როგორიც სუმბათაშვილის ცხოვრებაში. ხო-
ლო უნდა ითქვას, რომ გორკი ტფილისში დაიბადა არა
სხეულით, არამედ მხოლოდ სულით.

ტფილისში შეხვდა მაქსიმ გორკი თავის პირველსა და ერთად-ერთს მასწავლებელს ა. მ. კალიუჟნის, რომელიც აქამდე ცხოვრობს ავჭალის შესახვევში. სწორედ ეს მასწავლებელი იყო, ჭაბუკს გორკის თვალები, რომ აუხილა საკუთარ ნიჭზე, იგი იყო, რომ მას მწერლის გზაზე მიუთითა. სწორედ ეს მასწავლებელი იყო, ძალით რომ შეაგდო გორკი-სტუმარი კანტორის ოთახში, კარები დაუკეტა და დაუძახა: „სანამ არ დასწერ იმ ციგანის ამბავს, მე რომ მომიყვები, არ გამოგიშვებ. ნუ გაქვს შებრალების იმედი! მე გულს ვერ ამიჩუყებო!“ და გორკიმ დასწერა. ეს მოთხრობა პირველი მოთხრობაა მწერლისა, იყო „მაკარ ჩუდრა“. და ამ ამბავს, 30 წლის შემდეგ, კალიუჟნისადმი გამოგზავნილ წერილში გულმხურვალედ იხსენებს გორკი: „ძვირფასო მეგობარო ალექსანდრე მეთოდეს ძევ! თქვენ იყავით პირველი ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტად ადამიანურად მომეპყარით. თქვენ პირველი იყავით, რომელმაც შემომხედეთ თქვენის ლმობიერი თვალებით, რომელიც კარგად მახსოვს. შემომხედეთ არა მხოლოდ როგორც უცნაური ბიოგრაფიის მქონე ჭაბუკს, როგორც უსაქმო მოხეტიალე ვინმეს, რალაც გასართობს, მაგრამ საეჭვოს... თქვენ პირველმა იძულებული გამხადეთ ჩემი თავისთვის სერიოზულად შემეხიონა. თქვენი წაბიძგების ბრალია ის, რომ აი, მე უკვე ოცდაათ წელზე მეტი ხანია პატიოსნად ვემსახურები რუსულ ხელოვნებას“ *)...

ტფილისში მოხდა, რომ 1892 წელს გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილ მოთხრობა „მაკარ ჩუდრას“ ქვეშ პირველად ეწერა „მაქსიმ გორკი“. ეს არის მწერლის დაბადების დოკუმან სახელი გაითქვა ჯერ კავკასიის მასშტაბით, რადგანაც „კავკაზ“-ს კავკასიის გარეშე ვერავინ კითხულობდა.

ტფილისშივე დასწერა გორკიმ თავისი მეორე მოთხრობა. წაუღო „კავკაზ“-ს. არ გაუშვეს: „ჩვენ ოფიცოზი ვართ, მოთხრობა კი საროსკიპოს ცხოვრებიდანააო“. მაგ-

*) მომავალ 1928 წელს ა. ი. კალიუჟნის 75 წელი უსრულდება. საქართველოს მწერალთა კავშირმა უყურადღებოთ არ უნდა დასტოვოს ეს იუბილე.

რამ ფაქტი ფაქტად რჩება: გორკიმ დაიწყო სისტემატიური წერა.

ტფილისში გორკიმ ხარბად „გადაყლაპა“ კალიუჟნის მთელი ბიბლიოთეკა და მას ბევრ რამეზე აეხილა თვალი.

ტფილისშივე დაუახლოვდა იგი პირველად სოციალისტურად განწყობილ ახალგაზრდობას და სამი თვე მეტეხის ციხის კედლებს შორის გაატარა.

ტფილისი მოინახულა გორკიმ სამჯერ, როდესაც უკვე სახელგანთქმული მწერალი იყო. მან ინახულა თავისი საყვარელი მასწავლებელი აკჭალის შესახვევში, იყო მცხეთაში, სუნთქავდა საქართველოს თბილ აერს.

ტფილისს იგი გაიხსენებს ხოლმე ახლაც კი ფრიადი და გულითადი სიყვარულით. მისგან გავიგონე კაპრის კუნძულზე (იტალია): „ვისაც მტკვრის წყალი დაუღვია, ტფილისი აღარ დაავიწყდებაო“. იქნებ მაშინ სვამდა გორკი მტკვრის წყალს, როდესაც მეტეხში იჯდა? ტფილისზე იგი ლაპარაკობდა, როგორც სამშობლოზე. არც საკვირველია: მისი ნამდვილი სამშობლო მას მკაცრად მოექცა, — მისი ბავშვობა ძალიან უსიხარულო იყო. ტფილისი კი — ამ მწერლის სულიერი სამშობლოა. ვიმეორებ, — იუჟინი და გორკი თანამემამულენი არიან.

4

და აი, როდესაც უმცროსი თანამემამულე მოსკოვს ჩავიდა, იუჟინმა ხალისიანად მიიღო იგი თავის „წრეში“. რასაკვირველია არა იმ მხრით, რომ მისცა მას ბინა, საჭმელ-სასმელი, განათება და სიტბო. გორკის ესენი არ უჭირდა. იუჟინმა უფრო მეტი რამ გააკეთა. მან საშუალება მისცა გორკის საჯაროდ გამოსულიყო, გამოეთქვა და დაეცვა თავისი და იმათი იდეები, ვინც მასთან იყო.

მოსკოვის ადმინისტრაცია, რომელსაც სათავეში ედგა „უავგუსტოესი ბატონი“ სერგეი ალექსანდროვიჩი, იუჟინის წრის წინააღმდეგ ყოველთვის კბილებს იღესდა.

წრეში კვირაში ერთხელ იმართებოდა სალიტერატურო საღამოები. ხანდახან უფრო ხშირადაც... იყო მოხსენებები, დისკუსიები. მომხსენებლები, რომელთა უმრავლესობა ახალი გზის მაძიებელი ახალგაზრდობანი იყვნენ, ხშირად გადასცდებოდნენ ხოლმე წმინდა ლიტერატურის ვიწრო ბილიკს და გადადიოდნენ პოლიტიკისა და საზოგადებრივობის ფართო გზაზე. გაცხარებული კამათის დროს მართლაც ხშირად ისეთს რამეს ლაპარაკობდნენ ხოლმე, რომ სერგეი ალექსანდროვიჩს ალბად ასლოკინებდა. აი, სწორედ ამის გამო იყო, რომ „წრე“ ბეწვზე ეკიდა. სუმბათაშვილის სიყვარული „წრისადმი“ საარაკო გახლდათ. იგი სახლში არასოდეს არ იყო ხოლმე. დღისით — მცირე თეატრი, საღამოს — წრე.

სუმბათაშვილი მთელ თავის ავტორიტეტსა და ნაცნობობას ხმარობდა, რომ წრე დაეცვა, გადაერჩინა. და აი, უცებ ჩამოდის გორკი.

სუმბათაშვილმა გორკი უცბად გამოიცილა და დაათვა. გორკის რომანტიზმი თუმცა სხვა ხასიათისა იყო, ვიდრე რომანტიზმი შილერისა, მაგრამ იგი მაინც ენათესავებოდა იუჟინის სულს. და განა თუ დიდი რამით განსხვავდება შილერის „მეშხანური კომედიის“ რომანტიზმი გორკის „ბოსიაკური დრამის“ რომანტიზმისაგან?

როგორც უნდა ყოფილიყო, სამბათაშვილს არ შეეძლო და არც სურდა უარი ეთქვა გორკისათვის, რომ იგი გამოსულიყო არა თუ სალიტერატურო საღამოებზე, არამედ ეთავმჯდომარა კიდევაც და ეწარმოებინა დებატები მთელი იმ სიცხარით, რის უნარიც კი ჰქონდა მაშინ ახალგაზრდა გორკის.

მაქსიმ გორკის და მის „პოდმაქსიმიკების“ (ასე უწოდებდნენ მაშინ საზოგადოებაში და პრესაშიაც კი გორკისებურ ახალგაზრდა მწერლებსა და არა მწერლებს) ყოველი გამოსვლა იყო წამდვილი სკანდალი, საფუძვლების შერყევა, პოლიტიკური „სიმშვიდისა და სიწყნარის“ დაზღვევა. •

დაე მართალნი იყვნენ ისინი, რომელნიც ამბობდნენ: „პოდმაქსიმიკათა“ უმრავლესობა მხოლოდ მიეტმასნა გორ-

კის სახელს და არაფერი ჰქონდა საერთო არც მასთან, არც მის ნიჭთანაო. მიუხედავად ამისა, გორკი თავისი გამოსვლებით, დეკადენტების, სიმბოლიზმის გამათრახებით — აზროვნებას აღვიძებდა.

იყო სკანდალები. მაგრამ ეს სკანდალები გვაცხოველებდა, პულსი ძლიერდებოდა, თვალები ცეცხლით გვენთებოდა. ხანდახან აღარც კი გვჯეროდა, რომ რუსეთს, მოსკოვში ვიმყოფებოდით.

დილას კი სუმბათაშვილს კვლავ გამოუძახებდენ, აშინებდენ, ნიშნავდენ „წრის“ დახურვის დღეს, ულტიმატუმს უყენებდენ — „გორკის ხსენება ნულარ იქნება აქაო“.

მაგრამ... გორკი კვლავ გამოჩნდებოდა.

აი, სუმბათაშვილისა და გორკის სიახლოვის ეს ამბავი, ის მოუბრძოლებლობა, რომლითაც სუმბათაშვილი ეპყრობოდა პოლიციის მიერ დაშინებას გორკის გამო, ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცის შეიძლება თვით გორკიმაც არ იცოდეს. ვიცოდით ეს მხოლოდ ჩვენ: **ეფროსმა** (ცნობილმა თეატრალმა), **ლიუბოტიჩმა** (ესეც ცნობილი კრიტიკოსი და ფელეტონისტი იყო) და მე.

ჩვენც „წრის“ დამაარსებელთაგანი ვიყავით და ყოველთვის ვესწრებოდით მის სხდომებს, მთელი ათეული წლის განმავლობაში ყოველდღე ვხვდებოდით სუმბათაშვილს. მრავალი კარგი მოგონებაა დაკავშირებული ამ „წრესთან“, სადაც ჩვენ ვხვდებოდით დიდ არტისტებს და ხელოვნებს. ეს ადგილი დასაახლოებლად, ადგილი დასვენებისა და გართობისა, ხანდახან კი ძალიან საინტერესო და ცხოველი საღამოებისა გორკის მონაწილეობით.

მარტო გორკის მონაწილეობით გამართული საღამოები როდი თამაშობდა საზოგადოებრივი აზრის გამომავლიზლებელის როლს. არა. წრე სახელგანთქმული იყო იმით, რომ იქ ყოველთვის გამოდიოდენ მემარცხენე მიმდინარეობა, მემარცხენე ფრონტის წარმომადგენლები.

ძალიან დიდს როლს თამაშობდა პოეტები **ვალერი ბრიუსოვის** მეთაურობით და ახალგაზრდა კრიტიკოსები. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებით ცნობილი იყვნენ ძმები **კოირანსკები** და **მაქსიმილიან შიკი**. ერთს დროს

მემარცხენეთა იდეოლოგებს ამის გამო „შიკებს“ ანუ „პშიკებს“ უწოდებდნენ. შიკები მარადის მოწინააღმდეგენი იყვნენ „პოდმაქსიმიკების“, ანუ „მობოსიაკებისა“.

მაგრამ მოესტეტო შიკი მარტო თავისი გარეგნობითაც კი (ყოველთვის ატარებდა მონოკლს, თმა ინგლისურად ჰქონდა დავარცხნილი; ეცვა სმოკინგი და გულზე ყვავილი ჰქონდა მიბნეული) სრული წინააღმდეგობა იყო, ვსთქვათ **სკიტალეც-პეტროვისა**, რომელსაც „გორკისებური“ ხალათი, გავაქსილი ჩექმები (ესეც „გორკისებური“) და „გორკისავე“ მსგავსი შარვალი ეცვა.

და როდესაც ამ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მსოფლმხედველობის პატრონი ერთმანეთს დაეტაკებოდნენ, მრავალს სახიფათო წუთს განვიცდით ხოლმე. ძალიან ხშირად თავმჯდომარეობდა ვალერი ბრიუსოვი. ყოველთვის თავდაჭერილი, ყველა ფოლაქებშეკრული, დინჯი, ფრიად შეფითრებული ფერით, სერთუკის ერთს მხარეს ხელმოკიდებული (ისეთი, როგორადაც იგი ვალენტინ სეროვს ჰყავს დახატული) — იგი ახერხებდა და მშვიდად იყო ფრიად დიდი და გაცხარებული კამათის დროსაც კი. და მან იცოდა რეზიუმეს ჰკვიანურად და ლამაზად გაკეთება, ტოლმქმედის გამონახვა მოპირდაპირე მხარეთა შორის.

ამ საღამოებმა, აგრეთვე პირადმა გამოსვლებმა (როგორც ლექსებით, ისე პროზით) წრეში ძალიან ხელი შეუწყო ახალგაზრდა ვალერი ბრიუსოვის მიერ სახელის მოხვეჭას. მას ბევრი რამ შესძინა იუჟინის „წრემ“.

სუმბათაშვილმა იცოდა ჩათრევა და გამოყვანა წრეში საინტერესო მომხსენებლებისა. მრავალი სტატია ჟურნალების „Весы“-ს, „Золотое Руно“-სი, „Мир Искусства“-სი, წრეში ჩაისახა მოხსენებათა და განსაკუთრებულ აზრთა სახით.

საერთოდ, იუჟინის წრე მთელი ეპოქის შემქნელია მოსკოვის (და მაშასადამე მთელი რუსეთისაც) სალიტერატურო ცხოვრებაში.

კლუბში ჩვენ გვხვდებოდა სუმბათაშვილი, ყოველთვის გულმხურვალე და სტუმართმოყვარე. გვხვდებოდა ვა-

ლერი ბრიუსოვი, ლეონიდ ანდრეევი, მაქსიმე გორკი, ლენსკი, ვერა კომისარჟევსკაია, ვალენტინ სეროვი, კონსტანტინე კოროვინი, ვრუბელი, სტანისლავსკი, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, კაჩალოვი, ლეონილოვი, ვიშნევსკი — მთელი სამხატვრო თეატრი მიიღტვოდა იუჟინის წრისაკენ, თუმცა იუჟინი იდეური მტერი იყო თავისი ყოფილი თანამებრძოლის ნემიროვიჩ-დანჩენკოსი მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა დაიწყო ანტიაქტიორული პოლიტიკის წარმოება და რეჟისორის დიქტატურის ქადაგება.

მარადიულ დავის დროს იმაზე, თუ ვინ უნდა ყოფილიყო თეატრის სათავეში, აქტიორი თუ რეჟისორი, ალ. ივანეს ძე ყოველთვის აქტიორის მხარეზე იყო. ერთს ხანს იუჟინმა, სამხატვრო თეატრის გამოსაჯავრებლად „მორიგი რეჟისორების“ ინსტიტუტიც კი შემოიღო.

ვიმეორებ, წრეში ჩვენ ვხვდებოდით უკიდურეს მემარცხენე მიმდინარეობათა წარმომადგენლებს, ახალგაზრდა ბუნტარებსაც. და იქნებ უცნაურობად გეჩვენოთ, მაგრამ იუჟინი ყოველთვის სიამოვნებით ხვდებოდა მათ.

რატომ იყო ასე? სუმბათაშვილ-იუჟინს ხომ ხელოვნებაში თურიად ზომიერი მიმართულების კაცად სთვლიდენ? მას შეეძლო არა თუ ა. ვ. ლუნაჩარსკისთან ერთად დაეყვირნა: „უკან, ოსტროვსკისაკენ“, არამედ შეეძლო მასზე მეტიც ეთქვა: „უკან, შილერისაკენაო“ *).

და აი, იგი ხელს უწვდის მემარცხენეებს! სუმბათაშვილი თურმე ბევრად უფრო ღრმა და რთული პიროვნება იყო, ვიდრე ჩვეულებრივ ჰფიქრობდენ. ის აქტიორი იყო რუსის ინტელიგენტთა შორის და ინტელიგენტი იყო აქტიორთა შორის. ის მამათმთავარი იყო აქტიორ-ინტელიგენტებისა.

*) და მართლაც, რატომ არ უნდა ეყვირნა მას: უკან, ოსტროვსკისაკენ“, როდესაც თვითონ იგი თავის პიესა „ჯენტლემენით“ გამგრობი იყო ოსტროვსკისა, როგორ ეს სამართლიანად აღნიშნა სუმბათაშვილის ხსოვნის საღამოზე კ. მარჯანიშვილმა.

დავუბრუნდეთ იუჟინის წრეს, ჩვენი საუბრის თემას. ჩვენთვის, ჟურნალისტებისათვის, — იგი მთელი საგანძური იყო. იქ ვიგებდით ლიტერატურისა და თეატრის ახალ ამბებს. რამდენი ინტერვიუ დაწერილა მსოფლიოს გამოჩენილ პირებთან სწორედ ამ წრეში (მოსკოვში ჩასვლის დროს უცხოელები სალამოს უეჭველად აქ ატარებდენ) და იქიდან კურიერი პირდაპირ სტამბაში მიაქროლებდა მასალას...

ებლა მე ვცდილობ გავიხსენო იუჟინის ამბავი და რაც მაჩვენდება, ყველაფერი გაგონილი მაქვს ან ამ წრეში, ან მის მუდმივ წევრთაგან.

მინდა გავიხსენო რამდენიმე შეხვედრა იუჟინთან, გავიხსენო მასთან საუბრები, რომლის დროსაც იგი ფარდას ხდიდა თავის შორეულ, ტფილისურ წარსულსაც.

6

ვზივარ ერთხელ ახალგაზრდა, სცენაზე ახლადგამოსულ აქტრისასთან. ვვახშობთ. მოგვიახლოვდა იუჟინი.

— „რამ დაგაღონათ, გეთაყვა, თეატრში ხომ არ გაუჯავრებიხართ?“

— დიალ, თეატრში გამაჯვრეს.

— რასაკვირველია, რეჟისორმა?

— დიალ რეჟისორმა.

— რასაკვირველია, მოგცათ შეუფერებელი როლი?

— დიალ, დიალ, სრულიად შეუფერებელი... ერთი თქვენვე განსაჯეთ ალ. ივანეს ძევ!

და სმახიობი ქალი გაცხარებით უხსნის იუჟინს, თუ როგორ აწყენინა მას რეჟისორმა, როდესაც სწორედ ასეთი შეუფერებელი როლი მისცა და არა სხვა როლი, რომლის იმედიც მას ჰქონდა.

მსახობ-ქალს ტირილი აუვარდა.

— მაგრამ რას იტყობით, ქალო, მაშინ ჩემთვის რომ „Горе от ума“-ში სოფიოს როლი შემოეთავაზებინათ?

— აი, თქვენ იცინით. მე კი როდი მეცინებოდა, როდესაც 30 წლის წინად რეჟისორმა ტფილისში დამავალა

სოფიოს როლის თამაში. ეს იყო გიმნაზიაში, წარმოდგენა გიმნაზიელებისა. რეჟისორად რილევევი — მთელ ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება! აბა, თქვენვე განსაჯეთ! მე ჩაცკიზე ვოცნებობდი. მონოლოგი „Французик из Бордо надсаживая грудь“ წყალივით ვიცოდი... და უცებ სოფიოს როლი! ეს ხომ პირველი როლი იყო, მე რომ მივიღე!.. მერე.. ნურავის კი ეტყვი, — მეც თქვენსავით ვტიროდი!.. მერე კი... მერე, როგორც იქნა გამოვედი ხალხში. აი, თქვენც ითამაშეთ, რასაც მოგცემენ და ხალხში მალე გამოხვალთ.

ეს მსახიობი ქალი, მართლაც, ხალხში გამოვიდა. იგი იყო ე. მ. გრანოვსკაია. ხოლო რეჟისორი, მას რომ აწყენინა, ნ. ნ. სინელნიკოვი გახლდათ.

7

ვსხედვართ ერთხელ ლიუბოტიჩი, ეფროსი, კუგელი („Театр и Искусство“-ს რედაქტორი) და მე. ლაპარაკი ჩამოვარდა იუჟინზე, რომელიც ის-ის იყო მცირე თეატრში რომელიღაც როლში დებიუტით გამოვიდა.

— აი, თვითეული ჩვენთაგანი იუჟინს იცნობს თითქმის 30 წელიწადია და მისი ცხოვრებიდან ანეგდოტის მოთხრობა კი არავის შეუძლია! ეს არის უანეგდოტო ადამიანი. მისი ცხოვრება ისეთი წყნარია, რომ ხელი ვერაფრისთვის ჩაგიჭიდია. დაჟინებული შრომა და დაჟინებულივე წარმატება. მე არც კი ვიცი, მოსვლია კი მას როდისმე მარცხი?

ამ დროს შემოგვესწრო იუჟინი, გაეცინა და სთქვა:

— როგორ გგონიათ, ჩემი სამსახური 1878 წ. მოხეტიალე დასში, რომელიც პიტერის მიდამოებში წარმოდგენებს სდგამდა, მუდმივი მარცხი არ იყო? რამდენჯერ ძობხდარა, რომ სახლში შპალებს გამოყოლებით მოვსულვარ. მართალია იქ მარცხს განიცდიდა მთელი დასი და არა მე პერსონალურად. მაგრამ მე გიამბობთ, თუ როგორ ჩავფლავდი პირადად მე. ბრწყინვალედ ჩაფვლავდი. მე ვიყავი გასტროლებზე პეტერბურგსკაია სტორონაზე (— მთელი სტუდენტობა მე ამ სტორონაზე გავატარე) და გამოვედი

კრასნოვის როლში („Грех да беда на кого не живет“).
დასში ძალიან გულმხურვალედ მეპყრობოდენ. განსაკუთ-
რებით ვილაც ახალგაზრდა მსახიობი და ათასგვარ სამ-
სახურს მიწევდა. მე თავი გამოვიდევი კიდეც, როგორც
ვითომდა სახელგანთქმულმა ვინმემ. ხსენებული აქტიორი
მეუბნება: გრიმს მე გაგიკეთებთო. მე თავდაბლად დავ-
თანხმდი. გრიმის გაკეთების დროს სარკის მაგივრად წიგნ-
ში ვიყურები — კვლავ როლს ვავლებ თვალს. თითქოს
ყველაფერი კარგად მიდის. საზოგადოება ტაშს უკრავს.
ანტრეპრენიორი იღიმება. შემოსავალი არის — მაშასადა-
მე სამ მანეთს მივიღებ! (მე მაშინ არც მანეთიან ჰონო-
რარს დავიწუნებდი, ოღონდ კი მეთამაშნა და მეთამაშნა!).
ვფიქრობდი დაფნის გვირგვინი მომეპოვა განსაკუთრე-
ბული ეფექტიანი ფინალით. გამოვდივარ სცენაზე. მთე-
ლი თეატრი შეინძრა ხარხარისაგან. სცენაზე მყოფი
აქტიორებიც ხარხარით მიყურებენ. რეჟისორიც ბუდკაში
სიცილით კვდება! თურმე იმ აქტიორმა, რომელმაც გრი-
მი გამიკეთა, ცხვირი გამითეთრა, ცხვირი კი საკმაოდ ზორ-
ბა მაქვს! კრასნოვის როლი თურმე თვითონ მას უნდოდა
და ნაწყენმა ასე კი იძია შური! ძალიან გულმოსული ვიყა-
ვი, მაგრამ სარკეში რომ ჩავიხედე, მეც გამეცინა. როცა
გრიმს ვიცილებ. უცებ კარებს ვილაც აკაკუნებს. შემოდის
„Петербургский Листок“-ის რეცენზენტი შჩერბაკოვი.
როგორც ყოველთვის, იგი მთვრალია.

მიაშბეთ ერთი, როგორ ჩაიარა წარმოდგენამ. მე ჩამ-
ძინებია.

მე დაწვრილებითა და სინდისიერად ვუამბე ჩემი ჩა-
ფლავება. იგი აღშფოთებული იყო საძაგელი აქტიორის
საქციელით. დილას კი გაზეთში ისე გამთათხა, რომ პე-
ტერბურგსკაია სტორონიდან გადაბარგება მინდოდა!
მრცხვენოდა შინ მისვლისა და ვისიმე შეხვედრისა!...

— ეჰ, ეგ რა მარცხია! საერთოდ თქვენი ცხოვრება სა-
კვირველად კარგად და გამარჯვებით მიმდინარეობს.

— თქვენ როდი იცით, თუ რაოდენი სისხლი გამიშრა
პირველ ხანს მცირე თეატრში!

ეს თავმოყვარეობათა ბრძოლაო. ეს სარმობიაო, დასის
მხრით უნდობლობა. მცირე თეატრში მე ხომ პოტეხინმა

მიმიწვია. და აი, ეგონათ, რომ მე მისი რჩეული ვიყავი. ეგონათ, ბეზღობიას დავიწყებდი... არა, ყველაფერი რიგზე როდია თეატრში, რომელ თეატრშიაც გნებავთ, ყველგან ყველაფერი რიგზე ვერაა!..

8

მახსოვს კიდევ ერთი დამახასიათებელი შეხვედრა. იუჟინი შემოვიდა ჩემთან და ხელში „Русские Ведомости“ ეჭირა.

— აი, დასტკბით!... „ნუტრიაკი“ გამხადეს!..

რეცენზიაში კრიტიკოსი ალტაცებით იხსენიებდა იუჟინის თამაშს: შთაგონება, განცდა, შინაგანი წვა, ტემპერამენტი აქვსო.

— რა უჭირდა, რომ დაეწერა: აქტიორებო, ისწავლეთ ჭკუა იუჟინისაგან: მას არც ტემპერამენტი აქვს, არც განცდა, არც შთაგონება, არც შინაგანი წვა, მაგრამ არც თუ უხეიროდ თამაშობს! აი, რას ნიშნავს როლის ცოდნა და მუშაობა! აი, რას ნიშნავს სკოლა! მე ჩემი თავის ფასი ვიცი. მე ლენსკობას არ ვჩემულობ. რისთვისაც მიმიოწვევია, მიშილწვევია მუშაობით და მუშაობით! არაფითარი განსაკუთრებული რამ მე არ შომეპოვება!..

მე შევეკამათე:

— მაგით კი ცილს სწამებთ საკუთარ თავს! თქვენ ბევრი რამ გქონდათ. ავილოთ თუნდაც თქვენი ხმა.

— ისიც ხომ ოდესღაც წიკვინა მქონდა. რომელიღაც რეცენზენტმა სწორედ ასე დამიწერა: „ხმა უსაზიზღრესი აქვსო“. მე კი ბევრი ვიმუშავე მაზე და ახლა არა უშავს რა. განა ვერ ამჩნევთ, რომ მე ცოტა წელში მოხრილი ვარ? რომ მე სიარული ულამაზო მაქვს? რომ სახე ცხოვრებაში უძრავი მაქვს?... უფრო გულწრფელი რეცენზენტები ამას თავის დროზე აღნიშნავდენ... და ყველაფერი ეს მე გამოვასწორე. ერთი თავს რომ ნება მივსცე, ყველა ჩემი ნაკლი უცბად თავს იჩენს. ყველაფერი სკოლაა! სცენაზე ჯერ მე არაფერი განმიცდია!

— სკოლა! განა ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები?

— ვაკვირდებოდნი მეგობრებს, ყველას, განსაკუთრე-

ბით კი საკუთარ თავს. რასაკვირველია, ყველაფერი მე თვითვე შევისწავლე.


— მაშასადამე, რამდენადაც უფრო მეტს იმუშავებთ რომელსამე როლზე, მით უფრო მეტს წარმატებას იწვნევთ?

— წარმოიდგინეთ, ყველაზე ძალიან მოვეწონე საზოგადოებას ორს ისეთს როლში, რომელიც მე თითქმის სულ არ შემისწავლია და თითქმის არც ვიცნობდი. ერთხელ, ჯერ კიდევ მცირე თეატრამდე, პოტეხინის პიესაში მომიხდა მეთამაშნა ერთი აქტიორის მაგივრად, რომელიც ველარ ჩამოვიდა დროზე. მთელი როლი იმპროვიზაცია იყო. უცებ ანტრაქტის დროს, კულისებში ვილაც კაცი შემოდის. „ნება მომეცით გაგეცნოთ. მე ავტორი, პოტეხინი ვარ. ძალიან კარგად, მშვენივრად თამაშობთ! იმას კი არა, რაც მე დამიწერია, არამედ იმას, რის გამოხატვაც მე მიწოდოდაო“. ეს იყო პირველი გაცნობა პოტეხინთან. ამ გაცნობამ შემდგომ მე მცირე თეატრში მიმიყვანა. მეორეჯერ გორიან-გორიანის ბენეფისზე პიტერიდან ცნობილი კისელიოვსკი არ ჩამოვიდა. გახსენებოდათ ჩემი იმპროვიზაცია პოტეხინის პიესაში და კვლავ კარს მომადგენ. აქაც მთლად იმპროვიზაცია იყო. და გამარჯვება საზოგადოების წინაშე აქაც მოულოდნელად და დიდი იყო!... მაშინ კი, შეიძლება ითქვას, რალაც აღფრთოვანების მსგავსი რამ მქონდა!...

და წრეში მრავალი იყო ასეთი შეხვედრა, რომელიც ფარდას ხდიდა ჩემთვის იუჟინის რაობას. მსურდა დაწარჩენილ დამეწერა, მაგრამ ჩემი შენიშვნა ისედაც გაჭიანურდა.

9

ჩემს შენიშვნას დავამთავრებ იმ სურვილის გამოთქმით, რომ საქართველოს მწერალთა კავშირსაც მალე გასჩენოდეს ისეთი კლუბი, წრე, დასასვენებელი სახლი, სადაც ადამიანი შესძლებს გულის გაღებობა-გათბობას ისევე; როგორ ეს ხდებოდა სუმბათაშვილის წრეში.



ვოლტერის საპროვოკაციო

(მასალები ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის).

1. ვოლტერი.

კაცობრიობის ისტორიაში მეთვრამეტე საუკუნე დარჩება, როგორც ერთი უშესანიშნავესი ხანა. ეს არის საუკუნე უნივერსალური ინტერესებისა და ეპოქა ყველა ტრადიციების და ყველა ღირებულებათა გადაფასებისა გონების სასწორზე, ამ გენერალურ გადასინჯვას ვერ გადურჩა ვერც ერთი დეტალი ადამიანური ცხოვრებისა, ინტერესების და იდეებისა. ამ დროს ხდებოდა სოციალურ ფენათა გიგანტური გადაჯგუფება, პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესების გამძაფრებელი შეჯახება.

მე-18 საუკუნის მანძილზე ბურჟუაზია ემზადებოდა უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლისთვის პრივილეგიებით აღჭურვილ სისხლის არისტოკრატიასთან. მსოფლიო-ისტორიულ სარბიელზე გამოსული ახალგაზრდა კლასი იწყებდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ყველა საუკუნოებით განმტკიცებულ დაწესებულებასთან.

ამ გოლიათური ბრძოლის გამომხატველი იყო სწორედ ის „განმანათლებელი“ მოძრაობა, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა უპირველეს ყოვლისა საფრანგეთში. ამ გმირული პერიოდის ბურჟუაზიის ზრახვათა გამომთქმელი და იდეური წინამძღოლი იყო მთელი ფალანგა უნივერსალური ნიჭით და ცოდნით დაჯილდოვებული მწერლებისა, რომლებმაც თავი მოიყარეს „ენციკლოპედიის“ გარშემო. **ენციკლოპედიისტებმა-დიდრომ, დალამბერმა, მონტესკიემ, რუსსომ, ვოლტერმა** და სხვ. თავისი საზოგადოებრივი ცხოვრებით და ლიტერატურული შემოქმედებით შეარყიეს ის იდეური ბურჟუები, რომელზედაც ემყარებოდა მთელი არსებული წყობილება და ამით შეასრულეს მათზე დაკისრებული მსოფლიო კულტურულ-

ისტორიული მისია. ამ თაობისა და მთელი განმანათლებელი მოძრაობის ბელადათ და სულის ჩამდგმელათ ითვლება **ვოლტერი**. ვოლტერმა ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოხატა მე-18 ს. საზოგადოებრივი განწყობილება და მისწრაფებები, ისტორიულ სარბიელზე აღმავალი ახალგაზრდა ბურჟუაზიის კლასიური სულისკვეთება. ამიტომ არის, რომ ხშირად ამ საუკუნის მთელ რაციონალისტურ მოძრაობას ნათლავენ ვოლტერიანობის სახელწოდებით. ეს, ერთის მხრით, შეიძლება გადაჭარბებულიც იყოს, რადგან ვოლტერის მიმდევრები და უმცროსი თანამედროვეები ბევრ საკითხში და დასკვნაში გაცილებით შორს წავიდნენ თავის მასწავლებელზე, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მე-18 საუკ. რაციონალიზმის არსებით მხარეს, მთავარ და მაგისტრალურ ხაზს — ასეთი სახელწოდება სინამდვილესთან ფრიად დაახლოვებულია.

თავისი მსოფლიო მნიშვნელობით ვოლტერი ერთმა გონებამახვილმა მწერალმა შეადარა **ლიუტერს**. ეს შედარება, თუ ისტორიულ პერსპექტივაში გავითვალისწინებთ ამ ორი გენიის ანტიპოდურ შემოქმედებას, — მართლაც შეიცავს სიმართლეს, რადგან ლიუტერმა იმდენივე გააკეთა ქრისტიანობის სასარგებლოდ, რამდენიც ვოლტერმა მის დასანგრევად. ვოლტერის ცხოვრების მთავარი ეტაპები მჭიდროდ არის დაკავშირებული მის პოეტურ, ფილოსოფიურ და პუბლიცისტურ შემოქმედებასთან, ამიტომ ზედმეტი არ იქნება მოკლედ მოვიგონოთ იგი.

ვოლტერი დაიბადა 1694 წელს. პირველი სწავლა მიიღო იეზუიტების კოლეგიაში. აქ მან პირველად იგრძნო, თუ რა უფსკრული იყო გახსნილი არისტოკრატის შვილებსა და ისეთ მდაბიოს შორის, როგორიც იყო, მაგალითად, თვით ნოტარიუსის შვილი ვოლტერი. ამ კოლეგიაშივე ჩაისახა და განვითარდა ვოლტერის შეუკავებელი მიდრეკილება ლიტერატურისადმი. ჯერ კიდევ მოწაფის სკამზე ვოლტერი ცნობილი შეიქნა, როგორც ბოროტი და მოურიდებელი სატირების ავტორი ამ ქვეყნის ძლიერებზე. ასეთი შეუპოვარი სატირებისთვის 1717 წელს ვოლტერი შეიპყრეს და ბასტილიაში ჩასვეს. ამ გარემოე-

ბამ ვერ შეაშინა ვოლტერი. რა უნდოდა, რა აშფოთებდა ან რას ეძებდა იგი პარიზში? ახალგაზრდა ვოლტერი უპირველეს ყოვლისა ეძებდა ლიტერატურულ სახელს, სიმდიდრეს და საპატიო მდგომარეობას მაღალ საზოგადოებაში. თითქოს მოულოდნელი და საოცარია ვოლტერის ეს მისწრაფებები, რომლებიც ერთი შეხედვით არ ეგუებოდა მის იდეალებს. მაგრამ ვოლტერის ცხოვრება სავსეა კონტრასტებით, იგი დროის შვილი იყო და ტიპიური განსახიერება ყველა თავისი ეპოქის პარვენიუსი, როგორც იყო მაგალითად **ბომარშე** და სხ.. 1718 წ., ვოლტერის ბასტილიიდან გამოსვლის შემდეგ, წარმოდგენილ იქნა მისი ტრაგედია „**ოიდიპოსი**“, რომელმაც ავტორს მოუხვეჭა პირველი დაფნები და ფართე ლიტერატურული პოპულარობა. ამის შემდეგ ვოლტერი ენერგიულად მიიწევს დასახული მიზნისაკენ, მაგრამ ამ ხანებში მას მოუხდა არასასიამოვნო ინციდენტი არისტოკრატის ერთერთ ძლიერ წარმომადგენელთან. „მდაბიო“ ვოლტერმა ისევ ბასტილის კედლებში ამოჰყო თავი, საიდანაც გაანთავისუფლეს იმ პირობით, თუ საფრანგეთის საზღვრებს დასტოვებდა. ვოლტერი ამგვარათ იძულებული შეიქნა მოშორებოდა თავის ქვეყანას. 1726 წელს ვოლტერი უკვე ინგლისშია. სამმა წელიწადმა, რომელიც ვოლტერმა ინგლისში გაატარა, უდიდესი გავლენა იქონია მის ცხოვრებაში. ეს იყო უნაყოფიერესი წლები მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის. ინგლისი ამ დროს ქარხანა იყო ახალი იდეებისა, რომელიც გაჰქონდათ ფრანგებს და ავრცელებდნენ მთელ ქვეყანაზე. ყველა მთავარი იდეები მე-18 საუკუნისა, როგორც იყო მაგ., დეიზმი, ხელისუფლებათა განაწილების თეორია და სხვ. წარმოიშვენ ინგლისში. ვოლტერმა, მონტესკიემ, რუსსომ და სხ. მოახდინეს ამ იდეების პოპულარიზაცია. რა განსხვავება იყო ამ დროს ინგლისისა და საფრანგეთის სოციალ-პოლიტიკურ წყობილებათა შორის! თითქოს ვოლტერმა ინგლისში რეალურად იხილა განხორციელებული ის, რაზედაც ოცნებობდა თავის ქვეყანაში. 1729 წელს ვოლტერი ბრუნდება უკან. იგი აქვეყნებს თავის „წერილებს

ინგლისზე“. ეს წერილები იყო აღფრთოვანებული ხოტბა ინგლისის და ინგლისური წყობილებისა და ამავე დროს შხამიანი პამფლეტი ფეოდალურ-კლერიკალურ საფრანგეთზე. ეს წიგნი 1734 წელს მთავრობის განკარგულებით დასწვეს პარიზში. ვოლტერი ხელახლა გაიქცა საფრანგეთიდან, რადგან სერიოზული ხიფათი მოელოდა. მან თავი შეაფარა ლოტარინგიის საზღვარზე, სირეიში, მარკიზა დე-შატლეს ციხე-დარბაზს. ამ ქალში ვოლტერმა იპოვა მოყვარული, დიდათ ნიჭიერი და განათლებული ადამიანი, რომელმაც მის ცხოვრებაში და ლიტერატურულ შემოქმედებაში დიდი როლი ითამაშა. ვოლტერისა და მარკიზა დე-შატლეს ურთიერთობა გაგრძელდა 15 წელიწადს. ეს იყო უნაყოფიერესი პერიოდი ვოლტერისათვის, როდესაც მან მიაღწია ინტელექტუალური განვითარების ზენიტს. 1749 წელს მარკიზა დე-შატლე გარდაიცვალა. ვოლტერი სტოვებს სირეის და მიდის პარიზში, სადაც ცხოვრობს რამდენიმე ხანს. აქ იგი ბერლინიდან, ფრიდრიხ დიდისგან ღებულობს მოწვევას. მიწერ-მოწერა და მეგობრული ურთიერთობა მათ შორის დაიწყო ჯერ კიდევ ფრიდრიხის ტახტის მემკვიდრეობის დროიდან. მიუხედავად მეგობრების დაშლისა, ვოლტერი გაემგზავრა პრუსიაში ფრიდრიხთან, რომლის კარზეც მან გაატარა სამ წელიწადს. გულთბილი დამოკიდებულება, რომელიც არსებობდა ფილოსოფოსსა და განათლებულ მონარხს შორის, ბოლოს მაინც გაგრილდა. მათ შორის მოხდა მცირე უსიამოვნობა, რომელიც საკმაოდ საბაბი იყო იმისთვის, რომ ვოლტერს დაეტოვებია პრუსიის საზღვრები. ამის შემდეგ ვოლტერი რაღაც შინაგანი კარნახით ეძებს მოშორებულს და მყუდრო სამყოფელს, „დედამიწის ცენტრს“, საიდანაც მას შეძლება ექნება თვალყური ადევნოს და უხელმძღვანელოს ევროპის გონებრივ და საზოგადოებრივ განვითარებას. 1755 წელს ვოლტერი შვეიცარიაშია. მან აქ შეიძინა ცნობილი ფერნეის მამული. ფერნეი, უმნიშვნელო გეოგრაფიული პუნქტი, სახელოვანი გახდა ისტორიაში „ფერნეის პატრიარქი“-ს წყალობით, ასე უწოდებენ შემდეგში ვოლტერს. აქ გაატარა მან

25 წელიწადი ცხოვრებისა, თითქმის სიკვდილამდე. ეხლა ვოლტერი თავისუფალი იყო ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან, ჰქონდა სიმდიდრე და მსოფლიო სახელი. მისი სიტყვა სწვდებოდა ევროპის ყველა კუნჭულს, მის ყურადღებას და რჩევას ეძებდა ყველა ამ ქვეყნის ძლიერი. **კონდორსეს** სიტყვით „რუსეთის იმპერატორი ეკატერინე, პრუსიელი, დანიელი და შვედელი მეფეები ცდილობდნენ დაემსახურებიათ ვოლტერის ქება და მუდამ მზათ იყვენ ხელი შეეწყობთ მის მიერ დაწყებულ კეთილ და სამართლიან საქმეებისათვის; ყველა ქვეყნის წარჩინებულნი და მინისტრები, სახელის მოხვეჭის მიზნით, ცდილობდნენ მიეღოთ ვოლტერის დასტური გეგმებზე განათლების გავრცელებისა და ფანატიზმის აღმოფხვრის საქმეებში“. არ ყოფილა არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა ევროპაში, რომელსაც არ გამოხმაურებოდეს ამ დროს ვოლტერი. იგი აქტიურად იბრძოდა ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით საფრანგეთში, სადაც გამეფებული იყო ძალადობა და ფანატიზმი. ამ მხრივ აღსანიშნავია სიკვდილით დასჯილი გუგენოტის კალასის საქმე. მას ბრალდებოდა თავისი კათოლიკობაში გადასული შვილის სიკვდილი. ვოლტერის დაჟინებული ცდით საქმე ხელახლა იქნა განხილული, რითაც მოხდა კალასის რეაბილიტაცია და ფარდა აეხადა იმ უსამართლობას, რომელიც ბუდობდა მაშინდელ სასამართლოებში.

1778 წელს, უკვე ღრმად მოხუცებული და საქვეყნოთ სახელგანთქმული ვოლტერი, მრავალი წლების განდგომილობის შემდეგ პირველად მოვიდა პარიზში. ეს დიადი ქალაქი ღირსეულად შეხვდა თავის სათაყვანებელ მოხუცს. პარიზმა ვოლტერის დღეები გადააქცია გრანდიოზულ მანიფესტაციებათ, სადაც გამოსავალი მიეცა ხალხის საუკუნეებით დაგროვილ უკმაყოფილებას. რაღაც ათი წლის შემდეგ ამ უკმაყოფილებამ ამოხეთქა ისეთი სიძლიერით, რომ ძირიანფესვიანათ წალეკა საფრანგეთის მთელი ძველი ფეოდალურ-კლერიკალური წყობილება. ვოლტერმა, უკვე ღრმად მოხუცებულმა და დაქანცულმა მრავალათეულ წლების შრომით, ბრძოლით და შემოქმე-

დი ცხოვრებით, ველარ გაუძლო ამდენ მღელვარებას. იგი გარდაიცვალა 1778 წლის 30 მაისს.

ვოლტერი ყველაზედ უფრო ნაყოფიერი პოეტი იყო თავის დროისა. მან დასწერა უამრავი ოდები, სტანსები, სატირები, პოემები და სხვ. მის კალამს ეკუთვნის პოემა ორლენელ ქალწულზე (Pucelle) და „გენრიადა“; რომლისთვისაც თანამედროვეებმა ვოლტერს უწოდეს საფრანგეთის პომიროსი. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ვოლტერი, როგორც დრამატურგი. მან დასწერა ორმოცამდე პიესა, რომელთაგან ყველაზედ უფრო ცნობილია: „ოიდიპოსი“, „ზაირა“, „მეროპა“, „სემირამიდა“, „მაჰმადი“, „ტანკრედი“, „კეისრის სიკვდილი“, „ორესტი“. მისი ტრაგედიები არ იყო თავისუფალი პსევდოკლასიკური გავლენისაგან. ვოლტერი, რომელზედაც დიდი გავლენა მოახდინა შექსპირმა, დარჩა ისევე, როგორც პოეზიაში, **ბუალოს** პოეტიკის მიმდევარი. სამაგიეროთ ვოლტერმა, როგორც ეპოქის მისწრაფებათა გამომხატველმა, თეატრი გადააქცია ტრიბუნათ. ტრაგედიის ძველი ფორმებით და ძველი პოეტიკით მან ისარგებლა ახალი იდეების პოპულარიზაციისათვის. თავისი ტრაგედიის გმირების სახით ვოლტერი იბრძოდა ფანატიზმის, სიბნელის და სარწმუნოებრივი სიძულვილის წინააღმდეგ.

ვოლტერის ისტორიულ შრომათა შორის უნდა დავასახელოთ „ლუდოვიკო XIV-ისა და ლუდოვიკო XV-ის ისტორია“. ამ თხზულებაში მან დაარღვია გაბატონებული ტრადიცია და ისტორიოგრაფიაში შეიტანა ახალი მეთოდი. წარსულში ვოლტერს არ აინტერესებდა მეფეთა და გმირთა თავგადასავალი, მათი ურიცხვი ომები და ფეოდალური ნადირობები, მან კვლევის საგნათ გაიხადა თვით საზოგადოების ისტორია, ხალხის ცხოვრება, ვაჭრობის, ხელოსნობის და მეცნიერება-ხელოვნების განვითარება. ისტორიული პროცესი ვოლტერს წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც თანმიმდევრობა მიზეზებისა და შედეგების, იგი უარჰყოფდა სასწაულებს და ღვთისგანგებას და ადიდებდა იმ ძალას, რომლის აპოლოგეტიც იყო იგი თავის ლიტერატურულ-ფილოსოფიურ შემოქმედებაში.

ვოლტერის კალამს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი პროზაული ნაწარმოები, რომანების, წვრილი მოთხრობებისა და პამფლეტების სახით. ამ პროზაულ თხზულებებში, რომლებიც ხშირად მოისუსტებდნენ ლიტერატურული და მხატვრული დამუშავების მხრით, ვოლტერი ტენდენციურად ატარებდა თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარ იდეალებს. იგი ამ დარგს შემოქმედებისას იყენებდა ბრძოლის ბასრ იარაღათ სამღვდელოებისა და არისტოკრატის წინააღმდეგ.

ვოლტერი არ იყო დამოუკიდებელი მოაზროვნე. მას არ შეუქმნია საკუთარი ფილოსოფიური კონცეპცია. ვოლტერი იყო **ლოკის** მოწაფე და მისი ფილოსოფია გამოიხატა დეიზმში. ეს იყო უფრო გონების რელიგია. დეიზმი ცდილობდა დაემტკიცებია უმაღლესი ღვთაების არსებობა გონების საშუალებით, რაციონალურად. ვოლტერმა დეისტურ მსოფლმხედველობას მისცა უფრო პრაქტიკული მიმართულება. ვოლტერი ფიქრობდა, რომ ღმერთი არსებობს უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ საზოგადოებას ესაჭიროება მისი არსებობა. ღვთის არსებობის ასეთი უტილიტარული დასაბუთების გარდა ვოლტერს მოჰყავდა კიდევ ორი დასაბუთება: კოსმოლოგიური და ტელეოლოგიური. ვინაიდან ყოველ მოვლენას აქვს თავისი მიზეზი, ამიტომ მიზეზთა და შედეგთა თანმიმდევრობაში უნდა არსებობდეს ერთი თავდაპირველი მიზეზი, ე. ი. ღმერთი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით უბოლოვადო და დაუსრულებელ ჯაჭვს, რაც სისულელეა და გონების წინააღმდეგი. ტელეოლოგიური დასაბუთება ღვთაების არსებობისა მდგომარეობდა შემდეგში: სამყარო და მისი მოვლენები ემორჩილებიან განსაზღვრულ წესს, — მზის გარშემო დედამიწის ტრიალი, ვარსკვლავების მოძრაობა, — ყველაფერი დამყარებულია უღრმეს მათემატიკურ კანონებზე. მსოფლიოში არსებობს მკაცრი წესრიგი და მიზანშეწონილობა, რაც პირდაპირ გვიკარნახებს ვიფიქროთ იმაზე, ვინც შექმნა ეს წესრიგი და კანონზომიერება — ე. ი. ღმერთზე.

ვოლტერის პოლიტიკური შეხედულებები შეიძლება გამოიხატოს ორი სიტყვით: განათლებული აბსოლუტიზმი. მას არ შეუქმნია რაიმე სისტემა ან პრინციპი პოლიტიკური წყობილებისა, ისე, როგორც, მაგალითად, მონტესკიემ შექმნა თავისი ხელისუფლებათა განაწილების თეორია, ან რუსსომ თეორია პატრიარქალური დემოკრატიის. „განათლებული აბსოლუტიზმი“-ს თეორია ემყარებოდა იმ შეხედულებას, რომ ხალხის ფართო მასსას არ ძალუძს მართოს თავისი საკუთარი საქმეები. ვოლტერს სახელმწიფო მართვა-გამგეობის იდეალად მიაჩნდა მონარქების და ფილოსოფოსების, ე. ი. გონებისა და ძალაუფლების კავშირი. ისე, როგორც სულიერი და გონებრივი წინამძღოლობა ხალხისა უნდა ეკუთვნოდეს არა სამღვდელეობას, არამედ ფილოსოფოსებს, ისევე პოლიტიკური ხელმძღვანელობა ხალხისა უნდა ჩამოერთვას პრივილეგიებით აღჭურვილ თავად-აზნაურობას და გადაეცეს აგრეთვე ფილოსოფოსებს.

ეს ორი წოდება ნიშანში ჰყავდა ამოღებული ვოლტერს მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლისა და შემოქმედების განმავლობაში. ვოლტერის სახით ისტორია ლაპარაკობდა თავის განაჩენს. ვოლტერის და მისი მიმდევრების გაკათულ გზებზე მე-18 საუკუნის დამლევს ზეიმით გადმოიარა რევოლუციის ტრიუმფიალურმა სვლამ.

ვოლტერის სახელი კაცობრიობის ცხოვრებაში რჩება, როგორც ბრძოლის სიმბოლო ფანატიზმისა, უსამართლობის და ძალადობის წინააღმდეგ.

2. ვოლტერიანობა რუსეთში.

ვოლტერიანობა, როგორც გამომხატველი მე-18 ს. განშანათლებელთა იდეალებისა, რუსეთში შემოიჭრა ჯერ კიდევ მე-18 ს. მეორე ნახევარში. ამ იდეურმა ნაკადმა რუსეთში გამოიწვია მთელი მოძრაობა და თავისი დალი დაასვა როგორც რუსულ ლიტერატურას, ისე რუსული საზოგადოებრივი აზროვნების შემდეგ განვითარებას.

პირადათ ვოლტერის ურთიერთობა რუსებთან იწყება ჯერ კიდევ ელისაბედის მეფობაში. 1746 წელს ვოლტერმა რუსეთის სამეცნიერო აკადემიას წარუდგინა თავისი თხზულება „ნიუტონის ფილოსოფიისათვის“ და არჩეულ იქნა აკადემიის საპატიო წევრად. ამის შემდეგ იწყება ცხოველი მიწერ-მოწერა ვოლტერსა და რუსეთის წარჩინებულ პირებს შორის. მათ რიცხვში ყველაზე თავდადებული თაყვანისმცემელი ვოლტერისა იყო შუვალოვი, რომელიც ფერნეიშიაც კი გაემგზავრა ვოლტერის სანახავად და „თაყვანისაცემად“. ამ შუვალოვის საცადელით ვოლტერს მიანდვეს „პეტრე დიდის ისტორიის“ დაწერა, რისთვისაც მას გადაუგზავნეს ყველა მასალები და დოკუმენტები. ამ შრომის პირველი ნაწილი გამოვიდა 1759 წელს. ამავე ხანებიდან მოკიდებული რუსულ პერიოდულ გამოცემებში დაიწყო ვოლტერის ნათარგმნ თხზულებათა ბეჭდვა. განსაკუთრებული სიძლიერე ვოლტერით გატაცებამ რუსეთში მიიღო ეკატერინეს გამეფების შემდეგ. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა თვით ეკატერინე, რომელიც თავის თავს სთვლიდა ვოლტერის მოწაფეთ და ხშირ მიმოწერაში იყო როგორც მასთან, ისე ენციკლოპედიის სხვა გამოჩენილ წარმომადგენლებთან. ამ გარემოებამ თავისუფალი ასპარეზი გაუხსნა მთელ პროგრესიულად მოაზროვნე თაობას. მე-60 წლების დასაწყისიდან ფართე მასშტაბით იწყება ვოლტერის თხზულებათა გამოცემა წიგნებისა და ბროშიურების სახით. ჟურნალებში იბეჭდება სტატიები ვოლტერის შესახებ, მისი ტრაგედიები იდგმება რუსულ სცენაზე. ამ დროს „ვოლტერიანობა“ ღებულობს ფართე მოძრაობის ხასიათს, იგი იქცევა ერთგვარ მოდათ და თავის მიმდინარეობაში ითრევს ბევრს ზერელე და შემთხვევით ელემენტსაც. უმეტესი ნაწილი იმ ნაკითხი საზოგადოებისა, რომელიც თავისთავს „ვოლტერიანელს“ უწოდებდა, არ იყო საკმაოდ გარკვეული და გამსჭვალული ახალი იდეებით. სწორედ ასეთ ადამიანებში ვოლტერიანობა ღებულობდა იათფასიანი სკეპტიციზმისა და რელიგიისადმი ზერელე დამცინავ დამოკიდებულების ელფერს. მაგრამ ასეთ

ფუქსავატ განწყობილებასთან ერთად საზოგადოების მოწინავე ნაწილში ღრმად ვითარდებოდა ვოლტერისა და საერთოდ ენციკლოპედისტთა იდეებისადმი სერიოზული მოპყრობა. ამ ნოვატორულ თაობას იტაცებდა შეურყეველი რწმენა ადამიანის გონების სიძლიერეში, ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლა, ტრადიციებისა და სქოლასტიკის უარყოფა და სამოქალაქო თანასწორობის იდეები. მთელი ფალანგა თანამედროვე რუსი მწერლებისა (დერჟავინი, ფონვიზინი, სუმაროკოვი) მოექცენ ამ ჰუმანიური გავლენის სფეროში. მათთვის აუტანელი სიცხადით გამოძღვლავნდა საშინელი კონტრასტი განმანათლებელთა იდეალებსა და რუსეთის უხეშ და უდიერ სინამდვილის შორის.

90 წლებიდან რუსეთში მდგომარეობა იცვლება. თუ აქამდის რუსეთის ოფიციალური წრეები ეკატერინეს მეთაურობით ხელს უწყობდენ ვოლტერისა და ენციკლოპედისტების თხზულებათა გავრცელებას, ეხლა საფრანგეთის დიდი რევოლუციით დამფრთხალი ხელისუფლება იცვლის ფრონტს და კრძალავს, როგორც ვოლტერის თხზულებათა ბეჭდვას, ისე, საერთოდ, ფრანგულ გამოცემათა იმპორტს რუსეთში. იწყება სასტიკი რეაქცია „თავისუფალი აზროვნებისა“ და ვოლტერიანობის წინააღმდეგ. ამავე ღრმად ვითარდება ანტივოლტერიანული მოძრაობა, რომელიც უმთავრესად კლერიკალურ სფეროებიდან მომდინარეობდა. ეს რეაქციონური მოძრაობა გამოიხატა მთავრობის რეპრესიებსა და აკრძალვებთან ერთად პოლემიკურ თხზულებათა სიმრავლეში „ზნედაცემული“ ვოლტერის წინააღმდეგ. ვოლტერიანობის საწინააღმდეგო ბანაკს წარმოადგენდა აგრეთვე მაშინ გავლენიანი მასონობა.

ვოლტერინულ მოძრაობას გამოცოცხლება დაეტყო მე-XIX ს. დასაწყისიდან, ალექსანდრე I-ის გამეფების შემდეგ. ამ ხანებში ხელახლა იწყება ვოლტერის მოთხრობებისა და ტრაგედიების ბეჭდვა, მაგრამ ეხლა უმეტეს ნაწილად სთარგმნიან ვოლტერის ისტორიულ თხზულებებს („პეტრე დიდის ისტორია“, „ლიუდ. XIV და ლიუდ. XV-ის ისტორია“ და სხ.), ინტიმურ მიწერმოწერას სხვა-

დასხვა, ევროპაში გამოჩენილ პირებთან — ფრიდრიხ დიდთან, ეკატერინესთან და სხ.. ამავე ხანებში 1802-05 წ. გამოდის ვეებერთელა გამოცემა ვოლტერის თხზულებათა კრებულისა. მე-XIX ს. პირველ მეოთხედში საზოგადოებრივ ასპარეზზედ გამოსულ ახალგაზრდა თაობას კიდევ გარკვევით ეტყობა ვოლტერის ძლიერი გავლენა. ეს გავლენა ალექსანდრე I-ის მეფობის უკანასნელ ხანებში თანდათანობით ადგილს უთმობს გერმანულ იდეალისტურ ფილოსოფიისაკენ მიდრეკილებას. უკანასკნელი გარემოება აიხსნება მე-19 ს. დამდეგიდან ფრანგულ განმანათლებელი იდეების წინააღმდეგ სრულიად-ევროპიული რეაქციის გამძვინვარებით.

ვ. ვოლტერიანობა საქართველოში.

საქართველოში ვოლტერით და ენციკლოპედისტების იდეებით გატაცებას არ ჰქონია ისეთი მასიური საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოძრაობის ხასიათი, როგორც რუსეთში. ეს გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას მე-18 და 19 საუკ. მიჯნაზე. საქართველოში ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ცალკე პიროვნებებთან, რომლებმაც ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში დალიეს თერგის წყალი და საქართველოში მოიტანეს ეპოქის მალეღვებელი იდეები. ქართველი ახალგაზრდობა, რომელსაც ამ ხანებში ძალით თუ ნებით რუსეთში უხდებოდა ყოფნა, განიცდიდა იმ პროგრესიულ იდეათა გავლენას, რომელიც ამ დროს ასულდგმულებად მოწინავე რუსულ საზოგადოებას. ქართველ ახალგაზრდობას ეს ახალი აზრები და შეხედულებები ჩამოჰქონდა სამშობლოში¹⁾ და ეწეოდა მის მხურვალე პროპაგანდას როგორც ლიტერატურული შემოქმედებით, ისე ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკით.

მე-18 ს. მეორე ნახევარში ამ ქართველ ახალგაზრდობის წარმომადგენლათ შეიძლება ჩავთვალოთ **ალექსანდრე**

¹⁾ ეს აღნიშნა გაკვრით გ. ლეონიძემ წერილში — ქართ. თეატრ. ქრონიკები — „დროშა“ 1925 წ. № 24.

ამილახვარი, რომელმაც მონტესკიეს გავლენით დასწერა პოლიტიკური ტრაქტატი „**ბრძენი აღმოსავლეთისა**“; ამავე საუკუნის მიწურულში რუსეთიდან ბრუნდება **დავით ბატონიშვილი**, — ეს ქართველი „დიდი ვოლტერიანელი“, რომელმაც შემდეგ, პეტერბურგს გადასახლებულმა, სთარგმნა მონტესკიეს ეპოქალური „De l'Esprit des lois“; მე-XIX ს. ნახევარში ქართულ ლიტერატურაში ჩვენ გვხვდება, როგორც სუსტი მოგონება გადასული დიდი ენტუზიაზმისა — რუსსოს მთარგმნელი **დავით ესტატეს ძე ციციშვილი**.

დასახელებულ პირთა გარდა ჩვენ ვიცით კიდევ რამდენიმე სახელი — როგორც მაგ. **ალექსანდრე ჭავჭავაძე, იესე გარსევანიშვილი** და სხვ., რომლებიც სთარგმნიდენ ვოლტერს. მათ უკან ჩვენ ვგრძნობთ და თითქოს ვამჩნევთ კიდევ უხილავსა და უსახელო მასსას მკითხველებისა და თანამგრძობლებისას, რომლებიც თავისი დაინტერესებით, ლიტერატურული ატმოსფერის შექმნითა და თანადგომით ძლიერ იმპულსსა და მასთან ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდნენ საქართველოში ეპოქის განმანათლებელ იდეათა გადმოსანერგავათ.

მე მინდა ჭვემოდ ვილაპარაკო ყველა ამ პირთა ცხოვრებასა და ლიტერატურულ ნამუშევარზე. ეს წარმოადგენს საკმაო ინტერესს. მათი სახით ჩვენ ვხედავთ პირველ მოფრენილ მერცხლებს, რომლებიც მოასწავებდნენ ახალ ეპოქის დასაწყისს საქართველოს ცხოვრებაში. მაშინ, როდესაც საქართველოში აღმოსავლეთი ამთავრებდა უკანასკნელ, მეათასერთე ლამის ზღაპარს, ამ ადამიანებმა მოიტანეს ევროპის უახლესი იდეები, გააბნიეს იგი ჩვენს ქვეყანაში და ამით ჩვენი ხალხის კულტურულ ინტერესებს უჩვენეს ახალი გეზი და პერსპექტივები.

სანამ ქართველ ვოლტერიანელთა შესახებ საუბარზე გადავიდოდე, მე მინდა შევეხო ვოლტერისა და ეკატერინეს მიწერ-მოწერას. იქ არის ადგილები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ გავითვალისწინოთ ერთი ფრაგმენტი იმ ისტორიული ეპოპეასი, რომელიც წინ უსწრებდა საქართველოს რუსეთთან შეერთების ხანას.

4. საქართველო ვოლტერისა და ეკატერინეს წერილებში.

თავის წერილებში „ფერნელ პატრიარქთან“ ეკატერინე ხშირად ეხებოდა რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყოველ მნიშვნელოვან ნაბიჯს. ამ მიწერ-მოწერიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მესამოცდაათე წლების წერილები, როდესაც რუსეთი ეომებოდა ოსმალეთს. ეს ომი გამოცხადდა 1768 წლის დასასრულს. პეტერბურგმა, რომელიც აქნამდის ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საქართველოს, საჭიროდ დაინახა ქართველ მეფე-მთავრების გამოყენება ოსმალეთთან ბრძოლაში. რუსეთის ინტერესს შეადგენდა ქართველების ამხედრებით კავკასიაში დაებანდებია ოსმალეთის საგრძნობი არმია. ამით რუსეთის ჯარს დუნაის ნაპირებზე წარმატებით მოქმედების საშუალება ეძლეოდა. მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც სწარმოებდა რუსეთსა, **ერეკლესა** და იმერეთის მეფე **სოლომონს** შორის, გადაწყდა შეერთებული სამხედრო ოპერაციების წარმოება ოსმალეთის წინააღმდეგ. ეროვნულ და ინტერესებულ იყო რუსეთის საშუალებით სამცხე-საათაბაგო შემოეერთებია, ხოლო სოლომონის გულისწადილს შეადგენდა იმერეთის ციხესიმაგრეებიდან ოსმალთა იანიჩრების განდევნა და საერთოდ იმერეთის განთავისუფლება ოსმალთა მძლავრობისაგან. 1770 წლის 19 იანვრის წერილში ეკატერინე სწერს ვოლტერს:

„...ქართველებმა მართლაც აიღეს იარაღი ოსმალების წინააღმდეგ. არ სურთ იხადონ ყოველწლიური ხარკი — აგზავნონ თავისი ქალწულები მათ ჰარამხანებში. ირაკლი უძლიერესია მათ თავადებს შორის, მასთან ჭკვიანი და გულადი ადამიანია. მან ხელი შეუწყო ამას წინათ ინდოეთის დაპყრობას სახელოვანი შახ-ნადირის წინამძღოლობით. ეს ანეკ-

დოტი მე გავიგონე თვით ირაკლის მამისაგან, რომელიც აქ, პეტერბურგში გარდაიცვალა 1762 წელს¹⁾ ეკატერინე მართალი იყო. ირაკლის მამა **თეიმურაზ მეორე**, რომელიც აგრძელებდა თავისი წინაპარ სეხნიის და სახელოვანი ოსტატის **თეიმურაზ პირველის** პოეტურ ტრადიციებს, 1760 წელს გაემგზავრა პეტერბურგისკენ საქართველოს ტრადიციული პოლიტიკური ორიენტაციის შესაცვლელად. მაგრამ ამაო იყო ცდა. რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესები მაშინ ჯერ კიდევ არ მოითხოვდნ საქართველოსთვის რეალური დახმარების გაწევას. რუსეთში თეიმურაზმა დაჰკარგა ყველა იმედები და აგრეთვე საკუთარი სიცოცხლე.

რაც შეეხება „ანეკდოტს“ ირაკლის ინდოეთის ლაშქრობაში მონაწილეობის შესახებ, ეს ისტორიული ფაქტი შეიძლება ეკატერინეზედ უკეთესად იცოდნ ევროპაში და იცოდა კერძოდ ვოლტერმა. ყანდაარის დაპყრობის შემდეგ **ნადირ-შაჰმა** ინდოეთისკენ გაილაშქრა და სხვათაშორის თან წაიყვანა ირაკლი ბატონიშვილიც ქართული ჯარით. 1738 წ. ნადირმა კურნალის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა დიდი მონგოლი მამედ-შაჰის ურიცხვი ლაშქარი და იმავე წლის მარტში შევიდა ქალაქ დელიში. დელიდან ნადირ-შაჰის ლაშქრობამ ავღანისტანში, ინდოეთში და საერთოდ აღმოსავლეთში გასტანა ორ წელიწადს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ირაკლი იბრძოდა ნადირთან ერთად. ეს იყო შკოლა, რომელმაც მისცა მას იდეალური სამხედრო გაწვრთნა და მოუხვეჭა მხნე მეომარის და გამჭრიახი სტრატეგის სახელი. ეკატერინემ, როგორც სჩანს, არ იცოდა, რომ ამ დროს ევროპელები ირაკლიზე ძალიან დიდი წარმოდგენის იყვნენ. „ერეკლეზე სწერდენ არა მარტო გაზეთებში, არამედ 1754 წელს პარიზში გამოვიდა სპეციალური წიგნიც სპარსეთ-საქართველოს არეულობათა შესახებ, სადაც ევ-

1) აქ და ქვემოთ წერილები ამოღებულია ძველი წიგნიდან:

„Переписка Екатерины Великой с господином Вольтером“, Пер. Ал. Подлисецкого. Москва, 1803 г.

როპიელი ავტორი უპირველეს მნიშვნელობას აძლევდა სპარსეთის ამბებში ერეკლე მეფეს და კერძოდ მის პიროვნებას არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით იხსენიებდა... თუ რამდენად დაინტერესებული იყვნენ ევროპაში ერეკლეს პიროვნებით, ეს სჩანს იქიდანაც, რომ დასახელებული წიგნი მეორე წელსვე გადითარგმნა გერმანულად და დაიბეჭდა მაინის ფრანკფურტში¹⁾. ამის შემდეგ მართლაც შეეძლო ეთქვა ვოლტერის დაახლოვებულ მეგობარს ფრიდრიხ პრუსიელს ცნობილი სიტყვები ევროპაში მისი, ხოლო აზიაში ირაკლის პირველობის შესახებ. მაგრამ დავუბრუნდეთ ეკატერინეს წერილებს. 1770 წლ. მარტში ეკატერინე სწერს ვოლტერს:

„ტოტლებენმა გადალაზა კავკასიონი და ეხლა მისი საზამთრო სადგომი საქართველოშია. მაგრამ ვინაიდან იმ მხარეებში ცუდი ტაროსი დიდხანს არ გრძელდება, — მე ვიმედოვნებ, რომ იგი ჩქარა დაიწყებს სამხედრო მოქმედებას“.

ტოტლებენის ჯარის ნაწილებმა პირველად გამოიარეს დარიალის ხეობა 1769 წელს აგვისტოში, ხოლო 1770 წლის გაზაფხულზე მათ კიდევ მოემატა საგრძნობი ძალა, ასე რომ ტოტლებენის განკარგულებაში თითქმის 4000 ჯარისკაცი ითვლებოდა 12 ზარბაზნით. მაგრამ ტოტლებენი გამოდგა მეტად უტაქტო, თავხედი და ქედმაღალი მხედარი. მან გააგულისა არა მარტო ქართველები, არამედ გადაიმტერა საკუთარი ჯარის აფიცრებიც. 1770 წელს ირაკლისთან ერთად ახალციხეზე გალაშქრების დროს, აწყურთან ტოტლებენმა მოულოდნელად მოხსნა და სურამისკენ გამოაბრუნა თავისი ჯარი. თავისი მოკავშირე ერეკლე ამგვარად მარტო დასტოვა ბრძოლის ველზე. მიუხედავად ამისა ირაკლიმ მაინც დაამარცხა ოსმალები ასპინძასთან 1770 წლ. 20 აპრილს. სურამით ტოტლებენი არ დაკმაყოფილდა. მან დაიჭირა აგრეთვე დუშეთის და ანანურის ციხეები. შემდეგ ისე გათავხედდა, რომ განი-

¹⁾ ს. კაკაბაძე. „საქ ისტ.-ახ. საუკ. ეპოქა. ტფილ. 1920 წ. გვ. 100—101.

ზრახა ერეკლეს ტახტიდან გადაგდება, შეპყრობა და ქართლ-კახეთის ტერიტორიის რუსეთისათვის შეერთება. მისი ბრძანებით დუშეთსა, ანანურსა, გორსა და ცხინ-ვალში უკვე შეუდგენ ხალხის დაფიცებას რუსეთის ერთ-გულებაზე. დუშეთის და ანანურის ციხეების შემდეგ ტოტლებენი გაემართა გორის ციხისაკენ. ამან კი მართლა საბოლოოდ გამოიყვანა მოთმინებიდან ირაკლი. მან გადასწყვიტა ტოტლებენი შეეპყრო რა ფასადაც არ დასჯდომოდა და რუსის ჯარიც მიეჟლიტა, მაგრამ ტოტლებენმა გადაასწრო ლიხთ-იმერეთში. აქ ტოტლებენმა სოლომონთან ერთად დაიწყო სამხედრო მოქმედება ოსმალების წინააღმდეგ. საუკეთესო და უმაგრესი ციხეები იმერეთში შორაპანი, ბაღდათი, ქუთაისი და სხ. ამ დროს ეპყრათ ოსმალო იანიჩარებს. საჭირო იყო მათი განდევნა ამ ციხეებიდან, რის შემდეგაც გახდებოდა შესაძლებელი იმერეთის საბოლოო გაწმენდა ოსმალებისაგან. ამ ამბებს ეხება ეკატერინეს თითქმის მთელი წერილი ვოლტერთან 1770 წლის შვიდი აგვისტოს თარიღით. მოგვყავს იგი სავსებით:

„ბატონო ჩემო!

მე მუშინია თავი არ შეგაწყინოთ. მიუსხედავათ ამისა უნდა გითხრათ: მე გუშინ მივიღე ცნობა, რომ გენერალ-მაიორმა, გრაფმა ტოტლებენმა წაართვა ოსმალებს ორი სიმაგრე — შერიპანი და ბაღდათი, რომლებიც კავკასიონის მთებს გადაღმა მდებარეობენ. ეხლა გარემოცული აქვს სიმაგრე და ქალაქი კოტატი, რომელსაც იქ ეწოდება ქუთაი. იგი მდებარეობს ფაშისის პირას. რომელიც შავ ზღვას შეერთვის. ჩემი ჯარები მხოლოდ სამოცი ვერსით არიან დაშორებული ამ ზღვას. ძველი ტრაპეზონტი მათგან მხარმარცხნივ მდებარეობს, იმერეთის მეფე სოლომონი გრაფთან არის შეერთებული და ისე მოქმედობს. ამ მეფის მეუღლე მოსულა რუსეთის ბანაკში და უთხოვია გენერლისათვის-ნება მიეცა ბაღდათის ალების შემდეგ ამ ქალაქში პირველად შესვლის პა-

ტივი მას მინიჭებოდა. თქვენ შეგიძლიათ აღვიღათ წარმოიდგინოთ, რომ მას ამაზე უარი არ ეთქვა.

ეს ბაღდადი არ არის ისე ლამაზი და ისე ვრცელი, როგორც ათასერთი ლამის ბაღდადი...

მე დამავიწყდა მეთქვა თქვენთვის, რომ ამ ქალაქის აღებამდე მეფე ირაკლიმ დაამარცხა ოსმალები ახალციხესთან.

თავი მიმინდვია თქვენი მეგობრობისა და ლოცვებისათვის. ვერავინ შესძლებს მათ დაფასებას ისე, როგორც თქვენი საყვარელი

ეკატერინე“.

შორაპნის, ბაღდათის და ქუთაისის ციხეთა აღების შემდეგ ტოტლებენმა გაილაშქრა ფოთზე. 1770 წლ. 15 დეკემბრის წერილში ეკატერინე ატყობინებს ვოლტერს:

„ტოტლებენი გაემგზავრა, რომ ალყა შემოარტყას პოტისს, შავი ზღვის პირად. იგი არ აქებს მიტრიდატის შთამომავლობას; სამაგიეროდ ძველი იბერიის ჰავა მას მიაჩნია საუკეთესოდ ქვეყანაზედ“...

ეს უკანასკნელია ეკატერინეს წერილებში, სადაც საქართველოს ამბავი გვხვდება, ამის შემდეგ უკვე აღარაფერი ისმის ჩვენი ქვეყნის შესახებ. და ეს ასეც უნდა იყოს. ტოტლებენმა ფოთის აღება ვერ შესძლო. ვერ მოახერხა ეს ვერც მის ნაცვლად დანიშნულმა გენ. სუხოტინმა. შეუჩვეველმა ჰავამ ფოთის მიდამოებში დასცადა რუსები. 800 კაცი დაიღუპა ფოთთან ციებ-ცხელებისაგან. 1771 წ. ოქტომბერში სუხოტინმა მოხსნა ფოთს ალყა. ხოლო 1772 წლ. მაისში იგი თავისი ჯარით რუსეთში იქნა გაწვეული. ამის შემდეგ ცხადია, ეკატერინეს წერილებში ვოლტერთან საქართველოს შესახებ აღარაფერი ცნობა არ იქნებოდა.

ვოლტერი ამ დროს, როგორც ვიცით, ცხოვრობდა ფერნეიში. 1772 წლის პირველი იანვრის წერილში ვოლტერი ხუმრობით სწერს ეკატერინეს:

„...მე ძლიერ ვწუხვარ, რომ ალი-ბეი, თავადი ირაკლი და თავადი ალექსანდრე არ იცნობენ ჩვენებურ ბულვარებზე სეირნობებს, ჩვენს საოცარ კო-

მიკურ ოპერებს, ჩვენს შესანიშნავს ვაკსალებს და არ იციან მენუეტის რიგიანად ცეკვა!..“

რასაკვირველია, ეს სიტყვები იყო მხოლოდ სალონური ხუმრობა. განა სცალოდა ამ დროს ირაკლის მენუეტის საცეკვაოდ? ვოლტერს საერთოდ ძალიან ცოტა წარმოდგენა ჰქონდა საქართველოზე, რადგან ჩვენი ქვეყანა ამ დროს უკვე დიდხნის ჩამოცილებული იყო მსოფლიო-ისტორიულ შარა გზებს. რას იფიქრებდა ვოლტერი, რომ ამ შორეულ, პროვინციად გადაქცეულ ქვეყანაში, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოაღწევდა მისი აზრები და მოძღვრება; რომ პიონერი და პირველი პროპაგანდისტი მისი იდეებისა იქნებოდა სწორედ „თავადი ირაკლის“ შვილიშვილი დავითი, რომელიც მენუეტსაც კარგათ ცეკვავდა ალბათ, „საოცარი კომიკური ოპერების“ გემოც ჰქონდა გასინჯული და ბოლოს, რაც მთავარია, გატაცებული ენტუზიასტი იყო თანამედროვე ევროპიული რადიკალური იდეებისა...

5. ალექსანდრე ამილახვარი.

ეს იყო პირველი ქართველი მწერალი, რომელიც ეზიარა დასავლ. ევროპის განმანათლებელთა იდეებს.

ამ ადამიანის ცხოვრება სავსეა შფოთით, ბღელვარებით და ტანჯით.

ალექსანდრე ამილახვარმა მონაწილეობა მიიღო ერეკლე მეორის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში 1765 წელს. ამისთვის იგი სასტიკად იქნა დასჯილი: მოსჭრეს ცხვირი და ფეხის გული. 1771 წელს ალექსანდრე მოსკოვში ცხოვრობდა, მშობლებთან. მას მთავრობისაგან აკრძალული ჰქონდა რუსეთის ფარგლებიდან გასვლა. მიუხედავად ამისა, 1779-80 წლებში ალექსანდრე გაიპარა რუსეთიდან და მივიდა იმერეთს სოლომონ მეფესთან. მას განზრახვა ჰქონდა შეერთებოდა ბატონიშვილს ალექსანდრე ბაქარის-ძეს, ირაკლი მეორის წინააღმდეგ სამოქმედოთ. მეფისწული ალექსანდრე პრეტენდენტი იყო ქართლის ტახტისა და უნდოდა წაერთმია იგი ირაკლისთვის

ქართლის თავადების დახმარებით. ამ დროს სოლომონსა და ირაკლის შორის მტრული განწყობილება სუფევდა, რის გამო სოლომონი ხელს უწყობდა ირაკლის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ ძალას. როდესაც რუსეთიდან გამოპარული ალექსანდრე ამილახვარი მოვიდა, მაშინ ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში იმყოფებოდა. სოლომონმა მის ჩამოსაყვანად გაგზავნა ამ დროს იმერთა კარზე შეხიზნული **ბესიკი**, რომელმაც თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა და ბატონიშვილი უვნებლად გადმოიყვანა იმერეთს. მაგრამ ქართლში არეულობის მოწყობის ცდამ ფუჭად ჩაიარა. როდესაც უკანასკნელი იმედი დაიწმინდა, ორივე შეთქმულმა დასტოვა იმერეთი და რაჭით და დიდგორით გადავიდნენ ჩერქეზეთს. იქიდან მოუხვიეს აღმოსავლეთით და მივიდნენ დარუბანდს ფატალიხანთან. უკანასკნელმა გასტეხა სტუმარ-მასპინძლობის ადათი. მეფე ერეკლეს თხოვნით ფატალიხანმა შეიპყრო ორივე და გადასცა რუსებს. ბატონიშვილი ალექსანდრე გარდაიცვალა სმოლენსკის ციხეში, ხოლო ალექსანდრე ამილახვარმა ვიბორგის საპყრობილეში გაატარა ცხრა წელიწადი და შემდეგ, როგორც იქნა, ძლივ-ძლივობით გამოითხოვა განთავისუფლების წყალობა. მაგრამ მაინც ბოლომდის იგი დარჩა ერეკლეს მოსისხლე მტერი. როდესაც რეალურად მეფეს ვერაფერი დააკლო, მან გადასწყვიტა ლიტერატურული საშვებებით ებრძოლა თვისი მტრის წინააღმდეგ. 1779 წელს ალექსანდრე ამილახვარმა დაბეჭდა რუსულათ თავისი წიგნი „История Георгианская об юноше кн. Амилахваре, с кратким прибавлением истории тамошней земли от начала до нынешняго века, которую рассказывает Усим, купец Анатольский. Пер. И. С. 1 ч. Спб. 1779“.

ეს ისტორია წარმოადგენს უფრო პოლიტიკურ პამფლეტს, ვიდრე ფაქტების მიუდგომელ განხილვას და თხრობას, რადგან აქ ძალიან ტენდენციურად არის გაშუქებული და გალანძღული ირაკლი მეფის პიროვნება. მეფე ირაკლი გაკიცხულია აგრეთვე ალექსანდრეს ავტობიოგრაფიაში, რომელიც დაწერილია კითხვა-მიგების სახით.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მესამე თხზულება ალექსანდრე ამილახვარისა. მას ეწოდება „ბრძენი აღმოსავლეთისა“ ანუ განზრახვაი მისი სახელმწიფოისათვის მმართველობისა“. ეს არის პოლიტიკური ტრაქტატი, რომელსაც გარკვევით ეტყობა მე-18 ს. დასავლეთ ევროპიელ განმანათლებელთა გავლენა. აქ გატარებულია ის იდეები, რომლებიც ეკუთვნიან ენციკლოპედიისტებს; განსაკუთრებული გავლენა ავტორზე მოუხდენია მონტესკიეს თხზულებას „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა“, რომლიდანაც ზოგიერთი ადგილები სიტყვა-სიტყვით მოუყვანია მას თავის ტრაქტატში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთში ყოფნას ფუჭად არ ჩაუვლია ალექს. ამილახვარისათვის. თუ მოვიგონებთ, რომ სამოცდაათიან წლებში რუსეთში დიდი გატაცება იყო ვოლტერიანობით და ენციკლოპედიისტებით, ამ დროს იქ მყოფი ალ. ამილახვარისთვის ეს მოძრაობა ყრუდ არ ჩაივლიდა. მართლაც, ეპოქის ქარის ქროლვას ეს ურჩი და შეურიგებელი ხასიათის კაციც გაუტაცნია. ალექსანდრე ამილახვარს თავისი ტრაქტატი, უთუოდ 1780 წლის ახლო ხანებში, მიუძღვნია სოლომონ იმერთა მეფისათვის. ¹⁾

6. დავით ბატონიშვილი.

გიორგი მე-XIII-ისა და მისი მემკვიდრის, დავით ბატონიშვილის ურთიერთ-დამოკიდებულებაში ჩვენ ვამჩნევთ თაობათა ბრძოლის თითქოს პირველ სუსტ ჩანასახს საქართველოში. ეს მწვავე ანტაგონიზმი მამასა და შვილს შორის, აღმოცენებული მსოფლმხედველობათა სხვაობაზე, თითქოს სიმპტომი იყო უცხო და უჩვეულო კულტურის ფონზე ახალი საზოგადოებრივობის დასაწყისისა. მაგრამ ეს კონფლიქტი ატარებდა პერსონალურ ხასიათს, ახალი იდეალების მატარებელ თაობას და მის წარმომადგენელს

¹⁾ ეს ტრაქტიტი დაბეჭდა ექვთ. თაყაიშვილმა თავის „არხეოლოგ. მოგზაურ. და შენიშვ.“ წ. I ტფილ. 1907 წ. გვ. 227—241.

არც ერთ სოციალურ ფენაში არ ჰქონდა ჯერ ნიადაგი და გამოძახილი. ამიტომ აღნიშნული კონფლიქტი რჩება მხოლოდ საინტერესო ეპიზოდით ჩვენი კულტურის ისტორიაში.

რუსეთიდან ჩამოსულმა დავით ბატონიშვილმა თან ჩამოიტანა სრულიად ახალი, სამეფო ოჯახის წევრთათვის და მახლობელთათვის ჯერ უცნობი შეხედულებები და აზრები. ასე მაგალითად, იგი აღარ დადიოდა წირვალოცვაზე, აღარ ინახავდა მარხვას, საერთოდ რელიგიის საკითხებისადმი იჩენდა არა მარტო გულგრილობას, არამედ კიდევ მეტი,—ამ საგანზე ძლიერ უპატივცემულოდ და ირონიულად მსჯელობდა. დავითმა ჩამოიტანა და თავის პალატში დაჰკიდა „ვილაც უცნობი“ ვოლტერის სურათი, რომელსაც იგი თავის მასწავლებელს და მეგობარს უწოდებდა; ჩამოიტანა ბლომად წიგნებიც, ბევრს კითხულობდა და სწერდა. ამ გარემოებამ მეტად შეაფიქრიანა და შეაშფოთა ღვთისმოსავი მეფე გიორგი. ჩქარა მამა-შვილს შორის ამ ნიადაგზე ჩამოვარდა დიდი განხეთქილება, განსაკუთრებით ერთი სამახსოვრო ინციდენტის შემდეგ. გიორგიმ თავის მემკვიდრეს გაუგზავნა მოციქულები — კარისმდივანი ელეაზარ ფალავანიშვილი, ალექსანდრე მაყაშვილი და არქიმანდრიტი ელევთერ და შეუთვალა: „შვილო დავით, თურმე ეკლესიას თიატრს ეძახი, ცისკარს სათამაშოს და წირვას წარმოსადგენს. ნუ შვრები ამისთანა ღვთის გარეგან საქმეს, მოიქეც და ღმერთი იწამეო“. გაჯავრებულმა დავითმა დააბარა მოციქულებს: „წადით, ასე უთხარით მამაჩემს, რაც იმას სწამდეს, მე გამიწყრეს და რაც მე მწამს, იმას გაუწყრესო“. როდესაც მოციქულებმა გიორგი მეფეს მოახსენეს შვილის პასუხი, დროზე წამოწოლილმა წამოიძახა თურმე: „დაადგა იგი ყოველს გზასა არა კეთილსა და ბოროტი მას არა მოეწყინა“..¹⁾

შვილის ურწმუნოება დიდათ აშფოთებდა და მოსვენებას არ აძლევდა მეფე გიორგის. მას გამორჩევით უყვარ-

1) იხ. ალექს. ორბელიანის წერილი „მეფე ირაკლის დროის ცოტ-ცოტა ამბები“ ს. კაკაბაძის წიგნში „წერილ. საქ. ისტ. ტ. I ტფილ. 1914 წ.“

და თავისი უფროსი ვაჟი. მართლაც, ძმებს შორის დავითი იყო „უგონიერესი, ცქვიტი, ფხიზელი და მარჯვე სიტყვითა და საქმითა“. გარდა ამისა იგი იყო მხნე მეომარი და სერიოზული საქმის კაცი. აღამამადხანის შემოსევის დროს ირაკლიმ თავისი მარჯვენა ფლანგი, კოჯრის გზის დასაცავად ჩააბარა თავის შვილის შვილს დავითს. 1798 წ. მამის დავალებით დავითი ხელმძღვანელობდა თავის ძმა იოანესთან ერთად კახეთის კომლელულ აღწერას. გიორგი მეფე თავის მემკვიდრეში ხედავდა დაუძღვრებულ სამეფოს ერთ-ერთ ნუგეშს და იმედს, მაგრამ მას ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა ქვეყნის მმართველად გამომდგარიყო ადამიანი, რომელსაც რწმენა შერყეული ჰქონდა და რელიგიის სფეროში არ იცავდა არავითარ ტრადიციულ ეტიკეტს. იგი შესჩიოდა ამის შესახებ ყველას და სთხოვდა დახმარება აღმოეჩინათ მისთვის შვილის წაღმართ გზაზე დასაყენებლად. საგულისხმოა ამ მხრივ მეფე გიორგის საუბარი ტფილისის კათოლიკეთა პატრ ნიკოლასთან. ეს საუბარი ეხება მაშინდელ მწვავე საერთაშორისო საკითხებს. ევროპაში ამ დროს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ, ხდებოდა მსოფლიო-ისტორიული ამბები, რომელთაც თვალყურს ადევნებდა მთელი კაცობრიობა.

გიორგი — პატრო ნიკოლა! სადაა ეხლა დიდი სარდალი ბონაპარტი?

პატრი — ებრძვის რუსთა და კეისარსა. ესენი ცდილობენ დაიცივან ფრანგისტანში ქრისტიანობა. არლათ მუნ აგერ მრავალი წელიწადია არცა წირვა, არცა ლოცვა, არც ქორწინება, არც მღვდელი და ეპისკოპოზი; 25 მილიონი წარმართად არიან გადაქცეულნი.

გიორგი — ვინ ჰქმნა ესე?

პატრი — უკეთურთა მწერალთა—ვოლტერმა და სხვათა, მეფევ!

გიორგი — ვოლტერი? მეგობარი ჩემის შვილისა დავითისა, ჩემის მემკვიდრისა. ვაი შენს გიორგის, რუსეთში მყოფმან ჩემმან შვილმან შეისწავლა მისი ურჯულო ჰსწავლა; მოიტანა აქა მისი სახე, რომელიც სამართლად დავს-

წვი ცეცხლსა. ღმერთი წარუმართებს რუსთა და კეისარ-საც. თვით მაცხოვარი ჩემი შეეწევა მათ. ქრისტეს გარეთ რაღაა კაცი? უკეთესსა ვინ გვასწავებს. მეორე არიოს ყოფილა, უნდა იყოს ის შეჩვენებული.

პატრი — წმინდისა პაპისა ლოცვითა ვერ გაიმარჯვებს მტერი.

გიორგი — ეკლესიასა ქრისტესა ჩემო, პატრო, ვერა ჰსძლევს ბჭე ჯოჯოხეთისა.

პატრი — მრავალი უნახავსთ დევნა ქრისტიანეთა.

გიორგი — დიოკლეტეიანემან, ნერონმან, ივლიანემ და სხვათა ვერ ჰსძლიეს ქრისტესა, რას იქმს ვოლტერი ბოროტითა სიტყვებითა“... 1).

ქართლ-კახეთის სამეფოში ამ დროს ხდებოდა მეტად მნიშვნელოვანი ამბები. 1799 წლის 18 აპრილს იმპერატორმა პავლემ 1783 წ. ტრაქტატის თანახმად ტახტზე დაამტკიცა გიორგი, მემკვიდრეთ დავით ბატონიშვილი. ამავე წლის ნოემბერში დარიალის გზით ტფილისში შეშოვიდა გენ. ლაზარევის ერთი პოლკი. მას წინ მოუძლოდენ დავით და იოანე ბატონიშვილები. რუსეთის სახელმწიფო საბჭომ პოლიტიკური, ეკონომიური და სტრატეგიული მოსაზრებით საბოლოოდ გადასწყვიტა ქართლ-კახეთის სამეფოს შემოერთება. კავკასიის ხაზის უფროსს კნორინგს ებრძანა, იმ შემთხვევაში, თუ დაავადყოფებულნი მეფე გიორგი გარდაიცვლებოდა, საქართველოს მმართველ წრეებისთვის ნება არ მიეცა ახალი მეფის კურთხევისა, სანამ პეტერბურგიდან ~~ლ~~ასტური არ მოვიდოდა. 1800 წლის 28 ნოემბერს გარდაიცვალა გიორგი XIII. ლაზარევმა წინადადება მისცა ბატონიშვილ დავითს რუსეთიდან ნებართვის მოსვლამდე თავი მეფედ არ გამოაცხადებინა. მეტი ღონე არ იყო, დავითი შეუდგა ქვეყნის მმართვეას, როგორც სამეფოს შემოერთება. კავკასიის ხაზის უფროსს კნორინგს იწვია რუსების მოწინააღმდეგე ბანაკში, რომელსაც მეთაურობდა **ს. ლეონიძე**. იგი საჯაროთ ჰკიცხავდა დავითს უმოქმედობასა და რუსთა ერთგულებისათვის. ლეონიძე შე-

1) პლ. იოსელიანი „ცხ. მეფე გიორგი მე XIII-ისა“ გვ. 86.

იპყრეს, მაგრამ იგი გაიქცა საპატიმროდან იმერეთს, სოლომონ მეფესთან. 1801 წ. სიონში გამოცხადდა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ.

ამის შემდეგ იწყება დინასტიის წევრთა სწრაფი და იძულებითი გადასახლება რუსეთში. ჯერი მიდგა დავით ბატონიშვილზეც. 1803 წელს თებერვალში, ციციანოვის განკარგულებით დავითი და ბიძა მისი ვახტანგ ირაკლისძე გამოეთხოვეს თავის ქვყანას. მცხეთასთან დავითს შემოეგებენ, სხვათაშორის, შიომღვიმის ბერებიც. დავითმა გადმოიღო თავისი საყვარელი თოფი „გველტუჩა“ და ააოხრეს ბერებს უდაბნოში შესანახავად. ეს ჟესტი იქნებ გამოხატავდა იარაღ აყრილ ქვეყნის სულისკვეთებას. არ შეიძლება ამ დროს დავითს არ მოგონებოდა დანაწევრებით თავისი ახლო წარსული. როგორ იმედით მოუძღვოდა იგი დარიალიდან რუსის ჯარს; როგორ პატივს სცემდა და ართობდა რუსის მხედრობას ტფილისში. ერთხელ მისი დაჟინებული თხოვნით და პატივისცემით, გიორგი მეფემ ორთაჭალის ბაღში „ქართველთა და რუსთა წესითა ჰქმნა სადილი დიდი და მოიწვია რუსისა ღენერალი ჯარისა ტფილისს მოსულისა აფიცერნი და ჩინებულნი ჯარისა და ქალაქისა. მუზიკა რუსული და ქართული ამხიარულებდენ შეკრებილთა“¹⁾ ცოცხალი რომ ყოფილიყო მაშინ საიათნოვა უთუოდ კიდევ იტყოდა თავის სიმღერას:

„აგერ მიღმა ურმებიცა ამართეს
საფრანგეთის ტურფა საზი გამართეს“...

ეხლა უკვე გვიან იყო დავითისთვის სინანული და სიტყვები: „რად ამ უბედურსა ხვედრსა შევესწარ“. ბედმა და ისტორიამ დავითს არგუნა სამეფო ხმალი გადაეცვალა კალამზე. ამის შემდეგ მის ცხოვრებაში იწყება ახალი, პეტერბურგის პერიოდი.

პეტერბურგში დავითი მთელ თავის დროს ანდომებს ლიტერატურულ მუშაობას. ჯერ კიდევ გადასახლებამდე, საქართველოში, იგი ეწოდა ინტენსიურ მწიგნობრობას. ახალგაზრდა დავითმა თავის პაპას ირაკლის ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე მიუძღვნა გრამმატიკა შესაფერისი წერი-

1) პლ. იოსელიანი. „ცხ. მეფე გიორგი მე-XIII“.

ლით¹⁾ 1798 წლის წინა ხანებს ეკუთვნის დავითის მიერ კითხვა-მიგების სახით შედგენილი „შემოკლებული კატორია“²⁾. ეს ნაშრომი წარმოადგენს სიმონ ჯულფელის „დიალექტიკის“ პირველი ნაწილის პოპულიარიზაციას. საქართველოში ყოფნისას დაუწერია დავითს აგრეთვე თავისი „ხელხლება ანუ განგებლობითი ღვთის-მეტყველება“³⁾ და ტფილისში დაბეჭდილი „ნარკვევი ანუ ისტორია“⁴⁾.

პეტერბურგში დავითს, ცხადია, მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა მუშაობისათვის. იგი უზრუნველყოფილი იყო მატერიალურად. რუსეთის მთავრობამ არაფერი დაიშურა მისი გულის მოსაგებად და შემოსარიგებლად. დავითს მისცეს გენერალ-ლეიტენანტის და სენატორის ხარისხი და წლიური ჯამაგირი. ძალაუფლებურად თავის ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებს ჩამოშორებული, იგი ცდილობს მიწერმოწერის საშუალებით მაინც გაამაგროს კავშირი საქართველოში დარჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან და ლიტერატორებთან. დავითს მიწერმოწერა ჰქონდა ამ დროს საქართველოში მყოფ თავის „მწიგნობრობისა და მწერლობისა“ მასწავლებელ დავით რექტორთან, ეგნატე იოსელიანთან და სხვებთან. „მცოდნე რუსულისა ენისა თარგმნიდა წიგნთა ქართულად და უგზავნიდა იმათ, ვითარცა კაცთა განსწავლულთა“⁵⁾. გარდა ამისა ცნობილია დავით ბატონიშვილის კარესპონდენციები სახელოვან ორიენტალისტ და ქართველოლოგ მარი ბროსესთანაც.⁶⁾ დროგამოშვებით გულზე სევდა შემოწოლილი ბატონიშვილი არ იკლებდა აგრეთვე რომანტიულ და პესიმისტური ლექსების წერასაც. მისი ლექსები ტიპის: „რად ამ უბედურსა ხვედრსა შევესწარ“, „გამიფრინდა სიყვარულის მფრინველი“, ან

1) სიძვ. მუზ. № 408.

2) წ. კ. № 253 და № 4951.

3) გადაწ. 1801 წ. წ. კ. № 2884.

4) გადაწერილი დაბეჭდილიდან 1800 წ. წ. კ. № 3998.

5) პლ. იოსელიანი „ცხ. მ. გ. XIII“.

6) ოთხი წერილი მარი ბროსესთან ფრანგულ ენაზე წ. კ. № 4797.

კიდევ „გულს ასხივე შენი დისკო სხივი, მზევე შავის ღრუ-
ბლით მომივლინე არია“, — მრავლად არის შენახული
ჩვენს სიძველეთსაცავებში.¹⁾ უთუოდ რუსეთში ყოფნის
დროს არის დაწერილი დავითის მიერ „ათორმეტი წერი-
ლებანი მოცალეებაში კაცთა შესაქცევად“²⁾ და აგრეთვე
„ახალი შიხი, მიმოწერა საყუარლისა ანუ საყუარლისადმი,
რომელნიც ცხოვრებდენ მთასა ქვეშე კავკასიისასა“³⁾.

პეტერბურგში დავით ბატონიშვილი დარჩა ისეთივე
ენტუზიასტი ენციკლოპედისტების იდეებისა, როგორიც
იყო წინათ. ჩვენ ვიცით, რომ ამ დროს, ალექსანდრეს მე-
ფობის ლიბერალურ პერიოდში, რუსეთში კვლავ შესამ-
ჩნევი ხდება განმანათლებელ ფილოსოფოსთა იდეებით
გატაცება. ხელახლა სთარგმნიან ვოლტერის თხზულე-
ბებს, რამდენჯერმე სთარგმნიან და სცემენ მონტესკიეს
„De l'Esprit des lois“-ს⁴⁾. ამ საერთო გამოფხიზლების
დროს გულხელდაკრეფილი არ იჯდა ძველი ვოლტერიანე-
ლი დავითი. 1814 წელს პეტერბურგში იგი ამთავრებს
მონტესკიეს ამ ეპოქალური თხზულების თარგმნას რუსუ-
ლიდან — („გულისხმისყოფისათვის სჯულთასა, ქმნილი
უფლისა მონტესკუსაგან“⁵⁾), რომელიც დავითის სიტყვით
არის „ერთი უმჯობესთა წერილთაგანი ყოველსა ევროპა-
სა შინა“. საინტერესოა, რომ ეს თავისი ნაშრომი დავითს
მიუძღვნია თავის მეცნიერი ძმის, ისტორიკოსის თეიმურაზ
ბატონიშვილსთვის და თან მიუწერია შემდეგი სტრიქო-
ნები:

„ჩემო საყვარელო ძმაო თეიმურაზ!
უაღმატებულესი სურვილი და სწავლისადმი მოცა-

1) შ. კ. №№ 1516, 1576, 3686, 3723.

2) შ. კ. №№ 1261, 2582.

3) შ. კ. № 1496.

4) „О разуме законов“ — თარგ. კრამარენკოვის, პეტერბ. 1775 წ.
და 1801 წლ., „О существе законов“ — თარგ. იაზიკოვის, მოსკოვი
და პეტერბ. 1809—1814 წ. წ.

5) შ. კ. №№ 370, 371, 388 ა, ბ, და საისტ.-საეთნ. საზ.
№№ 1424, 1907.

ლებანი, რომელიცა შეჰქმნია სულსა შენსა თვისებად აღმოჩნდა ღირს ხსოვისა ყოველთა კაცთათვის, განღვიძებულმა ამით ხელვჰყავ თარგმნებად წერილისა ამის მონტესკუსაგან ქმნილისა სჯულთათვის, გაღვიძებულმა ამით ხელვჰყავ თარგმანებად ესე უმჯობესთა წერილთაგანი ყოველსა ევროპასა შინა, ხოლო მე ვსასოებ რომელ შრომა ესე ჩემი მსახურმექმნას დატკობასა შინა ძმებრისა სიყვარულისასა.

თქვენი ძმა დავით¹⁾.

საჭიროა მოვიგონოთ, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც ამ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა, ინტენსიურ სამეცნიერო-ისტორიულ მუშაობას ეწეოდა. შემდეგში მარი ბროსსეს მან ასწავლა ქართული ენა. იყო სხვადასხვა ევროპ. ქვეყნების სამეცნიერო საზ-ბათა წევრი.

ერთი წლის შემდეგ, 1815 წელს, დავით ბატონიშვილი სთარგმნის რუსულიდან ანსილიონის თხზულებას-„ესტიკებრნი განსჯანი“²⁾. ეს ანსილიონი ყოფილა პრუსიელი მოქალაქე, ტომით ფრანგი, უთუოდ ემიგრანტი, თავის დროს ცნობილი, როგორც ლეტერატორი და ფილოსოფ. თხზულებათა ავტორი. დასახელებული თხზულება რუსულად უთარგმნია თეოფილაქტე რუსანოვს, შემდეგ საქართველოს ექზარხოხსად ნამყოფს; მისი თარგმანით, როგორც დედანით, უსარგებლია დავით ბატონიშვილს. თავის ნათარგმნისათვის დავითს დაურთავს მრავალ უცხო სიტყვათა განმარტება, რაც საყურადღებოა, როგორც სალექსიკონო მასალა³⁾.

1819 წელს დავითი სწერდა საქართველოში თავის აღმზრდელს დავით რექტორს: „ჩემო ლალავ! ყველას მოკითხვა უბრძანეთ ვინც ჩემზედ იცინის და ვინც ჩემთვის ჰსწუხს...“ თითქოს ამ სიტყვებში ისმის განშორების შენ-

1) წ. კ. № 370.

2) საისტ.-საეთ. საზ. №№ 333, 198, 201.

3) იხ. ამის შეს. ს. გორგაძე—„ფილოს. მთავ. დარგები ქართ მწერლობაში“ ტფ. 1923 გვ. 28.

დობა. მართლაც ეს იყო დავითის უკანასკნელი ბარათი შორეულ სამშობლოში. იგი გარდაიცვალა ამავე წელს პეტერბურგში.

დავით ბატონიშვილში დამთავრდა საქართველოს გვირგვინოსან მწერლების ტრადიცია, თუმცა თვით დავითი ბოლომდე დარჩა დაკარგული ტახტის მემკვიდრედ. სამაგიეროთ მისი ცხოვრება და ლიტერატურული მუშაობა არის ერთი საინტერესო დასაწყის ფურცელთაგანი დასავლ-ევროპიულ იდეების გავლენათა ისტორიიდან ჩვენი ქვეყნის კუთვრულ ცხოვრებაში.

7. დავით ციციშვილი.

„კალმასობაში“ არის მეტად საინტერესო ეპიზოდი. ქვაბთახეველი იოანე და მისი „სანხო“ ზურაბი მიემგზავრებიან საკალმასოთ ხვედურეთისკენ. როდესაც ამ ადგილს მიუახლოვდნენ, დაინახეს მომავალი ციციშვილი. იოანეს და ზურაბს შორის იმართება საყურადღებო დიალოგი:

იოანე — ვინ არიან ესენი?

ზურაბ — ვოლტერის მოწაფე.

იოანე — რას ნიშნავს ეგე?

ზურაბ — ღვთის უსიყვარულობას და კაცთ დაუნდობლობასა.

იოანე — პირველი გაგონებაა, მაშ მე მივსცემ მცნებას მაგისტვის, ერთადღვართ აღზრდილი დავით რექტორისაგან თელავს.

(ზურაბი აქ ირონიულად. შენიშნავს — მაშ ორივე დიდათ წმინდანი იქნებითო). ამასობაში ციციშვილიც მოვიდა, იოანე იცნო და მოახსენა:

— გვაკურთხე მამაო!

იოანე — კურთხეულ იყავ საქმეთაებრ შენთა!

ციცი. — რაი საქმე მიქნია?

იოანე — ვოლტერის შედგომა.

ციცი. — ვითარის სახით?

იოანე — ურწმუნოებით, ნათესავის არ დანდობით, თვისთა და მოყვარეთა და მეზობელთა მტრობითა.

ციც. — ვინ ამბობს მაგას?

იოანე — ყვაენი ასრე იძახიან!...¹⁾

საინტერესოა ფრიად ეს დიალოგი. მე-18-19 საუკ. მიჯნაზე, სადაც ხვედურეთის მინდორზე ერთმანეთს ხვდებიან პირისპირ ორი მსოფლმხედველობის წარმომადგენელი. ანტაგონიზმი, რომელიც თავიდანვე ახასიათებდა „განმანათლებელთა“ იდეების მატარებელ თაობისა და კლერიკალიზმის ურთიერთ დამოკიდებულებას, აქაც ისეთივე სიმწვავეით მჟღავნდება, როგორც ვოლტერიანობის სამშობლოში და ყველგან, სადაც პროგრესიული იდეები ეხეთქებოდნენ ტრადიციისა და ფანატიზმის ძნელსატეხ კლდეს.

ჩვენ ვფიქრობთ არა უსაფუძვლოთ, რომ ეს კალმასობის ციციშვილი არის შემდეგ ცნობილი ლიტერატორი-მთარგმნელი **დავით ესტატეს-ძე ციციშვილი**. იგი უფროსი თანამედროვეა **ნიკო ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, ალექსანდრე ორბელიანის, ივ. კერესელიძის**. ცხოვრობდა უმეტესად თავის სოფ. ქარელში, სადაც შეძლების და ნიჭის მიხედვით ეწეოდა წყნარ ლიტერატურულ მუშაობას, უმეტესად თარგმნას. 1849 წელს დავით ციციშვილს უთარგმნია რუსსოს ტრაქტატი „Содействовало-ли возрождение наук и художеств очищению нравов?“ ქართულ თარგმანის წარწერაში ვკითხულობთ: „**ჰსჯა**, დაჯილდოვებული დიუონის აკადემიისაგან 1750 წელსა, კითხვასა ზედა ამის აკადემიისასა წინადადებული, რომელ აღდგინება ჰსწავლათა და ხელოვნებათა შეეწეოდაა წარმართვასა ზნეთა ანუ ყოფა ქცევათასა? — შეთხზული უფლისჟან ჟაკ რუსსოს მიერ. მეორედ გამოცემული მოსკოვს 1727 წელსა, რუსულ თარგმანიდან ითარგმნა დავით ესტატესძე ფანასკერტელის ციციანოვის მიერ 1849 წ. ს. ქარელში“²⁾.

ჩვენ ყველამ ვიცით ამ ტრაქტატის ლიტერატურული ისტორია. 1749 წელს, როდესაც რუსსო ვენსენის ციხეში დამწყვდეულ დიდროს სანახავად მიდიოდა, მან გზაზე,

1) კალმასობა—გვ. 27—28.

2) წ. კ. №№ 1260, 1445.

გაზეთში წაიკითხა დიჟონის აკადემიის განცხადება ზემოხსენებულ თემაზე საუკეთესო თხზულებისათვის პრემიის მიცემის შესახებ. ამის შედეგი იყო ცნობილი ტრაქტატი მეცნიერება-ხელოვნების გავლენის შესახებ ადამიანთა ზნეობა-ყოფაქცევაზე, სადაც რუსსომ დაჰგმო კაცობრიობის მიერ საუკუნოებით შეძენილი კულტურა, როგორც ადამიანის გამრყენელი და ყველა ცოდვა-უბედურებათა მიზეზი.

რასაკვირველია, მთავარი დებულება რუსსოს თხზულებისა სადავო იყო ჯერ კიდევ თავის სამშობლოში თავის დროზე. მაგრამ იგი მაინც უდიდესი პროტესტი იყო იმ სოციალურ ურთიერთობის წინააღმდეგ, რომელიც მეფობდა რევოლიუციის წინა დროის საფრანგეთში. ამდენად ამ თხზულებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე. ვოლტერიანელმა და ენციკლოპედისტების იდეებით გატაცებულმა ციციშვილმა მოიხადა ვალი. უნდა ითქვას სიმართლე, რომ ეს წიგნი, ცოტა არ იყოს, შეუფერებელი იყო მე-19 ს. პირველ ნახევარში ქართული სინამდვილისათვის. მაშინ, როდესაც თითქმის დავიწყებული გვქონდა ყველა ნაციონალური კულტურული მიღწევები, როდესაც ანბანიდან ვიწყებდით სწავლას, კერძოდ არ გვქონდა დროის შესაფერი სალიტერატურო ენა, რომელიც მოითხოვდა რეფორმაციას და ნიკო ბარათაშვილის გენიალური სულის ბობოქრობა გაჭედილი იყო ტყვიასავით მძიმე არქაიულ სინტაქსის სალტეებში, — მაშინ ეს ტრაქტატი და კულტურისა და სწავლა-განათლების უარყოფით გავლენაზე ლაპარაკი ცოტა უცნაური გაუგებრობა იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენის აზრით, რუსსოს ქართულად თარგმნა მაინც სიმპტომატიური იყო იმ დროს.

დავით ციციშვილი ორმოცდაათიან წლებში თანამშრომლობდა ივ. კერესელიძის „ცისკარში“. ბეჭდავდა ლექსებს და პროზას, უმთავრესად რუსულიდან ნათარგმნს. ცხოვრობდა ამ დროს ს. ქარელში, მაგრამ არ სწყვეტდა კავშირს ტფილისის ლიტერატურულ წრეებთან, სადაც მას მეტად პატივს სცემდნენ. 1857 წლის „ცისკარში“ №12 დ. ციციშვილს დაბეჭდილი აქვს წერილი „ცოდნისათვის გან-

ჯაფისა“, რომელსაც რედაქტორის ივ. კერესელიძის შენიშვნა მოსდევს: „ჟამსა მოგზაურობისა ჩემისასა ამა წელს, ვიმყოფებოდი რა ჩვენის თანამედროეს მწერლის თ. დავით ციციშვილის სახლში ს. ქარელს, სადაცა მაჩუენა თავისნი მრავალნი მშვენიერნი თხზულებანი, მათ შორის ვპოვე აღწერა ზემოხსენებულის განჯაფისა, რომელსაცა ვბეჭდავთ ჩვენს ჟურნალში“. პატივისცემის ღირსი ოლონდაც იყო ეს კაცი. ჩვენ ეხლაც, ისტორიულ მანძილზე დავით ციციშვილი გვეჩვენება, როგორც განათლებული და პროგრესიულად მოაზროვნე პიროვნება. ეს იყო საქმის სიღრმეში ჩახედული ადამიანი. იგი საერთო უदारდებლობის ჟრიაშულში ნახულობდა უნარს დაფიქრებულყო და შეეფასებინა საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური და კულტურული ვითარება. იგი ამჩნევდა, რომ ახალი, უცხო და დიდი კულტურის მოზვავება წალეკვას უქადდა ნაციონალური კულტურის ყველა ციტადელს და უპირველეს ყოვლისა ეროვნულ ენას. 1857 წლ. „ცისკარში“ № 12 დაბეჭდილია ერთი მისი რუსულიდან ნათარგმნი ლექსი, რომელსაც მოსდევს ორიგინალური და თავისი შინაარსით მეტად საყურადღებო სტრიქონები:

„მოგიძღვნით ქართველთ მკითხველთა, მაგრამ დავსძინებ თხოვასა

ღვთის გულისათვის ნუ ჰკარგავთ ძველის ენისა ხსოვასა საკიცხველია ყოველგან მოგვატყვებს დიდსა გლოვასა გვეტყვიან თვისი დაჰკარგეს, სხვისას ვერ ჰყოფენ შოვასა“.

ეს იყო მართლაც სალოზუნგო სიტყვები. ეროვნულ კულტურისა და მწერლობის ასპარეზზე გამოსული თაობა, განსაკუთრებით მესამოცე წლების „თერგდალეულთა“ მებრძოლი თაობა ამ მაგისტრალური ხაზით იწყებდა თავის მოღვაწეობას. „ნუ ჰკარგავთ ძველის ენისა ხსოვასა“—მოწოდება იყო მშობლიური ენისა და კულტურის შენარჩუნებისათვის.

დავით ციციშვილის პორტრეტი შენახულია საქართველოს საეთნოგრაფიო მუზეუმში. ეს არის დაახლოვებით 40 წლის, რიხიანი გამოხედვის ვაჟკაცი, რუსეთის არმიის აფიცრის მუნდირში. ცოცხალი სახე და თვალები ამჟღავნებენ ამ კაცში ნიჭს და ცნობისმოყვარეობას.

დავით ციციშვილი ფრიად სიმპატიური და ჩუმი მოღვაწის ტიპია იმ თაობისა, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა ილია ჭავჭავაძის ახალი ეპოქის დამწყებ თაობას. მისი სახელი ღირს მოგონებათ ქართულ საზოგადებრივ მოძრაობის ისტორიაში, რადგან ნიკო ბარათაშვილის თქმის არ იყოს, თავის დროზე ეს „სამსახურიდან მოცლილი ყმაწვილი კაციც შეეწია მამეულისა ენასა“.

ალექსანდრე ჭავჭავაძე. იესე ბარსევიანიშვილი. ანონიმი მთარგმნელები ვოლტერისა.

ვოლტერს უშუალოდ ფრანგულიდან სთარგმნიდა ალექსანდრე ჭავჭავაძე. ამ ბრწყინვალე ეპიგონს ძველი საქართველოს პოეტური ტრადიციებისა, „გოგჩის ტბის“ დამწერს და უკანასკნელად ნამღერი სპარსული ბაიათების ავტორს—მე-19 საუკუნის ალიონზე ქართულ პოეზიაში შემოაქვს ვოლტერის მალეღვებელი სახელი. თითქმის ერთი საუკუნის დაგვიანებით, მაგრამ მაინც ჩვენამდეც აღწევს ვოლტერის მაღიზიანებელი სატირები. ასეთია ყოველთვის ბედი იმ ხალხის, რომელიც ჟამთა-ტრიალის წყალობით ჩამორჩა ისტორიის დიდ ქარავანს. მას დიდხანს უხდება მაჩანხალური შემოქმედება კულტურის გარეთუბნებში.

ალ. ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნი ვოლტერის ლექსები მოთავსებულია ორ მეტად საყურადღებო ხელნაწერ კრებულში (წ. კ. № 1511 და 303). პირველი კრებული გადაწერილია და შედგენილი დავით რექტორის მიერ 1823 წლის მიწურულში; მეორე კი მოსკოვში, 1829 წელს, დავით გიორგის ძე ავალიშვილის მიერ. ორივე ფოლიანტი წარმოადგენს ფრიად საინტერესო ანტოლოგიას ძველ და ახალ საქართველოს პოეტებისას. როგორც სჩანს, ვოლტერის ლექსები მოწონებული და პოპულიარული ყოფილა ქართველ მკითხველთა შორის, რომ ამ კრებულებში შეუტანიათ. ეს თარგმანებია: 1. „ვოლტერის თქმული ტაქტიკაზე“—ცნობილი ლექსი, რომელიც იწყება სტრიქონებით:

მე ამას წინად ვეწვიე ჩვენს მეწიგნეს-მათეოზსა
რომელ კაცი ქულბაქს უკეთ ვერა ნახავს მოსაწონსა...

მეორე ლექსს ეწოდება „მოძღვრისა და მოწაფისათვის“ (ერთსა ვინმე მოხუც პატრსა პარასკევსა დიდ მარხვისას...). აქაც, როგორც ვოლტერის უმეტეს სატირებში და პამფლეტებში, სასაცილო და უხერხულ მდგომარეობაშია გამოხატული სასულიერო წოდების წარმომადგენელი¹⁾.

არსებობს ერთი ვარიანტი ლექსისა სათაურით: „ვოლტერის მიერ თქმული ოდეს კვდებოდა და სვინდისად მოვიდა“ (წ. კ. № 3686), რომელსაც მთარგმნელად ხელს აწერს იოანე ბატონიშვილი, დავითის ძმა. ამ ლექსის მეორე ვარიანტი სათაურით „აღსარება ვოლტერისა“ მოთავსებულია 1875 წლ. „ცისკარში“ № 1 და აქვს ალექსანდრე ჭავჭავაძის ხელმოწერა. ჩვენ არ გვინდა შევიდეთ პედანტურ ძიებაში, თუ ვინ არის მაინცდამაინც მთარგმნელი, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ორი გარემოება: ერთი ის, რომ ბატონიშვილი იოანე ლიტერატურული ეთიკის მხრივ ცოტა სახელშეზღვევლია პეტრე ლარაძესთან ინციდენტის შემდეგ, მეორე ის, რომ „ცისკრის“ რედაქტორს ქრონოლოგიური უპირატესობა მაინც ჰქონდა ჩვენთან შედარებით, რომ სისწორით გამოერკვია ნამდვილი მთარგმნელის ვინაობა. ეს ლექსი „ოდეს ვოლტერი კვდებოდა და სვინდისად მოვიდა“ — თითქოს ადასტურებს ლეგენდას იმის შესახებ, რომ ვითომ ამ შესანიშნავმა მებრძოლმა კლერიკალური სიბნელის წინააღმდეგ, სიკვდილის წინ მაინც მოიწვია იეზუიტები აღსარების ასავლელად. მოწინააღმდეგეებმა ისარგებლეს ამ ლეგენდით, თითქოს ეს კომპრომისი, კიდევ რომ ყოფილიყო დაშვებული, გააბათილებდა ვოლტერის ეპოქალურ ნაღვაწს.

მე-19 ს. ოცდაათიან წლებს ეკუთვნის აგრეთვე თარგმანი ვოლტერის კაპიტალური ნაშრომისა: „ლუდოვიკო მე-XIV და ლუდოვიკო XV-ის მეფობის ისტორია“. თხზუ-

¹⁾ ორივე ლექსის თარგმანი შეტანილია აღ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულში ტფილ. 1881 წ. გვ. 71 და 119.

ლება უთარგმნია მღვდელს იესე გარსევანიშვილს 1838 წელს¹⁾, ალბათ მოსკოვის 1809 წლის გამოცემიდან²⁾.

საინტერესოა და ცოტა არ იყოს კუროზულიც ის გარემოება, რომ ვოლტერის თხზულებას ქართულად სთარგმნის სასულიერო პირი. მაგრამ გაუგებრობას ადგილი არ ექნება, თუ გავიხსენებთ, რომ თხზულება ისტორიული ხასიათისა იყო; გარდა ამისა საქართველოში არაოდეს არ ყოფილა ვოლტერიანობა მიზეზი მწვავე საზოგადოებრივი განხეთქილების და ფართე ლიტერატურული პოლემიკისა, თუგინდ ისეთის, როგორიც იყო, მაგალითად, რუსეთში...

ქართულად უთარგმნიათ ვოლტერის ტრაგედიებიც. ესენი არიან: „ედიპი“, „ზაირა“ და „ალზირა“. ამ თარგმანების ხელთნაწერები ფრაგმენტალური სახით არის დარჩენილი³⁾.

ჩვენ ვიცით, რომ ვოლტერი თანამედროვეთა შორის, განსაკუთრებით პირველ პერიოდში, პოპულიარული იყო უფრო როგორც ტრაგედიების მწერალი და არა ავტორი ფილოსოფიურ-პოლემიკური თხზულებებისა, რომლებმაც ასეთი წარუშლელი გავლენა იქონიეს მე-XVIII ს. საფრანგეთის და მთელი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ტრაგედიებში ვოლტერი ბაძავდა კორნელს და განსაკუთრებით რასინს; იშვიათად იჩენდა ამ სფეროში ნოვატორობას. ინგლისში ყოფნის დროს იგი დაინტერესდა შექსპირით, მაგრამ მას, პსევდო-კლასიკური ტრაგედიების ავტორს, მისაღებად არ მიაჩნდა შექსპირის ტრაგედიებში სამი ერთიანობის დარღვევა, ხშირი მკვლევლობა სცენაზე და განსაკუთრებით უხეში მასლაათი ხელოვნების, მასხარების და ჯარისკაცებისა, — ეს მდაბიო საზოგადოება დაუშვებელი იყო პსევდო-კლასიკური ტრაგედიისათვის. მაინც ვოლტერს მოსწონდა ბევრი მონოლოგი შექსპირიდან, განსაკუთრებით რთული და ცოცხალი მოქმედება,

1) წ. კ. № 389.

2) „Ист. царств. Л. XIV и Л. XV, Королей франц.“. соч. Вольтера, пер. А. Войкова, Москва, 1809 г.

3) წ. №№ 3164, 1742, 1673.

რაც არ იყო ფრანგულ სცენაზე. შექსპირიდან ვოლტერმა ისესხა მრავალი ხასიათი და სცენა თავის სხვადასხვა ტრაგედიებისათვის.

ქართულად უთარგმნიათ ვოლტერის შედარებით უფრო ცნობილი ტრაგედიები. „ედიპი“ ის ტრაგედიაა, რომელმაც 1718 წელს პირველ დადგმისთანავე მოუპოვა ახალგაზრდა ავტორს პოპულიარობა და მატერიალური კეთილდღეობა.

ასეთივე წარმატებით მიდიოდა თავის დროზე ფრანგულ სცენაზე „ზაირა“, რომლის სიუჟეტი ვოლტერმა ისესხა შექსპირიდან (1732 წ.) და აგრეთვე „ალზირა“, რომელიც პირველად დაიდგა 1736 წელს.

ქართულ საზოგადოებრივობისა და მწერლობისათვის ამ ტრაგედიების თარგმნა მაინცდამაინც დიდ კულტურულ შენაძენს არ წარმოადგენდა. თავისი შინაარსით და ტენდენციით იგი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართული საზოგადოებისათვის შორეული და უცხო იყო. ახალ კულტურულ-პოლიტიკურ ზონაში მოქცეული ხალხის ცხოვრება მოითხოვდა სხვა გაშუქებას. თუ კომიკურში არის ტრაგიული ელემენტები, მაშინ ცხადია გ. ერისთავის რეალისტური კომედია უფრო შესაფერისი იყო თავისი დროის მშფოთვარე და მტკივნეული საზოგადოებრივი ფორმაციის გამოსახატავად საქართველოში.

1927 წ. სექტემბერი.
ტფილისი.



ქართული პრესა

„ქართული მწერლობის“ შესახებ.

მასალა, რომელიც ქვემოთ იბეჭდება, წარმოადგენს ქართული პრესის აზრს „ქართული მწერლობაზე“. ესაა ნაწილი იმ შენიშვნებისა და რეცენზიების, რომელიც „ქართული მწერლობის“ გამოსვლის დღიდან იბეჭდებოდა დროგამოშვებით ჩვენს ჟურნალ გაზეთებში.

ამ შენიშვნების ერთად დაბეჭვდა მიზანშეწონილია შემდეგის მოსაზრებით: ერთი რომ თანამედროვე მიმომხილველს აძლევს საბიბლიოგრაფიო მასალას „ქართული მწერლობის“ შინაარსისა და მნიშვნელობის შესახებ და მეორეს მხრივ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების მემატიანეს მრავალი წლის შემდეგაც კი საშუალება ეძლევა ადვილად გაეცნოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ მნიშვნელოვან არეს ვინაიდან უკვე დაგროვილ საბიბლიოგრაფიო მასალასთან ექნება საქმე.

დღეს კი, გარდა ყველაფერისა, ამ მასალის დაბეჭვდას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ქართული მწერლობა ახალი კონფერენციის წინ მთლიანად დაინახავს სურათს იმ საზოგადოებრივი მუშაობისას, რომელსაც აწარმოებდა მისი ორგანო ამ ორი წლის განმავლობაში, თანახმად პირველი კონფერენციის მიერ მოცემულ დირექტივებისა და ამით გაუადვილდება აღნუსხოს მისი ჟურნალის ნაკლი და ღირსება და აღნიშნოს, თუ რამდენად იტევდა „ქართული მწერლობა“ ქართული მწერლობის დღევანდელ ლიტერატურულსა და საზოგადოებრივ შინაარსს.

რედაქცია

გაზეთი „კომუნისტი“

მე დღეს მინდა მკითხველს ვესაუბრო სრ. საქართ. მწერალთა კავშირის ყოველთვიურ ორგანოს — „ქართული მწერლობის“ (№ 1) — შესახებ, რომელიც ახლახან გამოვიდა ბაზარზე გასასყიდათ. ეს ორგანო პირველი „კოალიციონური“ ორგანოა, სადაც თავს იყრიან ჩვენში არსებული ყველა ლიტერატურული მიმდინარეობანი. ამ მიმდინარეობებსა და მათ წარმომადგენლებს იცნობს ჩვენი საზოგადოება, ასე რომ მათი მოქმედების შესახებ აქ ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია. მე ამ წერილში მაინტერესებს სხვა რამ. ამ ჟურნალით ქართული მწერლობა პირველად გამოდის გაერთიანებული ორგანოს სახით ჩვენს წინაშე, ხოლო უფრო ადრე თებერვლის ყრილობაზე მან სთქვა თავისი სიტყვა. რას შეიცავს იგი?

არავისათვის დასამალი არ არის ის ფაქტი, რომ ქართული მწერლობის დიდ უმეტესობასა და ხელისუფლებას შორის არანორმალურ დამოკიდებულებას ჰქონდა ადგილი. რა იყო ამის მიზეზი? როგორ ხსნის მას ჩვენი მწერლობა? **პ. ინგოროყვას** მოყავს ერთი დებულება — მწერლობის ნაციონალური „უკლონი“ — რამაც არ უნდა დააშინოს ხელისუფლება და არ უნდა შეუშალოს ხელი ურთიერთობის „დამყარებას ქართულ ნაციონალისტურ ინტელიგენციასთან“. მიზეზი სწორად არის აღნიშნული, ხოლო დასკვნები არა შესაფერისად არის გამოყვანილი. ავტორი სწერს: „დაჩაგრული (ვისგან) პატარა ერის ნაციონალიზმი — ნუ შეგეშინდება ამ სიტყვის — ეს არის თავდაცვის იარაღი. ეს ნაციონალიზმი არ არის რეტროგრადიული მოვლენა, იგი თავისი ბუნებით რევოლუციონურია და რადიკალური. რად გავიწყდებათ თუნდ ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკა საბჭოებისა პატარა (თუ დაჩაგრული) ერების ნაციონალიზმს ემყარება“. (გვ. 10).

პ. ინგოროყვას უნდა მოვახსენოთ შემდეგი: ნაციონალიზმი ერთგვარი ფომრა არის და იგი განსაზღვრულ ისტორიულ კონკრეტულ პირობებში სხვადასხვა შინაარს ღებულობს; იგი მართლაც თავდაცვის იარაღია, ხოლო მისი შინაარსი და მნიშვნელობა სხვადასხვაობს ობიექტურ გარემოებათა მიხედვით: ნაციონალიზმი იყო თავისი ფორმით სლავიანოფილების ეროვნული კონცეპცია, მაგრამ თავისი შინაარსით იგი რეაქციონურ მოვლენას წარმოადგენდა, რადგან მას სურდა დაეცვა რუსეთის პარტიკულიარიზმი და პირველყოფილი კარჩეკეტილობა ევროპის ახალ მოძრაობისა და იდეებისაგან. ნაციონალიზმი არის თავისი პირობით ინდოეთისა, ჩინეთისა და სხვათა ეროვნული პოლიტიკა, მაგრამ რევოლუციონუ-

რი თავის შინაარსით, რადგან მას სურს გაანთავისუფლოს დაჩაგრული ერები იმპერიალიზმის ბატონობისაგან. ნაციონალიზმი იყო თავისი ფორმითაც ქართული ინტელიგენციის დიდი უმეტესობის ეროვნული კონცეპცია, მაგრამ ეს ნაციონალიზმი აშკარა კონტრ-რევოლუციონურ შინაარს ატარებდა, რადგან მას სურდა მაგრად გამოეხურა საქართველოს კარები დიდი რევოლუციონურ მოძრაობის იდეებისათვის და ხელუხლებლად შეენარჩუნებია ჩვენი ცხოვრების წვრილ-ბურჟუაზიული უბიწოება: ჩვენი ინტელიგენცია ნაციონალიზმის ნიღაბში ებრძოდა სოციალისტურ მოძრაობას და სოციალისტურ კულტურას. როგორც ვხედავთ ნაციონალიზმი ყველგან და ყოველს პირობებში არ არის რევოლუციონური და რადიკალური მოვლენა. ყოველ შემთხვევაში **საქ. თანამედროვე პირობებისათვის ნაციონალიზმი კონტრ-რევოლუციონური შინაარსით არის ავსილი.** ცხადია, მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას ასეთ ინტელიგენციასთან არ შეეძლო ნორმალური კონტაქტის დამყარება.

ვის წინააღმდეგ სურდა ინტელიგენციას ნაციონალიზმი, როგორც თავდაცვითი იარაღი. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კულტურული აყვავებისათვის ისეთი პირობები არასოდეს არ შექმნილა, როგორც არის დღეს. ინტელიგენციამ ეს პირობები არ გამოიყენა და ამით ისტორიული დანაშაული ჩაიდინა ქართველი ხალხის წინაშე.

რატომ დარჩა ჩვენ მწერლობისათვის გაუგებარი და მიუღებელი ოქტომბრის იდეები. ამას ღრმა სოციალური მიზეზი უდევს სარჩულად. **პ. ინგოროყვა** სწერს: „ძველ მწერალთა კავშირში მასიურად წარმოდგენილია უპარტიო შემომქმედი ინტელიგენცია. მაგრამ არ დავფარავთ, რომ აქ არის ერთგვარი (და გარკვეულიც) ნაციონალისტური „უკლონი“ (გვ. 10) პირველი დებულება არ არის სწორი, ხოლო მეორე სრული ჭეშმარიტებაა. კლასთა ბრძოლის პირობებში უპარტიო პიროვნება არ არსებობს. ეს ლენინიზმის დებულებაა, ხოლო ჩვენი მწერლობის დიდი უმეტესობა, და შეიძლება ითქვას ინკორპორე, ძველი პარტიების წევრები იყვენ. ჩვენში პარტიათა ბრძოლას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული და მწერლობაც ამ ბრძოლის ქარცეცხლში იყო გაბმული. ეს ბუნებრივი მოვლენა არის. მაგრამ ეს გარემოება ამჟღავნებს ერთ მეტად მნიშვნელოვან სოციალურ ფაქტს: ჩვენი მწერლობის სოციალური შემადგენლობა წვრილ-ბურჟუაზიულია უმთავრესად, ხოლო მისი იდეოლოგია გარკვეულ ოპორტიუნისტულ იერს ატარებს. წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია კი ყველაზე უფრო ფრთხალი და კარჩაკეტილია. რევოლუციონური აზროვნების პერიოდში ჩვენმა ინტელიგენციამ ამ წვრილ-ბურჟუაზიულ სათვალეებით განსჭვრიტა ოქტომბრის რევოლუცია და მისთვის სრულიად გაუგებარი შეიქნა როგორც ოქტომბრის იდეები, ისე მისივე ბრძოლის მეთოდები. ჩვენი მწერლობა ამ მოძრაობის გარეშე დარჩა, მან მაგრად ჩაიკეტა კარები და აცახცახებული იწყო ლოდინი. სამართლიანად სწერს გ. ქიქოძე: „ჩვენმა თაობამ ჯერ რევოლუცია განიცადა, შემდეგ კონტრ-რე-

გოლიუცია, შემდეგ ხელახალი რევოლიუცია, ბოლოს რაღაც — გეოლოგიურ კატაკლიზმის მაგვარი სოციალური გარდატეხა. ნაადრევად გავჭარბებდით. ჩვენი სული თითქოს მიძინარას ტოტივით მოიხარა ამ სუსხიან დღეებში“ (გვ. 30) ქართულ მწერალთა ცხოვრებიდან უნდა აღინიშნოს ორი ფაქტი: ქართველი მწერლისთვის გაუგებარი და მიუღებელი გახდა დიდი ოქტომბერი, მისთვის იგი „რაღაც გეოლოგიურ კატაკლიზმის მაგვარი გადახრა არის“. აზრი, შინაარსი და იარაღი ამ დიდი სოციალური მოვლენისა ვერ გაიგო მწერლობამ. ოქტომბერი თავისი გზით წავიდა, ხოლო მწერლობამ თავისი კარები ჩაკეტა და ნაციონალიზმის ნიღაბით დაუწყო თავისი სოროებიდან ბრძოლა დიდ მოძრაობას. **მწერლობა დაშორდა თანამედროვე ცხოვრებას;** აქედან წარმოსდგა **თემების უძალობა და ლიტერატურის კრიზისი.** ცხოვრებას მოწყვეტილი და მის გარეშე მდგარი მწერალი დაჩიავდა. „რუსეთში ყოველივე იწერება პოეტების მიერ თანამედროვეობის გამართლებისათვის; საქართველოში პოეტები სწერენ ხშირად წინა, ან უკანა საუკუნეებისათვის (ს. ჩიქოვანი). ჩვენი ლიტერატურის რენესანსი, მისი აყვავება შეუძლებელია მოხდეს კარჩაკეტილ კაბინეტებსა და აფარებულ ნიღაბების ქვეშ. მწერლობამ უნდა დაფხრიწოს ეს ნიღაბი და ფართოდ გაუღოს კარები თანამედროვე ცხოვრებას. **მწერლობამ უნდა შეისუნთქოს ეპოქის სუნი და შეიგნოს ეპოქის აზრი.** მწერლობა და ცხოვრება უნდა დაუახლოვდეს — კი არ უნდა დაუახლოვდეს, — უნდა გადაეჯაჭვოს ერთი მეორეს, აქ არის ხსნა ჩვენი მწერლობისა, აქ არის ნივთიერი ნიადაგი მისი რენესანსისათვის. ამის ნიშნები უკვე სჩანს... მაგრამ მხოლოდ ნიშნები.

ჩვენს მრეწველობას უკვე ემჩნევა „უკლონი“ — მხოლოდ „უკლონი“ — ახალ ცხოვრებისაკენ, ახალ მიმდინარეობისაკენ, ეს ასე ვსთქვათ პოლიტიკური შინაარსის „უკლონია“, საერთო მოვლენის ნაყოფი, მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ მოსჩანს კულტურული და იდეოლოგიური შინაარსის გადახრა. მწერლობამ გაიგო, საბჭოთა წყობილების პოლიტიკური მნიშვნელობა, თუ გნებავთ მისი კულტურული და ეროვნული მნიშვნელობაც, მაგრამ **მას არ სურს მისი არსებითი სოციალური შინაარსი გაიგოს და მისი მთავარი აზრი შეითვისოს.** ჟურნალის მოწინავე წერილში ნ. მიწიშვილი სწერს: — „ოქტომბრის რევოლიუცია ქართულ მწერლობას მიაჩნია პროგრესიულ მოვლენად, რომ ქართული მწერლობა შეეცდებოდა ამ მოვლენის გაღრმავებას და განმტკიცებას, რათა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შექმნილი ურთიერთობა წარმართული იქნას აგრეთვე საქართველოს სოციალურ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ განვითარებისაკენაც“. ასე სწერს პოეტი ჟურნალის ფურცლებზე. აქ იგი საბჭოთა პლატფორმაზე სდგას, მაგრამ სხვა ადგილას იგივე ავტორი ამბობს: „პოეზიაში მე მივყვები მხოლოდ საკუთარ გულს და ალბად ესაა მიზეზი, რომ მე, როგორც პოეტი, ჩამოვრჩი დღევანდელ აბოქრებულ დროს აქტუალობას. როგორც პოეტი, მე, შესაძლებელია, დავრჩე წარსულში, მაგრამ მოქმედებამ, გამბედაობამ და სიცოცხ-

ლის ლოლიკამ მე გამათანასწორა თანამედროვეობასთან, როგორც ადამიანი. შეიძლება მომავალში ეს ორი პარალელი შეერთდეს, მე არ ვიცი; ვიცი რომ ამ წინააღმდეგობაში ჩავარდნილია მთელი ჩემი დრო და პოეტისათვის ეს წინააღმდეგობა უხირად თავდება კატასტროფით“. (იხ. ნ. მიწიშვილი: „გარდაცვალება“).

საინტერესო და დამახასიათებელი აღსარებაა: როგორც ადამიანი — მოქალაქე იგი საბჭოთა პლატფორმაზე სდგას, ხოლო როგორც პოეზიის მსახური, წარსულისაკენ იყურება. ერთი ფეხით ახალი დროის პლატფორმაზე სდგას, მეორეთი წარსულს ებჯინება. ეს არის შემოქმედების გაორება. როგორც მოქალაქე, იგი „ითვისებს“ ჩვენი ეპოქის პოლიტიკურ კონცეპციას, როგორც პოეტი — იგი ძველი სულისა და გულისთქმის წიაღში რჩება. ეს გაორება დამახასიათებელი მომენტი ჩვენი ეპოქის: მწერლობა ვერ ბედავს სავსებით გასწყვიტოს კავშირი წარსულთან და ორივე ფეხებით დადგეს ახალ ნიადაგზე. იგი ცდილობს ახალ პოლიტიკურ კონცეპციაში ძველი სული და აზროვნება გამოხვიოს: ძველი განცდანი ახალ ფორმებით შემოსოს. ასეთი უკლონი ერთგვარ საფრთხესაც წარმოადგენს ჩვენთვის. აქ ჩვენ გვმართებს ერთგვარი სიფთხილე, რომ მწერლობამ პოლიტიკური რადიკალიზმის ფორმებით არ შემოგვაპაროს თავის ძველი აზროვნება. როგორც ვხედავთ ჩვენი მწერლობა ორგანიულად ვერ უერთდება ჩვენი ერის ცხოვრებას. მისი სული გაორებულია, წინააღმდეგობის რკალში არის მოქცეული, მაგრამ ასეთი გაორება, ასეთი ბრძოლა წინააღმდეგობათა რკალში ყოველთვის თავდება კატასტროფით. მწერლობა ან ორივე ფეხებით, მთელი თავისი სიმძიმით უნდა შესდგეს ახალ ნიადაგზე, ან თავის პატრიარქალურ კარჩაკეტილობას დაუბრუნდეს. ჩვენ პირველი მომენტისაკენ მოუწოდებთ მწერლობას: მან არა მარტო პოლიტიკური კონცეპცია უნდა შესცვალოს, არამედ კულტურული და სოციალურიც. იგი ორგანიულად უნდა შეედუღოს თანადროულობას, თუ მას სურს არ ჩამორჩეს ცხოვრებასა და იყოს მისი მსახური. შესძლებს ამას ჩვენი მწერლობა? ნაწილი ალბად შესძლებს, ნაწილი კვლავ გაორების რკალში დარჩება დროებით, ხოლო მესამე ნაწილი ვერ გასცილდება თავის დახავსებულ ნიადაგს.

წერილის დასასრულს მე არ შემიძლია უყურადღებოთ დავსტოვო ორი წერილი, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ აღძრულ კითხვებთან.

ნ. საქარელის წერილი: „ხელოვნება და ქართული საზოგადოებრივობა“ მენშევიკური კონცეპციის ანარეკლია. ავტორი ძველი მენშევიკია და ხელოვნების საკითხშიაც სურს მენშევიზმის კონცეპცია გააბატონოს: ის აქ იმარჯვებს ორგანიულ-ისტორიულ-ევოლიუციონურ თვალსაზრისს, ისტორიულ თანამიმდევრობას, კულტურის განვითარების მთლიანობას და ბუნებრივობას. ავტორი სწერს: „ახალი კულტურა volens-nolens ძველ კულტურაზე უნდა იქნეს დამყნობილი, იგი ძველი კულტურის საშოდან უნდა წარმოიშვას და განვითარდეს, ძველი კულტურის საძირკველზე უნდა აშენდეს, ვინაიდან „თუ სა-

ძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისათვის ყოველი შრომა დაკარგულია“ (გვ. 16) აქ მკაფიოდ გამართლებული არის ძველი კულტურის დაცვის აუცილებლობა. ლენინის კონცეპცია არასოდეს არ მოითხოვდა ხელაღებით უარყოფას ძველი კულტურისა, მაგრამ ლენინი ყოველთვის არჩევდა იმ ელემენტებს ძველ კულტურაში, რომელთაც პროგრესიული და თანდროული მნიშვნელობა ჰქონდა. საქარელი ჩვენგან მოითხოვს მთლედ ძველი კულტურის მიღებას. აქ მხილდება მისი კონსერვატიული ბუნება. მეორეს მხრივ საქარელს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ყოველ სამეურნეო ფორმებს აქვს თავისებური კულტურა და სოციალური შენობა: ერთი სამეურნეო ფორმაციიდან გადასვლა მეორეში არ ხდება მშვიდობიანი გზით, არამედ რევოლუციონური შერყევებით, რომლის დროსაც ირღვევა ძველი კულტურის (მატერიალური და სულიერი) სწორწონაობა და მის ელემენტებისაგან ახალთან შედუღების სახით ყალიბდება ახალი კულტურა და ახალი საზოგადოებრივობა. ასე მოხდა ფეოდალურ ეპოქიდან კაპიტალიზმში გადასვლის პერიოდში. ასევე ხდება კაპიტალიზმიდან საბჭოთა წყობილებაში გადასვლის დროსაც. ინტელიგენცია, რომელიც მართლაც ორგანიზულად არის შეზრდილი ძველს კულტურასთან, ყველაზე უფრო ცახცახებს ასეთი „კატაკლიზმებისა“ და „სუსხიანი დღეების“ პირობებში. ის გოდებს კულტურის დაღუპვასა და ველურობაზე. საქარელიც ასეთ მდგომარეობაშია და დიდის რიხით „კაცობრიობის უდიდეს რეფორმატორების“ სახელით „ახალ“ სოციოლოგიურ კონცეპციას იცავს. არსებითად ეს არის პატრიარქალურ უბიწოებაში შემალულ დამფრთხალ ინტელიგენტის კონცეპცია.

ნ. მიწიშვილი თავის წერილში: „ქართული კულტურის ახალი გზები“ — ზოგად კულტურულ გაუმართლებელ ფაქტებს ეძებს იმ ორიენტაციის გასამართლებლად, რომელსაც დაადგა ქართული მწერლობა საბჭოთა პლატფორმის გაზიარებით. ავტორი სწერს: „...ის, რაც დღეს ხდება რუსეთის რევოლუციის ტერიტორიაზე სწორედ იმ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენის ფიქრით უნდა გადაიქცეს მომავალ კულტურის ფუძეთ, დიამეტრალურად ეწინააღმდეგება დასავლეთი კულტურის დღევანდელ ობიექტიურ შინაარსს“ (გვ. 22) ამ ახალ ზოლში უნდა მოექცეს საქართველოც ავტორის აზრით. ამ ორიგინალურ მიდგომას კითხვისადმი ჩვენ ორ შენიშვნას გაუკეთებთ: 1. ახალი კულტურის გადმოტანა რუსეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 60-იან წლებში დანილევსკიმ წამოაყენა (კულტურულ-ისტორიული ტიპები) — დღეს ამ თეორიას ბერდიაევი და ძმები მათნი იმეორებენ („Закат Европы“ — О. Шпенглер) არსებითად კულტურის გეოგრაფიულ რკალში მომწყვდევა, რეაქციონურ-ნაციონალისტურია თავის მიზნებით. ის რაც იქმნება რევოლუციონურ ტერიტორიაზე, კი არ უპირისპირდება მთლიანად აღებულ ევროპის კულტურას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ამ კულტურის ბურჟუაზიულ მხარეს. ევროპის კულტურის დღევანდე-

ლი ობიექტიური შინაარსი არსებითად შესდგება ორი ელემენტი-საგან: ბურჟუაზიულ (გაბატონებული) და პროლეტარული ელემენტებისაგან. სოციალისტურ რევოლუციის პერიოდში პირველი ილუპება თავის შინაარსით, მეორე კი ვითარდება, და იფურჩქნება. ეს არ სურს დაინახოს არც საქარელსა და არც მიწიშვილს. ძველ ქართულ მწერლობას ჩვენ ვებრძვით არა ქართულ კულტურის აყვავების საკითხში, არამედ ამ კულტურის შინაარსის გაგებაში. ძველ მწერლობას სურს ჩვენი მომავლის აყვავება ბურჟუაზიულ საფუძველზე. მას არ სურს განავითაროს ის კულტურა, რომელსაც პროლეტარული კულტურა ეწოდება. აქ ჩვენი დავა ქართულ მწერლობასთან აშკარაა და ნათელია. ახალი ძალის მთავარი მიზანია ქართული კულტურის ფორმები აავსოს საერთაშორისო პროლეტარული კულტურის შინაარსით, გადააჯაჭვოს იგი მსოფლიო პროლეტარულ კულტურულ ოჯახს და ამით გამოიყვანოს იგი ნაციონალურ კარჩაკეტილობისა და სივიწროვიდან.

თავისი რეზოლიუციებით თებერვლის ყრილობაზე მწერლობა მხოლოდ ცალი ფეხით შედგა ჩვენს პლატფორმაზე. ჩვენ სტუმართმომყვარეები ვართ და ამიტომ ისეთივე ფერებით მოუწოდებთ ჩვენი პლატფორმისაკენ.

მოსული.

ჟურნალი „მნათობი“

ჟურნალის ეს ნომერი იხსნება შალვა დადიანის მოკლე მოგონებით ვასო აბაშიძეზე, და ნ. მიწიშვილის საკმაოდ ვრცელი წერილით „ფიქრები საქართველოზე“.

ნ. მიწიშვილი ცნობილი მწერალია საქართველოში — ამ შემთხვევაში რედაქტორიც დასახელებულ ჟურნალის. ამიტომ მის წერილზე შეჩერება საჭიროა. მართალია ეს წერილი დათარიღებულია — 1922 წელი, სტამბოლი — მაგრამ, რადგან იგი იბეჭდება იმ ჟურნალში, რომლის რედაქტორი წერილის ავტორია და თვით წერილსაც არაგითარი შენიშვნა არა აქვს იმის შესახებ, რომ მას ავტორი დღეს ზოგ რამეში არ ეთანხმება — ამის გამო, ჩვენ შეგვიძლია ეს წერილი ჩავთვალოთ ავტორის დღევანდელ შეხედულებათა გამომხატველადაც... მით უფრო მეტი ინტერესი ეძლევა მას... საქართველოში მე არ მეგულება თანამედროვე პროეტთა შორის ისეთი პესიმისტი — როგორც მიწიშვილია. მისი ლექსები — სიკვდილის და დაშლილ ადამიანის საგალობელია... რასაკვირველია — ეს პლიუსათ არ ჩაეთვლება მას, როგორც პროეტს, — თუმცა ეს კიდევ ნახევარი უბედურებაა... მაგრამ როდესაც მიწიშვილი — უკვე როგორც რედაქტორი ჟურნალის — თითქმის „კრედოს“ მსგავს წერილს ათავსებს რაღაც წარმოუდგენელი გულგატეხილობით და იმედ დაკარგულის ხასიათისას — საქართველოს შესახებ — აქ სიჩუმე არ შეიძლება...

მიწიშვილის წერილის დასკვნები ასეთია: — „საქართველო პასიური მოვლენაა. მისი ენერჯია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან (ენერჯია ჭიის როცა მას ფეხს აჭირებენ). — საკუთარ შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული ყო მაშასადამე შემოქმედების გენიასაც. — მოკლებულია აქედან გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ, რელიგიას, აზრს, შინაარსს.

— ამითია რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი უშვილოსნობა თუ ბერწობა.

— ამის შედეგია ჩემის ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა, ქართული ჭკუისა. განწირვა ქართული ხელოვნების, პოეზიის. მე მგონია ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა, რომ ქართული ბედი წყდება და ტყდება ყოველთვის შუა გზაზე დაუმთავრებელი, მიულწეველი.“

რომ იოტის ოდენა სიმართლევ არ მარხია მიწიშვილის ამ უიმედობაში, მე მგონია ზედმეტია ამის მტკიცება.

მართლაც და რატომღა „პასიური მოვლენა საქართველო?“ — და რას ნიშნავს ეს?.. ვერავინ ამას ვერ დაამტკიცებს. — მისი — საქართველოს ენერჯია თურმე არის ენერჯია ჭიის, რომელსაც ფეხს აჭირებენ. — მე ძალიან მიკვირს, რომ მიწიშვილი ენას არ იჭრის, რომ ქართულათ სიტყვა ვერ თქვას...

„ამის შედეგია ჩემის არზით — სიმჩატე ქართული არსებისა, ქართული ჭკუისა, განწირვა ქართული ხელოვნებისა, პოეზიისა“ — არ ღირს ამის ზერელე უარყოფაც...

მიწიშვილი ქართველი ინტელიგენცია. ნუთუ ასეთი რამ გახრწნის და დაშლის სასიკვდილო პროცესი ხდება თუ გინდ ერთ ნაწილშიაც ქართველი ინტელიგენციისა — რომ — მის წარმომადგენელს მიწიშვილს — ასეთი რამ ათქმევინა?! ყოველ შემთხვევაში — **ქართველი ხალხი და საქართველო აქ სრულიად არაფერშია.**

— აჯობებდა კი ბევრად, რომ ასეთი წერილი სრულებით არ დაბეჭდილიყო.

ნ. საქარელის — წერილის შესახებ — „ხელოვნება და ეროვნული საზოგადოებრივობა“ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა. სარეცენზიო წერილში ეს შეუძლებელია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბევრ ღია კარებს — ამტვრევს ავტორი.

„ხელოვნების თვალუწვდენელი სამეფოსთვის მიღებულია სამოქალაქო ომის თეორია და მეთოდები, რომელსაც ტყუილა უბრალოთ ჩატრენიან რადიკალური ფრაზის მოყვარული ლიტერატორები“. — ჩვენ არ ვიცით ვისზე უთითებს ნ. საქარელი. — კომუნისტ ლიტერატორთა შორის — ასეთი აზრის და შეხედულების დამცველი ჩვენ არ ვიცით არავინ.

კარგი იყო — რომ ასეთი რადიკალური ფრაზის მოყვარული ლიტერატორები დაესახელებნა ავტორს, თორემ ეს ცოტა ცილისწამებას წააგავს... რასაკვირველია ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელოვნება კლასიკა ბრძოლის გარეშე დგას, პოლიტიკის მას არაფერი აცხია და საზოგადოებრივ ცხოვრებიდანაც დამოუკიდებელია!!! მაგრამ ამას მგონი თვით ავტორიც არ უარყოფს.

ერთი პატარა შენიშვნა: მოყავს რა რ. კალაძის ერთ-ერთ წერილიდან, რომელიც მოთავსებული იყო ჟურნალ „მნათობის № 2 (1925 წ.) აკაკი წერეთლის შემოქმედების შესახებ — ამონაწერი: „ხალხმა ის გაიგო და შეიგრძნო და მისი პოეზია თავის პოეზიად მიიჩნია. მან დასტოვა ძველი ზღაპარი, მითი და შეითვისა აკაკის სიმღერა ლექსი და 'მაირი'“. — მოყავს რა ეს ამონაწერი — ნ. საქარელი ასკვნის: „ამ სიტყვების შემდეგ თავის თავად გასაგებია „მნათობის“ რედაქციის შეხიშვნა: ავტორის ზოგიერთ მოსაზრებას არ ვეთანხმებით...“... საქმე იმაშია, რომ როგორც ჩვენ ვიცით რედაქციის ეს შენიშვნა ეხებოდა არა ასეთ დაფასებას აკაკის პოეზიისა, არამედ პირიქით: სწორედ იმ ადგილებს ამხ. კალაძის წერილისა, სადაც ის უარყოფდა აკაკის ხელოვნების ცხოველ — მყოფელობას დღეისთვის... რედაქცია იმ აზრისა იყო, რომ აკაკი მარტო ისტორიას არ ეკუთვნის, რომ ის ჯერ კიდევ არ მომკვდარა... ნ. სა-

ქარელმა კი რედაქციას „თავის თავით“ მიაწერა საწინააღმდეგო აზრი.

გრ. გიორგაძის წერილი „ჯვარედინზე“ საინტერესოა უმთავრესათ იმიტომ, რომ იგი ეკუთვნის გრ. გიორგაძეს — ერთ-ერთ ყოფილ ხელმძღვანელთაგანს მენშევიკურ პარტიისა. წერილი შეიცავს უკვე საანბანო ჭეშმარიტებად ქცეულ აზრებს იმის შესახებ, რომ ბურჟუაზია ახალ ომებისათვის ემზადება, რომ მუშათა კლასის მოვალეობაა ამ ომს — ომით შეხვდეს, რომ მე-II ინტერნაციონალს გარკვეული პროგრამა დღესაც არა აქვს ომის შესახებ (თუმცა აქ ავტორი ცდება; მეორე ინტერნაციონალს საკმაოდ გარკვეული პროგრამა აქვს: თავის ქვეყნის ბურჟუაზიასთან ერთათ — მოპირდაპირების წინააღმდეგ —), რომ ომზე აგებული ეროვნული პრობლემების გადაწყვეტა სრული ავანტიურაა და სხვა. ავტორი ასე ათავებს თავის წერილს: „ჩვენ შეგვიძლია სრული გარანტია მივსცეთ ხალხს, რომ ომი დიდ უბედურებას დაატებს ქართველ ხალხს, გაანადგურებს მის ტერიტორიას, ქონებას, ახალგაზრდობას, ნაცრად აქცევს მის კულტურულ ძალებს და, თუ რუსეთის და საქართველოს ტახტის პრეტენდენტმა დიდმა მთავარმა კირილე რომანოვმა გაიმარჯვა, — ყველა შეგნებულ ქართველს, კომუნისტს თუ სოციალისტს ერთ ხეზე ერთი ბაწრით ჩამოჰკიდებს“...

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ დამატებაა საჭირო: რომ კირილე რომანოვის გამარჯვებას ხელს უწყობს ის ავანტიურული პოლიტიკა, რომელსაც „ჟორდანიას“ კაცები ეწევიან საზღვარ გარეთ და აქაც, რომ კირილე რომანოვი სრული ნულია თუ მის გვერდით არ არიან დემოკრატიის დამცველები მილიუკოვი, კერენსკი, ჟორდანია, რომ რუსი შავრაზმელები და ქართველი მენშევიკები — შეკავშირებულათ ანთავისუფლებენ საქართველოს და რუსეთს ბოლშევიკებისაგან, და რომ სწორედ ამიტომ საჭიროა სასტიკი, დაუზოგავი ბრძოლა ამ ვაჟბატონების წინააღმდეგ. რამდენათაც უფრო ხმამაღლა და გარკვევით ვიტყვით ამას — მით უფრო კარგია.

მხატვრულ პროზაში მოცემულია მოთხრობები და ესკიზები: მ. ჯავახიშვილის „ცოფიანი“, ნ. ლორთქიფანიძის — ესკიზები, დ. შენგელაიას „ჰოროველ“, ს. კლდიაშვილის „ბილბაო“. დ. სულიაშვილის „პირველი სიტყვა“ და ლ. მეტრეველის „ალავერდობა“. მ. ჯავახიშვილის „ცოფიანი“ დამაფიქრებელია, სახიფათო გზაზეა შემდგარი „ჯაყოს ხიზნების“ და „კვაჭანტირაძის“ ავტორი... ძალიან სახიფათო გზაზე. მისი უკანასკნელი მოთხრობები — „თეთრი საყელოს“-ს შემდეგ წინსვლას არ ამბობენ. დიდ მწერალს უფლება აქვს კალმით ითამაშოს, მაგრამ მხოლოდ ხანდახან, მხოლოდ სხვათა შორის, თორემ თუ კალმით თამაში სავალ გზათ იქცა — ეს უკვე თამაშიც არ არის. ეს უკვე „დახურდავების ნიშანია“. „მნათობში“ მოთავსებული — „მესამე“, ეხლა ეს „ცოფიანი“ — ვერავითარ სანუგეშო რამეს ვერ ამბობენ. „თეთრი საყელო“ — როგორც ეტყობა ძალიან უჭერს ჯავახიშვილის „მუზას“. დახრჩობით ვერ დაახრჩობს — მაგრამ ხმაც, ჩაუწყვიტოს ესეც დიდი უბედურება იქნება ქართულ ლიტერატურ-

რისათვის... რატომ ვამბობთ თეთრ საყელოზე ამას, იმიტომ რომ „თეთრი საყელო“ — თი დაიწყო ჯავახიშვილმა ახალი სალიტერატურო გზა. ეს გზა კი შეცვლა იყო იმ მიმართულების — რომელსაც ადგა ავტორი, როდესაც „ჯავოს ხიზნები“, „აბდულა“, „ლამბალო და ყაშა“ დასწერა. ეს იყო მხატვრული რეალიზმი — თანამედროობასთან დაკავშირებული. „თეთრი საყელო“-ს ერთი ნაწყვეტია „ცოფიანი“.

ხირჩლას ორი შვილი ყავს — ვაჟი ძალლიკა და ქალი კმარა. სახელიანი ხევსურია ხირჩლა — ოჯახი მისი პატიოსან ოჯახად არის ცნობილი. და აი უბედურება დაატყდა ხირჩლას. მისი შვილი ძალლიკა შეიქნა მისი უბედურების მიზეზი. სამხედრო ბეგარა მოხდილი დაბრუნდა სახლში ძალლიკა. კმარაც გასათხოვარი ქალია. ხირჩლას უნდა გაათხოვოს კმარა. ამას ეტყვის ძალლიკას, და გამოარკვევს საშინელებას; ძალლიკას უყვარს კმარა. ძმას უყვარს და. — არა როგორც და — არამედ როგორც ქალი.

— „ძალლიკავ! ძაღლებმაც არ იციე აგეთი... არ იციე აგეთი მასხრობაი.

— მე არა ვმასხრობ — იღიმება შვილი.

— მაშ... არ ხუმრობ? — მაინც არა სჯერა მამას.

არა, არ ვხუმრობ.

— ძალლიკავ ნუ ხუმრობ მეთქი, თორემ... ეს ტყვია უფრო შეგერვების. ძალლიკავ ნუ ხუმრობ — მეთქი, თითქო იხვეწება ხირჩლა.

— არა ვხუმრობ... შემერგების.

— იქნებ ხუმრობ ძალლიკავ! — მუდარით ეკითხება მამა.

— სახუმრო არა მაქვს — რა.

— ძალლიკავ უკანასკნელ გეკითხები, ხუმრობ თუ არა?

— არა... არა ვხუმრობ — ჟინით გამოიწურა კბილებიდან ძალლიკამ.

— მაშ... არც მე ვხუმრობ. ღმერთო მიშველე! პირჯვარი გადიწერა და უცებ, — იქნებ ისე უნებურათ, — თვისი თვალი, თოფის ტუჩი და შვილის შუბლი ერთ ლარზე გააბა.

— ვერ გამიმეტებს — ფიქრობს ძალლიკა და იჭვნეულათ იღიმება. თოფის ლულიდან ერთათ გამოცვივდნენ ცეცხლი, ქუხილი და კვამლი, ხოლო ბნელ კარებიდან კმარას კივილი გრიგალივით შემოვარდა!!!

მოკლა ხირჩლამ საყვარელი შვილი. შემდეგ... თვითონაც მოილა თავი... ასეთია მოთხრობის ჩონჩხი... ჩვეულებრივი ოსტატობით და ხერხიანათ აქვს ჯავახიშვილს იგი აგებულ. მშვენიერი ენა, — მკვეთრი, სადა და მგრძნობიარე. ამბავი გაშლილი ოსტატურადვე...

— მიუხედავად ამისა — მოთხრობა მაინც უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენს — რადგან ყალბია, ხელოვნურათ მოგონილია — მისი დედაბოძი, მთავარი იდეა... რაში მდგომარეობს იგი: პირველყოფილი ხევსური — თავის ადათ-ჩვეულებით — ხირჩლა — და ქალაქის „კულტურის“ შემომტანი „ნასაღდათევი“ ძალლიკა... როგორ იშლება მათი ბრძოლა, რა ნიადაგზე სწარმოებს იგი: ხირჩლა იცავს

პატიოსნებას, სიფაქიზეს, ვაჟკაცობას — ძალლიკა — „მორიელი, გვე-
ლი“ — განხორციელებაა ზნედადაცემულობის და გათახსირების. სო-
ფლის „უკულტურობა“ გამარჯვებულია ძალლიკას „კულტურაზე“.
— ვინაიდან — ძალლიკაებს ზრდის ეს კულტურა... ასე ყავს დახატუ-
ლი ახლის და ძველის ბრძოლა ავტორს. ობიექტიურათ ეს აქაც
იმარჯვებს ძველი ადათი — ახალ ყოფა-ცხოვრებაზე, აქ ხომ ბრძი-
სათვისაც ნათელია ეს... — მართალია ასეთი დაპირისპირება? მართ-
ლა სწორადაა გაშლილი სოფლის და ქალაქის მდგომარეობა? მართ-
ლა ძალლიკაებს იძლევა ქალაქი?! არა... ტყუილია ეს, ყალბია, მა-
ხინჯია ასეთი დაპირისპირება... ამავე დროს უაღრესად რეაქციონუ-
რი. საქმე იმაში კი არ არის; რომ შესაძლოა ასეთი რამეც მომხდა-
რიკოს — რასაკვირველია შესაძლოა, მაგრამ: — ეს გამონაკლისი, იშ-
ვიათი მოვლენა იქნება... ჯავახიშვილმა კი მიმართულებათ გაიხადა
ასეთი დაპირისპირება... უნდა კანონათ გამოაცხადოს გაყალბება იგი.
ეს კი სინამდვილის დამახინჯებაა, გაყალბებაა და როგორც ეს ყო-
ველთვის ასე ხდება — რეაქციონურ, ანტიპროგრესიულ ხასიათს
ღებულობს იგი.

საჭიროა ამაზე სერიოზულათ დაფიქრდეს „ჯაყოს ხიზნების“
და „თეთრი საყელოს“ ავტორი.

ნ. ლორთქიფანიძის ესკიზები: „ნიშნობა“ და „ფეოდალები“ —
ახალს არაფერს ამბობენ. როგორც ეტყობა ამ ნიჭიერ მწერალს სა-
ბოლოოთ გადაუწყვეტია: წარსულში ეძიოს სამწერლო მასალები —
მხოლოდ წარსულში. ახალი მას არ აინტერესებს — ყოველ შემთხვე-
ვაში მის ნაწერებში ეს ასე სჩანს. ქართველი ბუნინია — ნ. ლორთქი-
ფანიძე. დახვეწილი კლასიკური ქართული ენით — დასტირის ის
ძველ საქართველოს... ღიმილიც არის ამ ტირილში — მაგრამ ეს
ღიმილი მწუხარებას უფრო გამოხატავს, ვიდრე სიხარულს. რასა იქ?
— უყვარს მწერალს ძველი საქართველო — თავის ადათ-ჩვეულებე-
ბით „სილატაკით, სიჭარმაცით და უკუდო ამპარტოვნობით“... სის-
ხლით და ხორციით არის იგი შეზრდილი მასთან. რევოლიუციამ მი-
ახგრ-მოანგრია ეს ძველი საქართველო... სოფელშიაც — შევიდა ის
თვისი „უხეში“ და „უმოწყალო“, მაგარი ნაბიჯებით... ატირდა ძვე-
ლი სოფელი. ავტორსაც ესმის ეს მისი წუხილი. „ვერც მედავით-
ნემ აასრულა თავისი დაპირება — მას არ მოუვლია მიცვალებულთა-
თვის, — რადგან არც ერთს არ ღირსებია სამარე, ეკლესიის გალა-
ვანში, საკუთარ სასაფლაოზე, ნაკურთხ მიწაში“. ნაღვლიანათ ათა-
ვებს თავის ერთ ესკიზს „ფეოდალებს“ ავტორი. ნაღვლის გარდა ჩი-
ვილიც არის აქ — მიმართული სოფელში შემოსულ რევოლიუციის
მიმართ, და მართლაც: ნაკურთხი მიწა — „წაიბილწა“, ეკლესიები —
არამც თუ გალავნები — ბევრი დაინგრა. საკუთარი სასაფლაოები აბა-
ვის აქვს ეხლა?! არ უყვარს რევოლიუცია ნ. ლორთქიფანიძის კა-
ლამს. სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო... — რადგან იშვიათი ნიჭის
პატრონი მხატვარია იგი... მაგრამ, რევოლიუციის ბრალი ხომ არ
არის ოდნავათაც, რომ მწერალ ლორთქიფანიძეს არაფერი უნდა

დაინახოს მასში — გარდა დანგრეულ ეკლესიებისა და „წაბილწულ“ ნაკურთხ მიწებისა?!

დემნა შენგელაიას — „ჰოროველ“ — ნაქურდალია. „სანავარდოდან“ არის იგი ამოღებული. „სანავარდოც“ ხომ დემნას ეკუთვნის? მით უარესი მისთვის... ცუდია, როდესაც მწერალი თავის თავს ქურდავს, მით უმეტეს, როდესაც იგი — ავტორია მხოლოდ ორი დამთავრებული ნაშრომის. შეიძლება შემთხვევითია ეს არა კარგი ამბავი. „ღმერთმაც“ ქნას! ყოველ შემთხვევაში სიფრთხილე და მეტი დაკვირვება მართებს დემნას...

— სერ. კლდიაშვილს კარგი „გვარი“ აქვს. საუბედუროთ იგი ვერ ამართლებს ამ გვარს ჯერ-ჯერობით მაინც. „რაინდი ბილბაო“ ამის უტყუარი საბუთია.

— „ყოველ ავტორს სჭირია დახმარება წამკითხავისაგან. ყოველი ამბავი ცარიელ სიტყვებათ დარჩება და მოთხრობას დაუწუნებენ, თუ წამკითხველი ავტორს ვერ გაუსწორდა. ეს მოთხრობა მარტივია. მაგრამ აქაც მჭირია გრძნობა იმის, რომ წამკითხავი გამითანასწორდა. მოთხრობა ეხება სიყვარულს და ამბავიც მოხდა შორეულ ქვეყნის შორეულ დროში. ამიტომ ხშირათ ვბედავ ვახსენო „შეძლებული მთვარე“.

— ასე იწყება „რაინდი ბილბაო“.

ჩვენ შევეცადეთ შეგვესრულებინა ავტორის ეს მოთხრობა მკითხველისაგან, — მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. ვერაფერი ჩვენ ამ ნაწერში ვერ ვნახეთ. ჩვენ ისიც ვერ გავიგეთ რატომ უნდა დაეწერა სერ. კლდიაშვილს ეს „ამბავი“. და თუ კი მაინც და მაინც აუცილებლათ საჭირო იყო ეს — რატომ უნდა მოთავსებულიყო იგი რომელიმე ჟურნალის ფურცლებზე. შეიძლება ჩვენ — მიუხედავად ჩვენი გულწრფელი ცდისა — ვერ ავმაღლდით ისე, რომ ავტორს გავთანასწორობოდით, და ამიტომ დაგვემართა ეს... ვინ იცის! ყოველ შემთხვევაში — ეს ჩვენი ბრალი არ არის. ხომ ვიცით ფრანგული ანდაზა ლამაზ ქალის შესახებ.

ლექსებით — მდიდარია „ქართულ მწერლობის“ ეს ნომერი. თითქმის ყველა ცნობილი ქართველი პოეტი — მოცემულია აქ.

ჩვეულებრივად კარგია და მწიგნობრივი აბაშელის სამი ლექსი. — განსაკუთრებით მესამე — „მზე და ჰაერი“. „მზის პოეტი“ — აი როგორ აწერს გათენებას:

„მოაჯდა ღრუბელს თეთრი ნათელი,
ჯერ მორცხვად, მშვიდად და მორიდებით,
შემდეგ გაირღვა ღამის სარტყელი
და მზემ გამოჰყო ოქროს თითები“.

ი. გრიშაშვილის ლექსი „ჩუსტის მკერავი“ აშკარათ მოწმობს, რომ მის ავტორს არაფერი შეუძენია და არც არაფერი დავიწყებია. ჩვეულებრივი გრიშაშვილისებური ლექსი მისთვის ჩვეულ თემაზე — ჩვეულებრივი დაწყებით და ბოლოთი.

— „მე დავაცქერდი და ჩურჩულით წარმოვთქვი მერე.
მოდო და ეხლა, ამის შემდეგ ლექსები სწერე“.

სუსტია და გაუთლელი სტირქონებით გაკეთებული რაჟდენ გვე-
ტაძის ლექსი „ქვის მჭრელი“. მარტო ეს სტროფა რათ ღირს:

„ეხლაც ეხება მაღალ თეძოებს,
გულზე უწყვია თეთრი კვახები.
ჯაცილდა დარდით მცვრიან ეზოებს...
სადღაცა ჭოტი ჰკიოდა მკვახეთ“.

რ. გვეტაძე უწინ უფრო კარგათ სწერდა. — „კარგი არის ვით
ყანაში სამხარი — შენი ნაზი ლაპარაკით დათრობა“ — ამის ავტორი
არ უნდა სწერდეს ისეთ უშნო ლექსებს, როგორცაა „ქვის მჭრელი“.

— კ. ლორთქიფანიძე — წარმოდგენილია ორი ლექსით. „რამ-
დენიმე სიტყვა ესენინს“ და „სიკვდილი“. უნდა ვსთქვათ — და ეს არ
იქნება ოდნავათაც გადაჭარბება, რომ კ. ლორთქიფანიძე ამ ლექსებ-
ში — უკვე დიდ პოეტათ სჩანს. ჟურნალის ვერც ერთი სხვა ლექსი
ვერ შეედრება, როგორც ფორმალური შესრულებით, იდეით და ამ
იდეის ოსტატური გაშლით — ლორთქიფანიძის ამ ორ ლექს.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც კ. ლორთქიფანიძის მონა-
წილეობით — ქუთაისში გასროლილ იქნა — „დინამიტი“ (ჟურნალი)...
რომელიც... არ აფეთქდა... სულ ორი წელია მას შემდეგ და კ. ლორ-
თქიფანიძე უკვე დიდი (შედარებით) პოეტი შეიქნა... დაჯერებით
შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღეს არ არის არც ერთი
სხვა პოეტი — არც ძველებში, არც ახლებში, რომელიც შეძლებდეს
ლირიულ ლექსის ისე გამართვას, როგორც ეს ახალგაზრდა „დინა-
მიტელი“. ქართულ ლექსში შეძლო მან განეხორციელებინა მთელი
სიმშვენიერე ესენინის გრძობიერებისა. ლექსს მან დაუბრუნა ის,
რომლითაც საკმაოდ გაქურდული იყო დღევანდელი ჩვენი პოეზია
და ურომლისოთ იგი არ არსებობს... — ეს მხატვრული ოსტატობა,
რომლითაც პოეტური ნაწერი — უხილავი ძაფებით ებმება და იჭერს
მკითხველის გულს, აღელვებს თუ აწყნარებს მას; ხელთ ყავს იგი...
მოქმედობს მასზე... საშიში იყო, რომ ლორთქიფანიძე, ესენინის
ლექსის ტექნიკასთან და ცოცხალ ლირიულობასთან ერთათ გაჰყვე-
ბოდა ესენინის „იდეასაც“ და მის „ქადაგს“. ეს კი დალუბავდა მას
ისევე, როგორც დაიღუპა ესენინი. მაგრამ ეს ასე არ მოხდა: ეს ორი
ლექსი სწორედ ამ ესენინის „ქადაგის“ წინააღმდეგ აქვს ავტორს და-
წერილი. დამაჯერებელი სიმშვენიერით და დაურღვეველი სიმართ-
ლით არის აშენებული ეს თორმეტ-სტრიქონიანი დაუვიწყარი ლექსი.

„აჰა ლექსიც დავიწყე, მამძიმებდა ფიქრები:

ლამე იყო და გული მოგონებით მიძგერდა,
შორს ქუჩიდან ფარანი ფერმიხდილი, მიმქრალი
როგორც თავი დამხრჩვალნი ესენინის მიცქერდა.

მწუხარებამ შემიპყრო, მსურს გავსძახო: მავნეა
შენი უკანასკნელი ხულიგნობა ესენინ!

განა ჩვენი ცხოვრება ისე ჩლუნგი რამეა,

სასიკვდილო თოკზე რომ გადმოჰკიდოთ კისერი?

თვითმკვლელობა რათ გვინდა, მოვა დრო და მოვკვდებით,
პოეტებო, უმღეროთ ახალ ქვეყნის ალიონს,

სჯობს კისერზე გრიგალი მოვიხვიოთ თოკივით

საწამლავის მაგიერ ეს ცხოვრება დავლიოთ“.

აქ თითოეული სიტყვა თავის ალაგასა. ვერაფერს ჩაამატებ, ვერაფერს ამოაგდებ. როგორი სიმართლით და დაჯერებით იშლება ლექსი... როგორი შედარებებია!! ამ ლექსიდან ამოგდებული — უშნო და მყვირალა იქნებიან ისინი....

მაგ.: „სჯობს კისერზე გრიგალი მოვიხვიოთ თოკივით“ — ცალკე აღებული ეს სტრიქონები თავის შედარებით — რაღაც უშნო რიტორიკას და სიტყვათა ბრახუნს მოგაგონებს... მართლაც რა მშრალი და უშინაარსო შედარებაა — გრიგალი თოკივით მოხვეული კისერზე, მაგრამ მთელ ლექსის შენობაში — როგორ შთაბეჭდილებას ახდენს იგი!! ამ მდგომარეობაში ყველაფერი ცოცხალია აქ: კისერი, თოკი, მოვიხვიო და გრიგალიც. (ესენინმა კისერზე თოკით დაიხრჩო თავი) დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს ეს იმედიანი, ოპტიმისტური ძახილი! „საწამლავის მაგიერ ეს ცხოვრება დავლიოთ“ არა ნაკლები სიძლიერით და გარეგნული და შინაური გამართლებით — არის შესრულებული მეორე ლექსი „სიკვდილი“.. ამავე დროს ეს ლექსი უაღრესად ორიგინალურია. ქართულ ლიტერატურაში — მსგავს შინაარსის ლექს ძნელად იპოვით. — სიკვდილი — მასხრად აღებული. ეს ისეთ ფონზე გაშლილა — რომ არ მოელი ასეთ ფინალს:

„მოახლოვდა, საწოლთან დადგა ძონძის შრიალით.

ტუჩზე ცივი ღიმილი გაუცურა გველივით;

გაძეცინა, უთხარი: — ბინა ხომ არ შეგშლიათ,

ეგებ მე თქვენ გგონივართ ტაბიძე ან გრანელი!“

კ. ლორთქიფანიძეს ამ ლექსების შემდეგ ბევრი მოეთხოვება. უნდა გაამართლოს კიდევ.

დანარჩენ ლექსებს — უადგილობის გამო არ შევეხები... „ეგგენი ონეგინ“-ის თარგმანი, რომელიც ეკუთვნის გრ. ცეცხლაძეს, სუსტია. საჭირო იყო — ასეთ კლასიკურ ნაწერის თარგმნისთვის მეტი ყურადღების მიქცევა...

— მხატვრობას მოკლებულია ს. ჩიქოვანის სიტყვების გროვა მყვირალა სათაურით: „მიძღვნა ახალ პოეტებს“: — იგი ასე თავდება:

ცხოვრება არის საფეხურთა წყება მაღალი

და სურვილების მისაღწევათ გზა ჯვარედინობს

და კიბეებზე ბევრი თუ სდგას უკვე დაღლილი

ჩვენ გულწრფელობით გამარჯვება დაგვეჯერება“.

— ეს თუ პოეზიაა — მაშინ სოლომონ ზურგიელიძის „ნაწერებს“ რა უნდა დავარქვათ. რედაქტორია დამნაშავე როდესაც ასეთი რამ ლექსათ საღდება და უკანასკნელი ფურცლებს იკავებს.

ასეთია ჟურნალ „ქართულ მწერლობის“ ამ ნომრის შინაარსი. უმთავრესში. იგი არ არის ღარიბი. ბევრი დასაწუნია, მაგრამ ბევრი მისაღები... განსაკუთრებული ყურადღება რედაქციამ უნდა მიაქციოს მომავლისათვის ჟურნალის კრიტიკულ და პოლიტიკურ ხასიათის წერილებს — რომ ხაზი, მიმართება ჟურნალის უფრო სწორი და გარკვეული შეიქნეს. ძნელი საქმეა ეს ამ ჟურნალისათვის, მაგრამ არა შეუძლებელი. ნაყოფიც მეტი იქნება.

„ახალგაზრდა გოლუვევიკი“

ჯერ კიდევ იანვრის შუა რიცხვებში გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს ფურცლებზე ჩვენ მიერ აღნიშნული იყო, რომ რევოლუციის ვერ მიღების საფუძველზე „ქართულ მწერლობაში“ გრძელდება „ობიექტიურ“ სიმართლის ძიება, ნილაბში გამოწყობილ ცილინდროსანთა განწყობილება, ზედმეტი ადამიანის აღსარება, თესლის პათოსი, წარსულის რომანტიკა, „სმენავებურ“ ლიბერალიზმის წამოყრანტალება; ხისლიანი ნილილიზმი, ორიგინალური მეტამორფოზები და სხვა.

ჩვენ გვსურს მოცემულ მომენტში უკანასკნელ რგოლზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება: ჟურ. „ქართული მწერლობის“ 4-5 №-ში წარმოდგენილია ნიკოლოზ მიწიშვილის წერილი „ფიქრები საქართველოზე“, რამაც აამოძრავა ქართულ „ნეიტრალურ“ ინტელიგენციის ტრადიციული ეროვნული აზროვნება, პერმანენტიულად დაკავშირებული პატარა კახის რომანტიულ ხმალთან და თამარ მეფის ქოშებთან. მართალია წერილი ფოსტიტაა გამოგზავნილი სტამბოლიდან და დათარიღებულია 1922 წ., მაგრამ „აქტუალობას არაა მოკლებული“ თუ ავტორს დაუჯერებთ:

წერილი ჟანრის მხრივ ინტიმურია. მოფიქრებული იმ უღმერთო ღამეს, როცა „სიწყნარეში უკვე მესამედ ყივის თათრის მამალი ნაპირიდან“, ძალზე დამძიმებული ელეგიით და ლირიზმით.

როგორია ამ ფიქრების განწყობილებათა მაგისტრალი?

1. „და როცა კვლავ უბრუნდები საქართველოს, მე მას ვერ ვხედავ, ვერ ვნახულობ და მეშინია: ნუთუ საქართველო მარტო ეტნოგრაფიული მოვლენაა. თანდათანობით გადაგვარებაში გადასული? როცა გადავხედავ ჩვენს ისტორიას — მე იქ ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე“.

2. „მე არ მინდა უარყო საქართველო წარსულში და მომავალში. მაგრამ ესე ხდება ეს. თუ ერის სახე იხატება მის შემოქმედებაში — საქართველოს სახე დღეს განსაკუთრებით ძნელი სანახავია... ეს საუკუნე ვერ მისცემს საქართველოს ვერც ერთ პოეტს, ვერც ერთ ჭეშმარიტ მწერალს.“

3. „საქართველო პასიური მოვლენაა. მისი ენერჯია გამოწვეული იყო სხვა. მისი გარეშე მყოფ მოვლენისაგან (ენერჯია ჭიის, როცა მას ფეხს აჭერენ) საკუთარ, შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც. მოკლებულია აქედან გამართლებას. მსოფლიო გამართლებას, ... საკუთარ მოწოდებას, აზრს, შინაარს. ამითია, რომ მშრალია და ფუყე

საქართველო; აქედანაა მისი „უშვილოსნობა“ თუ ბერწობა... ყველაფერი ქართული უდღეო... ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუა გზაზე დაუმთავრებელი, მიულწვევლი“ და სხვ.

ესაა მიწიშვილის ფიქრების ცენტრალური ხაზი, რაც არ რიცხავს (პარალელურად) მეორე ხარისხოვან მოსაზრებათა რგოლის არსებობას, როგორცაა: „ცისფერი ყანწები“, სამშობლო პოეტისათვის, თუ პოეტი სამშობლოსათვის, რუსთაველის პრობლემა და სხვ., რაც ძირითად რევიზიას საჭიროებს და რაზედაც სამწუხაროდ უადგილობის გამო ვერ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

ჟურნალში წარმოდგენილია საპასუხო წერილები: გრიგოლ რობაქიძის, სეით დევდარიანის, ს. ჩიქოვანის და ბ. გორდეზიანის, ვინაიდან ორი უკანასკნელი წერილი ზედმეტად მიგვაჩნია (გორდეზიანი მართალია, როცა ამბობს: „საქართველოს ნამდვილი სახე ეხლა მოდის“) ამიტომ გაკვრით შევეცხებით გ. რობაქიძის, და ს. დევდარიანის წერილებს მიწიშვილის ფიქრების ირგვლივ.

გრ. რობაქიძე (იხ. „საქართველოს ხერხემალი“) ცნობილია ჩვენში როგორც „ორგინალური“ მოაზროვნე, რაც ხშირად ცინიზმში გადადის. მოსაზრების გამმაგრებელი მორიგი ფაქტი გრ. რობაქიძის „საქართველოს ხერხემალია“, რობაქიძეს ძალზე „ემწარა“ მიწიშვილის ფიქრები! როგორ თუ საქართველო მოკლებულია გენიას? რობაქიძე შეიარაღდა „არხეოლოგიურ საქართველოთი“ და უმიზნებს მიწიშვილს! მართალია (გრძნობს რა თავის სისუსტეს) ავტორი ცდილობს დაგვაჯეროს, რომ მისი „თქმა“ არაა „ფრაზა“, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასეა. როგორია რობაქიძის არგუმენტები „ნილილიზმის“ გასაფანტავად?

„ქართლის ცხოვრება“ დიდი მხატვრული ფაქტი ყოფილა მსოფლიო მაშტაბით. დავით აღმაშენებელი მარკ ავრელიუსზე ერთი წუთით დიდია, ცოტნე დადიანი?! იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩულის „ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელისა“, სადაც თურმე ქართული სიტყვა ისეა მოცემული თითქო პირველ მიწას რძე სდიოდა კვლავ ძუძუებიდან. ექვთიმე და იოანე მთა-წმინდელები (უკაცრავად გამოგვჩაქიდევ ერთი მთა-წმინდელი სახელდობრ: გიორგი) ეფრემ მცირე. ამას მოსდევს „ჯვარი ვაზის“ მისტიკა, ოქროს ვერძის და მედეას ლეგენდა, გიოტეს ამბავი თინათინზე, სადაც ავტორი სიტყვასა და სიტყვას შუა სტოვებს“ სურნელს ქართველი ქალით აღტაცებისას“. მოდი ახლა და ამის შემდეგ ნუ იწამებ საქართველოს მადლს და გენიას!

ამ „არხეოლოგიით“ პატივცემული რობაქიძე საქართველოს ადიდებს და მარადიულობის კატეგორიაში გადაჰყავს. მთელი წერილი დატენილია პოეზიის თეთრ გიორგისათვის ჩვეულ მამალ სიტყვებით და დედალ გამოთქმებით, განათლებული სიმბოლიზმის სულით და ძეთოდებით. რასაკვირველია ამ წერილის მიცანიერულ დირებულებაზე ზედმეტია ლაპარაკი. ყოვლგვარ არგუმენტაციას მოკლებული და „უჩიბნიკური“ ხასიათის, რომელშიაც პიროვნული ელემენტი პირველ პლანზე სდგას. ფაქტების გაზვიადება და ისეთის

ორიენტაციით წარმართვა, რასაც უკარნახებდა სიმბოლისტური „სინდისი“. ჩვენ ძალზე დიდი... ძალზე მადლიანი ვიყავით წარსულში და განა ის საქართველოს მადლი და გენია არაა“, — აი რის თქმა უნდოდა პატივ. მწერალს. მართალია ძველი ისტორიაა, მაგრამ მოცემულ მომენტში რატომღაც გვაგონდება ნეტარხსენებელი იაკობ გოგებაშვილის „მეცნიერული“ რეცეპტი: „ჩვენი ღირსება ვადიდოთ, ხაკლულეგანება ვამციროთ“ ე. ი. საქართველოს ისტორიულ კულტურებში „მეცნიერების“ ადვოკატური მეთოდით მისვლა! ოდესღაც უარყოფილი მეთოდი გრ. რობაქიძემ ორივე ყურით დაითრია და „ლამობს“ ჩვენს საზოგადოებრიობაში გასაღებას. მოქალაქე რობაქიძევ, თუ საქართველო აწმყოში არას წარმოადგენს წარსულის % ვერას უშველის. ეგვიპტე, ასურეთი, სპარსეთი და საბერძნეთი დიდი ისტორიული კულტურების ხალხია, მაგრამ დღეს კოლონიებს წარმოადგენენ. ფინებს, ნორვეგიელებს, იაპონელებს და სხვ. წარსულში კაცობრიობის წინაშე თითქმის არაფერი არ მიუძღვის, ხოლო დღეს კი კულტურულ (პირობით) ქვეყნებად ითვლებიან, ასე, რომ ამა თუ იმ ქვეყნის „ბედი“ დამოკიდებულია არა არხეოლოგიაზე, არამედ ისტორიულ-ეკონომიურ პირობებზე. საქართველოს, რომ დღეს მომავალი აქვს ფაქტია. საბჭოების გარეშე კი იქნებოდა მხოლოდ „არხეოლოგია“ და... კოლონია (მაგ.: მენშევიკური საქართველო.) ეს უნდა იცოდეს ყველამ და მათ შორის „მოფილოსოფოსო“ რობაქიძემ.

სეით დევდარიანი: ე. წ. „საბჭოთა მენშევიზმის“ ტიპური ქართველი წარმომადგენელია და ამიტომ გასაგებია მისი წერილების ტონი და ბუნება ეკამათება რა მიწიშვილს, (პირველ ნაწილში დადებითად) მიწიშვილის მოსაზრებათა რგოლის უარყოფის პარალელურად თავშესაკავებლად ესხმის პროლეტარულ საზოგადოებრიობას. დროა სეით დევდარიანმა იპოვოს მყარი პოზიცია, წინააღმდეგ შემთხვევაში თავის პატარა ლიტერატურულ დუქანსაც გამოეთხოვება.

ნიკოლოზ მიწიშვილისათვის ჩვენი გარკვეული სინამდვილე „ბურუსიანია“, თუმცა სჯერა: „საქართველოში მოკვდა ძველი საზოგადოებრიობა... გაიზნიქა და გატყდა ჩვენი ეროვნული აზროვნების ტრადიციული ღერძი... ევროპა, როგორც იდეა — გათავდა... კომუნისტურმა მოძრაობამ დაჰფარა თავის მნიშვნელობით ყოველგვარი იდეოლოგიური მოძრაობა მსოფლიოში“. ასე, რომ მიუხედავად ზოგიერთ ძიებით კურიოზებისა, როგორცაა „კულტურის საბინადრო ტერიტორიის“ გრადუსებით ზომვა და სხვ. პროექტი მაინც ცდილობს გაეკრას თანდოულობას, თუმცა მისი მისვლა ნაძალადევაია: „რაც არ მოხდა ისტორიულად — ეს უკვე ვიცით, რაც მოხდა ეს უნდა შევაფასოთ“... „რეალურად გაგებულნი ინტერესები საქართველოსი“.. და სხვ. რბილად, რომ გამოვთქვათ აქ უკვე პირველ რიგში იჭრება „სმენავეხური“ ლიბერალიზმი! განა უსტრიალოვი ანალოგიურ დამოკიდებულებაში არაა საბჭოთა რუსეთისადმი, როცა გაიძახის: „ჩვენ სტაბილიზაციურ განწყობილებათა მომხრე ვართ“-ო. განსხვავება მხოლოდ ნოტების არეგ-დარევაშია.

მიწიშვილი შუა გზაზეა გაჩერებული: „პოეზიაში მე მივყვები მხოლოდ საკუთარ გულს და ალბად ესაა მიზეზი, რომ მე როგორც პოეტი ჩამოვრჩი დღევანდელი ამბოხებული დროის აქტუალობას. როგორც პოეტი, მე შესაძლებელია დაგრჩე წარსულში. მაგრამ მოქმედების გამბედაობის და სიცოცხლის ლოგიკამ მე გამათანასწორა თანამედროობასთან, როგორც ადამიანი“. მიწიშვილი შუა გზაზეა გაჩერებული, თანადროულობა არ იღებს ასეთს „ორეულებს“, გაორებულ ადამიანებს. ვიდრე ასეთ „გაორების“ მატარებელი იქნება მიწიშვილი იგი ყოველთვის გერი იქნება თანადროულობის, „ამბოხებულ დროის აქტუალობის“.

ერთი მომენტი უნდა აღინიშნოს. მისი წერლები „საქართველოს (ახალი) ძიების“ დრამაა ნილილისტურ პლაშში გამოწყობილ წვრილ ბურჟუაზიულად დაქსაქსულ ქართველ ინტელიგენტის. ეს ხაზი ყოველ მის ნერვში ისტორიულად გაჰკივის.

ბოლო საპასუხო წერილში კი ცდილობს უფრო დაუახლოვდეს თანადროულობას: „ეს გზაა მშრომელი ხალხის. გზა პროგრესისა და შრომის უფლებებისაკენ, საერთაშორისო და ეროვნულ განვითარებისაკენ, გზა რომელიც გაანათა ოქტომბრის რევოლუციის იდეამ სოციალურ და ეროვნულ ფარგლებში“.

მიწიშვილმა ნაბიჯი წინ გადადგა. თუმცა არა სრული. თუ „ფიქრების“ ავტორი ვერ მივა მთლიანად რევოლუციასთან, ადვილი შესაძლებელია მიწიშვილი გადაიქცეს ახალი ბურჟუაზიის სოციალურ დაკვეთის შემსრულებლად ანდა ინტელიგენციის ბურჟუაზიულ და დეკლასიურ ნაწილის იდეურ დაქსაქსულობის გამომხატველად და სათაყვანებლად.

ბედი არა სახარბიელი, მაგრამ რას იზამთ!

ვ. ლ.

შეცდომის გასწორება.

არისტოჭუმბაძის მოთხრობაში — „სასწაული“ გვ. მე-11-ე, ქვევიდან მეორე სტრიქონი, შეცდომით დაბეჭდილია: „მაგრამ გაახსენდა, რომ მხოლოდ გუშინ სთქვა აღსარება“ — უნდა იყოს: „ეკლის ნაძირალზე ეკლის მეტი რა უნდა ამოვიდესო“.

ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსში — „საკო და ვანცეტი“, 130 გვ., მე-7-ე სტრიქონში, დაბეჭდილია: — „რომ სისხლისმსმელი გარდაქეშანი“. უნდა იყოს: — „რომ გაიმარჯვებს ხალხი მშრომელი“.

—:—

ს. ს. შ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. კლუბ. პრ. № 91.

21/IX—27 მთავარლ. № 1763 შეკვ. № 9813/1373. დაიბეჭდა 1100